114
1955/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114/3
7

1

იანვარი

1955

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

6902

წელიწადი ოცდამეთორმეტე

საბჭოში გაწყ.

1

★

ი ა ნ ვ ა რ ი

19 სახელგამი 55
თბილისი

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

63

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 7

მხატვრული ლიტერატურა

შალვა დადიანი — მენჯი-რობუ. რომანი. გაგრძელება 7

გიორგი კაჭახიძე — საახალწლო. ლექსი 37

გრიგოლ ცეცხლაძე — გზაში. ლექსი 38

ელიზბარ მაისურაძე — შემოდგომაზე, მოთხრობა 39

იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი. თარგმანი გერმანულიდან ალ. ქუთათელისა 79

ტ. სვატოპლუკი — ბოტოსტროი. ნაწყვეტი რომანიდან. თარგმანი ჩეხურიდან ელენე ერისთავისა 97

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ოთარ ჩხეიძე — მაღალმხატვრული ოსტატობისათვის. წერილი 115

სერგი ჭილაია — ვასილ ბარნოვი. წერილი 124

დოც. გ. მეგრელიშვილი — ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. წერილი 137

დ. ქუმსიშვილი, თ. კუკავა — სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა". წერილი . . 148

ბიბლიოგრაფია

შ ვაშაყმაძე — სომეხი შწერლების კრებული 158

რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, სერგი ჭილაია ოთარ ჩხეიძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/I-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უე 01224.
შეკვ. № 931. ტირაჟი 5300.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

★

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენ, ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალეროვანი ლიტერატურის წარმომადგენლები, მადლობას ვუძღვნით მშობლიურ პარტიას ახალი მიღწევებისა და გამარჯვებებისაკენ ჩვენი ლიტერატურის განუწყვეტელ წინსვლაზე ბრძნული ზრუნვისათვის.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის შთაგონებითა და ხელმძღვანელობით, დაუცხრომლად ავითარებს მძიმე ინდუსტრიას — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას; მსოფლიო ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაშია, რომ ადამიანთა კეთილდღეობას უკვე ემსახურება ატომგულის აურაცხელი ენერგია; მოკლე ვადაში ზედიზედ იქმნება ჰიდროსადგურები ყველაზე წყალუხვ მდინარეებზე — ვოლგაზე, ობზე, ანგარაზე; მარტო ერთი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში დამუშავებულია ყამირი მიწები 17 მილიონ ჰექტარზე მეტი საერთო ფართობით, რომლებიც დიდი ხანია, ან არასოდეს არ ყოფილა მოხნული. ყოველივე ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ყველა სწავლობს, სადაც უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რიცხვმა ორ მილიონს მიაღწია.

საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებმა თავიანთი მატერიალური და სულიერი ძალების მკვეთრ აყვავებასა და აღმავლობას მიაღწიეს. ჩვენი ყრილობის ტრიბუნა იყო სიტყვის ოსტატთა ძმური თანამშრომლობის ტრიბუნა, სიტყვის ოსტატთა, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ქმნიან, მაგრამ რომლებსაც აერთიანებთ ერთიანი მიზანი — კომუნიზმის აშენებისათვის, ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლა.

ასრულდა ჩვენი გორკის სიტყვები, რომ „საბჭოთა ლიტერატორების მეორე ყრილობას დაამშვენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრი ათეული ლიტერატორი, ლიტერატორები ჩინეთისა, ინდოეთისა...“ მთელი მსოფლიოს პროგრესულმა მწერლებმა, ჩვენმა მეგობრებმა და სტუმრებმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, კაპიტალისტური ქვეყნებიდან, მოგვიტანეს მეგობრობისა და სალამის თავიანთი სიტყვა, ჩვენთან ერთად აღიმაღლეს ხმა სიცოცხლისათვის სიკვდილის წინააღმდეგ, იმ შავბნელი ძალების ხრიკების წინააღმდეგ, რომლებიც მზად არიან ომში ჩააბან ხალხები.

ხრწნადი კაპიტალისტური სამყარო ისწრაფვის ჩაგდოს კაცობრიობა სულიერი სიღატაკის, მორალური დეგრადაციის მდგომარეობაში. იმპერიალიზმის ლიტერატურა ცდილობს დაამციროს ადამიანი, აღუძრას მას ქვენა ინსტინქტები, წაშალოს გორკის შთაგონებული ლოზუნგი: „ადამიანი — რა ამაყად გაისმის ეს სიტყვა!“.

ადამიანისადმი და კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი ურყევი რწმენით გამსჭვალულია ჩვენი ლიტერატურის ნაწარმოებები მისი წარმოშობის პირველ წლებიდანვე. ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებისათვის მახლობელი და ძვირფასი გახდა მის გმირთა — მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლთა სახეები. ჩვენი ლიტერატურის ძალა ის არის, რომ იგი განუყრელად დაკავშირებულია ხალხის მთელ ცხოვრებასთან, მთელ აზრებთან, გრძნობებთან და საგმირო საქმეებთან, კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლასთან.

საბჭოთა ლიტერატურა განუყოფელია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიზნებისაგან. ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურის ისტორიის სოციალისტური წყობილების განვითარების სურათია, იგი ასახავს ხალხის ბრძოლას, რომელიც აღსავსეა დიდი სიძნელეებით, ასახავს დიდ გამარჯვებებს, რომლებიც მიღწეულია სასტიკი ბრძოლით.

თავიანთ რომანებსა და მოთხრობებში, პოემებსა და პიესებში, ლექსებსა და სიმღერებში საბჭოთა მწერლები ისწრაფვიან ასახონ სინამდვილის სიმართლე მის რევოლუციურ განვითარებაში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ახალ წესდებაში, რომელიც მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო, ჩვენ აღვნიშნეთ სოციალიზმის ლიტერატურის მაღალი დანიშნულება:

სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პირობებში განუზომლად იზრდება საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის საზოგადოებრივ-გარდამქმნელი და აღმზრდელობით-აქტიური როლი.

საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია მაღალი მხატვრული ფორმით ასახავდეს კომუნიზმის იდეების სილამაზესა და სიდიადეს, ქმედითად იბრძოდეს კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ადამიანთა შეგნებაში, თავისი გმირებით წარმოსახავდეს მათი შრომითი საქმიანობის, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას, გაბედულად გვიჩვენებდეს ცხოვრების წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს. საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო ასახავს ახალს, არამედ ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს მის გამარჯვებას.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა მოწოდებულია მთელი რევოლუციური მგზნებარებით უნერგავდეს პატრიოტულ გრძნობებს საბჭოთა ადამიანებს, განამტკიცებდეს ხალხთა მეგობრობას, ხელს უწყობდეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომ დარაზმვას, განამტკიცებდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მშრომელთა ძმური სოლიდარობის იდეებს.

ჩვენი ახალი წესდების ეს სიტყვები გამოხატავს არა მარტო ჩვენს მისწრაფებებს, არამედ იმასაც, რასაც უკვე მიაღწია საბჭოთა სოციალისტურმა ლიტერატურამ. ჩვენი ლიტერატურის სწორედ ამ ნიშნებისათვის უყვარს იგი სახალხო მკითხველს — კომუნიზმის მშენებელს. ამ ნიშნების მეოხებით ჩვენი ლიტერატურის ბევრი წიგნი სამუდამოდ — მშვიდობის წლებში და ომის წლებში — ხდება საბჭოთა ადამიანების მეგობარი და თანამგზავრი.

ჩვენ, სსრ კავშირის მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატებმა, კარგად ვიცით, რომ, მიუხედავად ყველა ჩვენი მიღწევისა, ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ახორციელებს თავის მაღალ მოწოდებას. სოციალიზმის ქვეყნის სინამდვილე, რომელიც სწრაფად ვითარდება, მოითხოვს, რომ იგი წარმოისახოს მონუმენტურ ნაწარმოებებში, დიდი მხატვრული ძალის სახეებში. კარგად უნდა ვიცოდეთ და მგზნებარედ უნდა გვიყვარდეს ჩვენი გმირული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის, ჩვენი ახალი საზოგადოების ისტორია. უნდა შეგვეძლოს ღრმად გავაშუქოთ ახლის ბრძოლა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, განვამტკიცოთ კომუნიზმის სილამაზე და სიდიადე, გაბედულად ვუჩვენოთ ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები. მარტო ბეჯით და უანგარო შრომას, როგორიც არის სიტყვის ნამდვილი ოსტატის შრომა, და ამასთან დიდ კულტურასა და დიდ ოსტატობას შეუძლია მიგვაახლოოს იმასთან, რომ განვახორციელოთ ჩვენი სახალხო მკითხველის სულიერი მოთხოვნილებანი და მოთხოვნები.

სოციალისტური რეალიზმი ახალი ნაბიჯია კაცობრიობის მხატვრული განვითარების ისტორიაში. ახლა ეს ესმით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანებს, სადაც კი აღწევს საბჭოთა მწერლის სიტყვა. ჩვენი ლიტერატურის იდეებისა და სახეების გავლენა წლითიწლობით იზრდება მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ ჩაიარა ყველაზე მკაცრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. ის მოწოდება, რომ მაღალი იდეურ-მხატვრული მომთხოვნელობა გამოვიჩინოთ, აერთიანებს სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ეროვნების მწერლებს. მაგრამ ჩვენ ხალხისათვის უფრო ცოტა გავაკეთეთ, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ და უნდა გავაკეთოთ!

ვწეროთ ისე, რომ ახალგაზრდობამ და ბავშვებმა ამხანაგებად გაიხადონ ჩვენი ლიტერატურული გმირები, მაგალითად მიიჩნიონ ისინი! ვწეროთ ისე, რომ მკითხველი — მშრომელი მიჰყვებოდეს ჩვენს გმირს შემოქმედების სამყაროში და გონივრული და მშვენიერი ადამიანური ურთიერთობის დიდებული ახალი წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლის სამყაროში!

ვწეროთ ისე, რომ ყველაზე შორეულ ქვეყნებში ბედკრული ადამიანებისათვის ჩვენი სიტყვა ეღერდეს, როგორც მეგობრისა და ძმისა სიტყვა, რომელიც მათ ამხნევებს ძნელ ბრძოლაში, ეღერდეს, როგორც თავისუფლების ჰიმნი!

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი გულისხმობს მწერლის ინდივიდუალობის, სტილის სიმდიდრეს, სხვადასხვა შემოქმედებითი მიმდინარეობის შეჯიბრებას. საჭიროა ახალ და ახალ მხატვრულ საშუალებათა დაუცხრომელი ძიება ჩვენი იდეების დიადი სიმართლის, ჩვენი ცხოვრების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების საუკეთესოდ გამოხატვისათვის.

საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობამ, გააკრიტიკა რა ჩვენი ლიტერატურის სუსტი მხარეები და ნაკლოვანებანი, საბჭოთა კავშირის ყველა ლიტერატორს მოუწოდა კიდევ უფრო ღრმად განავითარონ რუსული კლასიკური ლიტერატურის, სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურების, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, გაბედულად განამტკიცონ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურის ჩამოყალიბებული ტრადიციები, შემოქმედებითად შეისწავლონ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების მხატვრული ოსტატობის ძვირფასი გამოცდილება.

საბჭოთა მწერლები მოვალენი არიან გადაჭრით გააუმჯობესონ ლიტერატორთა ახალი კადრების დაწინაურებისა და აღზრდის მთელი საქმე, განახორციელონ ამ მნიშვნელოვან მუშაობაში გორკის ანდერძი და ტრადიციები.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ინტელიგენციის დიდი რაზმი—ლიტერატურის მოღვაწენი, რომ-

ლებიც დარაზმული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო, მზად არიან ამრავლონ თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი და შეასრულონ ხალხის მოთხოვნები.

საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტია ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში. მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ძირეულად გაუმჯობესონ მწერალთა კავშირის საქმიანობა, გააძლიერონ თვითკრიტიკა თავიანთ რიგებში, ბოლო მოუღონ თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის ყოველგვარ გამოვლინებას, იბრძოლონ ოსტატობისადმი მაღალი მომთხოვნელობისათვის. მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუწყვეტელი ბრძოლა აწარმოონ სოციალისტური რეალიზმიდან ყოველგვარი გადახვევის, უცხო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და კოსმოპოლიტური იდეოლოგიის გამოვლინების, ბურჟუაზიული ნატურალიზმისა და ფორმალიზმის გავლენის წინააღმდეგ.

მშობლიურ ხალხთან, პარტიასთან ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით ცხოვრობენ და მუშაობენ საბჭოთა მწერლები.

ჩვენ ვიცავთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს და გვსურს ვემსახუროთ მის გამარჯვებას მთელი არსებით. ახლა მსოფლიოს ცაზე კვლავ გამოჩნდა შავი ღრუბლები. მაგრამ თუ მოხდა ბოროტება და ატყდა ახალი მსოფლიო ომი, საბჭოთა მწერლები სოციალისტურ სამშობლოს დასახმარებლად მისცემენ თავიანთ ნიჭს, თავიანთ ხელოვნებას, თავიანთ სიცოცხლეს ისევე უანგაროდ, როგორც ამას აძლევდნენ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ წარსულ ომში, რომელიც ჰიტლერული ტირანიის განადგურებით დამთავრდა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ᲛᲔᲜᲯᲘ-ᲠᲝᲑᲣ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲔᲜᲘᲗ *

✶

„ასეთი დამოკიდებულება მეგობრობის უმაღლეს საფეხურს უნდა წარმოადგენდესო“, — გაიფიქრა ვამეხმა, საბოლოოდ ხელი ერთხელ კიდევ მაგრად ჩამოართვა ბაბოს და იქვე მაგიდასთან მიჯდა.

ბაბო კი, ფეხზემდგომი, მკლავებით დაეყრდნო იმავ მაგიდას და ვამეხს შეფრფინვით შეეკითხა:

— მაშ ახლა გამოკვლევას სწერ... ჰმ, „ქალის კულტი საქართველოში“, არა? დიდად საყურადღებო...

— ეგ დიდიხნის ნაშრომია, ჩემო კარგო! დიდი ხნის ნაფიქრალია და გაზრებული... ჯერ კიდევ კატორღაში ყოფნისას...

— ყოჩაღ, ვამეხ! აი ეგ შენ ეგავს... იმ დიდ სიდუხჭირეშიაც აზროვნება არ მიგიტოვებია, დიდ სამუშაოსათვის ემზადებოდი...

— დიახ, დიახ, აგრე იყო, მაგრამ მაშინ რწმენა კიდევ არ მქონდა დაკარგული... ახლა კი ვისთვის, რისთვის?

— აა, ვამეხ, წუწუნი არ გეკადრება...

— მე კი არა ვწუწუნებ, დიდი გულსტკივილით გეუბნები იმას, რასაც მეტად მწვავედ ვგრძნობ... საქართველოს საქმე არ არის კარგად, ბაბო, გენაცვალე...

— რას ამბობ, ვამეხ?

— მართალს. საქართველოს მომავალი საშინელია... შენ წარმოიდგინე, ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა ნამეტანი მოგვეძალა. სასამართლოში ქართული არ არის, ეკლესიაშიაც სლავიანური შემოგვაპარეს... სოფლებშიაც აქა-იქ ზოგიერთი სემინარიადამთავრებული, პრანჭია მღვდელი ჩვენებურებს სლავურად უწირავს... ჰა, ჰა! ერთხელ ჩვენს სოფელში ჩემი რძლის, ნექტარინას, გულისწყრომაც კი გამოიწვია ასეთმა მღვდელმა... სკოლებში ხომ ქართული ენა მაჩანჩალასავით უკან არის მიგდებული...

— რას ამბობ, ვამეხ? ჩვენი პრესა, ლიტერატურა, თეატრი, წერა-კითხვის საზოგადოება? ყველა ესენი შენი სათაყვანო ილიასა და აკაკის და სხვათა დაარსებული არ არის?

— ჰო, ვსუნთქავთ, მაგრამ ვაი რომ მომავალი არა ჩანს... ჩვენ როდის გადავიგდებთ ცარიზმის უღელს, ან სად შეგვიძლია რითი? ვისით? როგორ?.. დამაცა, შენი ჭირიმე, ბაბო... მე რომ ვუკვირდები, მგონია, რომ ყველა ჩვენზე უფრო მართალი იყო გიორგი—სენატორი, აი გიორგი მუხრანსკი, რომელმაც თავის დროზე, რუსულ ენაზე ბროშურა გამოსცა, რომლითაც ამტკიცებდა, რომ არც ერთ პატარა ერს მომავალი არა აქვს, ის ვერასოდეს ვერ გავა ისტორიის დიდ შარაზე, ამიტომ სჯობს თავისივე ნებაყოფლობით გაი-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, 1954 წ. № 12.

თქვიფოს რომელიმე დიდ ეროვნებაშიო, მაგალითად, საქართველო რუსეთშიო...

— ეგ მეც ვიცი, ვამეხ, მერმე და რა ხეირი დააყარეს... ჩვენმა მწერლობამ აკი სასტიკად შეუტია, თვითონ ილიამაც ხმა ამოიღო...

— დიახ, გაბრიელ ეპისკოპოსიაც კი... მერმე-და რა გამოვიდა, იმ დროს ჩვენი მწერლობა მართალი იყო და მას შემდეგ ორ ათეულ წელიწადს ქართულმა კულტურის დონემ თითქოს უფრო ფეხი მოიდგა, განვითარდა ლიტერატურაც, თეატრიც, ჩვენებმა დიდი საქმე გააკეთეს, ამას ვინ უარყოფს, მაგრამ ბოლო? ერის ცხოვრება ათეული წლებით ხომ არ განისაზღვრება, ბაბო! პერსპექტივა კი არ მოჩანს, მომავალში თავისუფლების ნიშანს ვერ ვხედავ...

ბაბო წელში გაიმართა, თითქოს რაღაც მოაგონდაო.

— არა, ვამეხ, ცარიზმისაგან ამ ომის წაგებას უთუოდ მოჰყვება რუსეთის რევოლუცია...

— ეეჰ, შენს პირს შაქარი, მაგრამ შენ გგონია რუსეთი დაინგრევა? რუსეთი დიდია. ახალგაზრდა ქვეყანაა, დაუღლელი, ის ასე იოლად არ გავა ცხოვრების ასპარეზიდან... შეიძლება მართლაც მოახდინონ რევოლუცია... მერმე ჩვენ რა? დარწმუნებული ვარ, თუ ხელმწიფე გადააგდეს, ისეთი ხალხი ჩაუდგება ქვეყანას სათავეში, პომეშჩიკები და ახლად წამოზრდილი ბურჟუები, რომ ჩვენ, განაპირა კუთხის ხალხს, „ტუზემცებს“ ხეირს არ დაგვაყრიან... კი არა, შეიძლება პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც მუხრუჭი კიდევ უფრო მოგვიჭირონ...

ბაბოს ნატიფ შუბლს ორი ნაოჭი ჩაულრმავდა, ის თითქოს ფიქრობდა, თუ რა საბუთით გაექარწყლებინა ვამეხის პესიმიზმი.

ვამეხი განაგრძობდა თავის მოზღვავებულ ფიქრთა გადმოშლას:

— ავიღოთ ამ საკითხის, თუ გნებავთ, მეორე მხარე. ვთქვათ, მოხდა რევოლუცია და გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიამ. ხომ იცით, მაგათ რა უწერიათ თავიანთ დროშაზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მაგათ მხედველობაში ჰყავთ მუშები და ისიც ბოგანო, არავითარი საკუთრება რომ არ გააჩნიათ, ისეთი მუშები. მემამულეები და კაპიტალისტები ხომ, რასაკვირველია, მათ მხედველობაშიაც არ ეყოლებათ, როგორადაც ექსპლოატატორთა კლასი, მაგრამ გლეხობა? გლეხობას რად არ იხსენიებენ სათვალავში?.. ამბობენ, მთელი ამ სოციალური მოძღვრების ფუძემდებელს, თვითონ მარქსსაც გაუჭირდაო გლეხების საკითხის გადაწყვეტა და ვითომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოაგვარებს ამ საქმეს? ძალზე მეეჭვება. მით უფრო ჩვენთვის, საქართველოსთვის. მაგათ სამშობლოც არა სწამთ და ეგენი საქართველოსთვის იზრუნებენ? ისინი ზრუნავენ კაცობრიობისათვის, ანუ, უკეთ, კაცობრიობის ერთი ნაწილისათვის — პროლეტარებისათვის. პროლეტარს კი სამშობლო არა აქვს, არ სჭირდება, მაშასადაშე, ქართველი ხალხიც უნდა გაითქვიფოს კაცობრიობის ამ ნაწილში და დაკარგოს თავისი ეროვნული სახე, ეროვნული თვისებები, ის, რაც საუკუნეობით გამოუმუშავებია ქართველობას ისტორიის მანძილზე. გაითქვიფოს ისე, რომ ველარავინ ვერ გამოიცნოს ჰოლანდიელია თუ ქართველი, ჩუვაში თუ ივერიელი... ეს არის კარგი? არა, ბაბო, არა! საქართველოს ბედი დახშულია. ახლა შეიძლება ვერა, მაგრამ მეოცე საუკუნე ჩაკეტავს მის კარებს... ჰმ! ილია როგორ შეეხაროდა: „შრომის სუფევა მოვა მაშინა!“

— აი, აი ვამეხ, — შეეჭრა ბაბო, — ილიას სიტყვები წინასწარმეტყველურია, შრომის სუფევის დროს „შენც განკაცდებიო“, ხომ ამბობს ამას? შენი

სამშობლოც „განკაცდება“, შენი გლეხობა, ვამეხ, შენი ხალხი...

— ჰმ... — მაინც უნდობლად გაიღიმა ვამეხი, შემდეგ თითქოს გულდათუთქულმა წარმოთქვა:

— შენს პირს შაქარი, ბაბო! — წამოდგა, გაიარ-გამოიარა.

ბაბომ სიცილით მიაყოლა:

— ამას გარდა, ვამეხ, თქვენმა მამია გურიელმა ხომ თქვა: „არ არს-რა უსაშველო!“

— ოჰ, ეგ, შე ქალო, გულის მოსაფხანი ფრაზაა და სხვა არაფერი! — უეცრად მიბრუნდა და მაგიდასთან აშოლტილ ბაბოს მიუახლოვდა.

— ეჰ, ბაბო! ჩვენ ვინ გვეკითხება საქართველოს ბედ-იღბალზე ზრუნვას! იმის ბედს ვეშაპები წყვეტენ, ჩვენ არც გვეკითხებიან, ისე. მარჯვნივ რუსეთის ცარიზმი, მარცხნივ ყველაზე უფრო ძლიერი და პოპულარული სოციალ-დემოკრატია. ჰო, დღეს გავიგე, რომ პარიზში დაარსებულა ქართველების პატრიოტული პარტია. თავიანთი გაზეთიც კი აქვთ თურმე...

— არ იცოდი? ამაზე გიამბობ. ილიასთან მივიდნენ თურმე ამ პარტიის თანამგრძნობელნი და აცნობეს ასეთი პარტიის დაარსების ამბავი. უთუოდ მისგან გამოელოდნენ დახმარებას თუ არა, რჩევა-დარიგებას, ლოცვა-კურთხევას მაინც. მან იკითხა თურმე: „ჯარი გყავთ, ხალხი თქვენსკენ არის?“ შემდეგ ისიც იკითხა, ვინ ხელმძღვანელობს ამ პარტიასო. მოიხსენეს, რომ არჩილ ჯორჯაძეო. ამაზე არაფერი არა თქვა თურმე. გამოთხოვებისას კი მაინც თითქოს დალოცა: „ღმერთმა ხელი მოგიმართოთო“. ეს იყო და ეს. შემდეგ აღარავის აღარ შეუწუხებია.

— დიახ... — თითქოს რაღაც მოსაზრება თავისთავს დაუდასტურა ვამეხმა.

— შენ გგონია, ვამეხ, ილიაც პესიმისტურად არის განწყობილი?

არ ვიცი, აბა, რა უნდა გითხრა, მხოლოდ... — გაიღიმა. — მე და შენ კი ობლები ვართ, ბაბო... საქართველოს ობლები! გვებრალებოდეს ჩვენი ქვეყანა, გვებრალებოდეს ჩვენი თავი...

— კარგია, გეყოფა. ახლა წავიდეთ გიორგისთან! — მხნედ შესძახა ბაბომ.

— ვინ გიორგია?

— გიორგი ამილახვარი. აკი იმასთან უნდა წავსულიყავით. შენთან საუბარს შევრჩი.

— შენ მიბრძანდი, მიგაცილებ. მე კი რა მინდა იმ რეაქციონერთან?

— რეაქციონერთან? ვინ როგორ განსჯის. მისი ფიქრით კი, ის დიდი პატრიოტია და თავისებურად ისიც შენატრის საქართველოს თავისუფლებას. მე მისი პირდაპირობა მომწონს. ის არ არის ლაქუცა, პირფერი. ის ამბობს, რომ მე „წყალობითა ღვთისათა“ თავადი ვარ და ჩემი ინტერესები უნდა დავიცვა. ვიცავ კიდეც. ამ მოძრაობის კი მტერი ვარ, რადგან ისინი მე მემტერებიან, უნდათ ჩემი სარჩო-საბადებელი ჩამომართვან. სანამ სული პირში მიდგა, მანამ არავითარ დათმობაზე არ წავალ. თუ არა და, რა უნდათ, რომ მე მეჯაჯგურებიან, თუ კაი ვაჟკაცები არიან. აი იქ, ტახტზე რომ წამოსკუპულა პირველი აზნაური რუსეთისა, ის დაამხონ, იმას ჩამოართვან ყველაფერი და მე გეფიცებით, მაშინვე მთელს ჩემს ქონებაზე ხელს ავიღებ. მე მჯერა, ვამეხ, რომ ის ამას ჩაიდენს, რუსები რომ იტყვიან, ის უშუალო ბუნების კაცია...

— ოჰ, მაგას ხომ ჩემი ძმა ბარამიც ლაპარაკობს, იმ პირველ აზნაურს წაართვით, მაშინ მეც დაგითმობთო.

— ჰო, შეიძლება ეს ჩვენი თავადების ერთგვარად მოსაგერიებელი ფრაზაც იყოს, მაგრამ წამოდი, ვამეხ, გიორგისთან, საინტერესო კაცია.

ვამეხი აღარ გაჯიუტებულა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მათ გიორგი ამილახვარის ბინასაკენ მიაქანებდა ბედაურ ცხენებშებმული იმ დროის ქუთათური ეტლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიცადენი

XIX

ციბედულ!

ნუ გაგიკვირდება, თუ ცოტა რამ იმ-დროინდელ ქუთათურ ეტლებზე, ან, როგორც ეძახდნენ, „ფაეტონებზედაც“ მინდა რაიმე ვთქვა.

აქ დაგვჭირდება რომაელი პოეტის ოვიდიუსის გახსენება.

როგორც მოგეხსენება, მან თავის „მეტამორფოზაში“ პოეტურად აღწერა მითოლოგიური ფაეტონი.

ფაეტონი კი ბერძნულად ნიშნავს თურმე ცეცხლმოდებულს, აგიზგიზებულს.

არსებობს გადმოცემა, რომ მითოლოგიურ ჰელიოსის, ზღაპრული მზის ღმერთის, ვაჟმა, ფაეტონმა, გამოთხოვა თურმე მამამისს ნებართვა, რომ ერთი დღის განმავლობაში მზიურ ეტლში ჩამჯდარიყო და ეტარებინა, მაგრამ ამისთვის ღონე არ ეყო, ცეცხლოვან რაშებს თავი ვერ დაუჭირა. ისინი მას თავწართმევით დააქროლებდნენ ზევით და ქვევით, ამის გამო კი ცეცხლი წაეკიდა ცას და დედამიწას. ამაზე ყველაზე უფროსი ღმერთი — ძეესი განრისხდა და იძულებული იყო ელვით დაეშუბა ფაეტონი და ქვეყანა დაღუპვისაგან ეხსნა. ფაეტონის დები კი, ჰელიადები, რომლებიც თავიანთ ძმას დასტიროდნენ, გადაქცეულ იქნენ ალვის ხეებად და მათი ცრემლები ქარვად იქცა.

უცნაური ზღაპრის შეთხზვა იცოდნენ ძველმა ბერძნებმა ხომ, ციბედულ?

მაგრამ დავუბრუნდეთ ქუთათურ ეტლებს, რომლებსაც „ფაეტონს“ არა, მაგრამ „ფაეტონს“ კი ეძახდნენ.

მართალია, ისინი არ იყვნენ ზღაპრული მზიური ეტლები, მაგრამ იმ მეეტლეებს, ხალხის სატარებლად მოხერხებული ეტლები ჰქონდათ.

არც ცეცხლოვანი რაშები ჰყავდათ ეტლებში შებმული, მაგრამ მეტწილად შესანიშნავი, კარგა მოვლილი, მსუქანი და დასუფთავებული, ზოგჯერ პირდაპირ ბედაურები იყვნენ შებმული ქუთაისის ეტლებში.

ჩასაჯდომი ადგილები კი შვინდისფერი ხავერდით, ან ძიხაკისფერი თუ ყავისფერი ბოჭკოიანი ქსოვილით იყო ჩაფენილი და ჩაგვირისტებული. ეტლში ოთხი კაცი ეტეოდა, მაგრამ უკანა მხარის ჩასაჯდომი იყო ვოლტერის სავარძლისებურად რბილი; უკახისკენ მოხერხებულ მისაყრდნობად ზურგგადაწეული, სადაც ორი ადამიანი თავისუფლად, ერთიმეორის შეუწუხებლად, თავსდებოდა. ამ ორის გარდა თუ კიდევ ვინმე ორი მოინდომებდა ჩაჯდომას, ან თუნდა ერთიც, იმისათვის მეეტლე წინისკენ ჩადგამდა პატარა მოგრძო სკამს, რომელიც თვითონ ჰქონდა კოფოზე, თავის ფეხებქვეშ მარაგად წამოღებული.

საერთოდ კი თავმომწონე მუშტრები ეტლებისა უფრო ხშირად ორ-ორნი სხდებოდნენ, და ეს მიაჩნდათ სეირნობის ლაზათად. არცთუ თვითონ მეეტლეებს უყვარდათ ოთხ-ოთხის ტარება, რადგან ასე ჩახუნძლული მათი ეტლი ემსგავსებოდა წყალტუბოში მიმავალ დედაბუდიანად აყრილს მეწვრილმანე ქუთათური ებრაელების ოჯახს. მათი წარმოდგენით, ასეთი დატვირთვა თითქოს ღირსებას უკარგავდა ეტლს. ამ დატვირთვას მხოლოდ მაშინ ურიგდებოდნენ, როდესაც მოქეიფე ახალგაზრდობა გააქანებდა მათ სადმე, ქალაქგარეთ მდებარე დუქნებში, რადგან მათ ამისათვის კარგი გასამრჯელო მოელოდათ.

ქუთათური ეტლები თავისი სახურავებით და ბორბლებით მუდამ გავასვასებული იყო. ბრწყინავდა ცხენების ყვითელბალთებიანი ღვედის მოსართავები, რომლებსაც გაყრილი ჰქონდათ გრძელი მეშის, თუ სხვადასხვაგვარი აბრეშუმის ვიწრო ქსოვილების სადავე-

ები. ამ სადავეებს კიდევ შიგადაშიგ ჭრელა-ჭრელა ყვავილისებური ბურთულები ჰქონდათ დაყოლილი. საერთოდ ასეთ სადავეებს თუ აღვირის ტარებს ეძახდნენ რუსულ სახელს — „ვოჟებს“ და ამით მართავდნენ კიდეც ცხენების მსვლელობას. თვითონ მეეტლეებს კი ეცვათ დიდი, გრძელი, კოჭებამდე რომ წვდებოდა ისეთი, ბამბიანი ხალათი, რუსული „პოდდიოვკა“, რომელიც ზურგში წელქვევით სქლად იყო დანაოჭებული, რაც მეეტლის გარეგნობას ერთგვარ სიდინჯის ელფერს აძლევდა; მკერდი მოღიავებული ჰქონდათ და იქიდან მოჩანდა სხვადასხვა ფერის, ვის როგორი სურდა, ყელთან განზე შესაბნევი პერანგი. წელზე კიდევ წითელ-ყვითელი ფართო ნაქსოვი ჯეჯიმი, ზოგჯერ აბრეშუმისაც, სარტყლად ჰქონდათ შემორტყმული. თავზე ეხურათ მაგარი, გალაქული პაწია ცილინდრები, უფრო ხშირად კი ჩვენებური დაბალი, იმერული ბოხოხი, ვისაც როგორი ფერის უნდოდა, ისეთი.

დაახლოებით ასე გამოიყურებოდა წინანდელი დროის ქუთათური ეტლი და მეეტლე, და ქუთათურებს ცოტათი კი არ მოსწონდათ თავი მათი ქალაქის ეტლების „ბირჟით“. სადაც ეტლები იდგა, იმ ადგილებს ქუთათურები რატომღაც „ბირჟას“ ეძახდნენ. იკვეხნიდნენ: არცერთ ქალაქს არა აქვს და არა ჰყავს ასეთი ეტლები და ასეთი მეეტლეებიო; მხოლოდ ბაქოს მეეტლეები თუ შეედრებიან, ან მოსკოვის „ლიხაჩებიო“; ქუთათური ფაეტონი ლანდოსა ჰგავს, შინაურ ეკიპაჟსო და მეეტლეები ზომ?..

ვინ არ იცნობდა შესანიშნავ მელიას, ერთ დროს რუსეთის იმპერატრიცაც რომ წაიყვანა გელათს თავისი ეტლით, როდესაც ეს ქალი აბასთუმანს იყო ჩასული ავადმყოფი შვილის სანახავად. ან ვის არ ჰქონდა გაგონილი პოეტ მამია გურიელის მუნასიბი, მისდამი თქმული, როდესაც მამია სასტუმროდან გამოვიდა და მელიამ ეკიპაჟი მიართვა: „შენ რომ გინდა, მელია, იგი შემომელიაო!“

მელიას შემდეგ კი ბოლოხანებში დიდად პოპულარული იყვნენ — მიხაკო, იაგორა, ნესტორა და სხვები.

და ვინ არ მჯდარა მათ საამურ ეტლში. დიდი აკაკი უთუოდ ხშირად, როდესაც კი ის ქუთაისში იყო, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძეც, ბევრი სხვა ქუთათური ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე, გარდა კირილე ლორთქიფანიძისა, რომელიც მუდამ ქვეითად რჩებოდა სიარულს.

ამ ეტლში მსხდარან იმ დროის ადგილობრივ არისტოკრატთაგან — პრინცი ოლდენბურგელი, გენერალი გრიგოლ დადიანი, გიორგი შარვაშიძე, ეს უკანასკნელი ორი, ქართულ მწერლობაშიაც კარგად ცნობილი პიროვნებანი. სამივეს კი შეეძლო ჰყოლოდათ საკუთარი ეკიპაჟი, მაგრამ, ქუთათურ მეეტლეთა სასიხარულოდ, არცერთ მათგანს არასოდეს არ გაუჩენია, — არ იყო მათთვის საჭირო; მათთვის ქუთათური მეეტლეები შინაურები იყვნენ, როცა უნდოდათ, მაშინ დაუძახებდნენ მათ. ის კი არა, ქუთაისის ბულვარის მუდმივი წევრების — ჩოხოსანი თავად-აზნაურებისთვისაც გაშინაურებულები იყვნენ ქუთათური მეეტლეები.

ზოგჯერ ბულვართან ბირჟაზე იდგა, მაგალითად, იაგორა ან ნესტორა. თავისუფალი იყო. ამ დროს რომელიმე ერთი ჩათუქესანი მეეტლეს გააფრთხილებდა — ჩემი დაკავებული ხარო, და ეტლში კი არ ჩაჯდებოდა, არამედ ჩამოჯდებოდა ეტლის საფეხურზე და გაუბამდა ირგვლივ შემოხვეულ ახალგაზრდებს სახუმარო მუსაიფს. ან, სადილობის დრო თუ იყო მოწევნილი, მოჰყვებოდა ნადიმების ამბავს, ჩამოთვლიდა ნაირნაირ გემრიელ საჭმელებს, მადას აღუძრავდა გარშემო მყოფთ და ბოლოს დააპირებდა ეტლში ჩაჯდომას. მაშინ კი იქ დამსწრენი

მიაყვირებდნენ: ეს რა გვიყავი, დაგვპატიჟებდი გვეგონაო, — ისიც შორიდან უჩვენებდა ჩოხის უბიდან ამოღებულ სქლად გატენილ საფულეს და გასწევდა. ამას მოჰყვებოდა ზოგის უდარდელი, ზოგისაც დარდიანი სიცილ-ხარხარი, და იყო ერთი ჟრიამული...

მაგრამ ეტლების დიდი მუშტრები იყვნენ უფრო ქალები. ხან კავალრებით, ხან უკავალროდ, განსაკუთრებით საღამო ჟამს მისეირნობდნენ, ანუ, როგორც თვითონ ამბობდნენ, „კატაობდნენ“ ქუთაისის გარეუბნებში და უფრო ხშირად კი იმ დროს, როდესაც ქუთაისის დიდი ნაწილი „ბულვარში“ იყო გამოფენილი, ეტლებით გარშემო უვლიდნენ ამ ბაღს. ეს იყო ერთგვარი „შიკი“, შნო და ლაზათი ქუთათური ქალებისა.

ეს ქალები ეკუთვნოდნენ უფრო თავად-აზნაურთა წრეს, ვაჭრების ცოლებს, პროვინციიდან ქუთაისს ჩამოსულ ქალბატონებს და მათ ქალიშვილებს.

ეს ხომ უფრო საღამოთი! მაგრამ დღისითაც, თორმეტი საათის შემდეგ, სადარბაზოდ დასრიალებდნენ ოჯახის ქალები. ან დღესასწაული იყო, ან ვისიმე დღეობა, ან ქორწილი, ან სხვა რამ ასეთი მნიშვნელოვანი, და ეტლები ხომ მისთვის იყო გაჩენილი, რომ აქ მიელოცათ, იქ პატივისცემა განეცხადებინათ, ზოგან კიდევ ზრდილობისათვის სადარბაზო ბარათი შეეგზავნათ, და სხვ.

და ვინ იცის, ქუთაისის ეტლებს რამდენი ღირსეული და უღირსი ზურგი მიუყრდნიათ თავიანთ ხავერდოვან ზურგზე, — ვინ იცის, რამდენი საიდუმლო, საზოგადოებრივი თუ ოჯახური ხასიათის რამ სმენიათ ქუთათურ მეეტლეებს. აგრეთვე ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდული გულ-მკერდი უმანკოდ აძგერებულა ამ ეტლთა წიაღში. საღორიას ტყე, ჭომის მხარე და ოღასკურა მთვარიან ღამესთან და მეეტლეებთან ერთად ვინ იცის, რა ცოცხალი მოწმეებიც არიან ორთავ სქესის სანეტარო დასაწყისისა და უკუღმართის დასასრულისა.

ქუთათურ ეტლში მსხდომნიც ზოგჯერ იყვნენ მითოლოგიური ფაეტონივით ცეცხლმოდებულები და აგიზგიზებულები ვნებათა ღელვით.

და მეც... თვითონ ამ სტრიქონების დამწერსაც, ქუთაისში ყოფნის დროს, როდესაც სევდა რამ გულს შემომაწვებოდა, მიმიმართავს რომელიმე ქუთათური „ავტომედონისათვის“, როგორც ამ საპატიო ხალხს ცნობილი ლიტერატორი იონა მეუნარგია ეძახის, მიმიმართავს და მათაც გაუქანებივარ ან ჯიმასტაროსკენ, ან მოწამეთისაკენ, ან გეგუთისაკენ, რომ მივცემოდი ჩვეულებისამებრ ჩემს განმარტოებულ ფიქრთა გვრიობას.

9

ეტლით მიმავალ ბაბო და ვამეხს უეცრად ელვის სისწრაფით ჩამოუქროლა ქუთაისის მაშინდელი ვიწრო ქუჩების რომელიღაც შესახვევთან წინშემოყრილმა მეტად მწყაზარმა ეტლმა. კინაღამ დაეტაკა, მაგრამ გამოცდილმა მეეტლეებმა მაინც შესძლეს თავის არიდება ერთიმეორისაგან და მშვიდობით გადარჩნენ.

ბაბო და ვამეხის მეეტლე კი ბუზღუნებდა:

— როგორ დაოთხილი მიჰყავდა ცხენები იმ შტერს...

— მერე-და, განა ქალაქის ქუჩებში ასეთი ჭენებით ტარება ფაეტონისა, აკრძალული არა გაქვთ? — შეეკითხა ვამეხი მეეტლეს.

— როგორ არა, ბატონო... პოლიცია სასტიკად გვიკრძალავს, მაგრამ კარაბახი მაგას არ დაგიდევთ...

— კარაბახი ვინ არის?

— ეგ მეეტლე გახლავთ... ახლა მგზავრიც იმისთანა ჰყავს, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ მგზავრი იყო?.. მე თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი.

— როგორ არა... კნიაზ მიტო იყო...

— მიტო? —შეიკვირვა ბაბომ.—მიტო გავლენიშვილი?

— დიახ, ქალბატონო... ორი დღეა, რაც ჩამობრძანდა თბილისიდან და ჯერ ფაიტონიდან თითქმის ფეხი არ გადმოუდგამს... კარაბახი ჰყავს ამოჩემებული... სხვებს მაინცდამაინც არ გვწყალობს... კარაბახი გიჟია... აი ახლაც ხომ ხედავდით, კინალამ დაგვამარცხა.... ხაბარდაც კი არ დაუძახებია იმ შეჩვენებულს...

— არა, შენ ძალიან მარჯვედ იყავი, ძმობილო... საჩუქრის ღირსი ხარ... ძალიან გადაგვარჩინე...

— რატომ იკადრებთ, ბატონო... ჩემი მოვალეობა იყო... და მეეტლემ ვამეხისკენ გახარებული სახე მიიბრუნა და მადლობის ნიშნად თავი დახარა...

— მიტო ხომ იცი, ვინც არის, ვამეხ? — შეეკითხა ბაბო.

— გავლენიშვილი ყოფილა, შენი მოგვარე იქნება...

— მოგვარე კი არა, ძმისწულია... ერთი გიჟი, დამთხვეული ვინმე... შესახედავად, იცოცხლე, ის იყოს: წარმოსადეგი, ლამაზი, მოხდენილი... ნიჭიერიც კია ის საძაგელი, მაგრამ არ ისწავლა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მეოთხე კლასიდან გამოვარდა, ჩაიცვა ჩოხა-ახალუხი და ქეიფისა და ქალების აშიყობის მეტს არაფერს აკეთებს... სულ კი დედამისის ბრალია. ცუდად აღზარდა. ერთადერთი შვილი იყო და მეტისმეტად ანებივრებდა. თან საუბედუროდ, კარგი მამულის პატრონია, შეძლების მქონე და ამან დაღუპა... ბევრჯერ შევუჩნდით დედამისს, მაგრამ, ჩვენი დაჯერების ნაცვლად, თვითონ შეუწყო ხელი, რომ შვილს სწავლა არ გაეგრძელებინა: — ეენაცვალე მე იმასო, ხშირად იმეორებდა, — რათ უნდა უმაღლესი სწავლა, ლამაზია, ნიჭიერია, შეძლება აქვს, იცხოვროს და იმხიარულოს. — თან იმას დასძენდა: — მე ჩემი შვილი ჩინოვნიკად კი არ მინდა, ან პროფესორად, არაფერი საჭირო არ არის. ეგ ნამდვილი თავადიშვილი უნდა იყოს, ვენაცვალე მე იმას, მტრებს თვალები უნდა დაუყენოსო...

— მერმე? მიტოც გაჰყვა დედის „პროგრამას“?

— აბა რას იზამდა... სულ თბილისის რესტორანებში გამუდმებით დაჰყავს თავისი ამქრები, შემდეგ ბათუმს მიაშურებს, ან აქ ქუთაისს და... არ შეიძლება, რომ რაიმე სკანდალში არ გაეხვიოს.

— ყოყლოჩინაა უთუოდ, ბუზს არ იკარებს, ხომ?

— ჰო. „მე კნიაზ გავლენიშვილი ვარო“, ხშირად ტრაბახობს და ზოგჯერ თავისი წრის ხალხსაც არ კადრულობს... მაგრამ ეგ კიდევ რაა! ისეთ რასმე ჩაიდენს ხანდახან, რომ მერმე სისხლის სამართალში აძლევენ ხოლმე და... დედამისი ძლივძლივობით, ნაცნობ-ნათესავების შემწეობით სასჯელს გადაარჩენს. ერთხელ გორში ერთ სომეხ სოვდაგარს ქალიშვილი მოსტაცა. ქალი დედისერთა იყო და კარგად შეძლებული. ქალს არ უნდოდა მიტოს წაჰყოლოდა. როგორც იყო, პოლიციამ გამოჰგლიჯა ხელიდან, მაგრამ შემდეგ სამართალში მისცეს და... ძლივს დაიხსნა თავი. დედამისს დიდძალი ფული დაუჯდა ეს საქმე...

— მმ... და! — ნაღვლიანად წარმოთქვა ვამეხმა. — ეგ შენი ძმისწულიც იმის განსახიერება ყოფილა, რომ ჩვენი თავადაზნაურობა ნამდვილად გადაგვარების, ანუ უკეთ გადაშენების გზაზე დგას...

— ჰო, ჩვენი ცხოვრების ყვავილია.

— ჰმ... — მწარედ ჩაიცინა ვამეხმა.— ყვავილი კი არა, ეკალნარია... შენ ნუ გეწყინება და, ცხოვრება მაგას და მაგისთანებს ძირფესვიანად ამოთხრის.

— განა არ ვიცი, ვამეხ. მე განგებ გითხარი, მხოლოდ, გამოგიტყდები, მენანება, კარგი შექმნილია ის საძაგელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე მრუდე გზას კი ადგას. მე მეშინია, რომ აქაც, ახლა ქუთაისში რომ ჩამოსულა, რაიმე უხიაგი არ ჩაიდინოს, მაგრამ დაიცა, დაიცა მეეტლევ, უკვე მოვედით, ვამეხ. აქ დგას გიორგი.

ორთავენი ჩამოხტნენ, ვამეხმა მეეტლეს ხუთმანეთიანი მიაწოდა. მეეტლე შეყოყმანდა:

— ვაიმე, ამის ხურდა რომ არ მექნება, ბატონო!

— არა, ეგ შენი საჩუქარია. აკი დაგპირდი. გადარჩენისათვის.

მეეტლე ამას არ მოელოდა, რადგან ერთ წასვლაზე ქუთათური მეეტლეები ექვსი შაურის მეტს არ ღებულობდნენ. ეს კი დიდი საჩუქარი იყო, და მეეტლე დიდი პატივისცემით გაიმსჭვალა ვამეხისადმი. ვიღაცა დიდი და შეძლებული კაცი უნდა იყოსო, ფიქრობდა.

იმავე დროს, მიტო გავლენიშვილმა ახლა ბულვარს ჩაუარა თავისი კარაბახით. ბულვარის გარეთ, ქვაფენილზე, ჩვეულებისამებრ, ქუთათურ ჩოხოსნების ჯგუფი იდგა და ლაზღანდარობდა.

უკვე მესამე საათი იყო მოღწეული, სადილობის დრო და თუმც ხუმრობაში ატარებდნენ დროს, მაგრამ ყველა „ერთ საფიქრალსა ფიქრობდა“: სად ვისადილებ დღეს, ვინ დამპატიჟებს?“ მხოლოდ ასე ფიქრობდა ერთი ნაწილი, ვისაც ჯიბეში არაფერი უჭყაოდა და სხვებისგან მოელოდა „დიდსა და მდიდარსა წყალობასა“. მეორე ნაწილი კი იმის ანგარიშში იყო: „შევძლებ თუ არა ამდენი ხალხის გამასპინძლებას? არც ერთს არ მინდა გული დავწყვიტო, მაგრამ ერთობ ბევრნი არიან და გამიძნელდება მათი პატივისცემაო“. მესამე ნაწილი კიდევ ასე აზროვნებდა: „რამდენიმე კაცი შევიკრიბებით ბოლოსდაბოლოს, ერთიმეორეში შემოვკრებთ რამდენიმე მანეთს, ცალ-ცალკე, გავიხმობთ ერთმანეთს, გავეპარებით ამ ჯგრო და ჯარს და ცალკე, ჩვენთვის ვისადილებთო“.

ასე შეკრებილი თანხით სადილობას „მანეთიზაციას“ ეძახოდნენ.

ასე რომ, ყველა მაიხცდამაინც „ერთ საფიქრელსა ფიქრობდა“ — სადილზე. სად ვისადილოთ და როგორ?

ამ ჯგუფში ერია ჩვენი ნაცნობი ეკოციმილიც. მკითხველმა მგონი იცის, რომ გვირგვილიანებს ისიც ჩამოჰყვა. ქუთაისი, ბაისი, კენჭის ყრა. განა ეს დაეთმობოდა ეკოციმილს? ამას ეარდა, ბარამი დაჰპირდა — ოღონდ ქუთაისს წამოგვყევი და ახალ ჩოხა-ახალუხს შეგიკერავო.

ეკოციმილი აღდგომაზეც და ბანძის დღესასწაულებზეც კარგი გამოწყობილი იყო, მაგრამ ახლა ქუთაისში ბარამს უკვე შეესრულებინა მისი სიტყვა და „ავთვალს არ დაენახვებოდა“, ისე იყო ჩაცმულ-დახურული. ახლა ისიც ახარებდა, რომ ცოტაოდენი საქეიფო ფულიც ჰქონდა ჯიბეზე და, თუ ძეძოაკლდებოდა, ბარამის იმედი ჰქონდა. ასე რომ, ქუთათურ ახალგაზრდებს, „სადილზე მოფიქრალთ“, თითქმის უმეტესობას, ყოველდღე უმასპინძლდებოდა. ამიტომაც ბევრი „მეგობრები“ გაუჩნდა, სულ თავზე დასტრიალებდნენ, როგორც იტყვიან, „ცივ ნიავს“ არ აკარებდნენ. ეკოციმილმაც შეიფერა ასეთი მოპყრობა და ისე იყო მოქეიფეებში, როგორც რომელიმე პატრიარქი. ჩამოსულ მეკენჭეებშიც სახელი გაუვარდა მისი მახვილსიტყვაობის გამო, ასე რომ, ხელიდან ხელში გადაჰყავდათ. მარშლობის კანდიდატების ოჯახებშიც მოხვდა ერთი ორჯერ და ყველას გული მოინადირა, მხოლოდ ერთხელ კი კინაღამ სცემეს მეკენჭეებმა და შემდეგ არც თუ ისე იკარებდნენ.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ერთხელ კარგა შექეიფიანებულ მეკენჭეებში რომელიღაც სადღეგრძელოს შემდეგ ასეთი ლექსიც დააყოლა:

ახლა უკვე სხვა დრო დადგა, —
აბობოქრდა მუშა, გლეხი;
აპირებენ ,ზნაურებს
დაგვატეხონ თავზე მეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად დგება მთელი რაზმი
მშრომელების და ტყის ძმების,
ქალაქადაც იმართება,
ხედავთ, რიგი გაფიცვების?..
თავის საქმეს თვით უდგება
სათავეში ყველგან ხალხი,
უკულძართად ტრიალდება
მტარვალების ძავნე ჩალხი? *

ამან კი გამოიწვია აურზაური. მართალია, მისმა თაყვანისცემლებმა ტაშიც დაუკრეს და გაიცინეს კიდეც, მაგრამ ამაზე ხმა აიმაღლაურა ერთმა შორაპნელმა, ხანში შესულმა და კარგა ზორბად მოყვანილმა აზნაურმა:

— აბა რას ბრძანებ, ჩემო ბატონო! ვის შეუძლია, რომ ჩვენ თავზე მეხი დაგვატეხოს? შეიძლება კი უნდათ ზოგიერთებს და ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ამ ზოგიერთებში ჩვენი წოდების ხალხიც ურევია, განსაკუთრებით სერთუკოსნებში, მაგრამ თქვენ რაღა ღმერთი გაგიწყრათ, რომ იმათ აჰყოლიხართ?!

ამ „ღმერთი გაგიწყრაზე“ ეკოციმილის მოყვარულები წამოიყელთნენ:

— აა, ეგენი არ იყოსო, — შესძახეს აქედან, იქიდან.

თვითონ ეკოციმილს მხოლოდ თვალები უციმციმებდა მზაკვრულად, მაგრამ აღშფოთება სრულებით არ ეტყობოდა.

შორაპნელი კი განაგრძობდა:

— აბა, როგორია! ეგ ხომ გვირგვილიანია... სამეგრელოში მგონია თავადადაც ითვლება... მაგრამ რა მოეთხოვება მაგისთანა თავადს, ან საერთოდ სამეგრელოს თავად-აზნაურებს?! ჯერ ღამტკიცებულებიც კი არ არიან თავიანთ წოდებაში...

ამ უკანასკნელმა განცხადებამ კი დიდი შეშფოთება გამოიწვია განსაკუთრებით იქ დამსწრე მეგრელებში, ზოგი ფეხზედაც კი წამოდგა, თითქოს საჩხუბრად ემზადებაო, ზოგმა ბოთლსაც წაავლო ხელი და ატყდა ერთი ყვირილი: „სამეგრელოს შეურაცხყოფას აყენებენო“, გაიძახოდნენ ერთნი. მეორენი კი ეკოციმილზე უთითებდნენ: „ვინ არის, ცოციალისტია, ვიღაცაა, ჩვენს რიგებში რა უნდაო“ და სხვა.

შორაპნელი ადგილიდან არ დაძრულა, მაგრამ ისე ხმამაღლა გაჰყვიროდა, რომ თითქმის სხვა ხმები დაჰფარა:

— ვაი მაგ უბედურს, ისიც არ ესმის, რომ თვითონა სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის...

და ამას ყვირილითვე უდასტურებდნენ მისი მომხრეები. ასე რომ, შეიძლებოდა ეს „წამოქოჩრვა“ ხელჩართულ ცემა-ტყეპად გადაქცეულიყო და ხანჯლებიც კი დატრიალებულიყო ამდენ ჩოხოსანში, მაგრამ სწორედ დროზე შემოვიდა რესტორანის პატრონი ასლან წირღვავა. ასლანს დარბაისელი რესტორატორის სახელი ჰქონდა იმ დროს ქუთაისში მოხვეჭილი და მის „მუშტრებს“ ყველას მისი პატივისცემა და რიდი ჰქონდათ.

ამჟამადაც ჯერ მისმა გამოჩენამ შეანელა ყვირილი და ერთიმეორეზე გაწეული ხალხი შეაჩერა. ასლანმა კი შორაპნელს ასე მიმართა:

— როგორ ეკადრება, ბატონო, თქვენისთანა დარბაისელ კაცს შფოთის ჩამოგდება. ჯერ ერთი, არც ერთისათვის არ არის კარგი, ბატონო, ერთიმეორეში ჩხუბი და უსიამოვნება, მერმე კიდევ, მე რას მერჩით, ბატონო, პოლიცია რესტორანს დამიხურავს და, ვიცი, რომ თქვენ ამას არ ისურვებთ... თუმცა, კნიაზ ვარლამ, კნიაზ ვარლამ! — მიმართა ასლანმა ერთს კარგა ჩასუქებულ, ხანდაზმულ ადამიანს, რომელიც ღრმა სავარძელში მოსვენებული იყო და, ეტყობოდა ღვინომორეული, თვლემდა.

ასლანის შეძახილზე კი წამოიწია, თვალები მოიფშვნიტა, უაზროდ იქაურობას თვალი მოავლო და... უეცრად დაცემინება აუტყდა: ერთი, ორი, ათი, ოცდახუთი, არ ცხრებოდა. ასეთმა ხანგრძლივმა ცხვირის ცემინებამ კი იქაუ-

* პოეტ დ. ცვარნამის ლექსიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში ერთგვარი სახუმარო განწყობილება შეიტანა და სამშვიდობო გუნებაზე დააყენა ყველა.

ეკოციმილმა თავის მეზობელს გადაულაპარაკა:

— ასე იცის კნიაზ ვარლამმა: კარგა რომ შეთვრება, სუფრაზე დიდხანს თვლემს, მაგრამ თუ გონს მოეგო და ცხვირის ცემინება აუტყდა — „გაუშვი და დაეთხოვე“ — ისე გამოფხიზლდება, თითქოს წვეთიც არ დაელიოს.

ბევრმა ამის გამგონემ ჩაიფრუტუნა და მართლაც... ვარლამს შეეტყო, რომ სრულიად გამოფხიზლდა. შეაჩერდა ასლანს:

— რა იყო, ასლან? ანგარიშის გასწორებას თხოულობ?

— არა, კნიაზო... ანგარიში? სადაც თქვენ ბრძანდებით, თუ გინდა დილამდი იქეიფეთ... მხოლოდ რატომ აძლევთ ნებას, რომ თქვენს სუფრაზე აურზაური ატყდეს... მე მაინც არ გეცოდებით?.. პოლიცია...

— ჰო, კარგი ახლა. რა იყო, რატომ? — მიმართა ვარლამმა შორაპნელს.

— რაღა რა იყო, გენაცვალოს ჩემი თავი, კნიაზ ვარლამ... აგერ ის გვირგვილიანი რომ ზის... პირველად ძალიან გვასიამოვნა თავის ოხუნჯობით, მაგრამ ბოლოს ისეთები გამოურია... აზნაურებს გლეხები თავზე მეხს დაგატეხენო... ცოციალისტი არ ყოფილა, ეგ ურჯულო?

— ოჰ, ოჰ! — სიცილშერეულად ვითომ გაიკვირვა ვარლამმა, — ცოციალისტი ხარ, ბიჭო, შენ? — მიმართა ეკოციმილს. შემდეგ ისევ შორაპნელს მიუბრუნდა: — შენც ერთი, როსტომ, რამდენ რაღაცას წაიბეუტურებს თხაპარია მეგრელი, კი არ უნდა აჰყვე, შედალოცვილო... — სიტყვა „თხაპარია მეგრელმა“ ვერ დატოვა ზოგიერთებზე კარგი შთაბეჭდილება, მაგრამ კნიაზ ვარლამს ვინ რას გაუბედავდა.

— არ ავყვე, რა? მოგვთხარა და მოგვსპო სულ მთელი თავად-აზნაურობა...

— ოჰ, ოჰ! — კიდევ იკვირვებდა მაინც მომღიმარი ვარლამი. — მაინც რა თქვი, ბიჭო, ასეთი?

— რა ვთქვი, ბატონო და... — აქ წამოდგა ეკოციმილი, — რაღაც ღმერთი გამიწყრა და ერთი ახალი ლექსი, ხალხში რომ დაგულაობს, იმისთანა ვთქვი, მაგრამ მე წყენა კი არ მინდოდა... პირიქით! მინდოდა გამეფრთხილებინა თავად-აზნაურობა, რომ ირგვლივ ამისთანა-ამბები ხდება და ყური კარგად გამოიფხიკეთ-მეთქი...

— ჰოდა, რა გინდა, კაცო! ეკოციმილს ეტყობა ვერ იცნობ, როსტომ, ეგ აგეთი მოშაირეა და მასხარა...

— ოო, კნიაზ ვარლამ, ახლა ნამეტანს კი ნუ მიზამ!.. — ვითომ შეეეედრა ეკოციმილი.

— ჰო, კარგია ახლა. ორივენი მშვენიერი აზნაურები ბრძანდებით... ერთმანეთში უსიამოვნება რა საჭიროა. — წარმოთქვა ვარლამმა, — როსტომ, თუ გიყვარდე, აკოცე მეგობრულად და ის იქნება...

როსტომი ცოტა შეყოყმანდა. ახლა ეკოციმილს მიმართა ვარლამმა:

— შენ რაღას უყურებ?

ეკოციმილი წავიდა როსტომისკენ თან წარმოთქვა:

— მე რა, ბატონო... მე წინააღმდეგი კი არა ვარ...

როსტომსაც ღიმილი მოუვიდა და გადაეხვია ეკოციმილს.

ახლა კი, როდესაც ბულვარის კიდის ქვაფენილზე თავის ჯგუფში იდგა ეკოციმილი და მიტოც მათთან მისული რომ დაინახა, ერთობ მზაკვრული აზრი შეეჭრა თავში.

გადაწყვიტა: „დღეს ისეთებს მოვიწვევ სადილად, ვინც ქუთაისში ყველაზე უფრო „ჭინჭყლ“ და „სკანდალისტ“ კაცად ითვლება, მიტოც ხომ ეგეთია და ვნახოთ, აქედან რა გამოვაო“. თვი-

თონ კი იმედი ჰქონდა, რომ მხოლოდ სეირს უყურებდა.

ასეც მოიქცა. შეარჩია ყველაზე უფრო თავზეხელაღებული ჩოხოსნები და მიიწვია რესტორანში, ისინიც სიამოვნებით გაჰყვნენ, მაგრამ მოხდა უცნაური: ამისთანა მშვიდი და მხიარული ქეიფი ქუთათურებს იშვიათად უნახავთო, დაირხა ხმა ქალაქში და მთელი ერთი კვირა ამაზე ლაპარაკობდნენ და უკვირდათ: ზოგი ასეთ „მშვიდობიანობას“ ეკოციმილის ტაქტსა და მახვილსიტყვაობას აწერდა, ზოგიც „ეროვნულ ვარლამის“ მორიდებას, მაგრამ ეკოციმილი კი იმ აზრის იყო, რომ ვარლამისა კი არა, ერთი მეორისა ერიდებოდათ „სკანდალისტებს“ — რაიმე არ „მიხიმანკლოს“ და არ დამიჯაბნოს მეორემო, და ანტომაც ერთიმეორეს იშვიათი ზრდილობით და პატივისცემით ეპყრობოდნენ სუფრაზე და მშვიდობიანადვე აიშალნენ.

განიცადენი

XX

ეგებ, ციბედულ, მკითხველს არ ახსოვს მაშინდელი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი.

მე კი თითქოს უფრო წვრილმანებზე მოვუთხრობ, ასე ვთქვათ, ადგილმდებარეობაზე, ზედ შეფენილ ხალხზე, გარეგნობასაც ავწერ ზოგჯერ შეძლებისამებრ, მათ განცდასაც, სულიერს თუ სხეულებრივს, მაგრამ თვით ჰაერი, თუ რითი სუნთქავდნენ ეს არსებანი, შეიძლება ამ დეტალებში მკრთალად მოჩანდეს, ან შეიძლება სულაც არა.

მაშ დავიჭირვოთ ზოგჯერ პუბლიცისტიკაც, ზოგჯერ ციტატებიც ავტორიტეტული წყაროებიდან და ასე წარვმართოთ საქმე.

ავიღოთ „მოკლე კურსიდან“ შემდეგი ადგილი:

„ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხები იძულებულნი იყვნენ უაღრესად მძიმე პირობებში იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწა. გარდა ფულადი საიჯარო ქირისა, მემამულე ხშირად აიძულებდა გლეხებს, მუქთად დაემუშავებინათ გლეხური იარაღებით და ცხენებით მემამულის მიწის განსაზღვრული რაოდენობა. ამას ეწოდებოდა „მუშაობით ანაზღაურება“ („ოტრაბოტკი“), „საბატონო ბეგარა“ („ბარშჩინა“). უფრო ხშირად გლეხი იძულებული იყო მემამულისათვის მიწის საიჯარო ქირა ეძლია ნატურით მოსავლიდან, თავისი მოსავლის ნახევრის რაოდენობით. ამას ეწოდებოდა „სანახევროდ“ მუშაობა“.

ერთხელ კიდევ დავიხსომოთ ეს ამონაწერი და შეიძლება ამ ნაწარმოებში ვერც შევხვდეთ აქ ამოწერილი ადგილის გამშუქებელ ცოცხალ სურათებს, რადგანაც ჩვენ უფრო სოფ. ბერთემთან გვაქვს საქმე, სადაც არც ერთი მხარე — არც გლეხებისადმი მიმძლავრებისა და არც მათი ცხადი რევოლუციონერობისა, ისე რელიეფურად, როგორც სხვაგან სადმე. არ ყოფილა წინ გამოწეული, მაგრამ მაინც მათი გახსენება ამ ნაწარმოებშიაც გზას გაგვაგნებინებს.

ეს ხომ ცოტა სიზარმაცეა ავტორისა, ციბედულ! ეს ციტატების მოყვანა, განხრა პუბლიცისტიკისაკენ ბელეტრისტის მიერ შეიძლება ეს მისი უუნარიანობის, საკმაო ოსტატობის უქონლობის ბრალიც იყოს. შეიძლება ეს მჭირდეს მეც.

თუმცა, მე მგონია, ხანდაზმულ, გამოცდილ მწერალს საერთოდ უკვე მო-

6902

ბეზრებული აქვს მხატვრული მოთხრობა ადბებისა. ავტორს დროს უკარგავს ისეთი შემოქმედება, ესე ვთქვათ, ტექნიკა ბელეტრისტული — სიუჟეტის გადევნება, ხლართის გაყოლა, არაკის განვითარება, ტიპების ნიღაბთა გამოსახვა-ჩამოძერწვა და ურჩევნია პირდაპირ, პუბლიცისტურად გადასცეს მკითხველს, რაც აწუხებს, რისი თქმაც მოზღვავებული აქვს.

ეს უფრო მაშინ, როდესაც საყოველთაო საკითხავ ნაწარმოებსა წერს და არა ბავშვებისათვის, მოზარდთათვის. მათთვის შეიძლება მწერალმა შეინარჩუნოს მხატვრული კალამი, სიუჟეტიანობა და სიტყვაკაზმულობაც არ უგულებელყოს.

ბელეტრისტს კი პუბლიცისტურ განხრას მხატვრულ ნაწარმოებში უძრახავენ ხოლმე. ჩვენში გიორგი წერეთელს ნიკო ნიკოლაძემ „კიკოლიკსა და ჩიკოლიკში“ უსაყვედურა პუბლიცისტობა.

რუსეთში თვით ტოლსტოისაც „ომსა და მშვიდობაში“ ერთ დროს უწუნებდნენ ესეთ „მსჯელობით“ ადგილებს. მერმე ხომ თვით მანვე ერთხანს თითქმის სულ უკუაგდო მხატვრული წერა და გადავიდა წმინდა წყლის საგაზეთო წერილებზე.

თუმცა ეს კია: ბოლოს მაინც მწერლის ბუნებაში ვერ მოითმინა მხატვარმა და გადმოიღვარა რომან „აღდგომაში“ სხვადასხვა ფერებით. „ჰაჯი მურატიც“ ხომ ბოლოს ჩამოძერწა.

ძნელია თურმე დაჩვეულის მოშლა, ციბედულ, ჩემო კარგო, და ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენ გმირთა თავგადასავალს.

მხოლოდ... ზოგჯერ ნუ დავერიდებით მკითხველს და ციტატებიც მოვიხმაროთ და პუბლიცისტური განხრაც...

10.

უკვე შებინდებული იყო, რომ რუაზე ხალხი ნელინელ იკრიფებოდა. ჯგუფ-ჯგუფად არავინ არ მიდიოდა, თითო-ოროლა და სულ სხვადასხვა მხრით. გორების ფერდობებიდან, ჭოის ბილიკებიდან მიდიოდნენ, — თითქმის ყველა ქუთათურები, მაგრამ გზა-ტკეცილიდან მოსვლას მაინც თავს არიდებდნენ.

ვამეხი ტრაფიმის თანხლებით ფაეტონით მოვიდა ქალაქიდან, მაგრამ რუამდე არ მოსულა ისე, ერთ აღმართთან ჩამოხტა და გვეტაძეებში გადავიდა. იქიდან კი მათი ეზოებიდან ესეც ფერდობით ჩავიდა რუაზე.

ახალი მთვარე ცოტაოდნად აშუქებდა იქაურობას, მაგრამ ხშირად მას ღრუბლები ეფარებოდა და რამდენიმე ნაბიჯზედაც ძნელი გასარჩევი იყო ადამიანთა სახეები.

ვამეხმა მაინც შეამჩნია, რომ ხალხი კარგა ბლომად იყო შეკრებილი. მურუჟღ სინათლეში აჩრდილებივით მოჩანდნენ, მხოლოდ ძლივს დასანახ ტანის მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ ცოცხალი ადამიანები იყვნენ.

ვამეხმა და ტრაფიმმა ერთი თითქოს მოხერხებული ადგილი გამოირჩიეს დასადგომად და სმენად იქცნენ, მაგრამ ხმამაღლა არავინ არ ლაპარაკობდა, ყრუ გუგუნი იყო გამდგარი.

ამ დროს ვამეხს მკლავზე ვიღაც შეეხო:

— შენც ჩვენთანა ხარ, კნიაზო? — აშკარა ებრაული შემლერებით იყო ეს ფრაზა წარმოთქმული.

ვამეხს არცთუ მაინცდამაინც იამა თავის გამოაშკარავება, მაგრამ, რომ ჩაკვირდა, იცნო შემკითხავი და გულს მოეშვა:

— ოჰ, ბენოია, შენ რა გინდა აქ?

— იცკამ წამომიყვანა, გენაცვალოს ჩემი თავი...

— იცკა ვინ არის?

— ვაიმე! აქ ხარ, კნიაზო და არ იცი, იცკა ვინ არის?.. ჩვენი რიჟინაშვილი.

— ჰოო! — ეს კი უპასუხა ვამეხმა, მაგრამ კაცი ვერ გამოიცნობდა, ამითი

ადასტურებდა თავის ნაცნობობას რიჟინაშვილთან თუ არა.

ჩუმი საუბარი კი ვამეხსა და ბენოიას შორის მაინც გაგრძელდა. გამოირკვა, რომ ბენოია, როცა ქუთაისში ჩამოდიოდა, თავის სავაჭრო საქმეებს გარდა, სხვა საქმეებსაც აკეთებდა: რიჟინაშვილის დავალებით პროკლამაციები და ფურცლები მიჰქონდა ბანძასა და სხვა სოფლებში სანდო ხალხში დასარიგებლად. ბენოიამ ეს არ დაუმალა ვამეხს და ასეც უთხრა: „შენ ამას რავა დაგიმალავ, კრიაზოო“.

მაგრამ ახლო მეზობლებმა ორივენი გააჩუმეს.

ერთ-ერთი ორატორი უკვე ლაპარაკობდა თურმე და ვამეხის ყურთა სმენამ მხოლოდ ამ სიტყვებს მოუსწრო:

„რუსეთის პროლეტარიატი თავის წარმოშობით მეტნაწილად გლეხობიდან არის გამოსული. სოფლის დიფერენციაციის გამო გლეხობის ნაწილი პროლეტარდება და შედის სამრეწველო პროლეტარიატის რიგებში. მაგრამ ბატონყმური დამოკიდებულების ანარეკლი (კავშირი თემობასთან, სხვადასხვა გვარი ბეგარა) კიდევ დიდხანს აკავშირებს მუშას გლეხობის წარსულთან. გლეხობისაგან წარმოშობა და კავშირი სოფელთან იძულებულს ყოფს მუშებს ერთსადაიმავე დროს განიცადოს ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრა და კაპიტალისტური ექსპლოატაცია“...

ვამეხი უკვირდება ამ სიტყვებს, თან გულში გაიძახის: „მართალია, მართალი! რა მიზნებით ლაპარაკობს! თუმცა რატომ ხმარობს ამ უცხო სიტყვებს: „დიფერენციაცია“. „ექსპლოატაცია?“. ჰო, უთუოდ იმიტომ, რომ ასეთ სიტყვებს აჩვევს ხალხს — ისწავლონ, შეიგნონ. მერმე კიდევ პირველად ხომ არ ლაპარაკობს ამ ხალხში. უთუოდ ესენიც დაჩვეულები არიან“.

მიიხედ-მოიხედა. მთვარეს თვალი გამოეჭყიტა. უკვე უფრო გასარჩევი იყო ადამიანთა სახეები.

— ვინ არიან? — ფიქრობს ვამეხი. — აკი მითხრეს: ქალაქის წვრილი ხელოსნობა, სასწავლებელთა უფროსი კლასის მოწაფეები და ირგვლივ მოსახლე მშრომელი გლეხობა... დიაღ, დიაღ...— უეცრად თავს უსაყვედურებს ვამეხი. მე აქ ფიქრში გავები ორატორს კი არ ვუსმენ.

ყური დაუგდო. მოესმა:

„მუშათა მოძრაობის გავლენით აქამდე დანაწილებული და სტიქიური გლეხთა მოძრაობაც თანდათან ვითარდება, ერთიანდება და დიდ სამუქარო ძალათ გვევლინება, მაგრამ თუ სოფლის ღარიბ-ღატაკებმა ქალაქის პროლეტარიატთან კავშირი არ დაიჭირეს, ისე ვერ გაიმარჯვებენ“..

— ოჰო, — ფიქრობს თავისთვის ვამეხი. — ეს უკვე მოწოდებაა, არა? მაგრამ ერთი კარგად დავუგდო ყური...

ორატორი განაგრძობს:

„რუსეთის პროლეტარიატის, როგორადაც რევოლუციის ხელმძღვანელის, მომზადება ან აღზრდა მოწინავე, სოციალისტურ თეორიის უშუალო გავლენით თანდათან მტკიცდება და მჭიდროვდება...

„დიდი მოძღვრის, ლენინის გაზეთი „ისკრა“ შეუდრეკლად იბრძვის იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობას მეცნიერული სოციალიზმის იდეა ჩაუნერგოს; რომ მუშათა კლასში განავითაროს პოლიტიკური თვითშეგნება“...

— ლენინი ახსენეს... გაზეთი „ისკრა“ — არ ეშვება ფიქრები ვამეხს. — რადაც უნდა დამიჯდეს, ეს გაზეთი უნდა ვიშოვნო... უფრო ახლოს უნდა მივიდე ამათ აზროვნებასთან.. ჰმ! მეცნიერული სოციალიზმი... პირველად მესმის ეს სიტყვები... მაშ ჩემი სენ-სიმონი, ტომას მორი, კამპანელა... ეს ყველანი მეზღაპრეები არიან?.. როგორ ვიყავ ამ ხალხით გატაცებული... არა! უტოპიაარ, მეც ვამბობდი ერთ დროს... მაგრამ მაინც მჯეროდა საერთოდ მათი და თუნდ ამ ტომას მორის „უტოპიისა“

ახლა კი თურმე რა ყოფილა... მეცნიერული სოციალიზმიო! არა! ეს სულ სხვა ქარხნის საყვირია...

ვამეხი კვლავ გაუწყრა თავის თავს:

— რა დროს შენი ფიქრია... ყური დაუგდე ამ ხალხს.

ორატორი ამბობდა:

„რუსეთის მთავრობას ეშინია, რომ მუშები და გლეხები არ განათლდნენ. ერთ დროს განათლების მინისტრმა დელიანოვმა გამოსცა ცირკულარი „კუხარკების შვილების“ შესახებ. ამ ცირკულარით აკრძალული იყო გიმნაზიებში (საშუალო სასწავლებლებში), მიღებული ყოფილიყვნენ მეეტლეების (კუჩერების) ხელზე ბოსამსახურეების (ლაქიების), მრეცხავი ქალების (პრაჩკების), წვრილ მოვაჭრეთა (მეწვრილმანეების) და სხვა ამ გვარი წრის შვილები, რომლებიც, გარდა მეტად ნიჭიერი ყმაწვილებისა, არ უნდა ჩამოშორებოდნენ იმ ფენას, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ. სოფლებში ამჟამადაც ძალიან ცოტა არის რუსეთში ერობათა და საქართველოში ეგრეთ წოდებული სამინისტრო სკოლები. სოფლებში უფრო საეკლესიო-სამრევლო სკოლები არის გავრცელებული. ამ სკოლებს ხელმძღვანელობენ ხუცები და ისინიც ძნელად გასაგებ ხუცურ საღვთისმეტყველო აბდაუბდას ასწავლიან...

ამ დროს ტყის სიხშირიდან გამოისმა ორატორისადმი მიმართული ვიღაცის რიხიანი ხმა:

— ოო, ვაცხონე შენი მშობელი!

მივარდნენ, გაჩუმება დაუწყეს, აქაიქ სიცილიც გაისმა, მაგრამ რიხიანი მთქმელი არ ცხრებოდა:

— ჰოდა, რა! არ მინდა ჩემს ბიჭს ვასწავლო ხუცური... არ მინდა ხუცესი გამოვიდეს.

სიცილმა იმატა, მაგრამ რიხიანი მაინც ჩააჩუმეს.

ვამეხმა კი ისევ ორატორს მიუგდო ყური.

ორატორი ახლა ასე ლაპარაკობდა:

„..მაგრამ განსაკუთრებულ ჩაგვრას და უუფლებობას განიცდის რუსეთში შემავალი მრავალრიცხოვანი არა რუსი მოსახლეობა. მეფის მთავრობა მათ ოფიციალურადაც კი დაცინვით „ინოროდცებს“ ეძახის...

„დაჩაგრულ და ექსპლოატაციაში მყოფ არა რუსთა მუშების და გლეხების ლიანგმა კარგა ხანია დაიწყო ბრძოლა განთავისუფლებისათვის, მხოლოდ ეს ბრძოლა უფრო სტიქიური და შეუგნებელი იყო აქამდე, როგორც მაგ. ჯანყი გურიაში, ან სამეგრელოში გლეხთა აჯანყება მჭედელ მიქავას მეთაურობით. ახლა კი ძაა სათავეში უდგას ისტორიულ ასპარეზზე გამოსული საზოგადოებრივი კლასი, პროლეტარიატი და ეს კარგად უნდა შეიგნოს გლეხობამ. მართალია, გლეხთა მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლუციის ძალთა მობილიზაციისათვის. ამან შეაშინა კიდეც მეფის მთავრობა და თითქოს რაღაც ცოტაოდენ დათმობაზე წავიდა კიდეც. მაგ. 1903 წ. 12 მარტის კანონით ურთიერთ თავდებობის შესახებ და აგრეთვე ის გარემოება, რომ რაკი ვერ შესძლეს გლეხობისაგან აეკრიფათ ნარჩენი გადასახადი, მთავრობამ ვითომ უარი თქვა მათ აკრეფაზე, მაგრამ, სამაგიეროდ, გააძლიერა არაპირდაპირი გადასახადი. თუ რა არის ეს არაპირდაპირი გადასახადი და როგორ მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას, ამაზე ჩემს შემდეგ მეორე ამხანაგი მოგახსენებთ. ჩვენ კი მხოლოდ ეს დავიხსომოთ და კარგა ჩავიჭდიოთ გულში, რომ მხოლოდ მემამულეების და ბურჟუაზიის უღლის გადაგდება, არსებული წესწყობილების მოსპობა, რუს ხელმწიფის ტახტიდან ჩამოგდება და პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურის დამყარება იხსნის მშრომელ მოსახლეობას“...

ამ სიტყვებზე იქა-აქ გაისმა ტაში, მაგრამ მალე ჩააჩუმეს.

ვამეხს კი უკვირდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ვიცი რომ არალეგალურ მიტინგზე ვარ. ეს მიტინგია ხალდვილად... და ასეთი გაბედული მოწოდება, ტაშიც კი... როგორ გაზრდილა ჩვენი ხალხი, როგორ ყამოქოჩრილა საბრძოლველად... დაიცა, ვამეხ! აგერ მგონი ორატორი ათავებს.

ორატორი: „აი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრეს აგრაოული საკითხიც. მაშინ შეიძლება მებატონეებს, მემამულეებს ჩამოერთვას მათი საკუთრება გლეხთა სასარგებლოდ, მაშინ შეიძლება განხორციელდეს ყველა ის პოლიტიკური და სოციალური ცვლილებანი, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის აღორძინება. ამისათვის აოის საჭირო, რომ პროლეტარიატი თავის რევოლუციური პარტიის მეთაურობით იყოს სათავეში მშრომელი გლეხობისა, უხელმძღვანელოს მას და მოიპოვოს საერთო გამარჯვება“.

ორატორი ორატორს ცვლიდა და ვამეხმა ბევრი რამ გამოიტანა მათი ნათქვამებიდან.

ზოგი რამ მაინც იცოდა შორეულად. მაგალითად:

„რომ მუშებსა და გლეხებს მბრძანებლობს მთელი არმია ისპრავნიკებისა, ჩვენში „ვეზდ-ნაჩალნიკებისა“, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავდნენ მეფეს, კაპიტალისტებს, მემამულეებს, მშრომელთა წინააღმდეგ, ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ. აგერ ახლა არსებობდა ფიზიკური დასჯაც. მიუხედავად ბატონყმობის გაუქმებისა, გლეხებს „როზგავდნენ“ ზოგჯერ ოდნავი დანაშაულისათვის, ხარკის გადაუხდელობისათვის.

„მუშებს კიდევ სცემდა პოლიცია და ყაზახები, განსაკუთრებით გაფიცვების დროს“.

„მუშებსა და გლეხებს მეფის რუსეთში არავითარი პოლიტიკური უფლებები არა აქვს“.

„მეფის თვითმპყრობელობა ბოლოს უბოროტესი მტერია“.

ესენი ასე თუ ისე იცოდა ვამეხმა, მხოლოდ კარგად არ იცოდა რუსეთ-იაპონიის ომის გამომწვევი მიზეზები და მიმდინარეობა. მან აქ გაიგო, რომ ლენინი, როცა ახასიათებდა რუსეთის ავანტიურულ პოლიტიკას ჩინეთში, წერდა თურმე:

„ვისთვის არის სასარგებლო ეს პოლიტიკა? ეს სასარგებლოა იმ ბობოლა კაპიტალისტების ჯგუფისათვის, რომელსაც ჩინეთთან ვაჭრობა და აღებ-მიცემობა აქვს... ეს სასარგებლოა თავადაზნაურობის იმ ჯგუფისათვის, რომელსაც სამოქალაქო და სამხედრო დიდი თანამდებობა უჭირავს. იმათ ეს სჭირდებათ იმისათვის, რომ მთავრობის ყურადღება დაიმსახურონ, კარიერა გაიკეთონ, თავი ისახელონ „მოღვაწეობით“. ამ კაპიტალისტთა ჯგუფისა და არამზადა ჩინოვნიკების ინტერესებისათვის მთავრობას უყოყმანოდ მსხვერპლად მოაქვს მთელი ხალხის ინტერესები. თვითმპყრობელური მეფის მთავრობა ამ შემთხვევაშიაც, როგორც ყოველთვის, გვევლინება უპასუხისმგებლო ჩინოვნიკების მთავრობად, მლიქნელ ბობოლა კაპიტალისტებისა და აზნაურების მთავრობად“.

ვამეხმა არ იცოდა, რომ მინისტრ პლეევეს უპასუხია გენერალ კუროპატკინისათვის, როდესაც მას უსაყვედურებია— ბეზობრაზოვის აგრესიულ პოლიტიკას მხარს რად უჭერო, „დიაღ, მე მხარს ვუჭერ ამ საქმეს, რადგანაც რუსეთის შინაგანი მდგომარეობა კარგად ვიცი. მერწმუნეთ გენერალო, რომ ჩვენთვის ერთი პატარა ძლევამოსილი ომი მეტის მეტი საჭიროა, თუ არა შინ დიდი მეხი დაგვატყდებაო“.

ვამეხმა არ იცოდა, რომ ლენინს მაშინ დაწერილი ჰქონდა თურმე:

„მართალია, ომი ჯერ კიდევ გათავებული არ არის, მაგრამ ყოველი ნაბიჯი მისი გაგრძელებისა უფრო შლის და

აფართოვებს ხალხის მოძრაობას, იწვევს მის აღშფოთებას და აახლოვებს მომენტს ახალის, დიდი ომისას, ხალხის ომისას თვითმპყრობელობასთან, პროლეტარიატის ომს თავისუფლებისათვის“.

იმავ დროს ჩვენში რსდმპ-ს კავკასიის კავშირის თბილისისა და ბაქოს კომიტეტებმა გამოუშვეს პროკლამაცია, სადაც სხვათაშორის ნათქვამი იყო: „ვისურვოთ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის ეს ომი უფრო მტკივნეული შეიქმნეს, ვიდრე ყირიმის ომი. მაშინ ბატონყმობა გაუქმდა, ახლა კი, ამ ომის შედეგად ჩვენ დავასამარებთ ბატონყმობის ღვიძლ შვილს — თვითმპყრობელობას თავისი მყრალი საიდუმლო პოლიციით და ჟანდარმერიით“.

ვამეხმა ისიც იცოდა და არც იცოდა, რომ ამ უკანასკნელ წლებში მუშათა გაფიცვები თანდათან უფრო მოდებოდა ქვეყანას და რომ ისინი უკვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ, რომ ამის შესახებ ლენინს უკვე ჰქონდა თქმული: „იგრძნობა, რომ ჩვენ მალე ბარიკადების წინაშე დავდგებითო“.

ბევრი რამ ახალი იყო ვამეხისათვის. მას განსაკუთრებით ციტატები ისე არ აკვირვებდა, როგორადაც ორატორების მომზადება და გაბედული სიტყვები. თითქოს ჯერ უნახავ ქვეყანაში შევიდა და ბევრი რამ ახალი გაიგოო.

თან ფიქრობდა: „საკვირველია! არ მახსოვს, რომ მე ოდესმე ცხოვრებაზე ისეთი მტკიცე და დადებითი შეხედულებები მქონოდეს!.. ან როგორ დალაგებით ლაპარაკობენ... ერთი ნამდვილია, ესენი უკვე დარაზმულან და სწორედ რომ ამბოხებისათვის ემზადებიან“.

ამ რწმენით წამოვიდა ვამეხი რუადან მიტინგის დამთავრების შემდეგ. წამოვიდა მარტოდმარტო, ტრაფიმსაც კი გაეპარა და სხვას არავის აღარ შეერთებია.

უნდოდა თვითონ ეფიქრა გაგონილზე და მიუდგომლად, ღირსეულად შეეფასებინა. მაგრამ მისი აზროვნება მაინც ვერ იყო ობიექტური, ორეოფული იყო მისი ფიქრთა დენა:

— კარგა დიდი ხანია მივხვდი, რომ ეს ბრძოლა კლასობრივია. ერთმა უნდა დასცეს მეორე, მაგრამ... ჰა, ჰა! — გაახსენდა — ჩემი ბარამი: „რატომ, კაცო, რატომ? ყველანი ვიყოთ კარგად, შევთანხმდეთ და ყველამ ბედნიერად ვიცხოვროთ“... არა, ბარამ, არა! — ფიქრში შეედავა — არა, ეს ახლა შეუძლებელია, ეს შეიძლება შემდეგში მოხდეს... ეს ყველას „კარგად ყოფნა“... ახლოლდ როდის იქნება, ან იქნება კი?

ეს ვერ აეხსნა და არც იცოდა, იყო გამოსავალი თუ არა.

ეჭვებით ავსილი კი ნელინელ მიფრატუნებდა ქალაქისაკენ.

12

იმ დროს, როდესაც რუაზე ვამეხი ერთგვარად განცვიფრებული იყო ნახულითა და გაგონილით, სასტუმრო „ფრანცია“-ში თავიანთ ნომერში უცხოელები მათ მიერ დაქირავებულ ინჟინერ ვოლკოვს ანგარიშს უსწორებდნენ.

ვოლკოვი ამას არ მოელოდა, მაგრამ უცხოელები უხსნიდნენ, რომ ისინი ამჟამად ვერავითარ მუშაობას ვერ შეუდგებოდნენ და ამისათვის ვოლკოვის სამსახურიც მათთვის ზედმეტი იყო.

იმიზეზებდნენ, რომ „ჩვენი კამპანიისაგან საზღვარგარეთიდან წინადადება მოგვივიდა, დაუყოვნებლივ დავბრუნდეთ ჩვენ ჩვენს ალაგასაო. ჩვენ გვიხაროდა, რომ ხელშეკრულება დავდევით მემამულეებთან და ძალიან მომგებიან პირობებითაც. მაგრამ კამპანია ცოტა გვისაყვედურებს კიდეც — აჩქარებულხართო. ომი ხანგრძლივდება, ბოლო არ უჩანს, აშკარაა, რუსეთი ამ ომს წააგებს და ეს ჩვენთვის ხელსაყრელიც არის, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთში სოცია-

ლისტები უკვე ფეხს იდგამენ და, მაშასადაძე, რევოლუციაც მოსალოდნელია, ასე რომ, ვინ იცის, საქმე როგორ ყავაო. რუსეთი ხომ დიდი ძოულოდნელობის ქვეყანაა და იქ ახლა რაიმე სერიოზული სამრეწველო საქმის დაწყება სახიფათოც კი არისო. ოჰ, ეს წყეული რევოლუცია! — აცხადებდნენ ისინი — ამან თავის დროზე დიდად შეაფერხა ევროპის ქვეყნები, თორემ აქამდე კაპიტალიზმი ამქვეყნად სამოთხეს დაამყარებდა. სულელები! თვითონ მუშების საქმეც ბევრად უკეთესად იქნებოდა. მათ მრეწველები და ფაბრიკანტები წილშიაც კი შეიყვანდნენ თავიანთ მოგებაში და დივიდენდებსაც კი მიიღებდნენ, მაგრამ არ სურთ და აი ბრძანდებოდნენ... აქაც სულ ევროპელი სოციალისტების ბრალია აქაური არევ-დარევა, განსაკუთრებით გერმანელი სოციალისტებისა. იქაურმა მარქსმა ხომ გადარია ცა და ქვეყანა და ახლა რუსეთის უსუსური მოაზროვნეებიც აუყოლებია. აქედან არაფერი სიკეთე არ გამოუვათ, სხვა არა იყოს-რა, რუსეთის ჟანდარმერია მაგათ უთუოდ მოერევა და ჩაახშობს ამ მოძრაობას, მაგრამ მანამდე ჩვენ უთუოდ უნდა შევიცადოთ და აქაური მუშაობისაგან თავი უნდა შევიკავოთო...

ბოდიშიც მოიხადეს ვოლკოვის წინაშე, მადლობაც გადაუხადეს ერთგული სამსახურისათვის. მაგრამ დათხოვნა მაინც დათხოვნად დარჩა და...

ვოლკოვსაც რა ეთქმოდა. მაინცდამაინც არცთუ ისე გული დასწყვეტია: რამდენიმე ათასი იმანაც გადაიწყო თავის „პორტმონეში". უცხოელებმა კარგი დასაჩუქრება იცოდნენ.

ვოლკოვიც თავაზიანად გამოემშვიდობა უცხოელებს და ერთგვარი აკვიატებული აზრის გამო ბარონესას ბინას მიაშურა.

იქ მარტო მარინა დახვდა, რაღაც წიგნს კითხულობდა. ბარონესა და დაგმარა მეორე ოთახში იყვნენ. მისალმების შემდეგ ვოლკოვმა მარინას წიგნის გადახედვა მოიაურვა, მარინამაც მიაწოდა. ვოლკოვმა სათაურს რომ დახედა, წიგნს უეცრად ხელი გაუშვა და მიაძახა:

— ოჰ, ადა ნეგრი! ეს ხომ სოციალისტი პოეტი ქალია და... თქვენ... ამას კითხულობთ?

მარინას რაღაც უნდოდა ეპასუხა, ვოლკოვმა არ დააცალა:

— ჰო, ვიცი... ძალიან მოდაშია ახლა ადა ნეგრი. მაგრამ რაზე მღერის? მე რომ მკითხოთ, ეს არც სიმღერაა, პუბლიცისტური სტატიების გალექსვაა: მუშათა ბუნაგები, მათი ქოხმახები, გაჭირვება, შიმშილი და სხვა ასეთი სიდუხჭირე, რა პოეზია უნდა მოიძებნოს ამ ჭუჭყიან სამყაროში?...

— მაგას რატომ ამბობთ? ძალიან ნაზი პოეტიც არის, ის ხშირად ახსენებს „ცის ლაჟვარდს", „ცეცხლის ბრწყინვალებას", „მთვარეს, ვარდს" და სხვა ასეთს მეტად გავრცელებულ სიტყვებს თუ მეტაფორებს რაც საერთოდ პოეტების მარაგში იგულისხმება, მხოლოდ ერთია... აი დახედეთ, ერთგან რას ამბობს: „იმისათვის, რაც დედამიწაზე წარმოიშვის, რაც აღტაცებით მიილტვის იდეალისაკენ, ყველა იმისათვის, რაც იბრძვის, მინდა ვიყო უკვდავიო". ასე რომ, უშინაარსო სიმღერა კი არ არის მისი სიმღერა. მას იდეალი ასულდგმულებს, ბრძოლისათვის უნდა უკვდავება". ის ამბობს კიდევ აი ერთ ალაგას, რომ „ხალხის წიაღიდანა ვარ გამოსული, ყოველივე სევდასა და ნაღველს ფეხითა ვთელავ და ცისკარს, გარიჟრაჟს ვეგებებიო". თან დიდი ჰუმანისტიც არის. ის ერთგან დიდი რწმენითა წერს: „ერთ დროს ადამიანები ყველანი გათანასწორდებიან, გახდებიან „შრომის რაინდებად", შრომა შეიქმნება თავისუფალი, მოხდება ხალხთა გაერთიანება და მთელი დედამიწის ზურგზე საზეიმო, მშვიდობიანობის ჰიმნი აღაღადებაო".

— ჰოდა, რა არის ეს? სად არის აქ პოეზია? სოციალისტური ბოდვაა რაღაც...

— თქვენ, ეტყობა, ამეებისა სრულიად არაფერი გაგეგებათ.

— არცა მსურს გაგება, მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ თქვენისთანა წრის ქალი, არისტოკრატი ქალი, ასეთ რამეებს კითხულობდა. ჩანს, მოგწონთ კიდეც, თუმცა თქვენ ხომ უცნაური ქალი ხართ..

ვოლკოვაა ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ კი თითქოს რაღაც ჟინმა მოუარა, მარინას ასე უხეშად მიმართა:

— მართლა, რასა იქს თქვენი ველური, მარინა ივანოვნა?

ამაზე მარინამ მტკიცედ, შეუვალად უპასუხა:

— თქვენს უზრდელობას უკვე მივეჩვიე. მაგითი ველარ მაწყენინებთ.

ვოლკოვი არ დაცხრა:

— განა არ ვიცი, რატომ აიყვანეთ ვითომ ქმრად?

მარინას ცოტა ეწყინა:

— როგორ თუ „ვითომ?"

ვოლკოვმა თავისი განაგრძო:

— არა! ვიცი, ჯვარსაც დაიწერთ, მაგრამ ეს ყველაფერი ორიგინალობისათვის ჩაიდინეთ: პეტერბურგს უჩვენოთ, თუ კავკასიიდან როგორი ლამაზი მხეცი მიგყავთ ადამიანის სახისა.

მარინა შინაგან აფეთქდა, მაგრამ არ დაიმჩნია. ვოლკოვს კი უნდოდა მოთმინებიდან გამოეყვანა. ამიტომ არ შეჩერდა:

— რასაკვირველია, მიგყავთ ისე, როგორც კარგი ჯიშის ძაღლი... თქვენ ხომ იცით, გაუთხოვარ, გადამწიფებულ ქალებს უყვართ ესეთი ჯიშიანი ძაღლები და...

ეს მართლა ეწყინა მარინას. სახე გაუფითრდა, მოულოდნელად მკვახედ წარმოთქვა თითქოს შეუფერებელი სიტყვა:

— ტუბო!

ვოლკოვი ამას არ მოელოდა. სახტად დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ მაინც შეეკითხა:

— ის იმას თუ მე?

— თქვენ, ტუბო! — კიდევ გაუმეორა მარინამ დაუზოგველად და საჩქაროდ გაეცალა.

ვოლკოვი ძალზე ნაწყენი და შეურაცხყოფილი დარჩა, მაგრამ აღარ გამოდევნებია. ფანჯარას მიადგა და ქუჩას დაუწყო ცქერა.

განიცადენი

XXI

ისევ გამისხლტი ხელიდან, ციბედულ?

თუ ეს იმის ბრალია, რომ ასე ხშირად იცვლები სხვადასხვა სახედ?

ან მე მეჩვენება ასე.

შეიძლება ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩემს თვალებს ნისლი ებურება ბოლო ხანებში და კარგად ველარ ვარჩევ შენს სანატრელ ნაკვთსა?

თუ ეს ჩემი ბრალია — უნდა ეშველოს ჩემს მხედველობას და თუ შენ მართლა მშორდები. ეს უნდა მიეწეროს ჩემს სიბერეს... რომ მოგწყინდა ხანდაზმულის მფარველობა, რომ აღარა სჭრის — ჩემს სიბერით შეყინულს გრძნობებზე შენი შთაგონება და...

მტოვებ გაციებულს გარემოში ჩემი შემოქმედებისა, ეულს და მიუსაფარს.

ეს სისასტიკეა, ციბედულ! ეს შენ არ შეგფერის, ჩემო ყველავ!

შენ უკვე ისეთი ჩაუმქრალი ცეცხლი გაქვს ჩემში ჩანთებული, რომ იგი მეყოფა საფლავის კარამდე, მხოლოდ შენ არ უნდა მომაკლო ნაცარგადაყრილ ლადარის გაღვივება:

ციბედულ, ციბედულ!

ამას ნუ მომაკლებ, კარგო და საუცხოვო ჩემო და მე... მე კიდევ... წავიმუშავებ,

13

ქუთაისის ქალაქის კლუბის დარბაზები და ოთახები ღამის ათ საათზე უკვე სრულიად გაჩირაღდნებული იყო.

საღამოს ნადიმის გამგე, გუბერნიის მარშლის მეუღლე თავის დამხმარე ბანოვანებით უკვე შემოკრებილნი იყვნენ და თავთავიანთ მიჩენილ ადგილებს თავს დასტრიალებდნენ. ზოგს შამპანურის გასასყიდი ფარდული ჰქონდა მიჩენილი, სადაც სხვა ლამაზმანებთან ერთად ბარონესას დაგმარა იყო მთავარ გამყიდველად, ზოგს ჩაისა და ტკბილეულის ფარდული; ზოგს ფოსტის კუთხე, რომელსაც ემსახურებოდნენ ახალგაზრდა გოგონები, მათ მხრებზე გადაკიდებული ჰქონდათ აბრეშუმის ლურჯი და წითელი ლენტები, ამ ლენტებზე გამობმული ჰქონდათ აბრეშუმისვე ნაირფერი პარკუჭანები, ამითი უნდა ეტარებინათ საღამოზე დამსწრეთა წერილები ერთი-მეორისადმი; ერთგან კიდევ უბრალო ქოხი იყო დამდგარი, სადაც ერთი მოსწრებული სიტყვა-პასუხის მქონე ქალბატონი უნდა დამჯდარიყო და ცალ-ცალკე შესულ პიროვნებათათვის უნდა ემკითხავა. ყველა ეს ფარდული და წერტი იმისთვის იყო გამიზნული, რომ საღამოზე მეტი ფული შემოსულიყო, ეს საერთოდ ასეთ საღამოს არ ეკადრებოდა მაშინდელი გაგებით, მაგრამ გუბერნიის მარშლის მეუღლე თავის სახლში ხომ არ მართავდა „ბალს“, სადაც ყველაფერი უფასო უნდა ყოფილიყო, არამედ საზოგადო საკრებულოში, ქალაქის კლუბში, სადაც მომსვლელს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ფული უნდა ეხადა, დაწყებული საკრებულოში შესასვლელი ბილეთით და სხვადასხვა ფარდულში სხვადასხვა ნიხრის გადასახადით. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ასეთი ბალი მუდამ საქველმოქმედო მიზნით იმართებოდა და დღევანდელი საღამოს შემოსავალი თავად-აზნაურთა სკოლის ღარიბ მოწაფეთათვის იყო განკუთვნილი.

საღამოსთვის საგანგებოდ დართულ-დაკაზმული ქუთათურები თანდათან გროვდებოდნენ. ვინ იყვნენ ესენი: გუბერნიის დაწესებულებათა უფროსი მოხელეები, მათ შორის რუსებიც, ზოგიერთი ფეხმოდგმულ თავადაზნაურთა ოჯახის წევრები, ქუთათური მსხვილი ვაჭრები თავიანთი ცოლ-შვილით, იქა-აქ სხვადასხვა ორგანიზაციაში — ქალაქის საბჭოში, ბანკებში — მოსამსახურე ქართველი ინტელიგენცია, შემთხვევითი სტუმრები და ქუთაისში მყოფი თავადაზნაურული ახალგაზრდობა. ამათი უმეტესობა თავიანთი ხელმოკლეობის გამო დიდს ვერას შესძენდნენ საღამოს დახლს, მაგრამ მათ შეჰქონდათ საღამოზე ხალისი, მხიარულება და ამისათვის საღამოს დიასახლისი მათ გულიად ეგებებოდა.

თანდათან იკრიბებოდა ქუთაისის მაშინდელი „ბომონდი“ (მაღალი წრის საზოგადოება), მხოლოდ აქ არ ჩანდნენ დაბალი ფენისანი. ისინი ასეთ შეკრებულებაში არ დაიარებოდნენ, ხოლო, კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, მათ აქ არც კი მიესვლებოდათ. არ ჩანდნენ აგრეთვე გვირგვილიანები. მხოლოდ ბარონესა იყო თავის დაგმარათი მოსული და მარინა თავისი ბეგით. ნექტარინა და ბარამი კი ვამეხს წაეყვანა თეატრში და ლადო მესხიშვილის მონაწილეობით დადგმულ „ჯაი გრაკხს“ ასმენინებდა.

ვამეხის ნაცნობი სლავსკი უკვე სცენაზე წრიალებდა. ათი საათი იყო და საღამოს საკონცერტო განყოფილება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. სლავსკი თავის ამხანაგებით უკვე მზად იყო ვოდევილის „გასათამაშებლად“, მაგრამ საღამოს დიასახლისი უთვლიდა — „ჯერ გუბერნატორი არ მოსულა და არ დაიწყოთო“. საღამო ვოდევილით უნდა დაწყებულიყო და ამას შემდეგ მოჰყვებოდა სხვადასხვა ნომერი თბილისის

ოპერიდან გამოწერილი მომღერლებისა, დეკლამატორებისა და ბაბო გავლენიშვილის მიერ პიანინოს პარტიის შესრულებისა. იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი შემსრულებლები სცენებისა, ქუთაისის თეატრის არტისტები: იმერული სცენების წამკითხველი დათიკო მესხი, განთქმული არტისტების კოტე და ეფემია მესხის ძმა, და ებრაული სცენების განმასახიერებელი ძიხაკო ჯანოევი (ნემო), ყველა ეს ნომრები გვირგვინდებოდა ადგილობრივ მომღერალთა გუნდით სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის კორნელი მაღრაძის ლოტბარობით. ამას კი მოჰყვებოდა ბალი, ცეკვებითა და ვახშმით შეზავებული.

ერთი სიტყვით, ქუთათურებისათვის მეტად სახალისოდ იყო საღამოს პროგრამა შემდგარი და ამას ულოცავდნენ კიდეც გუბერნიის მარშლის მეუღლეს მომსვლელები. ის კი ამბობდა, რომ „უკანასკნელია ჩემგან ქუთაისში ასეთი საღამოს გამართვაო“, რაიც იმის მანიშნებელი იყო, რომ შეიძლება მისი ქმარი მეორე დღეს თავად-აზნაურთა კრებულს აღარ აერჩია მარშლად, მაგრამ ამის საპასუხოდ ზოგი გულწრფელად და ზოგიც მლიქვნელობით არწმუნებდნენ ხანდაზმულ ქალბატონს, რომ მისი სიმონი უთუოდ იქნებოდა არჩეული.

ხალხი უკვე შედიოდა დარბაზში და ლაგდებოდა თავთავიანთი ბილეთის მიხედვით სკამებზე საღამოს პროგრამის მოსასმენად, მაგრამ სცენის ფარდა ჯერ კიდევ არ ირხეოდა.

ელოდებოდნენ.

ელოდებოდნენ გუბერნატორის მოსვლას და აგრეთვე ქალაქის თეატრში წარმოდგენის დასრულებას, რადგან იქ დამსწრეთა კარგა დიდი ნაწილი უთუოდ აქაც წამოვიდოდა.

ამასობაში საღამოს დიასახლისსა და სხვა მის დამხმარეებს მომსვლელები, შერჩევით, სხვადასხვა ფარდულში მიჰყავდათ ფულის შესაწირად. თვითონ მთავარი დიასახლისი უფრო მსხვილ ვაჭრებს ეტანებოდა. დაინახავდა ასეთ ვისმეს თუ არა, მიეგებებოდა, მკლავს მკლავში გაუყრიდა და მიჰყავდა უფრო ბაგმარას ფარდულისაკენ, სადაც შამპანური იყიდებოდა. ვაჭარიც დიასახლისის ხათრით, შეიძლება ეზარებოდა, მაგრამ მაინც უარს ვერ ამბობდა, მიჰყვებოდა, მხოლოდ ცდილობდა ნაკლები გადაეხადნა, ვთქვათ, 5 მან. ერთ ჭიქა შამპანურში, მაგრამ აქ უეცრად გაჩნდებოდა ეკოციმილი და თავის ხუმრობით შეგულიანებით ყველაზე უძუნწეს ვაჭარს 25 მანეთამდე მაინც აიყვანდა.

იმავე დროს, სხვა ფარდულებიც ამუშავდნენ. ფოსტა ხომ იმთავითვე კოხტა გოგონების წყალობით სხვადასხვა მისამართით უხვად აგროვებდა „კორესპონდენციებს“. ზოგი მიმღები მხიარულ გუნებაზე დგებოდა; ზოგიც ხარხარებდა და სხვებსაც უჩვენებდა, თუ რა წერილი მოუვიდა, ზოგი „წითლდებოდა, ყვითლდებოდა“ ისეთი გასაჯავრებელი რაღაც ეპისტოლე მოსვლოდა, ზოგიც იმის გამოცნობაში იყო, თუ ვინ მოსწერა წერილი, რადგანაც წერილების დიდი უმეტესობა ანონიმური იყო.

*
* *

აგერ ეკოციმილს მიართვეს წერილი. მომტან გოგონას ლეონარდო და-ვინჩის ჯიოკონდასავით (მონნა ლიზა) ცბიერი ღიმილი დაკრთოდა სახეზე. თან თვალები მზაკვრულად უციმციმებდა.

ეკოციმილმა წაიკითხა:

„შე უბედურო, რას დაბროდიალობ ამ ზალებში? შენ რომ ეძებ, ის უკვე ჩაკეტეს მკითხავის ქოხში და მის ნახვას შენ ვეღარ ეღირსები. გირჩევნია, ჩემთან მოხვიდე, გურძემიის მთავარო...“

აქ შეჩერდა ეკოციმილი. შემდეგ ხმამაღლა ჩაილაპარაკა: „ჰმ! დამცინის კიდეც! გურძემიის მთავარი?“—განაგრძო კითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხომ იცი, რა გულკეთილი ქალი ვარ, და მკლავებგაშლილი დაგიხვდები“.

ეკოციმილი გოგონას შეეკითხა:

— რამდენი გინდა, ბიძია?

— ერთი მანეთი, მაგრამ პასუხს არ ინებებთ?

ეკოციმილმა თვალებში ჩახედა, გაიღიმა:

— შეხედე ამ ცუგრუმელას, რა ეშმაკი ყოფილა! პასუხი ვის მივწერო, ბიძია? თავის სახელს არ ამჟღავნებს... ვითომ არ იცი... — და კვლავ ღიმილით ჩახედა თვალებში. — თუ მეტყვი, ვინც მომწერა, კარგად დაგასაჩუქრებ...

— უჰ, არა, ბატონო! — ჩაიცინა გოგონამ, — ეს ჩვენი პროფესიონალური საიდუმლო გახლავთ...

— შენ ამას პასმატრი! — ეკოციმილმაც ჩაიცინა. — კარგი, ბიძია, კარგი. ეს ხუთი მანეთი შენ გქონდეს და... იმას კი, ვინც ეს წერილი გამოგატანა, უთხარი ჩემს მაგიერ: „ვაი შენს ტყავს, ვაი შენს ტყავს-თქო!“

გოგონა გაგოგმანდა, ეკოციმილმა ბარონესას მიაშურა:

— ხედავთ, ბარონესა რას მწამებენ? არა, ვიცი, რომ ეს ქალის წერილი არაა...

— აბა წამიკითხე.

ეკოციმილმა წაუკითხა და თან დასძინა:

— ცხადია, ეს ვიღაცა ჩვენმა ჩათუქესანმა „მიხიმანკლა“...

ბარონესას მზაკვრული აზრი მოუვიდა. უთხრა:

— ჩემი რომ იყოს ეგ წერილი?

— ვაი! — სიამოვნების ოხვრა აღმოხდა ეკოციმილს. — ეგ რომ ასე იყოს, შენ კი გენაცვალე მე!

ბარონესამ უცბად შეაბრუნა:

— მაგრამ შენ ხომ ის ხარ, ის... გახსოვს, ბერთემში ნექტარინამ რომ გიმღერა: „ვერ გენდობი კარამდის!..“

* * *

და ასეთ ხუმრობა-ლაღობაში მიმდინარეობდა კლუბის სხვა კუთხეებშიც მოსულთა „საუბარი“.

მხოლოდ ვაჭრები და მათი მეუღლეები დადიოდნენ ერთად „გაბუსუხებულნი“.

ქუთათურ ვაჭრებს ლამაზი ცოლები ჰყავდათ, მეტ წილად ღარიბი ოჯახებიდან პირდაპირ „შენასყიდი“ სხვადასხვა საჩუქრით თუ დავალებებით და თითოეული მათგანი ცდილობდა, რომ სხვებისთვის ეჯობნა თავისი ცოლის სილამაზით და მართლაც საამური სანახავები იყვნენ, მხოლოდ ერთი რამ მოგზდებოდათ თვალში: თითქმის ყველა ესენი, ვაჭრების მეუღლეები, თანდათან სუქდებოდნენ, სქელდებოდნენ და ბუნებით თანდაყოლილ ტანადობას ჰკარგავდნენ. ეტყობა, ცხოვრება ჰქონდათ ასეთი: უხვი სმა-ჭამა, დასული თვითნაყროვანებამდე, შემდეგ ძილი, ან უსაქმოდ ყოფნა, დამჯდარი ცხოვრება, რადგან იშვიათად რომ რომელიმე მათგანი მისდევდა ფიზიელ მეოჯახეობას, ამიტომაც ზანტი გამომეტყველება სხეულსა და თვალებში იყო მათი ნიშანდობლივი თვისება.

რასაკვირველია, იყვნენ მათში გამონაკლისებიც, მაგალითად, მარგალიტა არჯევანიძისა. ტანადი, აშოლტილი, კარგი მოყვანილობის და მეტად მწყაზარი სახისა, შავთვალწარბა, სურათა ცხვირისა და საოცნებო ბაგე-პირის პატრონი, ორი დიდი ყორნის ფრთისფერი მსხვილი ნაწნავი ზურგზე გადაგდებული, თვით კოჭებამდის რომ სწვდებოდა. ეს ის არჯევანიძისაა, რომელზეც ოდესღაც იტალიის განთქმულმა ტრაგიკოსმა ერნესტო როსიმ თქვა: „აი ჩემი დეზდემონაო“.

ეს იყო თქმული მაშინ, როდესაც ერნესტო როსიმ, თბილისის გასტროლების შემდეგ, ბათუმისკენ მიმავალმა ჩამოიარა სადგურ რიონზე, სადაც ქუთაი-

სის ინტელიგენცია და ქუთათური ლამაზი ქალები მას შეეგებნენ და ცნობილმა არტისტმა კოტე მესხმა თაიგული მიართვა და თავისებური მახვილობით ფრანგულად სიტყვა უთხრა.

მარგალიტა საერთოდ არ აკლდებოდა არც ერთ გამოჩენილ შეკრებულებას. მას საგანგებოდაც იწვევდნენ და ამ საღამოსაც დაესწრო. ის ჩვეულებისამებრ იპყრობდა დამსწრეთა ყურადღებას. ღებულობდა უცნობ-ნაცნობი „ჯავალრებისაგან“ სხვადასხვა ქათინაურს. პატარ-პატარა ნობათებს ტკბილეულობის სახით, შამპანურებზეც ეწვია ერთ-ორს, მაგრამ თავი მეტად ღირსეულად ეჭირა.

სხვა ვაჭრის ცოლები, ცოტა არ იყოს, შურით შესცქეროდნენ მის დამოუკიდებელ და თითქოს ამაყ საქციელს, მაგრამ ქმრები მათ ერთი ნაბიჯითაც არ იშორებდნენ და ამიტომ გულში იკლავდნენ თავიანთ სასიხარულო გრძნობათა ფრთქიალს.

დიასახლისთან მოვიდა ერთი კარგი მოყვანილობის ქალი, არც მთლად ახალგაზრდა და არც თუ მაინცდამაინც ხნიერი. ბუნებრივი ეშხი კიდევ ჰქონდა შემონახული და მოვიდა თუ არა, მაშინვე იკითხა: „სად არის ჩემი ქოხიო?“

მას ადრევე სცოდნოდა, რომ ამაღამ მკითხავად ეს უნდა ყოფილიყო, გაფრთხილებული იყო.

წაიყვანეს, დააბინავეს ქოხში და თან როკაპის სახის ნიღაბიც წინ დაუდვეს. ეს იმისათვის, რომ ქოხში შემსვლელ კლიენტებს არ ეცნოთ, თუ ვინ იყო, რადგან მეტად მახვილი ქალი იყო და, ზოგის აზრით, მოწამლული, „წანკლიანი“ ენაც ჰქონდა. ყოველგვარი აურზაურის ასარიდებლად ნიღაბი იყო საჭირო. თან ქოხსა და მკითხავს „როკაპი“ ხომ უფრო შეეფერებოდა.

მაგრამ აი, შემოვიდა ბაბო გავლენიშვილი და მას თან მოჰყვა მისი ძმისწული, მოქეიფე მიტო.

ბაბო მაშინვე გაიტაცეს ცალკე არტისტთა მისაღებ ოთახში, რომ დროზე, ხალხში გარევით არ „გაეიაფებინათ“ მისი გამოჩენა. ასე მოექცნენ საკონცერტო განყოფილების სხვა მონაწილეებსაც, რომლებიც თანდათან შემოკრბნენ ბაბოს შემდეგ.

მიტომ კი დარბაზები ჯერ ერთი აიარ-ჩაიარა, არც ერთ ნაცნობთან არ შეჩერებულა ისე, თითქოს ერთი საერთო დათვალიერება მოახდინაო და თავისი მოხდენილი სიარულით ყველას ყურადღება მიიპყრო.

თეთრი ჩოხა-ახალუხი ეცვა, წულამესტი და საცვეთებიც თეთრი სამოგვისა, თეთრი ღვედისავე ქამარი, ზედ აქაიქ ვერცხლის მოთეთრო ბალთები რომ უჯდა, ხმალ-ხანჯალიც თეთრი ტყავის ქარქაშით და სპილოს ძვლის ტარით, სპილოს ძვლისავე ქილებით ყოველივე ეს იმის ბრგე სხეულს და ლამაზ სახეპირს მეტად ამშვენებდა.

ქალებს მაინც თვალები ზედ დაურჩათ.

მიტოს გამოჩენამ თითქოს ერთგვარი უდარდელობის იერი შემოიტანა დარბაზში. მთელი მისი აღნაგობა თითქოს იმას ამბობდა, რომ ჩემთვის ცხოვრებაში ყველაფერი ნებადართულია, ყველაფერი გამიდის და არც არაფერს ვერიდები. ცხოვრების სიტკბოებას ვეწაფები მარადის და მხოლოდ სიამოვნებისათვის ვარ გაჩენილი.

მიტო თითქოს უეცრად შამპანურის ფარდულთან შეჩერდა. იმ დროს დაგმარას ჯარდა დახლთან არავინ იყო. მიტომ თითქოს დრო შეურჩიაო, მისვლისთანავე დაგმარას თვალებში შეაჩერდა:

— აბა, გრეტხენ, დამისხი შამპანური! — თითქოს დიდი სინაზით, მაგრამ შემპარავის კილოთი მიმართა დაგმარას მიტომ.

დაგმარამ შამპანური დაუსხა და ღიმილით თვალები შეანათა:

— რატომ, „გრეტხენ“?

— რატომ და... აი ამ შამპანურის ფერი შენი თვალების ფერია, გრეტხენ... და ისინიც ისე ისვრიან ცინცხლებს, როგორც შენი თვალები...

დაგმარას თითქოს მოეწონა და არც მოეწონა მიტოს ლაპარაკი. ამ „შენ“, „შენმა“ ხომ დიდად გააკვირვა: საიდან? როგორ? გაცნობილიც კი არ არის ჯერ...

მიტომ ცოტა შესვა, შემდეგ წარმოთქვა:

— შენ, ქალო, ლოცვანი უნდა გეჭიროს ხელში... ოო, როგორ გაგიტაცებდი მაგ ლოცვანთან ერთად...

დაგმარა შინაგანად აწრიალდა, ასე თამამად მისთვის ჯერ არავის არ მიუმართავს... ძლივს გაიკვირვა ხმამაღლა:

— რეებს ლაპარაკობთ? რატომ „ლოცვანი?“

— გრეტხენი არ გახსოვთ ფაუსტში?

ამ დროს მოვიდნენ დახლთან სხვა ქალებიც და ყველა შეეცადა, რომ მიტოსათვის რაიმე შეეთავაზებინა. უნდოდათ მიტოს ცქერითაც დამტკბარიყვნენ და თან მისთვის ფულიც დაეხარჯვინებინათ.

დაგმარა კი რაღაც უცნაურმა გრძნობამ მოიცვა. ვერ აეხსნა, რა იყო. დიდი შთაბეჭდილება კი დატოვა მიტოს სულ სხვანაირმა, მოურიდებელმა ლაპარაკმა და უმთავრესად კი მთელმა მისმა აღნაგობამ. აღნაგობამ? ჰო, რა არის აქ საკვირველი! პირველად ნახა ასეთი ყმაწვილი კაცი და... საოცარი! თითქოს გულმა დიდი სიძლიერით მისკენ გასწია. რა არის? თავბრუ დაეხვა? რისგან? მიტოს ნალაპარაკევისაგან? ან რა იყო მის სიტყვებში უცნაური? ის რომ გრეტხენს შეადარა? ეს ბევრი არაფერია, მაგრამ ჰო... აი „გაგიტაცებდიო“, რომ თქვა... მერე რა უბრალოდ, თითქოს ეს ორივესათვის არაფერი უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო... იმან უბრალოდ თქვა, მაგრამ რად არის, რომ ეს სიტყვა „გაგიტაცებდი“ ახლაც „ეღვივის“ დაგმარას მარტო ყურში კი არა, სადღაც, უფრო ღრმად, მთელს მის არსებაში.

გაახსენდა ხვითო. ის უფრო მოურიდებლად არ ელაპარაკება თავის სიყვარულზე? აკი ხვითოს „გრძნობების გადმოძლაც“ გუნებას უცვლის ხოლმე დაგმარას. დღეს კიდევ... რა უცნაურია ეს დღე დაგმარასათვის! ვოლკოვი ხომ მოვიდა მისი „ხელის სათხოვნად“, ამაზე დედამისმა, ბარონესამ ვოლკოვს ზრდილობიანი, მაგრამ ცივი უარი უთხრა და ვოლკოვიც გაწბილებული წავიდა მათგან. ეს ერთი. შემდეგ, ბარონესამ უკვე პირდაპირ გაუმჟღავნა თავისი სურვილი დაგმარას, რომ ის კმაყოფილი იქნებოდა, თუ დაგმარა ხვითოს გაჰყვებოდა და... დაგმარაც ამისთვის თითქოს შინაგანად შეემზადა. ხვითო უთუოდ არ დააყოვნებს თავისი მორიგი „სიყვარულის ახსნას“ და დაგმარაც სიტყვას მისცემს, რომ მას გაჰყვება... მაგრამ ახლა რა მოხდა რა? მოვიდა უცნობი კაცი, კნიაზ მიტო გავლენიშვილი და... სრულად გამოეცვალა გუნება... ხეირიანად ვერც კი იცნობს, იცის რომ ქართველი თავადია, ბაბო გავლენიშვილის ძმისწული, მაგრამ ეს ხომ ბევრი არაფრის მთქმელია... ერთია ცხადი: ხვითოს მიტო სჯობს. რატომ? რისთვის? ვითომ რა? უკვე მოვიდა დაგმარას ზღაპრული პრინცი?.. არა, ნამდვილად თავბრუ ეხვევა...

ჩამოჯდა სკამზე დახლის შიგნით და ვაჭრობა სხვა ქალებს მიანება.

*
* *

იმავე დროს ხალხში გაისმა: „გუბერნატორი მობრძანდა, გუბერნატორიო!“ და მაშინვე მას მიეგებნენ გუბერნიის მარშალი თავისი მეუღლითურთ, სხვა საპატიო პირები და დიდ დარბაზში გაუძღვნენ საკონცერტო განყოფილების მოსასმენად. ხალხიც ჩამოლაგდა და სცენის ფარდაც აიხადა.

სლავსკიმ რუსი პოლკოვნიკის მოხდენილ სცენის მოყვარე ცოლთან ერთად

ჩეხოვის „დათვი“ გაითამაშა და ხალხთან ერთად გუბერნატორიც ძალზე აცინა.

ამის შემდეგ, პატარა ანტრაქტის დროს, გუბერნატორმა ყველა ფარდულები ჩაძოიარა და თავისი ნივთიერი წვლილი ყველგან გაიღო, მხოლოდ ძკითხავის ქოხძი არ ძესულა. მოიძიხეზა: „ქოხის წინ ხალხი რიგძი დგას და ხელს არ შევუშლიო“. ისე კი გარეშე მყოფნი მიხვდხენ, რომ ძკითხავთან ძესვლა აირიდა, ისიც კი წაიჩურჩულეს — გუბერნატორი უთუოდ ფიქრობს: „ვაითუ მკითხავმა რაიმე გაბედული მითხრას, მას შეიძლება პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდესო. ამის ნებას კი „ქოხის მკითხავს“ თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა აძლევსო“, და უთუოდ ამიტომ არ შევიდა.

სცენაზე კი, პროგრამის თანახმად, მორიგისით გამოვიდნენ მომღერლები და დეკლამატორები, გავლენიშვილის ქალიც, რომელსაც სხვა თაიგულებს შორის ვამეხის გამოგზავნილიც მიუვიდა. ბოლოს ჯერი მიდგა ადგილობრივ ხოროს გამოსვლაზე და სწორედ მათი ნომრების შესრულების დროს, უკვე ღამის 12 საათი იყო, რომ დარბაზის დერეფანში მოისმა ხმამაღალი და ცხარე ლაპარაკი.

ბევრმა დარბაზიდან გამოიხედა. იცნეს, რომ ცხარე მოლაპარაკე ერთი თავმომწონე იმერელი, თავადი ჩიჯავაძე იყო. მას გარს ეხვია რამდენიმე მსმენელი. თავადი კი შფოთავდა და ბორგავდა.

— ეს ვერ მომითმენია, ვერა! აი ახლა მოვდივარ ქართული წარმოდგენიდან, სადაც ლადო მესხიშვილმა ერთი საშინელი პიესა დაგვიდგა: „კაი გრაკხი“. ვითომ ძველი დროის ამბავია, რომაელთა ცხოვრებიდან, და მერე რა გვიჩვენა: პრივილეგიური წოდების ლანძღვა-გინება და იმის ქადაგება, რომ არისტოკრატიას ჩამოერთვას მათი ქონება. მიწაწყალი და პლებეებს გადაურიგდეს. არა, თქვენ წარმოიდგინეთ! — თანდათან ხმას უმაღლებდა ძძფოთავი კნიაზი და ეს ხძაძალალი ლაპარაკი ყვირილში გადაუდიოდა.

ამ ყვირილმა კი დარბაზამდისაც მიაღწია და იქიდანაც ბევრი გამოვიდა ამბის გასაგებად. გუბერნატორიც კი შეშფოთდა და თავისთან მიიხმო თავისი ამალიდან ერთი, მისთვის უფრო სანდო, საგანგებო მინდობილებათა მოხელე და უბრძანა, გაეგო, თუ რა ხდებოდა დერეფანში. მოხელე რომ გამოვიდა, დაინახა, რომ ჩიჯავაძის გარშემო კარგა ბლომად ხალხი შეკუჩებულიყო და ის კი გაჰყვიროდა:

— არ ვიცი სწორედ, რას უყურებს ჩვენი ადმინისტრაცია?! პატრონი არა გვყავს და ის არის!

მოხელემ ჩიჯავაძეს თავაზიანად მიმართა და იმანაც ახლა უფრო ხმადაბლა — ეს მერამდენჯერ, — რადგან ყოველი ახალი მოსული ეძიებდა მის აღშფოთების მიზეზს, უპასუხა, რომ წარმოდგენის დროს თეატრში ჩაქრა სინათლე და რომ განათდა, დარბაზი პროკლამაციებით იყო მოფენილი, ამავე დროს, ვითომდა ხალხის დასამშვიდებლად სცენაზე გამოვიდა მესხიშვილი, წარმოთქვა ცხარე სიტყვა მთავრობის წინააღმდეგ და ხალხს მოუწოდა აჯანყებისაკენ. ამაზე ხალხმა უპასუხა მარსელიეზის სიმღერით და ასეთი დემონსტრაციით დასრულდა წარმოდგენა.

— არა, მე ეს მიკვირს, რას უყურებს ადმინისტრაცია. აგერ ჩვენ ცენტრში გვყოლია მოღალატე და ქვეყნის დამჭცევი...

— ვინ, ვინ? — კითხულობდენ ახლად შემომატებულები.

ჩიჯავაძე კი ყველა ამათ უსახელებდა:

— ვინა და ჩვენი „საყვარელი და ნიჭიერი“ ლადო მესხიშვილი.

— უჰ, უჰ! აჰ! ეგ შეუძლებელია! — მოისმოდა რეპლიკები. ქალებიც უმატებდნენ:

— Не может быть! Наш душка Месхиев? [1]

— საქმე კიდევ ის არის, რომ, — განაგრძობდა ჩიჯავაძე, — ეგ მესხიშვილი, ყველას გახსოვთ, რა ავადაც იყო, ჩვენ თავად-აზნაურობამ მოვუგროვეთ ფული, გავგზავნეთ საზღვარგარეთ სამკურნალოდ, მოვარჩინეთ, ახლა დაბრუნდა და აქ ხალხს გვიბუნტებს.

ამაზე კიდევ ატყდა შეკვირვება, პროტესტი და ერთი რუზრუზი.

ეტყობა, გუბერნატორმა ვერ მოითმინა და თვითონ გამოვიდა ამბის გასაგებად. მას თან მოსდევდა ჟანდარმის პოლკოვნიკი, გაიძვერობით და სისასტიკით განთქმული რუნიჩი.

ამათ გამოჩენაზე ხალხი ჩაჩუმდა. გუბერნატორს კი ეახლა მისი გამოგზავნილი მოხელე და მოკლედ, ორი სიტყვით მოახსენა, რაც მოხდარიყო დღეს თეატრში. გუბერნატორმა მაშინვე პოლიცმეისტერი მოიკითხა. ის ბუფეტში მჯდარიყო და დაბარებისთანავე მოძუნძულდა თავის უფროსთან.

— რა უმსგავსობაა! ეს რა მომხდარა თეატრში? — პოლიცმეისტერის დანახვაზე დაიყვირა გუბერნატორმა.

— მე... მე... — დაიბნა პოლიცმეისტერი, — იქ არ გახლდით, თქვენო აღმატებულებავ!

— გეტყობათ, სადაც იმყოფებოდით! — და გუბერნატორმა ჩახედა პოლიცმეისტერს ღვინისაგან კარგა ჩაწითლებულ სახეს. შემდეგ უბრძანა: — წამომყევით!..

მოძებნა საღამოს დიასახლისი, ბოდიში მოიხადა, რომ სამსახურის საქმეების გამო უთუოდ უნდა წავიდეს და გუბერნატორი ჟანდარმის პოლკოვნიკის თანხლებით გავიდა დარბაზიდან. მათ მისდევდა პოლიცმეისტერი და საგანგებო საქმეთა მოხელე უბნის ზედამხედველები კი შესავალ კარებში გამოეჭიმნენ წამსვლელებს.

ჩიჯავაძის მიერ მოტანილმა ამბავმა ააფორიაქა კლუბში მყოფი საზოგადოება, ჯგუფ-ჯგუფად და კუთხე-კუთხე, ჩვეულებისამებრ, ზოგი ცხარედ, ზოგიც დარბაისლურად არჩევდა და კომენტარიებს უკეთებდა თეატრში მომხდარ ინცინდენტს. ზოგს კიდევ მესხიშვილის „ბედი“ აინტერესებდა. დღევანდელი საქციელისათვის ხომ არ დასჯის მთავრობაო...ასე რომ, საღამოს დიასახლისს დიდი ტაქტი და გამჭრიახობა დასჭირდა, რომ საღამოს მსვლელობა კვლავ კალაპოტში ჩაეყენებინა და საგანგებოდ მოწვეულ კურინის პოლკის სასულე ორკესტრს დააკვრევინა. მხოლოდ ცეკვას კიდევ არ იწყებდა, რადგან კიდევ მოელოდა ერთ ვისმე, რომ მას პოლონეზით გაეხსნა საღამო.

ამასობაში თეატრიდანაც წამოსულები შემოემატნენ კლუბში მყოფთ და ამან კიდევ უფრო გააცხოველა სჯა-ბაასი და მითქმა-მოთქმა თეატრში მომხდარ ამბების გარშემო. აქ მოსულიყო ვამეხიც, მოეძებნა ბაბო გავლენიშვილი და თვალებმგზნებარე ისიც ნახულზე უამბობდა. ის აღტაცებული იყო ხალხის დემონსტრაციით, მესხიშვილის საქციელით, „მარსელიეზის“ სიმღერით, მაგრამ ამას ცალკე, ჩუმად უზიარებდა ბაბოს. ბაბოსაც ეტყობოდა, თანაუგრძნობდა და ორივენი ისე გამოიყურებოდნენ, როგორადაც ახალგაზრდა შეყვარებულები, რომელთაც, გარდა თავიანთი პირადი სიყვარულისა, სხვა რაღაც დიდი საგანიც აქვთ „შეთქმულებისა“.

აქ მოვიდნენ აგრეთვე კვიზინია, ბარამი და თოლისქვამი.

კვიზინიას მაშინვე ხელი დაავლო ბარონესამ და ფარდულები შემოატარა, კვიზინიამაც ბარონესას ხათრით დარდიმანდობა გამოიჩინა და კარგა ძალი გაიღო ფარდულებში. ბარამი მივიდა ჩაის ფარდულთან; თან მოისვა თოლისქვამი და შეექცა ჩაის.

[1] შეუძლებელია! ჩვენი „დუშკა“ მესხიევი?

*
* *

თოლისქვამი კი ისევ და ისევ გაოგნებული იყო. ასეთი მდგომარეობა ხომ ამ ბოლო ხანებში დასჩემდა, როდესაც „დაღრჩობის“ შემდეგ გადაწყვიტა ნექტარინას დამორჩილებოდა ყველაფერში და თავისი საკუთარი ნებისყოფა უკუეგდო... დავეხმარები, რითაც შემიძლია აკი აგრეც მოიქცა: თავისთავი დაანიშვნინა ნექტარინას ბრძანებით კვიზინიას, ახლა აგერ ყოველდღე დაჰყვება ნექტარინას ქუთაისის მაღაზიებში და მზითევს იმზადებს, ზოგჯერ სეირნობს ფაიტონით ბარონესასთან ერთად ქუთასის ლამაზ გარეუბნებში, ხედავს ირგვლივ საუცხოო ხალხს, ქალსა და კაცს, ზოგი რამ მოსწონს კიდეც თითქოს, ზოგიც თითქოს მას გულს არ ეკარება, მაგრამ საერთოდ მაინც გული ჩახშულია და თითქოს ამ ქვეყნად აღარ არის, ამას ამჩნევენ „ჟირისუფლები“, მაგრამ ხელს არ უშლიან — ქმარი და ოჯახი თავისას გაიტანს და თოლისქვამისაგან საზოგადოების ერთ კარგ წევრს შექმნისო, ფიქრობენ. ერთი რამ საკვირველი დასჩემდა ქუთაისში თოლისქვამს: დიდად ეტანება თეატრს, როცა კი ამის საშუალება ეძლევა და იმავ დროს გულმოდგინედ ესწრება ყველა წირვა-ლოცვას ქუთაისის სობოროში. აქაური მღვდელ-მსახურება სრულებით არა ჰგავს სოფ. ბერთემში მამა თედორეს ფუსფუსს ნექტარინას კარის ეკლესიის ვიწრო ტაძარში. აქ რა ფართოა საყდარი, რა ხატებია, რა კანდელები, ან რა მოხატულია ყველა კედლები ეკლესიისა! რა იცის თოლისქვამმა, რომ ყველა ამ კედლის მხატვრობა შენაქმია საქართველოს მხატვრებში ერთი საუკეთესო ოსტატის, რეალისტის მრევლიშვილისაგან. თოლისქვამისთვის თითქოს იოლი გასაგებია ყველა იქ მოხატულის შინაარსი და... შეუყვარდა მათი დათვალიერება. ან რა ძვირფასი სამოსელი აცვიათ აქაურ მღვდელ-მსახურებს, ან რამდენია, განსაკუთრებით მამინ, როდესაც ეპისკოპოსი წირავს. ან რა გალობაა, ან რამდენი არიან მგალობლები. მართალია, სოფ. ბერთემშიაც იშვიათად, მაგრამ მაინც თოლისქვამისათვის მეტად მოსაწონად გალობენ — ბარამი, ბეგი, ბათუ, მაინცდამაინც აქაურები სჯობნიან — მათი გალობა უფრო ძლიერია, უფრო მრავალხმოვანი და... შეხმატკბილებული. ახლა საკმეველის კმევა სხვადასხვა, ახალგაზრდა „ხუცებისაგან“ — ასე ეძახის თავის გულში თოლისქვამი იპოდიაკონებს — რა საუცხოო სურნელების შემქმნელია, ან ეპისკოპოსის შემოსვა, შემდეგ მისი საკურთხევლიდან ხანგამოშვებით გამოსვლა, ქვეშ რომ რაღაც ბალიშის მაგვარს დაუდებენ და ის კიდევ ანთებული სანთლებით ჯვარს რომ სახავს ხალხს რა „დიდებული“ სანახავია. მაგრამ ყველაზე უფრო მოსწონს თოლისქვამს ჭარმაგი მოხუცი, მწყაზარი სახის მთავარდიაკონი შარაბიძე. მისი მოღუღუნე ხმა, მისი „ასამაღლებლები“, როდესაც გეგონებათ, ყვირისო, მაგრამ ყურს კი არ „გაგიჭექავთ“, არამედ საამურად ჩაგესმით. და აი — ორი სათაყვანო გაუჩნდა თოლისქვამს ქუთაისში: ერთი ეკლესიაში — შარაბიძე, მეორე თეატრში — ლადო მესხიშვილი. ეს სულ სხვა საზღაპრო ამბავია, წარმტაცი, დამტყვევებელი. რამდენჯერმე დაესწრო თოლისქვამი წარმოდგენებს და პირდაპირ მოიხიბლა. განსაკუთრებით მას მოეწონა „ურიელ აკოსტა“. მესხიშვილი ამ როლში საუცხოო ვაჟკაცია, ორმაგად რომ იტანჯება — ცალკე ივდითისადმი სიყვარულით, რადგან მის სატრფოს სხვაზე ათხოვებენ, ცალკე იმ გარემოებით, რომ მისი დედის და ძმების სიბრალულით თავის ღრმა რწმენაზე უარი უნდა თქვას. ამას ყველაფერს მიხვდა თოლისქვამი, მაგრამ ერთი ადგილი პიესიდან მისთვის დაუვიწყარი შეიქნა. როდესაც სასოწარკვეთი-

ლი ურიელი წამოიძახებს მხოლოდ ერთ სახელს: „ივდით, ივდით!“ ეს ისეთის სინაზით არის ნათქვამი, იმდენი სიყვარულია შიგ ჩაქსოვილი, რომ თოლისქვამს პირველად ეგონა — ეს ძახილი მე შემეხება, ჩემს საყვარელს აი როგორ ვყვარებივარო, და ამ მოწოდებამ მთელ ტანში ელექტრონივით დაუარა.

„ჩემი საყვარელი? ტაია?“ ამ დროს ერთხელ კიდევ გაიხსენა თოლისქვამმა და, თითქოს გული მოუკვდაო, სულ „ჩაიფუფქა“.

ახლა კი კლუბში ზის ბარამთან ერთად ჩაის ფარდულთან და გარეგნულად თითქოს სრულიად გაოგნებულია, მხოლოდ შინაგან კი თავში ათასი აზრი უფათურებს.

რა ლამაზი იყო დღეს მესხიშვილი! ეს არ ჰგავდა ურიელს. კაი გრაკხი — მესხიშვილი წვერ-ულვაშგაპარსულია. თოლისქვამმა გაიგო, რომ რომში ასეთი ჩვეულება ყოფილა, მაგრამ მაინც რა მშვენების ვაჟკაცია ლადო გრაკხი! მხოლოდ მთავარი კი ის იყო, როდესაც მესხიშვილი სინათლის ჩაბნელების შემდეგ სცენის ფარდის წინ გამოვიდა და თავისი სიტყვით ალაპარაკდა. ამასაც მიხვდა თოლისქვამი. ო, როგორ ცეცხლს აფრქვევდნენ მესხიშვილის ჯადოსნური თვალები... შემდეგ ხალხის ვაშა, მარსელიეზა!.. არა, მთელი ხალხი უნდა აღდგეს უთუოდ მტარვალების დასამხობად! ეს აზრი თითქოს უკვე ძვალ-რბილში უჯდება თოლისქვამს. მის უშუალო ბუნებას თითქოს ფართოდ თვალთ ეხილება რაღაც დიდ საგანზე.

ჰოო, ამაზე მწერდა უთუოდ ტაია თავის უკანასკნელ წერილში: „მე დიდი საქმე გამიჩნდა“ — თოლისქვამმა უკვე შეიტყო, რომ ტაია ჩაბმულია ხალხის სასიკეთო საქმეში. — მას ძრახავენ, წყევლიან კიდეც, უფრო ნექტარინა, მაგრამ ტაია მართალი უნდა იყოს. აი კაი გრაკხი ამას გვიმტკიცებდა... წერილში ესეც ეწერა: „შენცო, თოლისქვამ, ეცადე, ხალხს ემსახუროო“, თუ როგორღაც. აი ნამდვილი! მეც, მეც, ტაია, მეც შენი გზით ვიარ ხალხის სამსახურად. მხოლოდ როგორ? ახლა რომ ვთხოვდები, ვაჭრის ცოლი ვხდები? ჩემს ქმარს ხომ ვერ გავუზიარებ ჩემი მიდრეკილების ხასიათს. ის ვერც გამიგებს უთუოდ, ის სულ სხვა აზრის კაცია. შეიძლება ხელიც შემიშალოს. მაშინ ეკლესია, საყდარი! ფოთშიაც ხომ ყოფილა ეპისკოპოსი! მას გავენდობი, ის მანუგეშებს და... ან განა მე რას ვიზამ ისეთს?.. დავეხმარები რითაც შემიძლიან ტაიასთანა ახალგაზრდებს ფულით, პოლიციასთან გამოსარჩლებით, თუ კი ეს საჭირო იქნება... მე ხომ ცოტა გავლენა მექნება ფოთში, როგორც ერთ შეძლებულ ვაჭრის ცოლს... ცხადია!.. და... ასეც მოვიქცევი. მერმე ე! ხელმწიფის წინააღმდეგ საქმე რომ იქნება? ხელმწიფის და ღმერთის? არა, ვიცი, რომ ქრისტე მუდამ მდაბიო ხალხისკენ იყო, და ჩაგრულებს თანაუგრძნობდა. მაშასადამე, ეკლესია შეივრდომებს ჩემს საქციელს...

ეს წუთი მუდამ დაუვიწყარი დარჩა თოლისქვამს მთელ თავის ცხოვრებაში. როდესაც ამ წუთს იხსენებდა, გაელიმებოდა: ჩემი ცხოვრების პროგრამა იმ ღამეს შემიმუშავდა. სიტყვა „პროგრამა“, ხომ შემდეგში კარგად შეითვისა მისმა გონებამ. სინამდვილეში ის მართლა დარჩა, ერთი მხრივ, ღვთის მორწმუნედ და, მეორე მხრივ, რევოლუციონერთა თავის შეძლებისამებრ მფარველად და მოქომაგედ.

ასე რომ, ეს ერთიმეორის შეურიგებელი მდგომარეობა მან თავის გუნებაში თავისებურად შეარიგა.

ბარამი წამოდგა და თოლისქვამი შამპანურის ფარდულისაკენ წაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ამასობაში, ვისაც მოელოდა მარშლის მეუღლე, ის მოვიდა. ეს იყო გიორგი შარვაშიძე. აფხაზეთის მთავრის ყოფილი მემკვიდრე, ხელმწიფის მთავრობისგან შერისხული, მაგრამ ხალხში მაინც პოპულარულად მიჩნეული ინტელიგენტი მასთან ერთად დიასახლისმა პოლონეზით რიტმულად გაისეირნა მუსიკის ხმაზე დიდ დარბაზში და ამის შემდეგ ყველასათვის, ვისაც კი შეეძლო, გაიხსენა ცეკვის ალო. ვალსი მაზურკამ შესცვალა, მაზურკა კოტილიონმა და აქა-იქ გაჩაღდა ქუთაისში ახლად შემოსული პადესპანი და ტანგო. მიტო გავლენიშვილი სული და გული იყო ამ ცეკვებისა, მხოლოდ, როდესაც დაგმარაც ვალსში რამდენჯერმე შემოატრიალა და მკერდზე მიხუტებულს რაღაც ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვები ჩააწვეთა, ვითომ აქ არაფერიაო, პატივისცემით მიიყვანა შამპანურის ფარდულთან და თვითონ გატრიალდა და მკითხავის ქოხში შეძვრა.

როკაპის ნიღაბადებულმა „მკითხავმა“ მიაძახა: „ოო, კნიაზ მიტო, ჯერ ნუ შამოხვალთ“, რადგან მის წინ ერთი ქართულად თავდახურული ვაჭრის ცოლი ეჯდა, მაგრამ მიტოს შემოსვლაზე ეს ქალი წამოდგა, „მკითხავს“ უთხრა— კიდევ შემოვალო, და გაჭარხლებული გავიდა ქოხიდან.

„მკითხავმა“ ნიღაბი მოიხადა.

— შენთან აღარ მჭირდება ეს „როკაპი“. ხომ, მიტო?

— ჩემთან, რასაკვირველია, არ გჭირდება, ატატო-ბატონო. — უპასუხა მიტომ. — ჩემთან დამალვა რად გინდა, მხოლოდ მე ახლა აქ სამკითხაოდ მოვსულვარ. შენი დახმარება მჭირდება ძალზე და ამის სათხოვრად შემოვედი.

— ვაი, შენ დაგენაცვლოს ატატოს თავი, თუკი რამე შემიძლია, შენთვის თავს არ დავზოგავ!

— ჰოდა, გამიკეთე, მაგრამ... ეს ქალი, ახლა რომ გავიდა, რატომ გაგიჭარხლებია ასე?

— ჰა, ჰა, — მზაკვრულად ჩაიცინა ატატომ. — ეს მისი საიდუმლოა, მაგრამ ჩემზე ხომ ამბობენ: პირზე არაფერი დაადგებაო, ეს არაა მთლად მართალი, მაგრამ შენ გეტყვი...

— ჰო, ჰო! საინტერესოა! ლამაზი ქალია ვიღაცაა...

— ერთი აქაური ვაჭრის ცოლია და ფუხული შეყვარებია.

— ვინ ფუხული?

— დადიანი და... უჭირს საწყალს. ქმარი ერთი ჯირკივით კაცია, მაგრამ მაინც ვერ მოუხერხებია მისი გაცურება და... ახლა დრო შემირჩია და მე მომმართა...

— ოო, შენ ხომ, ატატო-ბატონო, ყველას მამიდა ხარ... მაგრამ შენ ამ ქოხში ამისთანა საქმეებს არიგებ თუ მკითხაობ?

— ვაი, შენ კი დაგენაცვლოს ჩემი თავი... რასაკვირველია, მე ვმკითხაობ, რაც შემიძლია... აი ხომ ხედავ, აგერ ლობიო, აგერ კარტი, ხან ამითი ვატყუებ ხალხს და ხან ამითი, მაგრამ ეგ კი... გამოვტეხე.

მიტოს გაეცინა.

— მე კი რატომ არ გამომტეხ?

— რომ არ მეუბნები? მითხარი, გენაცვალე, რა გიჭირს.

მიტომ უხუმრო სახე მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაგმარა უნდა მოვიტაცო, ატატო! ატატო, თითქოს რაღამაც უკბინაო, ერთი კი შეხტა და შემდეგ ეს წარმოთქვა მხოლოდ:

— არ გადამრიო!

— გადარევა რად გინდა, ეს გადაწყვეტილია... დაგმარა რომ ჩემი არ იქნეს, თავს მოვიკლავ...

— უიმე, უიმე, შე გიჟო, შენა! დაგმარა ხომ ანგელოზია!

მიტომ ბოროტად ჩაიცინა.

— ჰოდა, ანგელოზს უნდა გახედნა, თორემ, ნუ მიწყენ და, შენისთანა ტარტაროზს რად უნდა ჭკუის სწავლება!

— უი, წყეული, წყეული, მაგრამ, ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი! ეს რა განუზრახავს ამ თავზე ხელაღებულს... — და მარცხენა ხელი მომღიმარემ მიტოს ლოყაში ნაზად გაარტყა.

— მირტყი, რამდენიც გინდა, — ახლა უბრალოდ იცინოდა მიტო, — დაგმარას კი ამაღამვე ნამდვილად გავიტაცებ.

— რატომ, ბიჭო, რა გაგიჭირდა... შეძლებული თავადი ხარ, შენ ქალს ვინ დაგიკავებს, დაგმარას დედას, ბარონესას სთხოვე და უარს არ გეტყვის...

— ვთხოვო რა, სულელი მნახე? ცოლად კი არ მინდა!

— უიმე, უიმე! შეხედე ამ ურჯულოს... მე ნუ მეტყვი, გენაცვალე, მე ნუ მეტყვი მაგას...

— გეტყვი კი არა, უნდა დამეხმარო... ამას აღარ უნდა ბევრი ჩიჩინი... ხომ იცი, მე რა პატივისცემაც შემიძლია, თუ არა და... სხვა შენი ცოდვების გარდა...გაიხსენე უკანასკნელი ფოსტის გაძარცვის ამბავი...

ატატომ თავის გუნებაში შეიცხადა:

— დიდა, დიდა, დიდა! ესეც კი ცოდნია ამ წყეულს...

მიტო დაუზოგავად განაგრძობდა:

— შემთხვევით რომ გადარჩი... შენ კვალს რომ ვერ მოაგნეს... დაგასმენ და ხვალვე კუტუსკაში ამოგაყოფინებ თავს...

ეტყობა, ატატოს ბევრი ჰქონდა რაღაც ნაცოდვარი და ფოსტის ხსენებაზე ხომ სულ მოიკრუნჩხა, ფოსტის გამძარცველებს ერთ დროს მართლა ეხმარებოდა, თავისთან შეინახა ავაზაკების „ნადავლი“ და თვითონაც კარგად ჩამორჩა. მიტოსგან ამის შეხსენებამ მეტად ცუდ გუნებაზე დააყენა, სხვა ვერაფერი მოახერხა და თავი მოისაწყლა:

— მიტო, გენაცვალე, რა შემიძლია მე უბედურს, რითი უნდა დაგეხმარო?..

— რითი და ახლავე წახვალ მაღლაკს, ბიძაშენთან და დაგმარას მოსასვენებლად ყველაფერს მომიმზადებ. ფაიტონს მე გიშოვი, აგერ ფულიც, — და წინ დაუყარა ოქროს თუმნიანები, — ეს ისე, სახარჯოდ, დანარჩენი შენი პატივისცემა მე ვიცი...

ოქროების დანახვაზე თვალები გაუფაციცდა ატატოს, მაგრამ წუწუნი მაინც ვერ მიატოვა.

— ოჰ, მიტო,მიტო! რა გიჟი ხარ! რა გიჟი! არ შედგომიხარ კაი საქმეს, გენაცვალოს ჩემი თავი! ცოლად რომ ირთავდე, კიდევ ჰო...

მიტომ გააწყვეტინა:

— ეგ შენი საქმე არ არის. მე რაც გითხარი, ის უნდა გააკეთო. ახლავე წახვალ მაღლაკს...

— შენ მე დამღუპავ, ბიჭო. თუ გამიგეს, რომ ხელს გიწყობდი... დაგმარას ნათესაობა, თვითონ ბარონესა; ქალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგზე ხელი უწვდება... რას ამბობ, რას? მე ხომ დამღუპავ, დამღუპავ, მაგრამ თავსაც იღუპავ...

— არც ეგ არის შენი საქმე! შენ კი რაზე დაიღუპები. ამაღამ წახვალ ბალიდან შეუმჩნევლად და ხვალ დილით კი ისევე სახლში იქნები, ვინ რას გაგიგებს. კარგი ახლა, ატატო ბატონო, ამისთანები მოგიქმედია?!

— კარგი, მიტო, ვთქვათ, დავთანხმდი, ახლა წასვლა მაინც ხომ არ შეიძლება! ამ ქოხს ხომ ვახშმობამდე ვერ მივატოვებ. გაპარვას ხომ შემამჩნევენ... ვახშამზეც რომ არ ვიქნები, ესეც უხერხულია.

— არა, ატატო, შენი ჭირიმე, ვინ გეუბნება, რომ ახლავე დატოვო ეს შენი ქოხი? დრომდი იყავი, მოითავე ყველაფერი და... შენი ჭირიმე, შენი—თან თავი მიაყრდნო ატატოს გულმკერდს, ლოყაზე ხელით მოეფერა და უეცრად თავი მოუდრიკა და ტუჩებში მადიანად აკოცა.

ამითი დასრულდა მათი შეთქმულების „პროგრამა“. გადაწყდა, რომ ატატო თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ გასწევდა მაღლაკს, თავის ბიძასთან და ვახშმის შემდეგ მას დაედევნებოდნენ მიტო და დაგმარა კარაბახის ეტლით.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

საახალწლო

★

სარკმლიდან ქუჩამ ეს რა სხივი შემოგვაპარა, —
ჰოი, მოსულა, მოფრენილა ახალი წელი.
მომყევით გუნდად, დღეს ხომ თქვენი თოვლის პაპა ვარ,
გულმკერდზე თეთრად დაფენილი ქათქათა წვერით.

მომყევით გუნდად, მივეგებოთ ახალ წელს ლხენით,
ამ ნაძვის ხემაც ამჯობინა ჩვენთან ეხარა.
როგორ მორთულა! დავუაროთ, მომეცით ხელი,
თქვენ შემოგხარით ჩემი გული, ჩემი ქვეყანა.

ვარსკვლავებიან ცის თაღივით მაღლდება ჭერი,
რომ დაიტიოს სიხარული, სიტკბო ულევი.
ახალგაზრდებო, მეც გავხსენი ხურჯინი ჭრელი
და გასაჩუქრებთ, გასაჩუქრებთ ტკბილეულებით.

ვარ თეთრთმიანი თოვლის პაპა თქვენ შორის ერთი,
თქვენი სილაღე, ჩემი ხალხის ღონე მამღერებს.
ზვალ არ მექნება, არ მექნება თმა-წვერი თეთრი,
დღეს ვხუმრობ ასე, თორემ მართლა რა დამაბერებს!

რა დამაბერებს ჩემს მიწაზე, ჩემს ქვეყანაში,
სადაც სიმღერა ლაღი არის, შრომაც წარმტაცი.
ვიმღეროთ, კარგნო, მიყვარს ხმებთან ხმების თამაში,
დროზე ბავშვი ვარ, დროზე პაპა, დროზე ვაჟკაცი.

ახლა ქუჩებიც, მოედნებიც ფერხულს უვლიან,
ვიმღეროთ ისევ, დრომ სალხენად ერთად შეგვყარა.
ვიმღეროთ, კარგნო, ჩვენს ლხენაში ხალხის გულია
და ხალხთა ძმობის დიდი მეკვლე ჩვენი ქვეყანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

გზაში

★

მიყვარს შემოდგომის
მოალერსე დარი,
შორი გზაც რომ მქონდეს,
მაინც არ ვიჩქარი.

მკვირცხლ მდინარის გაღმა
მე და თანამგზავრი
გავედით,
სად აღმართს
მიჰყვებოდა ზვარი.

მივდიოდით წყნარად,
ხვეულ ბილიკებით,
გზებზე წარამარა
წყარო ლიკლიკებდა.

იტაცებდა მზერას
ნაკადულის ქაფი,
შორს მოჩანდა ცერად
უყი განაკაფი.

ჩვენ ვხედავდით სერზე
გადმოკიდულ სახლებს,
აკაციის მესერს,
ბაღებს ახალ-ახლებს.

შემოგვესმა უცებ
ბათქი საოცარი,
თითქოს სოფელს უტევს
მტრის მრისხანე ჯარი.

„თითქოს იგი ომს ჰგავს,
არ გეგონოთ ომი,
აქ სოფელს გზა გაჰყავს
მამაცური შრომით!“ —

თანამგზავრმა ღიმით
ამახედა აღმა,
დამანახა, ქიმი
რომ მოჰგლიჯა ნაღმმა.

გზა მიიწევს ტყისკენ,
ღელე მოდის აქეთ;
ჩვენ შევჩერდით მყისვე,
როცა ავივაკეთ.

უმალ მზერას ვავლებთ
ირგვლივ არემარეს,
ვხედავთ კაცებს, ქალებს,
თოხებს, ნიჩბებს, ბარებს.

გამოსულა სოფლის
პატარა და დიდი,
რომ აკეთონ ოფლით
თავის გზა და ხიდი.

გამოსულან რწმენით,
შეგნებით და ნდომით,
რომ ქვეყანა ჩვენი
აღორძინდეს შრომით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ მაისურაძე

შემოდგომაზე

მოთხრობა

★

I

ცისფერი „პობედა“ კოწახურას ორღობეში შეიჭრა. ნაგვალევ მიწაზე სქლად დადებული მტვერი ჰაერში აიტაცა და ასკილისა და მაყვლის ღობეებს მიაფრქვია.

მოპირდაპირე მხრიდან ურემი მოდიოდა. კოფოზე ჩამომჯდარი მეურმე სახრეს ხან ერთ ხარს გადაჰკრავდა, ხან მეორეს. ტკბილად ღიღინებდა.

„პობედის“ საყვირის ხმაზე ხარები შედგნენ, მეურმემაც შეწყვიტა ღიღინი, სახრე მოიმარჯვა, მარჯვენა ხარს თავში ჩაარტყა, ხოლო მარცხენას — მარცხენა ფერდზე გადასცხო, რომ ურემი მარჯვნივ მიეყენებინა და მანქანისათვის გზა მიეცა.

ხარები მაყვლის ღობეს გაეკვრნენ, თვალებს ცეცხლივით აბრიალებდნენ, მანქანას უბღვერდნენ.

ურწყავის კოლმეურნეობის ბრიგადირი კოლა ლალიაშვილი შორიდანვე იცნო შერმადინმა. გაუხარდა. რაკი დღეს ვერ მოასწრებდა ურწყავში წასვლას, გადაწყვიტა, ახლა მოლაპარაკებოდა. მანქანა დაამუხრუჭა, კაბინიდან თავი გადმოჰყო და მეურმეს მიესალმა.

სწორედ ამ დროს მოტორმა ხმაური ასტეხა. ამ ხმაურმა უფრო დააფრთხო ისედაც შემკრთალი ხარები. მეურმემ ველარ მოასწრო, გიგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და პარტორგს მისალმებოდა, უღელი მთელი ძალით გასწიეს ხარებმა და ურემი რახრახით მოიტაცეს.

შერმადინსა და მეცხვარიშვილს უნებურად სიცილი აუვარდათ. ღიმმორეული კოლა კოფოდან უღელზე გადაცოცდა და ორღობის ბოლოში ძლივს გააჩერა დამფრთხალი ხარები.

შერმადინი მანქანიდან გადმოვიდა, მეცხვარიშვილს უთხრა, ამ წუთში მოვალო, და ჩქარი ნაბიჯით კოლასაკენ გასწია.

საგარეო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი გიგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შერმადინი. ხრომის ახალი წუღები და შალის შარვალი ეცვა. ჯიბეებიანი თეთრი ხალათი შარვალზე ზემოდან ჰქონდა ჩამოშლილი. კოლამ ურემს თავი მიანება და ჩქარი ნაბიჯით მიეგება შერმადინს.

— რა ხამი ხარები შეგიბამს ურემში, კაცო! — სიცილით მიაძახა შერმადინმა კოლას. ხელი ჩამოართვა.

— ხამები არ არიან, მაგრამ ხმაურმა დააფრთხო, — ღიმილით უპასუხა კოლამ. თან უკან მიიხედა ურმისაკენ, ხარები დგანან თუ არაო.

შერმადინმა მხარზე ხელი დაადო კოლას.

— მართალია, თქვენს თავმჯდომარეს არ ესიამოვნება თანამდებობის დაკარგვა, მე ეს შევამჩნიე, მაგრამ მაინც გააფრთხილე: შაბათს ჩვენთან გაერთიანებული კრება უნდა მოვიწვიოთ და ხალხს შეატყობინოს, რომ გადმოვიდნენ. იქ გადაწყდება ჩვენი კოლმეურნეობების გაერთიანების საქმე.

— იმას თუ არ ესიამოვნება, სამაგიეროდ, ხალხს უხარია, — უპასუხა

კოლამ. — შენ ისა სთქვი, რომ კოწახურელები დიდ უარზე არიან. ყველა იმას გაიძახის: მწირი, ურწყავი მამული აქვთ და ჩვენი შესანახი გახდებიანო. მათ უფრო კავთისხევთან უნდათ შეერთება.

— თქვენი თუ ურწყავი და მწირი მამულია, ჩვენი ხომ არაა. გიგეთის სახნავი ფართობი ორჯერ დიდია კოწახურას მამულზე, მაშ, ' ჩვენებურებმა რაღა უნდა თქვან? — უკმაყოფილოდ წარმოთქვა შერმადინმა და ბოლოს დაუმატა: — ვიცი ყველაფერი, მაგრამ ვნახოთ! ახლა სწორედ ჩვენ ამ საკითხზე მივდივართ კოწახურაში. ხალხთან ვისაუბრებთ. მე მგონი ჩვენ გავიმარჯვებთ.

შერმადინმა საათზე დაიხედა, მერე კოლას გაუწოდა ხელი.

— რაც გითხარი, ის გააკეთე. თავმჯდომარესაც გადაეცით ჩემი სიტყვები. შენ თვითონაც გააფრთხილე ხალხი. შაბათს საღამოს, რვა საათისთვის, ყველანი გიგეთში იყავით! — ეს რომ უთხრა, შეტრიალდა და მანქანისაკენ გასწია.

II.

კოლმეურნეობის კანტორაში მათ საწყობის გამგე ვანო საჩალელი დახვდათ. დაინახა თუ არა გიგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტორგი, ვანომ საქმეს თავი დაანება. მათი დანახვა არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც მხიარულად შეეგება. სოფლელების თქმით, ვანო თეთრ კბილებს და შავ გულს არავისთვის დაიშურებდა.

ოცდათხუთმეტი წლის, დაბალი, კარგად ჩასუქებული კაცი იყო ვანო საჩალელი. ჟანგისფერი სახე ყოველთვის უღიმოდა. სიცილის დროს მსუქანი ქუთუთოებიდან წვრილი, ელამი თვალები ძლივს მოუჩანდა. სიელმეს უფრო მაშინ შეამჩნევდით, როცა გიმზერდათ: მარჯვენა თვალის ბაია გვერდზე მოექცეოდა და თეთრი გარსი-ღა უჩანდა.

ამ ორი ათეული წლის წინათ რომ გეკითხათ, ვინ არის კოწახურაში შეძლებულიო, ყველა ვანოს მამის, ზაქრო საჩალელის ოჯახზე მიგითითებდა. კარგი ორსართულიანი სახლი, კარგი სახნავ-სათესი მიწები, კარგი ვენახი და, რაც მთავარია, ოჯახი ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მაშინდელი კოწახურელი გლეხისათვის ოცნებას წარმოადგენდა.

საიდან შეეძინა მას ეს ქონება, დანამდვილებით არავინ იცოდა, ხოლო ახლაც იტყვის ხოლმე ზაქროს ტოლი და მეზობელი დათა ტურაშვილი: — ცოტა ხელდაუყენებელი კაცი იყოო.

ზაქრო ბავშვობიდანვე გაქცევია სოფელს. მეტივეობა დაუწყია. ბორჯომის ხეობაში ყიდულობდა ხეებს, შეკრავდა ტივს, მტკვრით თბილისში ჩამოჰქონდა და ჰყიდდა. ხალხში ასეთი ხმა დადიოდა: პირველი მსოფლიო ომის დაწყების რამდენიმე წლით ადრე, როცა ზაქროს ბორჯომიდან თბილისში ტივი მოჰქონდა, გზაზე ერთი კარგად ჩაცმული კაცი გადასდგომია და უთხოვია: — თბილისში წამიყვანე და რასაც მთხოვ, მოგცემო. ამ კაცს თურმე ბანკიდან ფული გაეტაცა, მატარებლით ვეღარ გაებედა წასვლა და უფიქრია, მეტივეებს უშიშრად გავყვებიო.

ზაქროს შეუტყვია ეს ამბავი. ამხანაგსა და მას ის კაცი ნაჯახით მოუკლავთ, მტკვარში გადაუგდიათ და ფული ორად გაუყვიათ.

1928 წელს, როცა ზაჰესს ავჭალის ზემოთ საძირკველი ჩაეყარა, მაშინ წახდა ზაქრო საჩალელის საქმეც. ტივს თბილისში ვეღარ ჩამოიტანდა, სახლში დაბრუნდა და მეურნეობას მიჰყო ხელი.

მაგრამ გარეთ გასული კაცი ვერ შეეგუა სოფელს. მიწაზე მუშაობა ჭირივით ეჯავრებოდა. „კაცმა თუ ფული არ შემოიტანა ოჯახში, ის ოჯახი რა უნდა იყოსო“, იტყოდა ხოლმე ხშირად იმ ხანებში. „შენ ფული მითხარი, თორემ მიწაც თავისით მოიხვნება და დათესი-

თაც თავისით დაითესებაო“. ნახევარ წელიწადსაც ვერ გაძლო სახლში. ერთ მშვენიერ დღეს ისევ მონახა თავისი მეტივური ცული, ბამბის მსხვილი თოკი მხარზე გადაიკიდა და ბორჯომისაკენ გაუდგა გზას.

ხეები თბილისში აღარ ჩამოჰქონდა. მცხეთის ზემოთ იღებდა შეკვეთებს.

მეტივეები მას ფულის გიჟს ეძახდნენ. შაური რომ მოეგო, იმის გულისათვის ადიდებულ მტკვარს არ მოერიდებოდა. ეს გახდა მისი დაღუპვის მიზეზიც.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ბორჯომის მახლობლად, როცა ზაქროს თავისი ნაყიდი ხეებისაგან ტივი უნდა შეეკრა, საშინელი წვიმა მოვიდა. მისმა ამხანაგებმა თავი ანებეს სამუშაოს. ზოგმა შეკრული ტივი ნაპირზე დაამაგრა, ადიდებულ წყალს რომ არ მოეტაცა, და ოჯახებს მიაშურა. ზაქრომ თავი მაინც არ დაანება. თავისი ტივის შეკვრა რომ გაუძნელდა, სხვისი გამზადებული ტივი ახსნა ჩუმად, ორთაყვირს მაგრად ჩაჰკიდა ხელი და მცხეთისაკენ დაეშვა: „სანამ წვიმა გადაიღებს და ადიდებული მტკვარი დაიკლებს, მე უკვე ამ ხეებს გავყიდიო, — ფიქრობდა ზაქრო, — პატრონმა რამდენიც უნდა, იმდენი აგინოს ადიდებული წყალი, ჩემზე ეჭვსაც კი ვერ მიიტანენო“.

გორამდე მშვიდობით იმგზავრა. სადაც სახიფათო ადგილები შეხვდა, ყველგან გამარჯვებული გამოვიდა. ერთი ასეთი სახიფათო ადგილი-ღა ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ყველაზე საშიში და ყველაზე საძნელო. მეტივეები ამ ადგილს რომ მიუახლოვდებოდნენ, გულს ჩქროლვა ემატებოდათ. ეს იყო სოფელ ყარაღაჯის ბოლოს. წყალი პირდაპირ კლდის ძირს ეხეთქებოდა. თითქოს მტკვარს ქვეშიდან ცეცხლი შეუნთესო, ისე დუღდა იმ ადგილას წყალი. მეტივეები ნაპირ-ნაპირ წაიღებდნენ ხოლმე ტივს, რომ ჩანჩქერისათვის აეცდინათ.

ზაქრომ შორიდანვე დაიჭირა გზა ნაპირისაკენ. წინა ორთაყვირს მთელი ძალით ეომებოდა ადიდებულ წყალს, მაგრამ ონავარმა ტალღამ ტივის ბოლო ნაწილი მაინც გადაითრია ჩანჩქერში. ზაქრო ახლა ბოლო ორთაყვირს ეცა, მაგრამ უკვე გვიან იყო, მძლავრმა ტალღებმა მთელი ძალით გააქანა წინ. ისეთი სიმძლავრით დააჯახა კლდის ქიმს, რომ ტივი მთლად დაიშალა. დაშლილი მორები წყალმა დაბლა ჩაითრია და მცირე ხნის შემდეგ ოცი-ოცდაათი მეტრის დაშორებით ისევ ზემოთ, წყლის ზედაპირზე, ამოყარა. მხოლოდ ზაქრო საჩალელი აღარ გამოჩენილა მას შემდეგ.

ერთხანს ვანო საჩალელი თვითონ ამუშავებდა მამის შეძენილ მიწებს. კოლმეურნეობას ახლოს არ გაეკარა. სამეურნეო გადასახადი რომ შეაწერეს, მაშინ კი თქვა: „აქ უკვე აღარ ღირს ჩემი გაჩერებაო“.

მეორე დღეს განცხადება მიუტანა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და თანაც ასე უთხრა:

— აჰა, ძმაო, ჩემი მამული ჩემი სურვილით გადმომიცია თქვენთვის. ჩემი ცოლი იმუშავებს კოლმეურნეობაში, მხოლოდ ძალას ნუ დამატანთ, მე კოლმეურნეობაში შემომსვლელი არა ვარ და ვერც ვიმუშავებო.

ვანო იმ დღიდან თბილისში წავიდა სამუშაოდ. ხოლო ცოლმა კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, ვენახი და ნახევარი ჰექტარი მიწა რომ შეენარჩუნებინა.

ვანო საჩალელი ერთხანს რკინიგზაში მუშაობდა. კვირა დღით სოფელში ბრუნდებოდა ბორჯომის მატარებლით და თავის ბაღ-ბოსტანს ამუშავებდა. ერთი წელიც ვერ დაჰყო რკინიგზაში, თავი დაანება და უნივერმაღში ყარაულად დაიწყო მუშაობა. ერთ ღამეს რომ ყარაულობდა, ორ დღე-ღამეს თავისუფალი იყო. ამ თავისუფალ დროს საჩალელი სხვა საქმეებზე იყენებდა. უნი-

ვერმაღიდან იაფფასიანი საქონელი გაშოჰქონდა და ბაზარზე ზედმეტ ფასებში ჰყიდდა.

— ამას კი არა უშავს-რაო, — კმაყოფილებით იტყოდა იგი, როცა სპეკულანტობით ნაშოვნი ფულით ჯიბეს გაივსებდა და კვირაობით სოფლისაკენ გასწევდა.

დიდხანს არ შერჩა თარეში საჩალელს. ნათქვამია, კოკა წყალზე გატყდებაო, და აი, მართლაც ერთ დღეს მისი ბედის კოკაც გატყდა. სპეკულანტობისათვის დაიჭირეს და ორი წელი ციხეში გაატარა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. როგორც ზაქრო საჩალელისთვის, ისე მისი შვილისთვისაც ჯოჯოხეთი იყო სოფელში მუშაობა, მაგრამ ერთ ზაფხულს, როგორც იყო, გაუძლო. შემოდგომით თავმჯდომარისაგან კოლმეურნეობიდან განთავისუფლების ნებართვა აიღო და კასპის კოოპერატივში ამოჰყო თავი. შემდეგ ისიც კი მოახერხა, რომ ომის დაწყების პერიოდში, როცა კოწახურას კოლმეურნეობის საწყობის გამგე სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წავიდა, მისი ადგილი მოხერხებით დაიკავა.

სადაც პურის ბეღელია, ვირთხაც იქით მიიწევსო, და აი, ვანო საჩალელმაც ამ ბეღელში ამოჰყო თავი.

ერთი თვის შემდეგ რაიონში ცვლილებები მოხდა. რაიკომის მდივანი და ბევრი სხვა პარტიული მუშაკი სუსტი მუშაობისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ახალი ხელმძღვანელობა დანიშნეს. ვანო საჩალელის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ფიქრობდა: „კიდევ კარგი, რომ ისინი მოხსნეს, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო, მე მოვეხსენიო“. ახლა მხიარულად გრძნობდა თავს, ვინაიდან, მისი ფიქრით, ახალი ხელმძღვანელები ამ პატარა კაცს ვერც გაიცნობდნენ, სანამდე ამ რაიონში დარჩებოდნენ, შემდეგ ალბათ ისინიც გააფუჭებდნენ რანეს და ძველებს უკან გაჰყვებოდნენ.

მაგრამ საჩალელს თავზარი დაეცა, როცა გაიგო — რაიკომის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი სხვა რაიონიდან იმიტომ გადმოიყვანეს კასპში, რომ ჩამორჩენილი რაიონი გამოესწორებინა.

ხალხი ბევრ რამეს ლაპარაკობდა მის ორგანიზატორულ ნიჭზე, საქმისადმი სიყვარულზე, კოლმეურნეების გულისხმიერ მოპყრობაზე: მოსვლის მეორე დღიდანვე მთელს რაიონს ცეცხლი შეუნთოო, როგორც რიგითი კოლმეურნე, ისე დადის მთელი რაიონის სოფლებში და თავისი თვალით ათვალიერებს ნახნავსაც და ნათესსაც.

საჩალელმა ერთხელ სიზმარშიც კი ნახა ახალი რაიკომის მდივანი: მაღალი, მხრებგანიერი, ჩასხმული ვაჟკაცი. იგი მასთან პატარა ბავშვივით მოჩანდა. მაგრამ ცხადად რომ ნახა, გაუკვირდა. თავის სიმაღლისა იყო სწორედ. არც მხრებგანიერი, არც ჩასკვნილი, არც მსუქანი. „ამ პატარა კაცს განა რა ძალა აქვს, რომ მთელი რაიონი მასზე ლაპარაკობსო“, ელვასავით გაურბინა ამ ფიქრმა. მაგრამ მის თვალებს რომ შეხედა, მაშინვე დარწმუნდა, რომ ამ კაცში იყო რაღაც ძალა, რომლითაც იპყრობდა ხალხის ყურადღებას.

— ამ კაცს ვინ მიუდგებაო, — იძახდა საჩალელი გულში, — ისეთი ჩანს, თავის ძმამაც რომ სთხოვოს რამე, არაფერს გაუკეთებს, თუ თვითონ ჭკუაში არ დაუჯდაო.

ვანო საჩალელისათვის მოულოდნელი უფრო ის იყო, როცა კოლმეურნეობების გამსხვილების საკითხს მოჰკრა ყური. „ეს რაღა ჯანდაბაო“, გაიფიქრა. ამჟამად მთელი მისი ცდა ის იყო, როგორმე თავისი თანამდებობა შეენარჩუნებინა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ ისევ კასპის კოოპერატივს ან სასადილოს უნდა დაბრუნებოდა.

საჩალელს არ უნდოდა, კოწახურას კოლმეურნეობა გიგეთის კოლმეურნეობას შეერთებოდა. მან კარგად იცოდა, რომ შერმადინთან ძველებურად კუდს ველარ გაანძრევდა. უსწავლელ და ხათრიან ვანო ქსოვრელთან კი როგორც უნდოდა, ისე გაჰკრავდა და გამოჰკრავდა საანგარიშო ღილებს.

რაიონში ვისი იმედითაც ხელებს შლიდა, ისიც ძველ ხელმძღვანელობას გააყოლეს უკან. არავის იმედი აღარა ჰქონდა. ახლა თავისი ჭკუით, თავისი ვაჟკაცობით უნდა მიეღწია მიზნისათვის და ათასნაირ გეგმებს აწყობდა, როგორ მოქცეულიყო.

ვანო იმას წუხდა, რომ კოწახურა არავის შეერთებოდა, და თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო გამსხვილება, ეს გიგეთთან არ მომხდარიყო. მან კარგად იცოდა, რომ გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა შერმადინს არ ასცდებოდა. შერმადინი კი მას არ მოსწონდა.

იმასაც გრძნობდა საჩალელი, რომ გამსხვილების გარეშე არც ერთი კოლმეურნეობა არ დარჩებოდა.

კავთისხევთან შეერთებაზე კი უარს არ იტყოდა. საწყობის გამგეობა არ ასცდებოდა, ერთი სიტყვით, კავთისხევთან მოხდებოდა გაერთიანება თუ გიგეთთან, მისთვის სულ ერთი იყო, ოღონდ თანამდებობა არ დაეკარგა.

„სადაც დიდ ხვრელს დაინახავ, იქ უნდა შეჰყო თავიო, — ამბობდა საჩალელი. — აქეთ მოხდება, თუ იქით, შენ შორიდანვე უნდა დაიჭირო გეზიო“. ხალხმა კარგად იცის, რომ ჩემისთანა მჭამელები კიდევ ჰყავს, ეს გამსხვილება სწორედ ჩემისთანების საწინააღმდეგოდაც არის მოგონილიო.“

ახლაც, „პობედიდან“ გადმოსული გიგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტორგი რომ დაინახა, გულზე სევდა შემოაწვა.

— გუშინ ხომ იყვნენ, ახლა რაღა ჯანდაბა უნდათო. — წარმოთქვა წყენით.

გიგეთელებთან მისალმებისას საჩალელი ზეზე წამოდგა, მარჯვენა თვალი ამოიკიცა და ნაძალადევად გაუღიმა. ღიმილის დროს თეთრი, ბრტყელი კბილები გამოაჩინა, შერმადინსა და მეცხვარიშვილს ხელი ჩამოართვა, „როგორ ბრძანდებითო“, ჰკითხა.

პარტორგის თხოვნით, კოწახურას კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ვანო ქსოვრელთან საჩალელმა ბავშვი აფრინა სახლში.

— ჩქარა, შერმადინი და მეცხვარიშვილი მოვიდნენ, გეძახიან-თქო. — ეს სიტყვები გიგეთელების საპატივსაცემოდ ისე მაღალფარდოვნად მიაძახა მას, თანაც წარმოთქმის დროს სახეზე ისე დაიღრიჯა, სამი-ოთხი წლის ბავშვს რომ დაენახა, უთუოდ შეეშინდებოდა.

ზურგით მდგარი საჩალელის მოღუშული სახე გიგეთელებმა ვერ შეამჩნიეს, მხოლოდ მის კილოზე უნებურად ჩაეცინათ.

სტუმრებისაკენ რომ მობრუნდა საჩალელი, სახეზე ისევ ღიმილი უთამაშებდა.

— თქვენ რომ გუშინ აქედან წასულხართ, მე მაშინ მოვედი კანტორაში,—კბილების კრეჭით მიმართა სტუმრებს. თან სკამები შესთავაზა.

— მერე რაო? — დინჯად უპასუხა შერმადინმა.

— რაო და, ხალხს ერთი ალიაქოთი ჰქონდა, ჩვენ გიგეთთან გაერთიანება არ გვინდაო.

— ვითომ რატომაო?—შუბლი შეიკრა შერმადინმა და საჩალელს მოჭუტულ თვალში ჩააცქერდა.

— გიგეთი თუ ურწყავს შეიერთებს, მაშინ ჩვენ კავთისხევს შევუერთდებითო.

— აბა ვნახოთ! — წყრომით წამოიძახა შერმადინმა. კანტორაში გაიარ-გამოიარა.

— გუშინ მე ბევრი ველაპარაკე ხალხს, — წამოიწყო მლიქვნელობით საჩალელმა. — მაგრამ რას გააგებინებ!

თქვენთან შეერთება ბევრად უკეთესია, ვიდრე კავთისხევთან. იმსიშორეზე როგორ უნდა ვიაროთ იმათ მინდორზე სამუშაოდ?

— შენ თუ ხარ გაერთიანების თანახმა? — ჰკითხა მეცხვარიშვილმა და საჩალელი თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია საჩალელმა. — სად კავთისხევი, სად თქვენ. გუშინ ეს რომ ვუთხარი ხალხს, კინაღამ ჩამქოლეს.

როგორც შერმადინი, ისე მეცხვარიშვილი შორიდან იცნობდნენ კოწახურას კოლმეურნეობის საწყობის გამგეს. მის შესახებ ჯერ არც ცუდი გაეგონათ, არც კარგი.

— თქვენთან ბევრი თუა ისეთი კოლმეურნე, რომელიც გამსხვილების წინააღმდეგია? — კვლავ შეეკითხა მეცხვარიშვილი.

საჩალელმა ალღო აუღო მათი მოსვლის მიზეზს, განგებ ჩაახველა, ელამი თვალები მოსაუბრეებს მიაპყრო და დაიწყო:

— იცით, რაშია საქმე, ამხანაგო მეცხვარიშვილო? ბევრს კი არ ესმის ეს ამბავი. ერთი რასაც იტყვის, მეორეც იმას ბაძავს. მართალია, ზოგი წინააღმდეგია თქვენთან გაერთიანებისა, მაგრამ ასეთი ხალხი ცოტაა, უმეტესობა თანახმაა. ეს ხალხი ხშირად იტყვის ხოლმე, სადაც შერმადინი თავმჯდომარედ გვეყოლება, იქ არაფერი გაგვიჭირდებაო. ამ ხალხს წინდაწინ უნდა მოველაპარაკოთ: უნდა ავუხსნათ, შევაგნებინოთ ამ დიდი საქმის მნიშვნელობა. ზოგი მართლაც მიხვდება თავის შეცდომას. მაგალითად, გუშინ, — საჩალელი ერთ წამს ჩაფიქრდა, არ იცოდა ვინ დაესახელებინა, ისევ თავის მეზობელ მოწინააღმდეგეს, დათა ტურაშვილს დაადო ხელი, — დათა ტურაშვილი ხმამაღლა გაიძახოდა: მშივრები დავიხოცებით, თუ ურწყავი შევიერთეთო. ავუხსენი, ვუთხარი, შევაგნებინე, რომ კავთისხევის მინდორზე მუშაობა გაგვიძნელდება-მეთქი. ახლა წყალი ბევრი გვექნება, ერთიანი ძალით უფრო მეტ მოსავალს მოვიყვანთ-მეთქი, შერმადინისა და მეცხვარიშვილის ხელში არაფერი გაგვიჭირდებამეთქი. მაშინ დაფიქრდა და მითხრა: შენ მართალი ხარო.

მეცხვარიშვილმა ახლა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა საჩალელი. მასთან არასოდეს უსაუბრია, მაგრამ მისი ლაპარაკის კილო რაღაც არ მოეწონა.

— ჩვენ სწორედ ამ საკითხზე მოვედით! — უთხრა შერმადინმა, — შენ პარტიული ხარ?

— პარტიული არა ვარ, მაგრამ...

— მაგრამ? — განუმეორა ღიმილით მეცხვარიშვილმა. საჩალელმა ხმა არ ამოიღო.

— უპარტიო ბოლშევიკი ხარ ხომ? — უთხრა შერმადინმა.

— რა თქმა უნდა, უპარტიო ბოლშევიკი ვარ! — ახლა კი თამამად წარმოთქვა საჩალელმა, რადგან მათ სახეზე დაცინვის ნიშანი ვერ შეამჩნია.

თამამად ნათქვამ სიტყვებზე, „რა თქმა უნდა, ბოლშევიკი ვარო", ვანოს თავის მეზობლის — ჩოფურა დათა ტურაშვილის სახე წარმოუდგა თვალწინ. მისი ფიქრით, ახლა ის რომ აქ ყოფილიყო, ყველას გასაგებად თუ არა, გულში მაინც იტყოდა: ვაი, რომ სახელს გვიფუჭებ უპარტიო ბოლშევიკებსო.

საჩალელმა ერთხანს განიზრახა, დათა ტურაშვილზე ცუდი ელაპარაკა გიგეთელებთან, თითქოს იგი პირველი მოწინააღმდეგე ყოფილიყო გაერთიანებისა, მაგრამ არ გამოუვიდა. წეღან დათა ისე გამოიყვანა, თითქოს მან თავისი შეცდომა შეიგნო და სიმართლე აღიარა, ახლა ცუდის თქმა მასზე უკვე აღარ შეიძლებოდა. ინანა, რომ დათას ნაცვლად მაგალითისათვის სხვა არ დაასახელა. ახლა მისდგებოდა გიგეთელე-

ბის თვალწინ პატიოსან, შრომისმოყვარე კოლმეურნეს დათა ტურაშვილს და იმდენს აძაგებდა, იმდენ ცუდს დასწამებდა, რომ მტკვარსაც ვერ გაერეცხა.

კანტორაში ვანო ქსოვრელი შემოვიდა. ეს იყო სუსტი აგებულების, საშუალო სიმაღლის კაცი. სამოც წლამდე იქნებოდა მიღწეული. მისი თვალები, მისი ლაპარაკის კილო, მიხვრა-მოხვრა გაგრძნობინებდათ, რომ ეს კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობისათვის არ უნდა ყოფილიყო შესაფერისი. საჩალელმა ისეთი თვალით შეხედა ქსოვრელს, თითქოს სამძიმარი უნდა უთხრასო.

მისალმების შემდეგ სკამებზე დასხდნენ, საუბარი გააბეს.

ვანომ დრო იხელთა, მოანგარიშის მაგიდასთან მივიდა, უჯრიდან საერთო რვეული ამოიღო, გადაშალა და გათამამებულმა იმით, რომ თავისი მოხერხებული ლაპარაკით გიგეთელების გული მოიგო, საანგარიშოს ჩხაკა-ჩხუკი აუტეხა.

გიგეთელების კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ვანო კარგად იცნობდა. იცოდა ისიც, რომ გამსხვილების შემდეგ მეორე საწყობის გამგე იყო საჭირო. ამის გამო საანგარიშოს ღილებს ისე სწრაფად ათამაშებდა, კაცი ვერ მოჰკრავდა თვალს. შერმადინსა და მეცხვარიშვილის ყურადღება მაშინვე მიიპყრო.

— თუ ძმა ხარ, გააჩერე ეგ საანგარიშო, — უთხრა ქსოვრელმა. — მელა კვდებოდა და ექიმბაშობას კიდევ არ იშლიდაო, შენი საქმე სწორედ ასეა. ორი დღე-ღა დაგრჩენია და ახლა ჯავრი მაგაზე ხომ არ გინდა ამოიყარო! — ეს სიტყვები ისეთი ხმით უთხრა ქსოვრელმა, რომ გიგეთელებმა სიცილი ვერარ შეიმაგრეს.

— ჯავრის ამოსაყრელი რა მჭირს, შე კაი კაცო, — განგებ ხმამაღლა ჩაიხითხითა საჩალელმა. — მე თუ მომხსნიან, ჩემზე კარგს სხვას დაყენებენ საწყობში. მჯობზე მჯობი არ დაბადებულა.

— ფრთხილად იანგარიშე, ამ ბოლო დროს არაფერი შეგეშალოს, ხომ ხედავ, მალე ყველაფრის გადაბარება მოგიხდება.

— როდის იყო, მეშლებოდა რამე? — ამაყად უპასუხა საჩალელმა.

— თხუთმეტი ფუთი ხორბალი ზედმეტი რომ აღმოგაჩნდა საწყობში, დაგავიწყდა? აბა მაშინ რევიზია დაგდგომოდა თავზე, ვნახავდი, ახლა სად იქნებოდი!

მეცხვარიშვილმა საჩალელს შეხედა. საჩალელი გაწითლდა.

— ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო, ნათქვამია. ეს ლეწვის დროს იყო. მაშინ იმდენი ხორბალი მომაყარეს საწყობში, წონას ვერ ავდიოდი. თავგზა დამებნა. კიდევ კარგი, ხელახლა გადავრწყე, თორემ, რევიზია რომ დამდგომოდა, დავიღუპებოდი. — შერმადინისა და მეცხვარიშვილის თვალის ასაბმელად წარმოთქვა მან.

გიგეთელებმა თავიანთი გულის ნადები დაწვრილებით გაუზიარეს ქსოვრელს. საჭირო ხალხის დასაძახებლად კაცი გაგზავნეს.

III

წელმოწყვეტილივით გამოვიდა ვანო საჩალელი კოლმეურნეობის კანტორიდან. შერმადინის „პობედას“ სიძულვილით თვალი გააყოლა და სანამ მანქანა ორღობეში არ მიიმალა, სახლისაკენ ერთი ნაბიჯიც არ გადადგა. თათბირის დამთავრების შემდეგ ათი წუთი უტრიალა შერმადინსა და მეცხვარიშვილს აქეთ-იქიდან, სახლში უნდა დაეპატიჟა, პურმარილი გაეშალა, მაგრამ ვერარ შებედა.

გულდაწყვეტილი მიუახლოვდა თავის სახლს. სახლის წინ, გზის პირას, შეგროვილი ხალხის ხმამაღალი ლაპარაკი შორიდანვე შემოესმა. თავისი

ნათლიმამა—კოტე თავშავაძე რომ დაინახა, გულიდან დარდი მოეშვა, მაგრამ ჩოფურა დათა ტურაშვილს რომ შეასწრო თვალი, არ ესიამოვნა.

ძველთაგანვე მტრულად იყვნენ განწყობილნი ტურაშვილებისა და საჩალელების ოჯახები. მიუხედავად იმისა, რომ მათ სახლ-კარს სასოფლო გზა შუაზე ჰყოფდა, მაინც ვერ რიგდებოდნენ ერთმანეთში. შრომისმოყვარე დათა ტურაშვილი ბავშვობიდანვე ვერ ურიგდებოდა სხვის ბაღებში ქურდულად მოხეტიალე ზაქრო საჩალელს. უკვე კარგად წამოზრდილ ვანოსაც, სიმინდში მუშაობის დროს რომ შეხედავდა, თავს გვერდზე გააქნევდა და იტყოდა: ღმერთო, ნუ მიწყენ, მაგრამ ეს ბიჭი სულ თავის მამის კვალს ადგასო.

ზარმაცი, საქმისადმი გულგრილად შემყურე ადამიანი, დიდი იქნებოდა თუ პატარა, ქალი თუ კაცი, დათას ჭირივით ეჯავრებოდა. მასთან არც სამეზობლოდ გაივლიდა და არც სამეზობლოდ მისული ესიამოვნებოდა. როცა ლაპარაკის დროს, ვინმეს ტრაბახს შენიშნავდა, სიტყვას შეაწყვეტინებდა და მოურიდებლად პირში მიახლიდა: ჩემთან ნუ ხარჯავ მაგ სიტყვებს, იქნებ სხვაგან დაგჭირდესო! თუ ვინმეს უსამართლობას შეამჩნევდა, მისთვისაც რომ არაფერი ეკითხათ, მივიდოდა და მტყუანს გაამტყუნებდა.

ამისათვის ბევრს სძულდა დათა ტურაშვილი და სწორედ საჩალელების წყრომის მიზეზიც ეს იყო. ზოგიერთები მას მოქიშპედ, ჩხუბის მოთავედ და მეტიჩარა კაცად თვლიდნენ.

მაგრამ თუ დათა ადამიანს ადამიანად იცნობდა, სულსაც არ დაზოგავდა იმის გულისათვის. მტრობაც იცოდა ტურაშვილმა და მოკეთობაც. მტერს მტრობას გაუწევდა, მოკეთეს — მოკეთობას.

სამოც წელს იყო გადაცილებული დათა ტურაშვილი, მაგრამ ის ხასიათი, რომელიც ბავშვობიდან მოსდევდა, ახლაც მტკიცედ ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი. თუმცა საჩალელს პირადად მისთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია და არაფერი უწყენინებია, მაინც ეჯავრებოდა. მის თვალწინ გაიზარდა ვანო და რა კაციც იყო, კარგად იცოდა.

ვანო საჩალელსაც ბავშვობიდანვე ეჯავრებოდა დათა. მას არამკითხე კაცად თვლიდა. ახსოვს, ვენახში ბევრჯერ გამოუტაცია 13 — 14 წლის ვანოსთვის ბარი და უთქვამს: ეგრე კი არა, აი ასე უნდა იმუშაოო. აქედანვე უნდა მიეჩვიო შრომას, რომ მერე მამაშენივით უქედო არ გამოხვიდეო.

— წელსაც გაინაწილეთ ხუთი კილო ხორბალი შრომადღეზე, არ გინდათ? — მისალმების მაგივრად, ჯავრიანი ხმით მიმართა ვანომ ხალხს და დათას შეხედა. ვანო დარწმუნებული იყო, რომ არც დათას ესიამოვნებოდა ურწყავთან გაერთიანების ამბავი.

— რაშია საქმე, ვანო, რად ლაპარაკობ მაგას? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— რაღა რაშია, შერმადინმა და მეცხვარიშვილმა კანტორა აგვიტალახეს. გუშინ ხომ იყვნენ და გველაპარაკეს, ახლაც მოვიდნენ. პარტიულებთან ისაუბრეს. აგიტაცია უნდა გასწიოთ ხალხშიო, რომ გამსხვილების წინააღმდეგ არავინ წავიდესო. თქვე ოჯახაშენებულებო, ვისაც იმხელა ვერანი სოფელი გიგეთი შეუერთდება, იმ ხალხს რა კეთილი დაეყრება? ხომ შიმშილით ამოსწყდით, ხალხო!

— არ გვინდა და არ შევუერთდებით! — მწყრალი ხმით წამოიძახა კოტე თავშავაძემ.

— საქმეც ეგაა, თუ მთელი სოფელი უარზე დადგება, ძალით ვერაფერს გააკეთებენ. ხალხი აღელვებული ზღვა არის, ზღვამ თუ გადმოხეთქა, რა დაუდგება წინ? — დაუმოწმა საჩალელმა.

— არა, ამხანაგებო, როგორც თქვენ ფიქრობთ, ეგრე არ შეიძლება. ალბათ ასე სჯობს და იმიტომ აკეთებს ამას

ჩვენი ხელმძღვანელობა, — გამოელაპარაკა ერთი ახალგაზრდა კოლმეურნე საჩალელის მომხრეებს.

— აგერ კავთისხევი, იმას შევუერთდეთ, რაღა მაინცდამაინც გიგეთს? — ენა ამოიდგა საჩალელის ცოლმა სალომემ.

— მართალს ამბობს ვანო, ვისაც ამხელა ვერანი სოფელი აეკიდება ზურგზე, რა ხეირს დააყრის? მაშინ კი არ გავმსხვილდებით, უფრო დავწვრილდებით და გავხდებით! — წამოიძახა სალომეს მხრიდან ვიღაცამ.

— მართალია, მართალი. — დაემოწმნენ სხვებიც.

— რას ლაპარაკობთ, ხალხო, გიგეთს მამული არა აქვს? — ახლა უფრო მაღალი ხმით წარმოთქვა ახალგაზრდა კოლმეურნემ.

— მამული, თორემ მაგათ ყანებში ცხენიანი კაცი დაიმალება! — გამოაჯავრა თავშავაძემ და დათას გადახედა. უკვირდა, რატომ ხმას არ იღებსო.

— განა არ შეიძლება, არავის შეუერთდეთ და ჩვენი საქმე ჩვენ თვითონვე ვმართოთ? ჩვენი სოფელი არც ისეთი პატარაა, რომ გამსხვილების გარეშე საქმე წინ ვერ წავწიოთ, — ნელნელა შეაპარა ხალხს საჩალელმა თავისი გულისწუხილი.

— თუკი ეგრე შეიძლება, მაგას რა სჯობს? — დაეთანხმნენ აქეთ-იქიდან.

— მაშინ ერთიმეორე უნდა გავაფრთხილოთ, რომ კრებაზე თანხმობა არავინ განაცხადოს გამსხვილებაზე, — წარმოთქვა მეორე კოლმეურნე ქალმა.

— მთავარი ეგ არის, — სიტყვა გააწყვეტინა საჩალელმა. — ერთიმეორე დაარიგეთ, გააფრთხილეთ, თუ არ ესმით ამ საკითხის მნიშვნელობა, გააგებინეთ, ყურში მაგრად ჩაჰყვირეთ, რომ „ასე სჯობს და არა ასე-თქო“. ხომ გეუბნებით, თუ თქვენ მოიწადინებთ, საქმე თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

— ქსოვრელი რას ამბობს, ეგეც ბიბლიოთეკა იკითხა ვიღაცამ.

— ქსოვრელმა რა უნდა თქვას, მაგას ვინ რასა ჰკითხავს, ერთი საწყალი და ხათრიანი კაცია. ხათრიანი კაცი, ხომ იცით, ყველგან დაღუპულია. წეღანვე დაულოცა გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა შერმადინს. ახლა ისიც როგორ იჭიმება! ეჰაო და უმაღლესი ცოდნითა ვარო, რომ გიყურებს, თავიდან ფეხებამდე გათვალიერებს. იცის, რომ გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა მას არ ასცდება და იმიტომ დარბის ასე.

— ასე არ შეიძლება, ამხანაგებო, როგორც თქვენა მსჯელობთ, — ხმა ამოიღო დათა ტურაშვილმა და ხალხს გადახედა. ვანომ დათას მიაპყრო ელამი თვალები. — ეს ერთეულების სურვილი კი არ არის, ხალხის ფიქრია, ხალხის აზრია. აბა გაიხედეთ, როგორი ხალისით მიდის სხვაგან კოლმეურნეობების გაერთიანება. შენ კი, ვანო! — მიუბრუნდა საჩალელს. — შერმადინზე ასე რომ ლაპარაკობ, არ შეიძლება, მთელს რაიონში მას რომ თავმჯდომარე არ შეეძრება, ამაზე მე მგონი ყველანი დამემოწმებიან.

ვანო გაშრა. არ ეგონა, თუ დათა ამ საქმის წინააღმდეგი წავიდოდა. ფიქრობდა: „პირიქით, დათა მხარს დამიჭერსო“, მაგრამ მოტყუვდა.

დათას წინააღმდეგობამ საჩალელს უარესი წუხილი მოჰგვარა. ეგ ისეთი გველი ადამიანია, სიკვდილამდე არ მომისვენებსო. საჩალელი დარწმუნებული იყო, რომ დათას არავითარი გამსხვილება არ უნდოდა, მაგრამ, მისი ფიქრით, ამას მიტომ აკეთებდა, მისი ჯავრი სჭირდა.

— არც იმდენი რამაა ეგ თქვენი შერმადინი! — ნაწყენი ხმით წარმოთქვა საჩალელმა. — მკლავის სიგრძე ენას რომ ატარტარებს, იმიტომ? ქსოვრელს ეგეთი ენა არა აქვს, თუმცა მაგაზე მეტი ესმის სოფლის საქმისა.

— ვანო ქსოვრელი რომ იმასთან ვერ მოვა, ეჭვი გეპარება? რას ლაპარაკობ! — უთხრა დათამ. — სად ვანო და სად შერმადინი! სად ჩვენი კოლმეურნეობა და სად მისი! საათივით ქვს აწყობილი კოლმეურნეობის საქმე. ქსოვრელს მე კი არ ვაძაგებ, თუნდაც პირში ვეტყვი, რასაც ახლა ვლაპარაკობ, მაგრამ შერმადინს ისეთი ხალხი ჰყავს გარშემო შემოკრებილი, დედის შვილია და ვინმემ პატარა საქმე გაუფუჭოს.

საჩალელი მიხვდა, დათა სადაც უკაკუნებდა.

— შენ არ ვარგიხარ, თორემ ჩვენი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ნაკლებია? — ვეღარ დაფარა საჩალელმა დათასადმი ზიზღი. ეს სიტყვები ისეთი ხმით მიაძახა, რომ დათას ცეცხლი მოეკიდა გულზე.

— ვინც არ ვარგა, კარგად ვიცი, — ხმა აიმაღლა დათამ.—მკლავის სიგრძე ენა სწორედ შენ გაბია. შენ თანამდებობა არ გინდა დაკარგო და იმიტომ ჭიკჭიკებ ეგრე. აბა შერმადინმა საწყობის გამგედ წაგიყვანოს გამსხვილებულ კოლმეურნეობაში, თუ მაგ ჭიკჭიკს გალობად არ შესცვლი.

საჩალელს ტყვიასავით მოხვდა გულზე დათას სიტყვები. სახე ისე დაეღრიჯა, მარჯვენა თვალი აღარ უჩანდა. მაგარი სიტყვები უნდა მიერტყა ახლა დათასათვის, რომ მთელი წლების განმავლობაში გულში დაგუბებული ჯავრი ამოეყარა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. ეშინოდა, იქნებ მართლაც გამსხვილებული კოლმეურნეობის საწყობში როგორმე მოვახერხო შეძრომა და დათამ საქმე არ გამიფუჭოსო.

— შე კაი კაცო, ამ კაცმა რა გითხრა ისეთი, რომ გულზე სკდები? მართალს არ ლაპარაკობს თუ! — გამოექრმაგა კოტე თავშავაძე ნათლიმამას, როცა მიხვდა, ვანო რისთვისაც გაჩუმდა.

— დაიკარგე აქედან, — შეუტია დათამ თავშავაძეს. — ერთი შენა ხარ! თქვენი საქმე რომ ცუდად არის, იმიტომ ჭიკჭიკობთ ასე.

— ამ საღამოს წიწაკა ხომ არ გიჭამია, რომ ეგრე მწარეს ლაპარაკობ? — ნაწყენი ხმით უთხრა კოტემ.

— წიწაკა თქვენა გაქვთ ნაჭამი, რომ პირი გეწვით. ის ხათრიანი და უსწავლელი თავმჯდომარე ჩაიგდეთ ხელში და როგორც გინდათ, ისე ატყუებდით. ახლა ეს რომ აღარ გაგივათ, იმიტომ არ აყენებთ ენას. რა მოხდა, ურწყავი ყბად რომ აიღეთ! აგერ, საცაა არხის მშენებლობა დამთავრდება. წელს თუ გაგვიჭირდება, მემრისს იმდენი მოსავალი მოვა, მარტო იმ ურწყავის მინდვრები დაგვაკმაყოფილებს. საქმელიც ბევრი გექნებათ და სახეთქიც, — გაბრაზებით მიაძახა დათამ და წასასვლელად ნაბიჯი გადადგა.

— რა იყო, შე კაი კაცო, რა მოგივიდა. ახლა შენ სამშობლოს ღალატსაც დამწამებ. განა რა ვთქვი ისეთი, რომ ასე გვლანძღავ? — ძალაუნებურად დაუტკბა საჩალელი.

— ვანო არა ტყუის, — წამოიძახა ქალების ჯგუფიდან ვიღაცამ — ურწყავთან გაერთიანება რომ ჩვენ ხეირს არ მოგვიტანს, მალე დაინახავთ.

— რაც უნდათ, ის უქნიათ. ვისაც უნდა, იმას შეერთებია ჩვენი კოლმეურნეობა. მე რომ სიმართლეს ვლაპარაკობ, ზოგს თურმე სხვანაირად ესმის. დათას ჰგონია, თითქოს მე იმიტომ არ მინდა ჩვენი კოლმეურნეობის გამსხვილება, რომ ადგილის დაკარგვისა მეშინია. სრულებითაც არა. წელან ჩემთვის ვანგარიშობდი კანტორაში. შერმადინმა და მეცხვარიშვილმა რომ დამინახეს, ქსოვრელთან საუბარი შეწყვიტეს და ცქერა დამიწყეს. „ეგეთი ანგარიში სად ისწავლეო, ჩვენმა საწყობის გამგემ ორჯერ ორი არ იცისო. გამსხვილებული კოლმეურნეობის საწყობის გამგედ აუცილებლად შენ წაგიყვანო“. არა, ძმაო — ხელი გააქნია საჩალელმა — მე საწყობში აღარც ვიმუშავებ. რად უნდა

ჰქონდეს ხალხს ცუდი შეხედულება ჩემზე?

— შენი ნებაა მერე? — დაიწყო თავშავაძემ. — შერმადინი ისეთი კაცია, რასაც იტყვის, იმას გააკეთებს. ბიჭი ხარ და ნუ დადგები საწყობში! — ეს რომ თქვა, დათას გადახედა.

ეს ამბავი დათამ არ დაიჯერა: „შერმადინმა შეიძლება მართლა უთხრა ეს სიტყვები, მაგრამ რა ბიჭი არ დადგება საწყობშიო“, გაიფიქრა. სიტყვის თქმას ისევ დუმილი არჩია.

ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა მოუვიდა ამ მუცელს, ამ ოხერტიალისას! — მოულოდნელად წამოიძახა საჩალელმა, ხელები მუცელზე შემოიწყო და დაიღრიჯა.

— რა დაგემართა, კაცო! — თანაგრძნობით იკითხა თავშავაძემ.

— მუცელში მივლის! უჰ...

— წამოდი, ადამიანო, სახლში, ისეთი არაყი დაგალევინო, ხელდახელ მორჩე! — უთხრა ცოლმა.

საჩალელმა ხმა არ ამოიღო.

— მეც შენს დღეში ვარ! — ჩაიხითხითა თავშავაძემ და ამხანაგს განზრახვა რომ გაუგო, დათას გადახედა.

— შენც წამოდი! არაყი არ მეშოვება სახლში, თუ რა!

— არაყი ვერ მიშველის, ღვინო უფრო მიხდება, — ეშმაკურად წარმოთქვა თავშავაძემ.

— ღვინო დალიე!

— გაქვთ?

— მტერსაც ნურაფერი ჰქონია. რატომ არა გვაქვს, ისეთი ღვინო დაგალევინო, უკეთესი არ გენახოს!

— იქნებ დათასაცა გვრემს მუცელს! — ვითომდა ხუმრობით ჩაიხითხითა თავშავაძემ.

საჩალელმა ელამი თვალებით დათას გადახედა.

— არა, ძმაო, მე არაფერი მტკივა და ძალით ნურაფერს ამატკივებთ! — ღიმილით უთხრა დათამ.

— განა მე კი მტკივა, ტყვილა ავიტკიოთ, რა გეხალვლება! — ყურში ჩასჩურჩულა თავშავაძემ.

დათა მოლბა, უარი ვეღარ უთხრა.

— პირველად არაყს დალევ თუ ღვინოს? — მიმართა საჩალელმა, როცა სუფრას შემოუსხდნენ.

— არაყიც იყოს და ღვინოც. რა მენაღვლება! — თამამად უპასუხა თავშავაძემ. მერე სახე დათასაკენ მიიბრუნა და უთხრა: არყის შემდეგ ღვინოა კარგიო.

— ეს ოხერი, — წამოიწყო დათამ, როცა ღვინო თავში შეუჯდა. — ამ ბოლო დროს ცუდი ზნე დამჩემდა. ხუმრობას ვეღარ ვიტან. აბა ახლა ისეთი რა მითხარი, მაგრამ მაინც მეწყინა.

— კარგი, არა ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი! — ეშმაკურად უთხრა მასპინძელმა დათას და თავშავაძეს ჩუმად თვალი ჩაუკრა. — რაც იყო, იყო. ამის შემდეგ ნუღარაფერს ვაწყენინებთ ერთმანეთს.

მასპინძელმა მეზობლების სადღეგრძელო ჩამოათავა. სიყვარული, პატივისცემა უსურვეს ერთმანეთს და ღვინოც მოეკიდათ.

დათამ ბოლოს უარი თქვა ღვინის სმაზე. ჭიქა აიღო, უკანასკნელი სადღეგრძელო დალია და წასვლის წინ მადლობა გადაუხადა. ზეზე რომ წამოდგა, წაბარბაცდა. ხელი ღვინით სავსე ბოთლს მოახვედრა. ბოთლი წაიქცა და წითელი ღვინო სუფრაზე დაიღვარა.

— არაფერია, არაფერი! — გაამხნევა საჩალელმა. — უპატრონო მკვდრები შეიწყალოს ამ ღვინით.

დათამ მაინც უხერხულად იგრძნო თავი, ბოდიში მოიხადა, კიდევ მადლობა გადაუხადა მასპინძელს და კარში გავიდა.

ბნელოდა.

მასპინძლებსაც კარგად მოჰკიდებოდათ ღვინო. საჩალელს ჟანგისფერი სახე ნაღვერდალივით გაწითლებოდა. ხოლო

კოტე თავშავაძეს სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა.

— მართლა ცუდად გახდი, თუ განგებ მოაწყე ასე, რომ ძაგ არაძკითხესათვის ჩაგეცეცხლებინა? — ჩაიხითხითა თავშავაძემ და საჩალელს თვალებში ჩააცქერდა.

საჩალელმა კბილები გააკრაჭუნა.

— ბუცელი ძაგ ქოფაკს დაგვრიმოს, ისე დაგვრიმოს, რომ დილაზე გაგუდული გვენახოს! — ბოღმით წამოიძახა მან. მაგიდას ისე მძლავრად დაჰკრა მუშტი, რომ ლამპის ალი შუშის ზემოთ ავარდა და, ცოტა გაწყდა, მაგიდიდან არ გადავარდა.

— შენ არ გადარჩენილიყავ ცოცხალი ამაღამ, შე უნამუსო, შენა! — მოულოდნელად, მეხივით იჭექა დათამ და აივნიდან სახლის კარებში შეაბოტა.

საჩალელმა და თავშავაძემ თვალები დააჭყიტეს.

— ისევ აქა ხარ, ბებერო მელავ? — წამოიძახა საჩალელმა და ზეზე წამოვარდა.

— მელა შენა ხარ, შენი დედის ძუძუები კი გაშრა შენი გაზრდისათვის! — დასჭყივლა დათამ. — ჩემთან ვერ გაგივა ოინბაზობა, შე ოინბაზო, შენა. განა ვერ მიგიხვდი, მუცელი რისთვისაც აგტკივდა, იმიტომ რომ ჩემთვის თვალები აგეხვია, არა! ოი... — დათამ კბილები გააკრაჭუნა. — სულ ერთია მე არ მოგცემ მოსვენებას, შე უნამუსო, შენა. როცა კოლმეურნეობას შენი თავი უჭირდა, მაშინ ჯანდაბისაკენ გქონდა პირი, ახლა მზამზარეულ სუფრაზე თამამად დაჯექი და ხელებს, როგორც გინდა, ისე შლი. შენი ფეხი აღარ იქნება საწყობში, შე ჩარჩო, შენა!

— ჩაიწყვიტე ხმა, თორემ აქედან დაბლა გადაგაგდებ, შე ბებერო ეშმაკო, შენა! — კბილები დაუკრაჭუნა საჩალელმა. გასარტყმელად გაიწია, მაგრამ თავშავაძე წინ გადაუდგა.

— დამარტყი! დამარტყი, თუ ვაჟკაცი ხარ! — მაღალი ხმით შეჰყვირა დათამ. სახე მიუშვირა. — მე შენ გიჩვენებ სეირს! სხვასთან რომ გაგდის ძაძაძაღლობა, ჩემთან ვერ გაგივა. რასაც ფიქრობ, იმას ვერ ეღირსები. იმიტომ არ გინდა კოლმეურნეობის გამსხვილება, რომ აქ თაძაადად პარპაშობ, იქ კი არავინ გაპარპაშებს. შერმადინი იმიტომ არ მოგწონს, რომ ის მართლა ხალხის შვილია, ხალხისათვის ფიქრობს. შენ კი, მარტო შენი ჯიბისაკენ ეზიდები, ხალხი ფეხებზე გკიდია. ეე... ძველი დრო ხომ არაა, თვალები დამიბრმავო. შენ გგონია რასაც აკეთებდი, არ ვიცოდი? ვიცოდი, მაგრამ ხელში ვერ ჩაგიგდე, ზედ ვერ დაგიჭირე, იმიტომ რომ დიდი მამაძაღლი ხარ. ოხ შენი... — დათამ კბილები გააკრაჭუნა.

ხალხი საჩალელის აივნის კიბეებს მიაწყდა.

— აი, სტუმარი და მეზობელი ასეთი უნდა! — ხელების გაშლით მიმართა ვანომ აივანზე ამოსულ ხალხს. — ჩემს პურმარილზე მე მაგინებს.

— შენი პურმარილიც შევარცხვინე და შენი ადამიანობაც! მე მაგნაირ პურმარილს არა ვარ ჩვეული. ვისთანაც ეგ პურმარილი გაგდის, ისევ იმას გაუშალე.

— ოხო ხო ხო... არ მოწამლა აქაურობა! — აყვირდა თავშავაძე.

— მთვრალია კაცო, გამოიყვანეთ! — კიბეებზე დაიძახა ვიღაცამ.

დათამ კბილებისკენით გადახედა თავშავაძეს, გასარტყმელად გაიწია, მაგრამ ამ დროს რამდენიმე ხელი ერთად ჩაეჭიდა და აივანზე გაიყვანეს.

ხალხში სიცილი გაისმა.

— მოდით, ხალხო, და მე გამამტკუნეთ! — ჩემი ღვინით გამოითვრა და სხვისი ჯავრიც ჩემზე უნდა ამოიყაროს! — მაღალი ხმით დაიძახა საჩალელმა.

დათა აივნის ბოძს მოეჭიდა, ხალხს აღარ დანებდა, რომ დაბლა ჩაეყვანათ.

— შე კაი კაცო, პატივი გეცი, ღვინო დაგალევინე, გამოგისტუმრე. შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კარგი კაცი იყავი, ფანჯრის გვერდით რატომ დაიძალე და ყური რად დაგვიგდე?

— ყოველ გამძვრა! ამას ვიცვამდი, ამ ოხერსა. ამასაც რომ არ დავეკავებინე, ისეც ვიცოდი, რა გულით დაძაატიქეთ! — არა ცხრებოდა დათა. — შენ ბ თეთრი კბილების ამბავი ვიცი! ფუ, შეგირცხვა ვაუკაცობა.

კოტე თავშავაძე დათას თავზე წაადგა.

— აღარ მიდიხარ?! ნათლიმამად ხომ არ შეგვეყარე! — გაბრაზებით დაუყვირა დათას და გულზე ხელი ჰკრა.

— რაც თქვენა ხართ, ის თქვენი ნათლიმამა იქნება! — აქ უკვე ვეღარ მოითმინა დათამ, მოუქნია სილა თავშავაძეს და სახეში გააწნა.

— ჩაიყვანეთ! — აკივლდნენ ქალები.

დათას მკლავში ხელი მოჰკიდეს და კიბეზე დააქანეს.

IV

კოწახურელი და ურწყაველი კოლმეურნეები დღეს ადრე დაბრუნდნენ მინდვრებიდან. სამუშაო ტანსაცმელი გამოიცვალეს და გიგეთისაკენ გაემართნენ. ცხრა საათისათვის გიგეთის სასოფლო კლუბში გაერთიანებული კრება იყო დანიშნული.

ახალ ტანსაცმელში გამოწყობილიყო კოტე თავშავაძეც. ზოლიანი შარვალი და ნაცრისფერი კიტელი ჩაეცვა. ტანსაცმელი ახალი გაუთოვებული იყო და მის ზორბად მოყვანილ ტანს შნოს აძლევდა.

ახლა ვანოსთან ერთად მიდიოდა გიგეთში. კრების დაწყებამდე, ხალხს კიდევ გადახედავდნენ. სათქმელს გაუგებდნენ, თავიანთ მომხრეებს შეამოწმებდნენ და მერე ისე გამოვიდოდნენ კამათში.

გზადაგზა დათაზე ლაპარაკობდნენ, აღარ იცოდნენ. როგორ დაემცირებინათ ის პატიოსანი კაცი.

— შენ თუ იცი, ერთხელ დათა ფოტოგრაფთან რომ მისულა? — ხარხარით წამოიძახა თავშავაძეძ და საჩალელს ელამ თვალებში ჩააცქერდა.

— არა!

— ახალგაზრდობისას ერთხელ თურმე დათა ფოტოგრაფთან მისულა სურათის გადასაღებად. ეს იცი, რა დროს? დათას აი ამხელა რქები რომ აჯდა შუბლზე. — კოტემ მკლავზე დაიხედა. — ჰოდა, ფოტოგრაფს გადაუღია სურათი. დათას რომ უნახავს ეს სურათი, არ მოსწონებია. ფოტოგრაფისთვის ჩხუბი დაუწყია: ჩოფურა და ულამაზო რად გამომიყვანეო. ფოტოგრაფს უთქვამს: შე მამაცხონებულო, მამაშენს უნდა ეჩხუბო, ხელოსანი ის იყო, მე რას მეჩხუბები, მე ხომ არა ვარ მამაშენიო.

— ხა ხა ხა ხა... — ჩაიხითხითა საჩალელმა და სიცილის გამო თვალები ცრემლით აევსო.

— იმ დალოცვილს რა კარგად უთქვამს, არ უყურებ? — ღრეჭით ამბობდა საჩალელი — ვინ იცის, იმ დროს, სარკეც არა ჰქონდა სახლში, რომ თავისთავი სცნობოდა. ხა ხა ხა ხა...

— ამ სარკეზე გამახსენდა, არც ის იცი, თბილისში ნათესავთან რომ წასულა?

— აბა ეგ როგორღაა, სთქვი, სთქვი, თუ ძმა ხარ! — სიცილით სულს ძლივს ითქვამდა ვანო.

— ესეც მაშინ ყოფილა, როცა ის რქები ასხდნენ შუბლზე. თბილისში ვიღაც შეძლებული ნათესავი ჰყოლია. მასთან სტუმრად მისულა. სადილობა რომ დაუწყიათ, დათას წამოუძახია: აქ ყველა ერთ დროს სადილობთო? დიასახლისს ვერ გაუგია დათას სიტყვები და უკითხავს: რაზე მეუბნები მაგასო? იქვე დიდი სარკიანი კარადა მდგარა. დათას სარკეზე მიუთითებია და უთქვამს: აგერ, მეორე ოთახში გაიხედე, როცა ჩვენ დავსხედით სუფრაზე პურის საჭმელად, ისინიც მაშინ დასხდნენო.

— ვა, ხა, ხა, ხა, ხა... ხომ გითხარი, სარკეც არა სცოდნია მაშინ, რა იყო... ხა ხა ხა... — ხმამაღლა ხითხითებდა საჩალელი.

— რა ბეშტერა ყოფილა, არ უყურებ? — წარმოთქვა ბოლოს, როცა სიცილით გული იჯერა.

— კაი ბეშტერაა, აბა ახლა მოუგე სიტყვაში, თუ ბიჭი ხარ — უთხრა კოტემ.

— ახლა მე როგორ უნდა მოვუგო სიტყვაში, მაგას ვექილიც ვერ აჯობებს ლაპარაკში.

— დრო მაგან დაიკვეხოს, ოთხი ბიჭი ჰყავს, ოთხივენი უძაღლესში სწავლობენ, — შურით წარმოთქვა კოტემ.

— სწორედ იმ ბიჭებიდანაა, ის რქები რომ მოიშორა. ახლა ისე მოაქვს თავი ცოდნაში და კაცობაში, თითქოს ორი უმაღლესი ჰქონდეს დამთავრებული.

— რა მეტიჩარა კაცია, — სიცილით წამოიძახა საჩალელმა.

— მაგის შვილებიც ეგეთები არიან, — განაგრძო კოტემ. — გახსოვს, ამ ზაფხულს რომ იყვნენ სოფელში არდადეგებზე? ხან საერთაშორისო მდგომარეობაზე წაიკითხეს ლექცია, ხან იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ როგორი ცხოვრება უნდა იყოს კომუნიზმის დროს, ხან იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს დღევანდელი საბჭოთა ადამიანი. მთელი სოფელი კი ეს წრებოდა მათ ლექციებს, ყველა მათ კარგს ლაპარაკობდა.

— ახლა შვილი რომ ჩამოუვა თბილისიდან, მაშინ ნახე, რა ამბავში იქნება დათა.

— როგორ, ბიძინამ უკვე დაამთავრა ინსტიტუტი?

— დაამთავრა რომელია, ჩვენს კოლმეურნეობაში ნიშნავენ აგრონომად.

— რას მეუბნები, კაცო, მართალია?! — გაკვირვებით წამოიძახა კოტემ.

— მე მგონი მართალი იქნება, ხალხი ლაპარაკობს.

— ეე! წამხდარა ჩვენი საქმე, და ეგ არის. ჯერ დათა რა აროის და ალა იაისი შვილიც რომ უფროსად დაგიდგება, მაშინ ხახე, რა იქნება.

— შენ ეგა სთქვი და...

ჩემი ცოლი ვერ დავარწმუნე იმაში, რომ დათა ტურაშვილი ჩვენი მტერია. როცა რამეს ვეტყვი დათაზე, მაშინვე იმას მომაძახებს: „დათაანაირი ადამიანი რომ იყო, ჩემზე ბედნიერი სხვა არავინ იქნებოდაო“.

— ეს ჩემი საქმე კი არაა, კოტე, და უნდა გითხრა: შენს ცოლს მაგრად დაუჭირე თავი. ნათლიმამა ხარ და არ მინდა ცუდი ამბავი მოხდეს შენს თავზე. ეგ დალოცვილი, თუ ეგრე გატაცებული იყო სწავლით, რაღას თხოვდებოდა? საშუალო რომ დაამთავრა, უმაღლესში შესულიყო და ესწავლა. რაკი გათხოვდა, სახლში იყოს და ბავშვებს მოუაროს. ყველაფერზე რატომ გეწინააღმდეგება? ცოლი და ქმარი ისე უნდა იყვნენ, უგენაცვალეოდ ხმას არა სცემდნენ ერთმანეთს. სულ უკმაყოფილობა და ბუზღუნი რატომ უნდა გქონდეთ ოჯახში? ვისზე ნაკლები ოჯახიშვილი ხარ? ტანი არ გივარგა თუ შეხედულება?

კოტეს უნდოდა ამ საკითხზე ვანოსათვის პასუხი მიეცა, მაგრამ ხალხი წამოეწია და გაჩუმდა.

უცბად „პობედის“ საყვირის ხმა გაისმა.

საჩალელმა კოტეს მკლავში ხელი მოჰკიდა და გააჩერა. ცნობისმოყვარეობით დააცქერდნენ მანქანას.

საჩალელმა ხელი გაუშვა კოტეს. ორი ნაბიჯით წინ წარდგა, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და ღიმილით შოფერს ანიშნა, მანქანა გაჩერებინა.

„პობედა“ მათ წინ გაჩერდა. კაბინიდან შუახნის კარგად ჩასუქებულმა კაცმა გამოჰყო თავი.

ეს კაცი ნამდვილი სახელითა და გვარით რომ გეკითხათ, ყველა „არ ვიცის“ გეტყოდათ, ხოლო მეეტლე გი-

შიას თუ იტყოდით, მთელი რაიონი იცოცხლებდა.

სად გინდათ, რომ ეს კაცი არ ყოფილიყოს ხათრევი და ხახეტიალი. ძისი ძველი ეტლი, ეტლის გაიოუდებული ბოიბლეაი, მგზავრობის დროს რომ აკვანივით ხან აქეთ გადაარწევდა ეტლში ძახდომ მგზავრებს და ხახ იქით, და ყურებიამოყრილი, დავარდნილი ცხენები, ახლაც კარგად ახსოვს აქაური მხარის ხალხს.

არც პატრონი იყო თავის ეტლზე და ცხენებზე უკეთესი შესახედავი. გამხდარს, გაყვითლებულს, არყის სმისაგან კბილებიაცვენილს, ხშირად ნახავდით მეტეხის აღმართთან გაჩერებულს, ყოველთვის მაღლა ჰქონდა აღმართული მსხვილი მათრახი და გამწარებით სცემდა დაჯანდაგებულ ცხენებს, სანამ ან ერთი ცხენი არ წაიქცეოდა, ან მეორე.

ქალები ყოველთვის ერიდებოდნენ გიშიას ეტლით მგზავრობას. ვისაც ამ ეტლით უმგზავრია, ახსოვს, მისი უწმაწური სიტყვები, სართულ-სართულიანი გინება, ღვინისა და არყის აყროლებული სუნი, მის ეტლს რომ თან ახლდა.

გიგეთის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ ადამიანურ გზაზე დააყენა ეს ყოვლად გადაგვარებული კაცი, რომელსაც ადამიანის მხოლოდ შეხედულებაღა შერჩენოდა.

ეტლი ჩამოართვეს, კოლმეურნეობაში ძალისძალით შეიყვანეს, ყურადღება მიაქციეს და მერე ტრაქტორისტების კურსებზე გაგზავნეს სურამში. გიშია ცალე დაადგა ახალი, ჯანსაღი ცხოვრების გზას, აკრძალა სასმელი, მოიშალა უწმაწური სიტყვები, ლოთობის ნიადაგზე ჩაცვინული კბილების ადგილას ფოლადის კბილები გაიკეთა. გასუქდა, გალამაზდა, ადამიანს დაემსგავსა. ამ ბოლო დროს ცოლიც შეირთო და ოჯახისათვის „პობედაც“ იყიდა. ახლა მოწინავე ტრაქტორისტის სახელი ჰქონდა გავარდნილი რაიონში. ძველი მარტო სახელი-ღა შერჩენოდა და იმის მოშორებასაც ახლა ფიქრობდა. როცა ვინმე გიშიას დაუძახებდა, ეტყოდა: ახლა გიშია კი არა, გრიგოლი მქვიაო.

საჩალელმა, იცხო თუ არა გიშია, აღტაცებულმა შესძახა:

— ვახ, გიშიას არ უყურებთ, როგორ მინისტრივით გამოჭიმულა! — მერე ახლოს მივიდა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, გიში! ო, გიში კი არა, გამარჯობა, გრიგოლ!

ხალხს სიცილი წასკდა. გიშიასაც გაეცინა.

გიშიას ერთი თვისება ჰქონდა: რაც არ უნდა ეთქვა კაცს, არა სწყინდა.

— საით გაგიწევიათ? — ჰკითხა გიშიამ ხალხს.

— გიგეთში. კრებაზე! — უპასუხეს ერთხმად.

— მაშ დაბრძანდით! — მიმართა გიშიამ კოწახურელებს.

— შენ უყურებ?! — წამოიძახა ღრეჭით საჩალელმა, — ლაპარაკიც როგორ ზრდილობიანი უსწავლია.

მერე გვერდით მიუჯდა და უთხრა:

— ახლა მე და შენ ერთი მაგრა უნდა დავლიოთ!

—გმადლობთ, მე ღვინოს არა ვსვამ!— უპასუხა გიშიამ.

— შენ სადღა იყავი? — ჰკითხა ახლა საჩალელმა.

— არსად. ისე, ვსეირნობდი...

კოწახურელები სოფლის კოოპერატივთან ჩამოვიდნენ მანქანიდან. გიშიამ მანქანა რომ მიატრიალა, საჩალელმა უკანიდან მიაძახა:

— მამაშენიც „პობედით“ სეირნობამ მოკლა, აი!

V

კლუბის ეზოში უამრავი ხალხი შეგროვილიყო. ურწყაველები ერთ მხარეზე გაჩერებულიყვნენ და თავიანთთვის ტკბილად ბაასობდნენ. მეორე მხარეს გიგეთელები და კოწახურელები არეულიყვნენ ერთიმეორეში. გამსხვილების

საკითხზე საუბრობდნენ, ერთიმეორეს კითხვებს აძლევდნენ, ბსჯელობდნენ.

სახალ კლუბის ეზოში შევიდოდნენ, საჩალელმა თვალი მოჰკრა დათა ტურაშვილს. გიგეთელი კოლმეურნეების შუა ჩამდგარიყო და მაღალი ხმით რაღაცას ლაპარაკობდა. მათ რიცხვში შიო ხიზამბარელს და სანდრო ახალკაცს რომ შეავლო თვალი, გული შეეკუმშა. სახეზე წითელმა ელფერმა გადაჰკრა: ჩემზე ხომ არაფერს ელაპარაკებაო, გაიფიქრა.

ელამი თვალებით ერთხელ კიდევ შეათვალიერა დათა ტურაშვილის ნაყვავილარი სახე, მერე კოტეს მიუბრუნდა. უნდა ეთქვა: ერთად ნუ დავენახვებით ხალხს, არავინ არაფერი თქვასო, მაგრამ ახლა უკვე ნაგვიანებად ჩათვალა ეს მოსაზრება.

ქურდულად შევიდნენ კლუბის ეზოში, მორიდებით ხალხს საერთო სალამი მისცეს, გიგეთელებს გვერდში ამოუდგნენ და სმენად გადაიქცნენ.

რა თქმა უნდა, აქა-იქ გიგეთშიაც მოიძებნებოდნენ ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც ურწყავთან შეერთებაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. სწორედ ასეთი ხალხის იმედი ჰქონდა საჩალელს. თავისი პატარა ჭკუით ვერ გაეგო. რომ ასეთი ხალხი, როგორც კოწახურაშია, გიგეთშიაც ძალზე ცოტა, თითზე ჩამოსათვლელი იყო.

საჩალელი ახლა მელასავით ჩუმად დაძვრებოდა ხალხში. ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან, ხან მესამესთან. ყურებაცქვეტილი და თვალებდაჭყეტილი უსმენდა, ვინ რას ლაპარაკობდა. მთელი ხალხი რომ შეამოწმა, გაკვირვებული დარჩა. არ მოელოდა, თუ გამსხვილების მოწინააღმდეგენი ასე ცოტანი აღმოჩნდებოდნენ. იმ ამბავმა უფრო შეაშფოთა, ამ ხალხიდან, არც ერთი ავტორიტეტიანი პიროვნება რომ არ იყო. ასეთ ხალხს თვითონვე არაფრად აგდებდა. იფიქრა: სხვა ვინ რას დაუჯერებსო.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა საჩალელს. რასაც ფიქრობდა, არ გამოუვიდა. ენაზე კბილები დააჭირა და ხმა ჩაიწყვიტა, არავისთან არაფერი წამოსცდენოდა.

„ნამდვილად შეულოცა ამ ხალხს შერმადინმაო“, გაიფიქრა. ახლა მან თავისი მოქმედების გეზი შეცვალა. ხალხს თავი ანება და სიტყვის მოფიქრებას შეუდგა, როგორ ელაპარაკა კრებაზე გამსხვილების სასარგებლოდ.

ფიქრებში გართულმა, ვერც კი გაიგო, როგორ მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ტურაშვილი საუბრობდა ხალხთან.

ფიქრებიდან დათას ხმამ გამოარკვია. მაღლა რომ აიხედა, მის ნაყვავილარ სახეს მოჰკრა თვალი, რაღაცაზე იცინოდა.

დათას სიცილს ვერ იტანდა ვანო. ეს სიცილი ბოღმას, შურს, მტრობას აღვივებდა მის გულში. „ნამდვილად მე, მე დამცინიანო“, გაიფიქრა და დათას გამწყრალი თვალებით გადახედა.

წელში მოიკაკვა საჩალელი. ის სიმხიარულე, ის სითამამე, რომელიც კოწახურიდან გამოჰყვა, სადღაც გაუფრინდა. თვითონაც ვერ მიხვდა ასე უცბად, როგორ შეცვლილიყო მისი განწყობილება.

კოტე თავშავაძე ისევ ძველებურად გრძნობდა თავს. ნელი ნაბიჯით ხალხში ბაიყუშივით დადიოდა და ვერ მიმხვდარიყო, რომელი მხარე ჭარბობდა, — გამსხვილების მომხრენი, თუ მოწინააღმდეგენი.

ის-იყო, საჩალელი კოტესაკენ უნდა წასულიყო, რომ გვერდიდან დათას ხმა შემოესმა.

— რაო, მეზობელო, როგორ შეატყვე ხალხს. გამსხვილების მოწინააღმდეგენი გაიმარჯვებთ, თუ ჩვენ, გამსხვილების მომხრენი?

ამ სიტყვებმა საჩალელს ყურებში წვიალი დაუწყო. არ მოელოდა, ნაჩხუბარი დათა თუ აქაც. ამ ხალხში იტყოდა რამეს. „ბებერო მელავ“ გაბრაზებით

წარმოთქვა გუნებაში და დათას დაბღვერით გადახედა, მის სახეზე დამცინავი ღიმილის მეტი ვერაფერი ამოიკითხა.

მთლად უნამუსო და წყალწაღებული არ იყო საჩალელი. ერთი კარგი თვისება კიდევ ჰქონდა შერჩენილი მის კაცობას. როცა ვინმესთან მტყუანი იყო, სირცხვილი იცოდა. გაწითლდებოდა, გული აუკანკალდებოდა, შესაბრალისი გახდებოდა. სწორედ ასე დაემართა ახლა გიგეთელების წინაშე.

— რა გინდა, შე კაი კაცო, აქაც არ მომასვენებ?—შებრალების ხმით უთხრა დათას. ეშმაკობაში ეშმაკიც ვერ აჯობებდა მას. იცოდა, ასე იყო საჭირო ლაპარაკი დათასთან. გიგეთელები რომ იქ არ ყოფილიყვნენ, მაშინ თვითონ იცოდა, რასაც ეტყოდა.

— შენნაირი ხალხი ბევრი თუა აქ? — სიტყვა გაუმეორა დათამ.

— ხომ კარგად დამამუშავე გიგეთელებთან, ახლა კიდევ რა გინდა?

— მე არავისთან დამიმუშავებიხართ. არც მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, ადამიანი ზურგს უკან ვაძაგო. აი, რამდენი ხანია გიყურებ, ხალხში რომ დადიხარ და ყველას ყურს რომ უგდებ, ვინ რას ლაპარაკობს. შენ ხომ მოწინააღმდეგე ხარ გამსხვილებისა, იმიტომ გეკითხები, შენნაირი ხალხი ბევრი თუ არის-მეთქი აქ!

მიწა რომ გასკდომოდა საჩალელს და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია ამ ხალხში ამ სიტყვების გაგონებას. მაგრამ გული იმით გაიმაგრა, რომ დარწმუნდა დათას სიტყვების სიმართლეში: მას მართლაც არ უყვარდა ზურგს უკან ადამიანის ძაგება.

— შენ საიდან იცი, რომ მე გამსხვილების მოწინააღმდეგე ვარ?

— მაშ გამსხვილების მომხრე ხარ?

— მომხრე ვარ, მაშ რა ვარ! მართალია, პირველად გამსხვილების საკითხს ყური რომ მოვკარი, წინააღმდეგი წავედი, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, ჩემი გადაწყვეტილება სისულელედ ჩავთვალე. შე კაი კაცო, პირველად შეიძლება რა ხასიათზე ხარ, სწორად ვერ გაიგო საქმის ვითარება, განა ამიტომ ამ საქმის მოწინააღმდეგედ უნდა მომნათლო?

— ბოდიში, ნეტავ მართლა მე ვცდებოდე! — ღიმილით წარმოთქვა დათამ. საჩალელისათვის ხმა აღარ გაუცია. ისე კი მიხვდა, რომ საჩალელი თვალის ასაბმელად ამბობდა ამ სიტყვებს. მის გულს ისე იცნობდა, როგორც თავის საკუთარ გულს.

ამ სიტყვების შემდეგ საჩალელი აღარ გაჩერებულა მათთან. შეფიქრიანდა, საუბარი კიდევ არ გაგრძელებულიყო და ამ საუბარს მწვავე ხასიათი არ მიეღო. უცბად კლუბიდან გამოსულ შერმადინს შეავლო თვალი, წელში გასწორდა, ქუდი მოიხადა, თავი დაბლა დაუკრა. საქმით გართულმა შერმადინმა ისე სწრაფად ჩაუარა ვანოს გვერდით, მისი სალამი არც შეუმჩნევია.

საჩალელს გული დაწყდა, დაეჭვიანდა. ვერ გაეგო, განგებ არ მიესალმა, თუ ვერ დაინახა, და ამის გამო დატოვა უპასუხოდ მისი „გამარჯობა“.

კოტე თავშავაძეს თავისი ჭკუის კაცი — ქიტესა ცალქალამანაძე ეპოვნა, გვერდით დამდგარიყვნენ და თავიანთ გულისწუხილს ერთმანეთს უზიარებდნენ.

— რა შვილები არიან ურწყაველები, რომ გამსხვილების წინააღმდეგ წავიდნენ, — ამბობდა კოტე.

— წინააღმდეგი რად იქნებიან რა, ჯერ თავიანთ ცხოვრებაში კილოობით პური არასოდეს გაუნაწილებიათ. — დაემოწმა ქიტესა ცალქალამანიძე.

— რომელ კილოზე ლაპარაკობ კაცო, კილო კი არა, არავის ახსოვს, შრომადღეზე ორას გრამზე მეტი გაინაწილებინოთ მაგათ კოლმეურნეობაში! — მტკიცედ, თანაც დაცინვით წარმოთქვა კოტემ. ურწყაველებს გვერდულად გადახედა და განაგრძო — შენ ისა სთქვი,

ეს კოწახურელები და გიგეთელები რაღამ გააგიჟა, რომ შიშით ხმა ვერ ამოუღია კაცს. იტყვი რაღაეს გამსხვილების წინააღძდეგ და მაშინვე პირში მოგვარდებიან: „რატომ ამბობ, შენ ისევ ძველებურად მსჯელობ“. შე კაი კაცო, როგორ არაფერი არა ვთქვა, ვიმუშაო, ვიშრომო, ოფლი დაკღვაოო და ურწყაველებმა ჭამონ? სად ორასი გრამი, სად ხუთი კილო ხორბალი შრომადღეზე. ნუთუ ამას ვერა გრძნობენ. ამათ ჰგონიათ, როგორც შარშან ააკესეს ბეღლები მოსავლით, ახლაც ასე იქნება. ჯერ მოიცა, მგონი თავბედს იწყევლიდნენ, ეს რა სისულელე ჩავიდინეთ, რომ ურწყავთან გავძსხვილდითო.

კოლა ლალიაშვილმა, რომელიც მოშოლებით იდგა და ათ ლაპარაკს ყურს უგდებდა, ვეღარ მოითმინა.

— მაგხელა კაცი აყუდებულხარ და შენს გოგოანი ისევ ბხელა. ეე შეუგნებელო, შენს შრომას ჩვენ რატომ შევჭამთ? ჩვენ შრომის უნარმოკლებული ვართ თუ რა? თუ შენ იშროეებ, ჩვენ ვერ ვიშრომებთ? შენ ჩვენზე ღონიერი ხარ თუ ჩვენზე მეტის გაკეთება შეგიძლია? ფუ, არც კი გრცხვენია, მაგას ლაპარაკობ.

— კაცი რომ სიმართლეს იტყვის, უნამუსოდ მიგაჩნიათ. შენ რატომ არ იქნები თანახმა, ლუკმა შუაზე უნდა გაგიყოთ!

— უნამუსო რომ არ იყო, უნამუსოდ არ ილაპარაკებდი. შენ რატომ უნდა გაგვიყო ლუკმა შუაზე. ჩვენ მამული არა გვაქვს? ჩვენ არ ვიშრომებთ? ჩვენ მოსავალს არ მოვიყვანთ? რას ლაპარაკობ! ხომ არ გაგიჟდი!

— დაიუშიათ და გაიერთიანდით, მერე და ერთმანეთის მამულში როგორ ენოა ვიმუშაოთ? თქვენი მინდვრები იქითაა გადაკარგული, ჩვენი აქეთ. სიარული არ გინდა?

— შე კაი კაცო, თავიდან ხომ არ უნდა იარო, მანქანა მიგიყვანს და მოგიყვანს!

— სადა გვაქვს მერე ამდენი მანქანები?

— დღეს თუ არა გვაქვს, ხვალ გვექნება. ხომ ხედავ ახლა ყველაფერი ძექანიზებული ხდება სოფლად, შენ კი მაგდენიც არ გესმის. — გაბრაზებით მიაძახა ლალიაშვილმა და ის-იყო, უნდა მოშორებოდა თავშავაძეს, რომ მათკენ მიმავალ შერმადინს მოჰკრა თვალი.

ვანო საჩალელი, რომელიც ხალხს უკან ამოსდგომოდა და ჩუმად ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს, შერმადინის დანახვაზე გამოცოცხლდა. წინ ჩაფარებული ხალხი მხრით გაარღვია, კოტესთან მიიჭრა და ხმამაღლა, შერმადინს რომ გაეგონა, შესძახა:

— შე კაი კაცო, შენ თუ იშრომებ, ურწყაველები შენზე ნაკლებ საქმეს გააკეთებენ? შენი დასაყვედრებელი რა აქვთ ამ ხალხს? — ვანომ ხალხს მაცდური თვალით გადახედა, შერმადინის მოახლოება რომ იგრძნო, კოტეს მიუბრუნდა და განაგრძო: — ზოგიერთებს გძინავთ ისევ. კიდევ ვერ გაიგეთ ვერაფერი. ამხელა კაცმა როგორ ვერ შეიგენი, რომ ერთიანი ძალით უფრო მეტ მოსავალს მოვიყვანთ, ვიდრე აქამდე მოგვყავდა?

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა ვანოს, მაგრამ შერმადინის ხმამ შეაწყვეტინა სათქმელი.

— რაშია საქმე, ვანო, რა ცხარე კამათი გაქვთ? — იკითხა მან, როცა ახლოს მივიდა.

სანამ საჩალელი ხმას ამოიღებდა, ლალიაშვილმა დაასწრო.

— დაუგრძელებია ენა ამ აყლაყუდას და ჩვენ გვაყვიდრის, ლუკმას შუაზე გვიყოფენ ურწყაველებიო. დღეს ურწყაველების აღდგომა არისო. ვინ იცის, რაღას არა ლაპარაკობს. ასე ჰგონია, მაგათი შისანახი უნდა გაიხდით. მე მეუბნება: შენ იმიტომ ლაპარაკობ ეგრე, ურწყაველი ხარ, აბა ჩემს ადგილას იყო, თუ ჩემზე უარესს არ ილაპარაკებდიო.

— აი, ესეც თქვენებური! — მიუბრუნდა ლალიაშვილი თავშავაძეს და საჩალელზე მიუთითა. — ვერ ჩაგაწყვეტინა ხმა! მე რომ თქვენებური ვყოფილიყავი, სახეში სილას გაგაწნავდი.

— მართლაც რომ არგებდა სილა ჭკუაზე მოსაყვანად! — გათამამდა საჩალელი. ლალიაშვილის სიტყვებზე გულში ისეთი აღტაცება, ისეთი სიხარული იგრძნო, წეღანდელი შემოწოლილი ნაღველი მთლად დაავიწყდა.

შერმადინმა მეგობრული თანაგრძნობით შეხედა ვანოს. ამ შეხედვამ ვანოს გულში ყინულივით დაადნო ის ეჭვი, რომელიც მასთან მისალმების შედეგად აღეძრა. გაიფიქრა: „უთუოდ ვერ დამინახა წეღან შერმადინმა, თორემ ისეთი თვალით მიყურებს, სალამს კი არა, ხელსაც ჩამომართმევდა და ვინაობასაც მკითხავდაო“. მისი ფიქრით, ახლა ხომ მთლიანად მოიგო როგორც ხალხის, ისე შერმადინის გული. „აგაშენოს ღმერთმაო“, დალოცა გუნებაში ლალიაშვილი და ამ ამბით წაქეზებულმა, სანამ შერმადინი იტყოდა რამეს, ერთხელ კიდევ უთხრა კოტეს:

— ქვეყანამ შეიგნო და მე არ მეგონა, თუ შენ ისევ ასეთი შეუგნებელი დარჩებოდი. აბა შეხედე ხალხს, ყველა შენს ლაპარაკზე იცინის. ეხ, კოტე, კოტე... — ღიმილით წარმოთქვა ვანომ, — ჩემი ნათლიმამა მაინც არ იყო, შე ღმერთგამწყრალო, შენა.

კოტე ენაჩავარდნილივით იდგა ერთ ადგილზე, ხმა ვერ ამოეღო, სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა. მეგობრის სიტყვებზე ხომ ცეცხლი მოეკიდა. მისი იმედი ჰქონდა, რომ მხარს დაუჭერდა, მოეშველებოდა. ის კი პირიქით მოექცა. ამოენ ხალხში თავი მოსჭრა, მიწასთან გაასწორა. გაანადგურა. ახლა უნდა ეთქვა რამე ვანოსათვის, მაგრამ ისევ დუმილი არჩია.

— მალე კრება დაიწყება, ამხანაგებო, ვისაც რა გაქვთ სათქმელი, გამოდით და იქ ილაპარაკეთ, — ბოლოს წარმოთქვა შერმადინმა.

ხიზამბარელის გვერდით გიშიამ ხალხი გაარღვია და თავშავაძისაკენ წავიდა.

წეღან შორიდან ხმაამოუღებლივ უსმენდა ლალიაშვილის და თავშავაძის ლაპარაკს. თავშავაძის სიტყვებზე გულში მოუსვენრობას გრძნობდა. უნდოდა მასთან მივარდნილიყო და თავისებურად შეეფუცხუნებინა, მაგრამ თავი შეიკავა, „კაცს ლაპარაკში შეამჩნევ, რანაირი სულისაა და რას წარმოადგენსო“. ამის გამო ლაპარაკი აცალა, რომ უფრო კარგად გაეგო მისი სულის მისწრაფება. ახლა რომ ნახა, თავშავაძე აღარაფერს ამბობდა, კოტესაკენ იმიტომ წავიდა.

ქიტესა ცალქალამანიძემ დაინახა თუ არა მათკენ წასული გიშია, განზრახვას მიუხვდა, უკან გაბრუნდა და ხალხში გაუჩინარდა. ის-იყო, შერმადინიც უნდა დაშორებოდა მათ, რომ უეცრად გაისმა გიშიას ხმა.

— რომელ საუკუნეში ხარ, თუ იცი?! არა გრცხვენია, მაგას რომ ლაპარაკობ! ფუ, შეგირცხვა კაცობა! რომ მოდნოდა ასეთი იყავი, წეღან მანქანაში რომ ჩაგსვი, აქ კი არ მოგიყვანდი, აშურიანში გაგიყვანდი და ხევში გადაგაგდებდი.

ხალხში სიცილი გაისმა, კოტე თავშავაძეს მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია.

— აი, ხომ ხედავთ, — უთხრა შერმადინმა, როცა ხალხი დაწყნარდა. — ყველათერი ხალხზეა დამოკიდებული. გამოდი კრებაზე, თუ ხალხმა მხარი დაგიჭირა, ხომ კარგი, შენი გადაწყვეტილება გაიმარჯვებს, თუ არა და უნდა შისცვალო ეს გადაწყვეტილება. ჩემო ძმაო. ხალხს უნდა დაუჯერო. შენ შეიძლება შესცდე, მაგრამ ხალხი არ შეცდება.

კოტე თავშავაძე გაშტერებული იდგა ერთ ადგილზე. მას შერმადინის ნათქვამი არც გაუგია. საჩალელის სიტყვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე ცეცხლივით ეკიდებოდა, თავბრუს ახვევდა.

— უყურე ერთი, — ამბობდა კოტე გუნებაში, — ეს საქმე ჩემზე ადრე მაგან წამოიწყო, მეც მხარი დავუჭირე, ახლა ხალხის წინაშე თვითონ კარგი გამოვიდა, მე კი ცუდი გამომიყვანაო.

უცბად თავისი ცოლი ნინო გაახსენდა: წყევლითა და ჩხუბით ამიკლებს, დღევანდელი ამბავი რომ გამიგოსო. ელვასავით გაურბინა ამ ფიქრმა. გაახსენდა არა ერთხელ და ორჯერ ნათქვამი მისი სიტყვები: შე უბედურო, საჩალელს ნუ აჰყვები, თორემ კლდეზე გადაგაგდებსო. ბრ გინდა მაგისთანა გაიძვერა კაცის მეგობრობაო, დაგღუპავსო. ეგ სხვანაირი გაქნილი კაცი ჩანსო.

ცოტა ხნის შემდეგ კლუბში იმდენი ხალხი იყო შეკრებილი, ადგილს ვეღარ იშოვნიდით.

კრება გიგეთის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა მეცხვარიშვილმა გახსნა. პირველი სიტყვა მოხსენებისათვის რაიკომის მეორე მდივანს მისცა.

მან ვრცლად ილაპარაკა კოლმეურნეობების გამსხვილების საკითხზე, სარწყავის არხის მშენებლობაზე და აღნიშნა ის დიდი გარდატეხა, რაც უნდა მომხდარიყო უახლოეს დროში მათი კოლმეურნეობის ცხოვრებაში.

კრება დიდხანს გაგრძელდა. კამათში გამოსვლის მსურველები არ ილეოდნენ. ყველას უნდოდა გამოეთქვა ის დიდი სიხარული, რომელიც კოლმეურნეობების გამსხვილებას გამოეწვია.

ბოლოს კრების თავმჯდომარემ განაცხადა, კენჭი ეყარათ, ვინ იყო მომხრე გიგეთის, კოწახურას და ურწყავის კოლმეურნეობების ერთ კოლმეურნეობად გაერთიანებისა.

ჰაერში უცბად იმდენი ხელი აიმართა, მისი დათვლა შეუძლებელი იყო.

თავმჯდომარემ ხალხს ხელი დაბლა დააშვებინა და განაცხადა ახლა იმ პირებს აეწიათ ხელი, ვინც წინააღმდეგობას გამოთქვამდა.

ხელი არავინ ასწია.

— წინააღმდეგი არავინა ხართ, ამხანაგებო?

— არა! — იგრიალა ხალხმა.

— არც თავი შეგიკავებიათ არავის?

— არა!

— ასე არ შეიძლება, ამხანაგებო, — განაცხადა თავმჯდომარემ, — აცადეთ, იქნებ ვინმეა წინააღმდეგი, აბა რა უნდა გავიგო, ყველა „არას“ იძახით!

ხალხი დაწყნარდა.

— ესე იგი არც წინააღმდეგია არავინ და არც თავი შეუკავებია არავის, ძალიან კარგი.

პრეზიდიუმიდან შერმადინი წამოდგა, თავმჯდომარისაგან სიტყვის თქმის ნებართვა აიღო და ხალხით გაჭედილ დარბაზს გადახედა, თითქოს ვიღაცას ეძებსო.

— კოტე თავშავაძე აქ არ არის? — იკითხა მან.

ყველამ უკან მოიხედა. დარბაზში თანდათან ხმაური და ჩუმი სიცილი გაისმა.

— აქ არის, აქ! — მცირე ხნის შემდეგ გაისმა აქეთ-იქიდან ხალხის წამოძახილი. ამ წამოძახილებს თანდათან ხმაური მიემატა, ხალხის ლაპარაკი ერთმანეთში აირია და კლუბიც აზანზარდა.

— სიწყნარე, ამხანაგებო! — გაისმა თავმჯდომარის ხმა. ამ ხმას მაშინვე ზარის წკრიალი მოჰყვა. ხალხი დაწყნარდა.

— აბა სადაა, რომ ვერა ვხედავ! — ღიმილით წარმოთქვა შერმადინმა. ხალხით გაჭედილ დარბაზში თვალი მოატარა, კიდევ ვერ დაინახა, ვისაც ეძებდა.

კოტე თავშავაძე სულ უკანა რიგში, კუთხის სკამზე დამჯდარიყო. მუხლებზე ნიდაყვები დაეწყო, ნიდაყვებში თავი ჩაერგო და გატრუნული იჯდა.

მას თითქოს არ ესმოდა არც შერმადინის ხმა, არც თავის გვარის ხსენება. ზეზე ადგომა მისთვის ახლა ჯოჯოხეთი იყო. „იქნებ თავი დამანებონო“, ფიქრობდა და თავს მაღლა არ სწევდა.

ვანო საჩალელი ლალიაშვილის გვერდით გამოჭიმულიყო წინა რიგებში, პირში პაპიროსი გაეჩარა, მარჯვენა თვალი ამოეკიჟა და უხმოდ გასცქეროდა საბრალო მეგობარს.

— ამხანაგო კოტე! — გაისმა ხელახლა შერმადინის ხმა.

„აღარ მომასვენებენო“, წარმოთქვა თავშავაძემ, თავი მაღლა ასწია, ნიდაყვები დაბლა დაუშვა, ზლაზვნით წამოდგა და წელში ძლივს გასწორდა.

— გამოდი და ახლა ილაპარაკე, თუ რამე გაქვს სათქმელი, — უთხრა შერმადინმა.

— კოტემ ხმა ვერ ამოიღო, მთელი ხალხი მას მისჩერებოდა. ლალიაშვილის გვერდით საჩალელს რომ მოჰკრა თვალი, ამან უფრო შეაკრთო. უნებურად თავი ჩამოუვარდა დაბლა.

— რა დაგემართა, შე კაი კაცო, — მიმართა შერმადინმა, — წეღან ხმამაღლა გაჰყვიროდი ხალხში, გამსხვილება არ გვინდაო, ახლა ისევ ის ხალხი არაა აქ?

— მე რაღა მეთქმის, — მცირე ხნის შემდეგ ძლივს წამოილუღლუღა თავშავაძემ, — ანდა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩემს სიტყვას, როცა ხალხსა სურს, — თქვა და მოშვებული სკამზე დაეშვა.

ხალხში სიცილი გაისმა, სიცილს ზარის წკრიალი მოჰყვა. მალე ყველანი დაწყნარდნენ.

სიტყვა გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევის შესახებ ისევ რაიკომის მდივანს მისცეს. სანამ იგი გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის კანდიდატურას წამოაყენებდა, დარბაზში გაისმა ხალხის ჟრიამული.

— შერმადინი, შერმადინი!

შერმადინი ერთხმად იქნა არჩეული გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, კოლმეურნეობისა, რომელსაც ხალხთა დიდი ბელადის სტალინის სახელი უწოდეს.

ახლა უნდა მომხდარიყო კოლმეურნეობის გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

ვანო საჩალელი დაძაბული უსმენდა კრების მსვლელობას. ხანდახან თავის მეგობარს — კოტე თავშავაძეს თუ გადახედავდა გულისტკივილით. ვანო გრძნობდა, რომ მან თავის სიტყვებით კოტეს აწყენინა. იგი ამ წყენას ძაინც არაფრად აგდებდა. „ჩემს სიტყვებს ტყვილა ხომ არ ჩაუვლიაო“, ფიქრობდა.

ახლა იგი მთელი ყურადღებით ისმენდა როგორც სარევიზიო კომისიის, ისე გამგეობის წევრების არჩევის მიმდინარეობას. გულისფანცქალით მოელოდა, იქნებ მისი გვარი ვინმეს წამოსცდენოდა, ან ერთის, ან მეორის კანდიდატად დაესახელებინათ, მაგრამ კრება ისე ამოიწურა, მისი გვარი არავის უხსენებია.

ამ ამბავმა გული ატკინა საჩალელს. ლალიაშვილის გვერდით იმიტომ დაჯდა, მას მხედველობაში ჰყოლოდა ვანო. თვითონ საჩალელმა წამოაყენა კანდიდატურა ლალიაშვილისა, რომელიც ახლა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. „ჩემზე კი ხმა, კრინტი არავინ დასძრაო“, ბუზღუნებდა ვანო.

თავმჯდომარემ კრება დამთავრებულად გამოაცხადა. კლუბიდან ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო დენა.

VI

ის-იყო, კლუბიდან საჩალელი კარში უნდა გამოსულიყო, რომ უკანიდან შერმადინის ძახილი შემოესმა.

თვალის დახამხამებაში ვანო შერმადინის წინ გამოიჭიმა.

— ყველა ანგარიში მზადა გქონდეს. ხვალიდან თქვენს საწყობში თუ რაძე არის, ჩვენთან გადმოვზიდავთ, ჩვენი საწყობის მეორე გაძგე ჯეოჯეროვით შეხ იქნები, სანამ გაძგეობის კრება იქნებაო, — უთხრა შერმადინმა.

ძეორე დაბადებას უდრიდა საჩალელისათვის ეს სიტყვები. გულში რაღაც აოაიკეულებრივი რაძ იგრძნო, ნეტარებაზე უფრო ტკბილი.

— ამხანაგო შერმადინ, თუ გამგეობის კრება მალე იქნება, მე რაღა საჭირო ვარ საწყობის გაძგედ, ბარეძ ახალს აირჩევთ და ის იქნება! — მორიდებით შეაპარა სიტყვა თავმჯდომარეს. თან თვალებში ჩააცქერდა, რას ეტყოდა.

— ახლა ორი საწყობის გაძგე ძჭირდება, — უთხრა შერმადინმა. — ერთი კაცი ვერ აუვა იმდენ საქმეს. ჩვენი კოლმეურნეობა ახლა უკვე დიდი კოლმეურნეობაა. მეორე საწყობის გამგედ შენა მყავხარ მხედველობაში. გამგეობის კრებაზე შენს კანდიდატურას მე თვითონვე წამოვაყენებ და მე მგონი ახალიც შენ იქნებიო.

მარტო რომ ყოფილიყო საჩალელი, ალბათ ლეკურსაც დაუვლიდა. სიხარულისაგან გული ისე აუძგერდა, თითქოს კარში უნდა გადმოუვარდესო. თავი კი ისე მძიმედ დაიჭირა შერმადინის წინაშე, როგორც სჩვევიათ შრომისმოყვარე, პატიოსან ადამიანებს, რომლებიც ყოველ წუთს საზოგადო საქმისათვის ფიქრობენ.

— ყველაფერი მზად არის, შეგვიძლია დილიდანვე შევუდგეთ საქმეს! — ეს რომ უთხრა წასასვლელად მიბრუნებულ შერმადინს, ნახევრად თვითონაც შემობრუნდა, მერე თავი დაუქნია, „გამარჯვებითო“, და კლუბიდან კარში გამოვიდა.

წყნარი ღამე იყო. მთვარე ამოსულიყო, მთელი მინდვრები თეთრად ქათქათებდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ნათელი ცა ჩირაღდანივით დასცქეროდა დედამიწას.

გზაჯვარედინზე ვანომ მარჯვნივ შეუხვია და კოწახურასაკენ მიმავალ შარას ნელი ნაბიჯით გაჰყვა. წინ კოლმეურნეები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ, იცინოდნენ.

ამ ხმაურს საჩალელი ვერ გრძნობდა. სიხარულისაგან გაბრუებული, ფიქრებით გატაცებული, ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა გზის ნაპირზე კუნელისა და მაყვლის ბუჩქნარებს.

მას მტკიცედ სწამდა, რომ შერმადინის კანდიდატურის წინააღმდეგ არავინ წავიდოდა. და თუნდაც წასულიყო ვინმე, მისი ფიქრით, ვერაფერს გააწყობდნენ. ღმერთი გწყალობდეს, თორემ ეშმაკები ვერაფერს დაგაკლებენო, იგონებდა ძველ ანდაზას.

— ახლა ვითომ ჩოფურა დათა საქმეს გამიფუჭებს? — ეკითხებოდა თავის თავს. გამგეობის კრება ელანდებოდა თვალებში.

აგერ, შერმადინმა კრებაზე მისი კანდიდატურა წამოაყენა.

— ვინა ხართ წინააღმდეგი? — იძახის კრების თავმჯდომარე.

— მე ვარ! — ისმის დათას ხრინწიანი ხმა. ათთარივით ზეზე წამოვარდება, რომ საჩალელი მიწასთან გაასწოროს.

— ბებერო მელავ! — უნებურად წამოიძახა ვანომ. თავის ხმაზე თვითონვე გამოერკვა.

თავი მაღლა ასწია. მთვარის ნათელით გაკაშკაშებულ შარას გახედა. მხოლოდ ახლა შემოესმა წინ მიმავალი კოლმეურნეების ოდნავ გასაგონი ლაპარაკი.

— აბიკე...

ხელმარცხნივ, მაყვლის ბუჩქთან, ვილაცამ ცხვირი დააცემინა. კოტის ცხვირის დაცემინებას მიამსგავსა საჩალელმა. ახლა გაახსენდა საბრალო მეგობარი. ახლოს რომ მივიდა, მართლა კოტე იცნო.

— ხეირი, კოტე! — დანაშაულის გამომხატველი ღიმილით უთხრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისეთი ხეირი, რაც მე დღეს ვნახე, ღმერთმა შენს სიცოცხლეძი ნუ გამოგილიოს! — ნაწყენი ხმით უთხრა კოტემ.

საჩალელმა გულიანად გადაიხარხარა.

— რა ფუტკარნაკბენ დათვივით ბუზღუნებ, ბიჭო, ხომ არაფერზე ბეძდური?

— მადლობელი რაზე უნდა ვიყო, იმაზე, რომ ხალხში გამათახირე? მე შენი იმედი მქონდა, რომ მხარს დამიჭერდი, ძენ კი პირიქით მომექეცი. მიწასთან გამასწორე, დამამცირე. მაშ საწყენი არაა?

— ასე იყო საჭირო, ჩემო კოტე! — ღრეჭით უთხრა ვანომ და მკლავში ხელი მოჰკიდა.

გზა განაგრძეს.

— რომ ჩამდგარხარ იმ ხალხში და ბრტყელ-ბრტყელებს ლაპარაკობ, რას ფიქრობდი? ბავშვი ხომ არ იყავი, საქმის ვითარება ვერ გაგეგო! ნუთუ ვერ მიხვდი, რომ იმ ზღვასავით ხალხის წინაშე ჩვენი გაბრძოლება სასაცილო იქნებოდა და ამით უფრო ჩვენ საქმეს გავაფუჭებდით? იმ ლალიაშვილთან მაინც რა გალაპარაკებდა. ნამდვილი დოყლაპია ხარ, ტყუილა კი არ გეძახიან!

— მე მეგონა ჩვენი მომხრე ბევრი იქნებოდა... — ბუზღუნით წარმოთქვა კოტემ.

— გეგონა გრამაფონშია! მეც ეგრე მეგონა, სანამ გიგეთში ავიდოდით, მაგრამ ხალხს რომ შევხედე, ენა მუცელში ჩავიგდე. საქმის გამოსარკვევად რომ მიდიხარ, ჯერ უნდა მიიხედ-მოიხედო, ხალხს მოუსმინო, მათი აზრი გაიგო, მერე როგორც საჭიროა, ისე იმოქმედო. შენ კი იმის მაგივრად, რომ ასე მოქცეულიყავი, პირი დააღე და, ენაზე რაც მოგადგა, ყველაფერი შიოს წისქვილივით დაროშე. ასე როგორ შეიძლება! საქმეს ალღო ვერ უნდა აუღო?

კოტე დუმდა. საჩალელი ახლა მართალს რომ ელაპარაკებოდა, თვითონაც გრძნობდა. მაგრამ გულში მაინც სწყინდა: „ასე არ უნდა მოექცეოდაო“.

— მერე შენ რაღა გალაპარაკებდა, ველარ გაჩუდი? — საყვედურის ხმით უთხრა დუმილის შემდეგ.

— ხომ გითხარი, ასე იყო-მეთქი საჭირო! იმ სიტყვებით როგორც ხალხში, ისე შერმადინის თვალში ჩემი ავტორიტეტი ავიმაღლე.

საჩალელმა ყველაფერი უამბო თავშავაძეს, რაც შერმადინმა უთხრა. თანაც გააფრთხილა, არავისთან არაფერი დასცდეხოდა. ემინოდა, სანამ გამგეობის კრება იქნებოდა, დათას არაფერი ეთქვა შერმადინისათვის და ამით საქმე არ გაეფუჭებინა.

— ასე, ჩემო კოტე! — უთხრა ბოლოს ვანომ, როცა მეგობარი თავის ერთგულებაში დაარწმუნა. — რასაც ვფიქრობდი, ის არ გამოვიდა, მაგრამ საქმეს მაინც კარგი პირი უჩანსო.

უცბად სიწყნარით მოცულ ღამეში უკანიდან ადამიანის ხველების ხმა შემოესმათ.

— ხრჩობა! — წამოიძახეს ორივემ ერთად, რადგან ასეთი ხველება დათა ტურაშვილმა იცოდა.

უკან რომ მიბრუნდნენ, კარგა დაშორებით, მთვარის სინათლეზე, მართლაც დათა ტურაშვილი იცნეს.

გაუკვირდათ.

— ამ ბებერ ეშმაკს არ უყურებ? სადაც წავალთ, ლანდივით სულ უკან დაგვყვება! — ღაბალი ხმით წამოიძაა კოტემ და ვანოს მიუბრუნდა.

— ნაბიჯს ავუჩქაროთ, არ გვიცნოს, თორემ რამეს იფიქრებს. არ ვიცი, დამინახა თუ არა, წეღან შერმადინი რომ მელაპარაკებოდა, — ეს რომ თქვა, თან დაუმატა: — როგორ იყო, ეგ ჩოფურა ფოტოგრაფთან რომ მივიდა? მაგის სული კი აჰა.

— ახლა მე რომ მაგას ოინს ვუზამ, მიყურეს! — წამოიძახა კოტემ, — ხალხის ჯავრი სულ მაგაზე უნდა ამოვიყარო.

— რა ოინი უნდა უყო?! — გაკვირვებით ჰკითხა ვანომ.

— ჩვენს ეზოს წინ რომ გამოივლის, ძაღლს ავუშვებ და ნახოს სეირი!

საჩალელმა კვლავ გულიანად გადაიხარხარა.

— კარგი აზრია, მხოლოდ ჩვენ არ უნდა გამოვჩნდეთ!

— ჩვენ რატომ გამოვჩნდებით! ღობის ძირას ჩავსხდეთ და იქიდან ვუყურეთ სეირს.

კოტე თავშავაძე სოფლის შესავალში ცხოვრობდა. კარგი ორსართულიანი სახლის წინ ხილის მშვენიერი ბაღი ჰქონდა გაშენებული. სასოფლო გზის მხარეს ეზო დაბალი ძეძვის კონებით ჰქონდა შემოღობილი. სახლიდან ეზოს კარამდე გრძელი, მსხვილი მავთული იყო გაბმული. ამ მავთულზე რკინის რგოლით იყო დაბმული უზარმაზარი ნაგაზი, რომლის შიშით ვერც მეზობელი და ვერც უცხო მის ეზოში ვერ შევიდოდა.

კოწახურელებმა კარგად იცოდნენ ამ ძაღლის ამბავი. ახლოს გავლისას ყოველთვის სიფრთხილეს იჩენდნენ.

ისიც იცოდნენ, გვიან ღამით, როცა ძაღლი აშვებული იყო, სულ არ შეიძლებოდა იქ გავლა. ვისაც წინ შემოეყრებოდა, დაუგლეჯავს არ გაუშვებდა.

საჩალელი და თავშავაძე ეზოს რომ დაუახლოვდნენ, უეცრად ძაღლის გამალებული ყეფა და მავთულზე რგოლის მოძრაობის შხივილი გაისმა. ნაგაზი ეზოს კარებს ხმაურით მიაწყდა და კარებზე წინა თათებით აიყალხა.

პატრონის ხმის გაგონებაზე უმალვე ყეფა შეწყვიტა; კუდის ქნევას მოჰყვა.

— ახლა გიჩვენებ სეირს, ბებერო მელავ! — მუქარით წარმოთქვა კოტემ. ეზოს კარები შეაღო, ძაღლს მიუალერსა.—ჩვენ აქ ჩავსხდეთ, აქედან კარგად დავინახავთ იმ ქოფაკის სეირს! — მიუთითა ვანომ კარების გვერდით, ჩატეხილი ღობის ძირას, და ძაღლი აუშვა.

არ გაუვლია ხუთ-ექვს წუთს, რომ გზიდან დათას ფეხის ხმა შემოესმათ.

ძაღლმა ყურები აცქვიტა, თავი მაღლა ასწია. მგზავრი ეზოს კარს რომ დაუპირდაპირდა, უცბად მაღალი, ბოხი ხმით შეჰყეფა. კარებს რომ ვერ გადაახტა, გვერდით, ჩატეხილი ღობის ძირში ჩამსხდარ საჩალელსა და კოტეს თავზე ისარივით გადაევლო და დათასაკენ ტყვიასავით გაექანა.

— გადი, შე პატრონმკვდარო, შენა! — მაღალი ხმით შეჰყვირა დათამ და სწრაფად ქვას დასწვდა. სანამ დათა მიწიდან ქვას აიღებდა, ძაღლმა ბარძაყში კბილი გაჰკრა და შარვალი და კანი თან გაიტანა.

გამწარებულმა დათამ ძაღლს ქვა ესროლა. ქვის სროლით გაავებულმა ძაღლმა უფრო შეჰყეფა, უშიშრად ზედ მიაწყდა და უკანა ფეხებზე აიყალხა.

დათა არ დაიბნა, ორივე ხელით ყელში სწვდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყანყრატოში მოუჭირა და ადგილზე გააკავა.

ძაღლს ყელში უმწეო ხავილი აღმოხდა, ფეხების ქნევა დაიწყო, გაიბრძოლა, რომ თავი გაეთავისუფლებინა და გაქცეულიყო, მაგრამ ამაოდ. დათამ მაღლა ასწია ძაღლი, მერე მთელი ძალით მოიქნია და მიწაზე ზურგით დასცა.

გამწარებული ძაღლი ზეზე წამოვარდა, პირი სახლისაკენ იბრუნა, ისევ იმ ღობისაკენ გაექანა, რომელზედაც წელან გადმოხტა.

დათა სწრაფად დასწვდა ქვას. როცა ძაღლმა ღობეზე აიწია გადასახტომად, სწორედ ამ დროს ესროლა. ქვა ძაღლს ასცდა, მაგრამ კოტე თავშავაძეს შიგ შუბლში მოხვდა.

— მიშველეთ! — გამწარებული ხმით შეჰყვირა კოტემ, როცა შუბლიდან სისხლი თქრიალით წასკდა.

ახლა შენიშნა დათამ ღობის ძირას კოტე თავშავაძე და ვანო საჩალელი. ყველაფერს მიხვდა. მთვარის სინათლე-

ზე გარკვევით დაინახა სისხლისაგან წითლად შეღებილი თავშავაძის სახე, მას ორივე ხელი შუბლზე აეფარებინა და გამწარებული იძახდა:

— მიშველე, ვანო... ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღე... შუბლი გამიხეთქა, მაგის სული კი...

— მადლობა ღმერთს, — მაღალი ხმით წამოიყვირა დათამ. — ჩემს ნასროლ ქვას ამაოდ არ ჩაუვლია. ერთ ძაღლს ასცდა, მაგრამ იმაზე დიდ ძაღლს მოხვდა, — მერე გვერდით მიბრუნდა და კოჭლობით გზას გაუდგა.

საჩალელმა თავისი ცხვირსახოცი მიაშველა კოტეს, მაგრამ ვერც ამ ცხვირსახოცმა უშველა ვერაფერი. სისხლი კვლავ მოსჩქეფდა შუბლიდან. კბილების კრაჭუნით ლანძღვა-გინებას უთვლიდა ტურაშვილს, მეგობარი ასე მძიმედ რომ დაუზარალა.

კოტეს არ უნდოდა ეს ამბავი ნინოს გაეგო. ცოლის ხასიათი კარგად იცოდა, ამბავს გამოიძიებდა და მტყუან ქმარს ჩხუბით აიკლებდა.

შუბლის ტკივილმა ძლიერ რომ შეაწუხა და არც სისხლი შეუწყდა, მაშინ გადაწყვიტა, სახლში ასულიყო და ცოლი გაეღვიძებინა.

აღარ იცოდა, რომელი ბოღმა მოენელებინა: ხალხისაგან მასხარად აგდება, დათას მიერ შუბლის გატეხა, თუ ცოლის ყბადაღებული ლაპარაკი.

VII

ნინო ამ დროს საწოლზე იყო წამოწოლილი და ქმრის მოლოდინში წიგნს კითხულობდა. როგორც კი თავისუფალ დროს იპოვნიდა, მაშინვე მეცადინეობისაკენ მიურბოდა გონება. შრომაში ბეჯითი, ენერგიული, თვითგანვითარებაშიც არ უნდოდა ამხანაგებს ჩამორჩენოდა.

კოწახურელებისათვის საკვირველებას წარმოადგენდა ერთი ამბავი: ეს ყველაფრით შემკობილი ქალი როგორ გაჰყვა კოტე თავშავაძეს!

ეს ამბავი თავისთავად მართლაც საინტერესო იყო. მეზობლებს მათი სახლიდან ხშირად ესმოდათ ცოლ-ქმრის უსიამოვნო ლაპარაკი. დანამდვილებით არავინ იცოდა, რა იყო მიზეზი ამ უსიამოვნო ლაპარაკისა. ზოგიერთი ხანშიშესული დედაკაცი, რომელიც ისევ ძველი ცხოვრების ჰაერით სუნთქავდა, სხვანაირად ხსნიდა. ერთხელ ხმაც კი დაუყარეს სოფელში: ვითომ ნინოს ქმარი არ უყვარდა და ჩხუბი ამისათვის მოსდიოდათ. ვინც ნინოს ახლოს იცნობდა, კარგ დღეს არ დააყრიდა ამის მთქმელს. მაგრამ ვინც მას არ იცნობდა, რასაკვირველია, ადვილად დაიჯერებდა.

ძველი ცხოვრების ზნე, ჩვევა, შეუგნებლობა ხდებოდა ამ ჩხუბის ნამდვილი მიზეზი.

როგორც კოტე თავშავაძეს, ისე კოტეს დედას ბაბალესაც არ მოსწონდა ქალის ეს დადებითი თვისებები. მათ ოჯახს მამა-პაპიდან მოსდევდა ძველებურად ოჯახის კარჩაკეტილობა. სახლის კარს ადვილად არავის გაუღებდნენ და შიგ არავის შეუშვებდნენ. მეზობელს ხელს არ გაუმართავდნენ და არც თვითონ მივიდოდნენ სამეზობლოდ, ამ ოჯახს ძველთაგანვე უპურმარილო ოჯახად იხსენიებდნენ კოწახურელები.

— მაგათ სახლში წლიდან-წლამდე როგორ უნდა მოხდეს, კაცმა პური გატეხოსო, — დღესაც იტყვიან სოფელში.

კოტეს მამის ქელეხში, ღვინის სმის დროს, ერთმა მათმა მეზობელმა მაინც ვერ დაფარა თავისი შეხედულება ამ ოჯახის მიმართ.

— ამის მეტად ამ ოჯახში ჯერ არ ვყოფილვარ, საწყალი დიმიტრი რომ არ მომკვდარიყო, ალბათ მეც ისე მოვკვდებოდი, ვერც შემოვიდოდიო. — ხალხს ჩუმად ჩაეცინა ამ სიტყვების გაგონებაზე.

ბაბალე თავიდანვე ოცნებობდა, ისეთი რძალი შემოეყვანა სახლში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც თვითონ იყო. ხშირად უთქვამს კოტესათვის:

— შვილო, რომ გადაჰკიდებიხარ იმ ურწყაველ გოგოს და ჩემი გემოვნებით არ ირთავ ცოლს, რა ვიცი, რანაირი გამოდგება. ახლანდელი ქალები ოჯახის ქალები არ არიან. ვინ იცის, სანდო კი არის ის ვიღაც ნინოა? იქნებ ისეთი ალქაჯი გამოდგეს, მთელი ოჯახი აგვიფორიაქოს.

ბაბალეს აზრით, მისი წინათგრძნობა გამართლდა. ნინოს მოყვანის დღიდან სულ სხვანაირად დატრიალდა ამ ოჯახის ბედის ჩარხი. მრავალი წლის განმავლობაში დახშული, კარჩაკეტილი ცხოვრების მყუდროებას ნინომ ფართოდ გაუღო კარი. ახალი ჰაერი შეუშვა შიგ, ახალი სიცოცხლე, ახალი სუნთქვა შეიტანა. მეზობლებმა სამეზობლოდ ნელ-ნელა აიდგეს ფეხი ნინოსთან. ოთახში ფანდურისა და გიტარის ხმა გაისმა. მხიარულ სიცილ-კისკისს, სიმღერას ახლა ხშირად გააგონებდით თავშავაძიანთ ოჯახიდან.

ბაბალემ პირველად ალმაცერად შეხედა რძლის საქციელს. არ მოეწონა მისი ასეთი მოქმედება. დარიგება რომ არ მოუსმინა რძალმა, მაშინ კი ოთახში მაგრად შემოირტყა ხელი და გამწარებულმა წამოიძახა: „ვაი, ჩემო წვითა და დაგვით შეძენილო ოჯახოო“.

— აი, შვილო, მაგას გეუბნებოდი, შვილო, ახლანდელი ქალები საოჯახო ქალები არ არიან-მეთქი, — უთხრა ერთხელ შვილს, — ვის გაუგონია ახალი პატარძლის თავის ესე აგდება. ქვეყანას კარი გაუღო და ვინც არა მგონია, აქ მოდის. ასე არ შეიძლება, შვილო, უნდა დაარიგო, თავი უნდა დაიჭირო.

კოტე ჩუმად ისმენდა დედის ლაპარაკს, დედის სიტყვები მისთვის სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, მაგრამ ახლად მოყვანილი ძვირფასი არსებისათვის ვერაფერი ეთქვა.

იმ ამბავმა უფრო ძლიერ შეაშფოთა დედა-შვილი, როცა ორი თვის მოყვანილმა ნინომ ურწყავიდან კომკავშირის საბუთები კოწახურას კოლეგიურობის კომკავშირია ორგანიზაციაში გადმოიტანა და საღამოობით კომკავშირის კრებაზე დაიწყო სიარული.

იმ დღიდან მოკიდებული სწორედ არ შეუხედავს დედამთილს ნინოსათვის. ისე მოკვდა ბაბალე, ერთხელაც არ უჭამიათ ერთად პური.

არც ნინო და კოტე ცხოვრობდნენ ტკბილად. კოტე ნინოს არ უთმობდა, ის დამორჩილებას ნდომობდა თავიანთი ოჯახის შესაფერისად. ნინო კი თავისკენ ეწეოდა კოტეს და ცდილობდა ძველი ცხოვრების ნიღაბი ჩამოეხადა სახიდან.

ახლახანს, როცა კოტემ ნინოს პარტიაში შესვლას ყური მოჰკრა, გაბრაზებით შეჰყვირა ცოლს:

— რა ქალის საქმეა პარტიაში შესვლა და ღამ-ღამობით კრებაზე სიარული. მე ღამე სახლში მეძინოს, შენ კი სხვა კაცებთან შუაღამემდე კრებაზე ეგდო, სად გაგონილა? რას იტყვის ხალხი ჩემზე? ან შენ რა თვალით შემოგხედავსო.

დღესაც ჩხუბითა და საყვედურით მიმართავს ხოლმე ცოლს, როცა მასთან თვითგანვითარებით მოწყურებულ ქალებს დაიხახავს.

— სახლი სასწავლებელი გამიხადე. ქვეყანას კარი გაუღე და ოჯახის საიდუმლოებაში ყველა შიგ ჩაახედე, ვინც არა მგონია ყველა აქ მოდის. ვის გაუგია ქალის ასეთი საქციელი? იმ ჭორიან მელანას რაღა უნდა, მაგის ტოლი დედამიწაზე ქვაც აღარა გორავს, მაგას რაღა ჯანდაბა აინტერესებს? — ბუზღუნით ეტყოდა ცოლს.

ნინოზე ძლიერ მოქმედებდა ქმრის ასეთი საქციელი. ხშირად ალერსით კისერზე შემოეხვეოდა კოტეს, დაუწყებდა ტკბილად ლაპარაკს, დარიგებას, „აი წიგნები, იკითხე, მეც დაგეხმარები, შენთვისაც კარგია და მეც ხომ ბედნიერი ვიქნებიო.“

მაგრამ კოტეს ერთი ყურიდან შესდიოდა ეს ლაპარაკი და მეორიდან ისევ უკან უშვებდა. „რაღა დროს ჩემი სწავლაო, — ფიქრობდა გუნებაში. — ახლა იმის თავი სადა მაქვს, წიგნები ვიკითხო, ჩემი წიგნები და ჩემი სწავლა ახლა ოჯახი და შვილებიაო“.

ასეთი ლაპარაკი გუშინაც მოუვიდა ცოლ-ქმარს.

— გაახილე თვალები. კარგ დღეში ჩავცვივდებით, ურწყავთან თუ გაგვაერთიანეს, — უთხრა ნინოს.

ნინო გრძნობდა, რომ, რაც დრო გადიოდა, კოტე იმდენად ჯიქი და გაუგონარი ხდებოდა. უკვირდა, პირველხანებში მაინც ასეთი არ ყოფილაო, ერთხანს თითქოს დაუგდო კიდეც ყური, ყველაფერს უგონებდა. წიგნს რომ წაიკითხავდა, კოტეც გატაცებით ესმენდა, მაგრამ, რაც საჩალელი ნათლიმამად გაიხადა და ურთიერთშორის ახლო მეგობრობა დამყარდა, მას შემდეგ ისევ ძველებურად წავიდა მისი საქმე. ღვინის სმასაც მოუმატა და სახლშიც ხშირად მთვრალი მიდიოდა.

ნინომ გვიან გაიგო საჩალელის ბუნება. ნათლიმამობა კი არა, ახლა მისი დანახვაც კი ეზარებოდა. ცოლსაც და ქმარსაც მათთან მისვლის დროს ყოველთვის უგულოდ ხვდებოდა. რაც ქმარია, ის მისი ცოლიო, იტყოდა გუნებაში.

დღეს ნინოსაც უნდოდა წასვლა გიგეთში, თავისი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ეს აზრი ქმარს რომ გაუზიარა, კოტემ ისეთი შეუბღვირა, ნინომ მეორედ ვეღარ გაბედა ქმრისთვის რამე ეთქვა.

ნინო არც გაივლიდა კოტეს სიტყვაზე, მაინც წავიდოდა კრებაზე, მაგრამ ბავშვი უეცრად ავად გაუხდა და ამან შეუშალა ხელი.

— შენ თუ გიგეთში არ წამოხვედი, უშენოდ იქ საქმე ვერ გადაწყდებაო, — ეუბნებოდა კოტე. იცოდა, ნინო რომ კრებას დასწრებოდა, მისი სახით ერთი მოწინააღმდეგე კიდევ შეემატებოდა. ამიტომ უფრო დაუშალა ცოლს კრებაზე წასვლა.

ნინოს მოსწყინდა ქმართან ამდენი უსიამოვნო ლაპარაკი. ხშირად აღარ შეეკამათებოდა ხოლმე, გულში იბრუნებდა უთქმელ დარდს.

დღესაც, როცა სიცხიან ბავშვს ტკბილად ჩაეძინა ლოგინში, ნინო წიგნის კითხვით გაერთო ქმრის მოლოდინში. აინტერესებდა, როგორ გადაწყდებოდა კოლმეურნეობის გამსხვილების საქმე.

სწორედ ეს წუთები იყო, ქმრის კვნესა და საჩალელის გინება რომ შემოესმა. ზეზე წამოვარდა, აივანზე გავიდა. გასისხლიანებული ქმარი რომ დაინახა, ელდა ეცა.

— რა დაგემართა, ადამიანო, ვისთან მოგვიდა ჩხუბი?! — ჰკითხა ქმარს.

— ძაღლი აშვებულიყო, დათა ტურაშვილი დაგლიჯა. იმან ქვა რომ გამოისროლა, ამას მოხვდა, — უთხრა ვანომ.

— რა ჭირმა აუშვა ძაღლი, ისე მაგრად იყო დაბმული! — ეჭვიანად თქვა ცოლმა. თან ის ამბავი გაახსენდა, ამას წინათ ჩხუბი რომ მოუვიდათ საჩალელის სახლში. ეს ამბავი კოტეს არ უთქვამს მისთვის, მაგრამ ხალხისაგან გაიგო იმ ჩხუბის ნამდვილი მიზეზი.

— ძაღლი თავისით არ აეშვებოდა, ხომ არაფერი უმტრეთ იმ კაცს? — გაუმეორა კითხვა ნინომ.

— ახლა ნუ დაიჯერებ! რა უნდა მემტრო იმისათვის? — შეუტია ქმარმა.

— რაღა მაინცდამაინც დათა დაგლიჯა? უთუოდ ძალათი აუშვებდით! რა გინდათ, რატომ არ ჩამოეხსნებით იმ პატიოსან კაცსა!

— იმის მაგივრად, რომ გაიგო, შუბლი ძალიან მაქვს გატეხილი, თუ ცოტათი, შენ დათას ექომაგები. აი, ამისთანა ცოლი კი მწამს! — ხმამაღლა დაიყვირა კოტემ.

სახლში შევიდნენ. ნინომ თბილი წყლით სახე და გატეხილი შუბლი მობანა ქმარს. ჭრილობა არც ისე დიდი

იყო, როგორც კოტეს ეგონა. მერე ოდიანი ბამბა დაადო და შეუხვია.

ვანო საჩალელი გვერდულად უყურებდა ნინოს. ბრაზი მოსდიოდა მის ლაპარაკზე. ფიქრობდა: „ეს რომ ჩემი ცოლი იყოს, ერთ დღეს არ გავაჩერებდი სახლშიო“.

— როგორ გადაწყდა გამსხვილების საქმე? — ჰკითხა ბოლოს ნინომ, როცა საჩალელმა და კოტემ დათაზე ლანძღვით გული იჯერეს.

— როგორც შენ გინდოდა, ისე გადაწყდა, გაგეხარდეს! — შეტევით უთხრა ქმარმა.

ნინოს გაეცინა.

— ხომ გითხარით, ასე გადაწყდებამეთქი. თქვენ არ დამიჯერეთ!

— გადაწყდა და ახლაც აავსე ბელელი!

— რატომაც არ ავავსებთ!

— ნახევარს ურწყაველები რომ წაიღებენ, აავსებ!

— ურწყაველები თავიანთ ნაშრომს წაიღებენ, განა ჩვენსას!

— ვნახავთ!

— თქვენ არა მსჯელობთ სწორედ!

— მეც მეუბნები ამას?! — გულზე ხელი დაიდო საჩალელმა.

— შენც გეუბნები. ორივეს გეუბნებით, ორივეს! — უთხრა ნინომ.

საჩალელმა კოტეს გადახედა. „ერიჰაა, ახლა ამან მეც ამომიღო მიზანშიო“, გაიფიქრა და წამოდგა.

— ეგ საკენკი შენს ქმარს დაუყარე, მე არა მჭირდება, — უთხრა ნინოს და მშვიდობის ღამე უსურვა, კარში გავიდა, ღიღინით სახლისაკენ გასწია.

VIII

გამსხვილების შედეგად ბევრი ცვლილება მოხდა გიგეთის კოლმეურნეობაში. კრების მეორე დღიდანვე შერმადინი და მეცხვარიშვილი ახლებურად შეუდგნენ საქმის მოწესრიგებას. სამივე კოლმეურნეობას დღემდე ჰყავდა ოცდაათი ბრიგადა, რომელთა ხელმძღვანელობასაც 10,800-ზე ეტი შრომადღე ერიცხებოდა. შერმადინმა, მეცხვარიშვილმა და გიგეთის სხვა პარტიულმა მუშაკებმა ოცდაათი ბრიგადიდან თექვსმეტი ბრიგადა შეადგინეს, თითოეული ბრიგადა ორმოცდახუთიდან—სამოცკაცამდე გაზარდეს. ეს გარემოება გამსხვილებულ კოლმეურნეობას ექვსი ათასამდე შრომადღის ეკონომიას აძლევდა.

ამას გარდა, ამ კოლმეურნეობაში სატრაქტორო ბრიგადების მომსახურება მოწესრიგებული არ იყო. ახლა კი გიგეთის გამსხვილებულ კოლმეურნეობას მტს-ს სამი სატრაქტორო ბრიგადა მიამაგრეს, რომლებიც უზრუნველყოფდა სატრაქტორო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

შერმადინი აქედანვე შეუდგა საშემოდგომო ხვნას. თუმცა მარცვლეულის გალეწვა ჯერ დამთავრებული არა ჰქონდა, მაგრამ მისი მიზანი იყო მომავალი წლის სამუშაოებისათვის აქედანვე მომზადებულიყო. ურწყავის ტერიტორიაზე ათასობით ჰექტარი მიწა გამოუყენებელი იყო. უწყლობით გამოფიტულ ნიადაგზე დღემდე მარტო ძეძვის ეკალს გაეძლო და ახლა ისიც გადაშენების გზაზე იყო დამდგარი. ზოგი ხალხს გაეჩეხა ბაღ-ვენახების შესაღობად, ან თონის გასახურებლად, კოწახურას ხეობით ტყიდან ხმელი ფიჩხის ჩამოტანა რომ გასძნელებიათ, ზოგი თვითონ ხმებოდა. ამ ადგილს ძეძვიანს ეძახდნენ ძველთაგანვე. მაშინ ის ისეთ გაუვალ ადგილს წარმოადგენდა, კურდღელიც ვერ გაძვრებოდა. ამ ორი ათეული წლის წინათაც ნადირით იყო სავსე ეს ადგილი. ღამით მის მახლობლად საქონლის დატოვება არ შეიძლებოდა. ზამთრობით, მოსაღამოვდებოდა თუ არა, ატყდებოდა ძეძვიანიდან ტურების წკავწკავი და შიმშილისაგან შეწუხებული მგლის შემზარავი ღმუილი.

ახლა ძალზე გათხელებული იყო ძეძვიანი. შიგადაშიგ დარჩენილი იყო ბევრი ცარიელი ადგილიც, სადაც ქოჩორა პანტის ხეები ობლებივით გაფანტულიყვნენ აქეთ-იქით.

ურწყაველ გლეხს ფიქრადაც არ მოსვლია ამ მიწების ათვისება, მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ.

რკინასავით მაგარი ნიადაგი, ამ ნიადაგში გადგმული ძეძვის ფესვები და ხეების მსხვილი ჯირკების ამოყრა არც ისეთი იოლი საქმე იყო მაშინდელი გლეხკაცისათვის. რამდენი ოფლი უნდა ჩაეღვარა მას ერთი დღიური სახნავი მიწის გაწმენდისათვის, რამდენი სისხლი უნდა დაეღვარა ეკლების მიერ გაკაწრული ხელებიდან მის ამოძირკვაში. რამდენი ჯაფა იყო საჭირო ამ ერთი დღიური მიწის გატეხაში, დამუშავებაში და, ვინ იცის, აუნაზღაურებდა კი ამ შრომას, ეს ადგილი? გატეხილი მამულის დამუშავებასაც ეჭვის თვალით უყურებდა ურწყაველი გლეხი. ყოველი დაწოლისა და ადგომის დროს პირჯვრისწერით ევედრებოდნენ ღმერთს, წვიმა მოევლინა მათთვის.

ვერც კოლმეურნეობამ შეძლო ამ მიწების ათვისება. მუშა საქონლის ნაკლებობის გამო ურწყავის ღარიბ კოლმეურნეობას თავისი მიწების დამუშავებაც კი უჭირდა. მუშა საქონლის ყოლა მოსავალზე იყო დამოკიდებული. გვალვიანი ზაფხული მათი სიკვდილი იყო. ქვენა ქარი და ზაფხულის მწველი მზე გამოფიტავდა ნიადაგს, გადახმებოდა მინდვრები, გადაიტრუსებოდა ბალახი, დასკდებოდა მიწა.

ომის წინა წლებში, ერთ ზამთარს, უჭმელობის გამო ურწყავის კოლმეურნეობას სამოცი სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი დაეხოცა.

არც ცხვრის საქმე იყო კარგად დაყენებული. ზაფხულის პერიოდში ბაკურიანის მთიბში ისტუმრებდნენ საძოვრებზე, შემოდგომით, ზამთრობით და გაზაფხულობით მეტეხის, ხანირეთისა და ყარაღაჯის დაქირავებულ ამურიანის მინდვრებზე ამყოფებდნენ.

დაზამთრებამდე ძეძვიანში სამასი ჰექტარი სახნავი ფართობის ათვისება პირველ საქმედ სცნო შერმადინმა. სამი სატრაქტორო ბრიგადიდან, რომლებიც მტს-მა გიგეთის გამსხვილებულ კოლმეურნეობას მიამაგრა, ერთი სატრაქტორო ბრიგადა ძეძვიანში გაგზავნა. დანარჩენი ფართობის ათვისება მომავალი წლისათვის გადადო. საგაზაფხულოდ შერმადინი კახური დატოტვილი ხორბლის დათესვას აპირებდა ძეძვიანში. აქედანვე ფიქრობდა მინერალური სასუქის მომარაგებას.

მინერალურ სასუქს ბევრი კოლმეურნე არაფრად აგდებდა... ამინდმა ხელი შეუწყოს, თორემ ხელოვნური სასუქი საჭირო არააო, იტყოდნენ ხოლმე ზოგიერთები. ერთმა გარემოებამ პირდაპირ გაკვირვებაში მოიყვანა გიგეთელები. ეს იყო შარშან. მოსავლისათვის მართლაც კარგი ამინდები დაიჭირა გაზაფხულითვე. მაისის ჟუჟუნა წვიმები, როგორც ბავშვს დედის რძე, ისე ერგებოდა მიწას.

იფეთქა ჯეჯილმა და ურწყავის მინდვრებზეც კი ზღვას დაემსგავსა, პურის ყანები.

მინდორში ყოფნის დროს შერმადინმა ერთ ადგილს შენიშნა: ხელმარცხნივ, მის გვერდით, ძალზე დაბალი იყო ყანა და თავთავიც პატარა ჰქონდა.

გაუკვირდა: სასუქი ორივეს ერთნაირად აყრია, ნიადაგი ერთნაირია, წვიმა, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის თანაბარი იყო, მაშ რაშია განსხვავებაო?

ის კი იცოდა, რომ ხელმარცხნივ აღელვებული ყანა სხვა ბრიგადირს ეკუთვნოდა, ხელმარჯვნივ — სხვას. ხვნას აბრალებდა.

საღამოთი კანტორაში ორივე ბრიგადირს დაუძახა და უთხრა:

— ამიხსენით, რატომ არის ამ ყანებს შორის ასეთი განსხვავებაო.

დაგვალული ყანის ბრიგადირმა სინანულით თავი გვერდზე გააქნია და დანაშაულის გამომხატველი ხმით უთხრა:

— ჩემი ბრალია, მინერალურ სასუქს მე არაფრად ვაგდებდი. სხვაგან საცა დავაყარე, ყველგან კარგი ყანებია. ამ ადგილს არ დავაყარე და ასეთი დაგვალული ყანაც იმიტომ არისო.

მეორე დღეს, საღამოთი, როცა მინდვრებიდან კოლმეურნეები სახლში უნდა დაბრუნებულიყვნენ, შერმადინმა ხალხს იმ ადგილას მოუყარა თავი. ორი თავთავი მოგლიჯა, ერთი — სასუქით გაპატიებული ყანიდან, მეორე — დაგვალულიდან, ხელისგულზე დაფშვნა ორივე და ხალხს აჩვენა:

— მაგალითი იყოს თქვენთვის ეს შემთხვევა. აი, ხომ ხედავთ, სადაც სასუქია შეტანილი, იმის თავთავის მარცვლები სამჯერ ჭარბობს გაუპატიებული თავთავის მარცვლებსო.

ის კოლმეურნეები, რომლებიც მინერალურ სასუქს არაფრად აგდებდნენ, საბოლოოდ დარწმუნდნენ მის მნიშვნელობაში.

წელს სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო როგორც გიგეთის, ისე ურწყავის და კოწახურას კოლმეურნეობებში.

ზამთარი უთოვლო იყო და ნიადაგი ისე გამოფიტული, რომ, ნატამალი სისველე არა ჰქონდა. ამას ზედ მოჰყვა საშინელი გვალვიანი ამინდები. მარტი, აპრილი და მაისი ისე გავიდა, ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოუგდია ცას. ნათესები, რაც მინდვრის თაგვს გადაურჩა, ჭილ-ყვავმა შეჭამა.

როგორც გიგეთელებს, ისე უწყაველებს და კოწახურელებს ორმაგი შრომა დასჭირდათ. აპრილში მინდვრები ხელახლად დათესეს და ხელახლად დაფარცხეს. ზოგიერთ ადგილში სიმინდს სამ დღე-ღამის წყალში ალბობდნენ და მერე ისე თესდნენ, რომ ამოსვლის პერიოდში სისველე ჰქონოდა მარცვალს.

მაისის მიწურულში იგრძენეს, ცამ კოკისპირული წვიმა დაასხა კასპის რაიონში, თითქოს ახლა უნდა გამობაროს, რაც დღემდე წვიმა არ ყოფილაო.

მესამე დღესვე იფეთქა მიწიდან ნათესებმა. შავად გადახნული მინდვრები მწვანე ჯეჯილმა შემოსა. სიმინდებმა ორყეჟი ღერო ამოაჩინეს ხნულებიდან. სამყურამ, იონჯამ და ძურწამ მწვანე ტანსაცმლით მორთეს გადახრუკული კორდები და მთის ფერდობები. ჰაერი შეიცვალა, ბუნება გალამაზდა, არემარე პატარძალივით გამობრწყინდა.

ხალხი ცოტათი დაამშვიდა ამ ამბავმა. ასეთი წვიმა სამჯერ, ოთხჯერ რომ კიდევ მოვიღეს, ცოტა მაინც გვეშველება რამეო. ამბობდნენ კოლმეურნეები. ცაზე პატარა ღრუბლის გამოჩენისთანავე გულისფანცქალით მოელოდნენ დაქუხებას და წვიმის შხივილს, მაგრამ ბუნება თითქოს ჯიბრს უწევდა: არც წვიმა, არც ნამი არსაიდან არა ჩანდა.

ივნისში ცამ ერთხელ კიდევ გაიმეტა მინდვრებისათვის წვიმა, მაგრამ მხოლოდ მიწის ზედაპირი დაასველა.

ნაჯაფარი ხალხი გულშემოყრილი მკერდზე მაიღს ირტყამდა, თითქოს ბუნებას ემუქრებაო, და გულისწყრომით ამბობდა: „შე დალოცვილო წვიმავ, მოდი, თუ მოდიხარ! ე პურის ყანები ხომ მოგვიცდინე, სიმინდს მაინც ნუ გამოგვაცლი ხელიდანო.

ისევ გვალვიანი ამინდები დაიჭირა, ცხელ დღეებს ქვენა ქარმა დაჰქროლა და მიწას თუ რამე პატარა სინესტე შერჩენოდა, ისიც გამოაცალა.

ამწვანებულ მინდვრებს, მთებს, გორაკებს მალე შეეტყო ცვლილება. ნაადრევად გაყვითლდა ბალახი. დაიგვალა ყანები, სიმინდს ფოთლები დაუჭკნო და სიყვითლე შეეპარა. მიწა ალაგ-ალაგ დასკდა. რკინასავით გამაგრდა. დამსკდარი ნაპრალებიდან ჭიანჭველების ქარავანი ამოძრავდა. თონესავით გახურე-

ბულ მინდვრებს სიცხის კორიანტელი ავარდა.

გვალვის გამო კოწახურაც ჩამოწყდა. წისქვილისთვის წყალს ვიღა დაანებებდა ᲫᲔᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲔᲡ. საღამოობით ყველას ბარი გაედო მხარზე და წყაროებია ნაჟურზე კოწახურელებს და გიგეთელებს ჩხუბი მოსდიოდათ.

წვიმა გვიან მოვიდა, მაგრამ ამ წვიმამ, სიმინდების გარდა, პურის ყანებს მაინც ვერაფერი უშველა. გვალვისაგან უკვე გაყვითლებული იყო და ძირიც გამხმარი ჰქონდა. ნამგლის მეტი აღარაფერი უნდოდა.

მინდვრებში კომბაინები გაუშვეს, მაგრამ კომბაინებმა დაგვალული ყანა ვერ აიღო. იძულებული გახდნენ მთელი მინდვრები მცელავებს გაეცელათ.

სიმინდის იმედი-ღა ჰქონდათ გიგეთელებს და კოწახურელებს, ხოლო ურწყაველებს — არაფრისა. ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა მათთვის. როგორც წინათ, ახლაც მთავრობის დასახმარებლები უნდა გამხდარიყვნენ.

ხალხი წუხილით შეჰყურებდა ბუნების გაჯიქებას, მარტო ურწყაველები კი არა, გიგეთელებიც, კოწახურელებიც და ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლებიც. გულს იმით იქარვებდნენ, რომ მინდორში იყვნენ თუ სახლში, არხზე მომუშავე ექსკავატორების გამუდმებული ბუბუნი, ბეტონის ქარხნიდან ამრევი ქვაბების რახრახი, გზებზე განუწყვეტლივ მავალი მანქანების ხმაური, იმედის, ნუგეშის, გამარჯვების შეძახილივით ესმოდათ ყურში.

IX

მეცხვარიშვილმა დღესაც დაასწრო მზეს ამოსვლა. ამომავალი მზის სხივებს ვარდისფრად გაეწითლებინა აღმოსავლეთი. კოწახურას ხეობიდან გრილი ნიავი უბერავდა. ახლა კანტორაში მიდიოდა. შერმადინი ამ დილით რაიკომში იყო გამოძახებული.

ეზოს კარებს რომ გასცდა მაშინ შენიშნა შორი სოფლებიდან მოსული, არხზე მომუშავე კოლძეურნეები, რომლებიც ღამღამობით ურწყავში და გიგეთში იძინებდნენ. ახლა ისინი ადრიანად წამოშლილიყვნენ. კოშკიდან მოკიდებული, ვიდრე ურწყავამდე, მთელს სიგრძეზე გამწკრივებულიყვნენ წერაქვებითა და ნიჩბებით, სიგრილეს ეშურებოდნენ, გამალებით მუშაობდნენ, რომ ნორმა მალე შეესრულებინათ და მერე თავიანთი საქმისათვის მიეხედათ.

ურწყავის სამხრეთ დასავლეთით, ძეძვიანის თავზე, საიდანაც ვაკე იწყებოდა და რამდენიმე ჰექტარი ფართობი მიწა ძეძვის ბუჩქნარით იყო დაფარული, ექსკავატორების ბუბუნი მოისმოდა. ძეძვიანიდან მას ტრაქტორების გუგუნი აძლევდა ბანს. ლითონის ფრინველებივით ჩამომსხდარიყვნენ თრიალეთის მთის დავაკებაზე და ერთიანად ანგრევდნენ რკინასავით გამაგრებულ მიწას. მათი განუწყვეტელი ბუბუნ-გუგუნი დილის სუფთა ნიავს შორს გადაჰქონდა და სადღაც დაუსრულებელ სივრცეში იკარგებოდა.

სანამ მეცხვარიშვილი კოლმეურნეობის კანტორას მიუახლოვდებოდა, გზაში ფერმის საქონელი შემოხვდა. მწყემსები მინდვრისაკენ მიერეკებოდნენ. დამჭლევებული საქონელი ზლაზვნით მიჰყვებოდა ერთიმეორეს უკან, უგემურად იცოხნებოდნენ, იზმორებოდნენ და აქავებულ გვერდებს ფიცრით შემოღობილი ეზოების მესერს უგლასუნებდნენ.

მეცხვარიშვილმა კარგა ხანს უცქირა უპმელობისაგან გამხდარ საქონელს, მერე თავი გვერდზე გააქნია და კანტორისაკენ წავიდა. თან ის ფიქრი აეკვიატა, საიდან ეშოვნათ ზამთრისათვის საზრდო.

კანტორის წინ შერმადინი უცდიდა. მისვლისთანავე ასე მოილაპარაკეს. მეცხვარიშვილს ბენზინი უნდა წაეღო ძეძვიანში ტრაქტორებისათვის, უნდა შეე-

მოწმებინა ხვნის ხარისხი, რომ ტრაქტორისტებს ხაოვეზები არ დაეტოვებინათ. მთელი გულისყური კალოებისაკენ ჰქოხდა: ვიხიცობაა წვიძა ძოსულიყო, გალეწილი ხორბალი ცის ქვეშ არ დაეტოვებინათ. თანაც ტრაქტორისტებისათვის საუზმე უნდა წაეღო და მზარეულიც თან წაეყვანა.

მეცხვარიშვილმა თანხმობის ნიშნად თავი რომ დაუქნია, შერმადინი მანქანაში ჩაჯდა და შოფერს ანიშნა წასულიყვნენ.

პარტორგმა კოლმეურნეობის საწყობისაკენ გასწია. ბენზინი საჩალელს ებარა და იქიდან ხორბლის მზიდავ მანქანას უნდა გაჰყოლოდა, მზარეულისთვისაც უნდა შეეტყობინებინა, ტრაქტორისტებისათვის საუზმე გაემზადებინა.

საწყობის წინ ხორბლის ტომრებით დატვირთული მანქანა იდგა. მუშები მანქანიდან ტომრებს დაბლა იღებდნენ და სასწორზე აწყობდნენ.

სასწორის წინ მეცხვარიშვილმა საჩალელიც დაინახა. ხელში აწონილი ხორბლის ქვითრების დასტა ეჭირა, პირში პაპიროსი გაეჩარა და სასწორის ისრებს მისჩერებოდა. ხელების ქნევით თან გაცხარებით ელაპარაკებოდა მზიდავ მუშებს.

თვითონაც არ იცოდა მეცხვარიშვილმა, რა არ მოსწონდა ამ კაცისა. მიუხედავად იმისა, რომ ახლოს არ იცნობდა, მაინც ეჭვი ეპარებოდა მის პატიოსნებაში. ეს აზრი რომ ჯერ კიდევ ადრე ჩისი საწყობში დაყენების წინ შერმადინს გაუზიარა, მან ასე უპასუხა:

— შეხედულება და ლაპარაკი აქვს ასეთი, თორემ პატიოსანი კაცი უნდა იყოსო.

— რა ვიცი, ჩემზე კი ცუდი შთაბეჭდილება დატოვაო — უთხრა მეცხვარიშვილმა.

— ჩემზე პირიქით, — უპასუხა თავმჯდომარემ. — აბა გაიხსენე, გამსხვილების წინ რა თავდადებით გვედგა გვერდში, როგორ მოუწოდებდა კოწახურელებს გამსხვილებისაკენ.

შერმადინმა გაახსენა მას ის ამბავი, როცა ისინი კოწახურაში ჩავიდნენ პარტიულ მუშაკებთან მოსალაპარაკებლად, ისიც მოაგონა, კრების დაწყების წინ კოტე თავშავაძეს როგორი დღე დაუყენა.

— რა ვიცი... — უთხრა ბოლოს მეცხვარიშვილმა. — შეიძლება მე ვცდებოდეო.

ახლა საჩალელის ხელების ქნევას რომ შეავლო თვალი და მის გაცხარებულ ლაპარაკს მოჰკრა ყური, ჩქარი ნაბიჯით გაეშურა მათკენ.

— არც მაგაზე დაგზარდებით, თქვეკაი ხალხო! — შემოესმა საჩალელის სიტყვები. პარტორგს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ის ამბავი, რომ ეს სიტყვები მის გასაგონად წარმოთქვა მან. დაინახა, როგორ სწრაფად წამოიკიდა ვეებერთელა ტომარა და საწყობში ჩაარბენინა. სანამ თვითონ სასწორთან მივიდოდა, საჩალელმა დაცლილი ტომარა მაღლა ამოარბენინა და ახლა მეორე სავსე ტომარას სტაცა ხელი.

მეცხვარიშვილმა არაფერი ჰკითხა ურწყაველ კოლმეურნეებს, რომლებიც მანქანაზე მუშაობდნენ მტვირთავებად, მათი კამათის შესახებ. ხოლო საჩალელი თავიდან ფიხებამდე შეათვალიერა.

მცირე ხნის შემდეგ, როცა მანქანაზე ბენზინით სავსე კასრი დაუდეს და მზარეულიც ტრაქტორისტებისათვის გამზადებული საჭმელით საბარგულზე მოთავსდა, მეცხვარიშვილმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა საჩალელი, მერე თვითონაც კაბინაში ჩაჯდა.

სოფელს რომ გასცდნენ, ახლა განიზრახა მან იმ კამათის მიზეზი გამოეკითხა მტვირთავებისათვის. წამყვანს მანქანა გააჩერებინა, კაბინიდან ჩამოვიდა და საბარგულზე მყოფ კოლმეურნეებს მიუბრუნდა.

— რაზე გქონდათ საწყობის გამგესთან კამათი?

— დიდი უნამუსო კაცი უნდა იყოს ეს ჩვენი საწყობის გამგე, — ხმამაღლა წარმოთქვა ერთმა მათგანმა, რომელიც ასაკით თავის ამხანაგებზე უფროსი უნდა ყოფილიყო.

— რაღაა საქმე?

— ვირი კი არა ვარ, ამდენი ხორბალი საწყობში ზურგით შევზიდოო, ეს თქვენი მოვალეობა არისო, მე საწყობის გამგე ვარ და არა დამცლელიო. ამისთანა დროს, როცა ერთი კაციც საქმისათვის დიდ რამეს წარმოადგენს, ეგ ჯიბეში ხელებჩაწყობილი რატომ უნდა იდგეს? დიდი საქმეა, ხელი გაანძრიოს?

— დაცლაზე მოგვიდათ ლაპარაკი?

— საქმე დაცლა კი არაა, — დაიწყო მეორე კოლმეურნემ, — ჩვენ მუშაობა კი არ გვეზარება, საქმეს ვეშურებით. მალე გვინდა გალეწილი ხორბალი საწყობში დავაბინაოთ. მართალია, ახლა კარგი ამინდია, მაგრამ ვინ რა იცის, ერთი საათის შემდეგ კოკისპირული წვიმა არ დაასხას. ხომ გაფუჭდება კალოებზე ხორბლის ხვავები, ჩვენ საქმეს ვეშურებით. იმის მაგივრად, რომ დაგვეხმაროს, ტომარა მაინც აგვკიდოს ზურგზე, მაგას ჯიბეებში ჩაუწყვია ხელები და ხან იმაზე გვეჩხუბება, წონა სწორად არ მოგაქვთო, ხან იმას გვაყვედრის, ურწყაველები ზურგზე აგვეკიდეთო.

— ჯიბეში ხელებჩაწყობილი რომ არ იდგა, ამას ტყუილად რატომ ამბობთ? ჩაზიდვაში ხომ გშველოდათ! — ეანგებ უთხრა მეცხვარიშვილმა და ურწყაველებს თვალებში შეხედა, რას მიპასუხებენო.

— ტყუილს კი არა, მართალს გეუბნებით.

— აბა, ის სიტყვები რაღაზე გითხრათ: „არც ამაზე დაგზარდებითო“?

— ეგ სიტყვები თქვენ გასაგონად წარმოთქვა, თქვენ რომ დაგინახათ, ტომარაც იმიტომ წამოიკიდა ზურგზე. — ერთხმად უპასუხეს მტვირთავებმა.

სოფლის განაპირას, წყაროსთან, სადაც კოლმეურნეობის კალოები იყო გამართული, დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. სამი სალეწი კომბაინი მუშაობდა ერთდროულად. ხალხი ფუტკარივით შემოხვეოდა აქეთ-იქიდან. ზოგი უზარმაზარი თაიებიდან ძნებს ყრიდა დაბლა. ზოგი ორთითით კომბაინზე მდგარ ქალებს აწვდიდა. ზოგიც ტომრებს ამზადებდა. ყველას თავის საქმე ჰქონდა მიჩნეული, ყველა თავისი მოვალეობის პასუხისმგებლობას გრძნობდა, რომ მანქანის მუშაობის შეფერხება არ გამოეწვია.

კომბაინის მოშორებით გალეწილი ხორბლის ვეება ხვავები ცეცხლივით პრიალებდნენ მზის სხივებზე. გარშემო ქალები შემოსხდომოდნენ საცრებითა და ცხავებით, ასუფთავებდნენ, მერე მანქანაში ატარებდნენ, ახარისხებდნენ, სწონიდნენ და გასუფთავებულ ხორბალს ისე გზავნიდნენ საწყობში.

კოწახურას და ურწყავის მინდვრებიდან ძნებით დატვირთული ურმები მძიმედ მიჭრიალებდნენ კალოებისაკენ. მანქანები ხორბალს ეზიდებოდნენ საწყობისაკენ.

ერთ-ერთ კომბაინზე, მაღლა, მეცხვარიშვილმა თვალი მოჰკრა კოტე თავშავაძის ცოლს ნინოს. სასიამოვნო სანახავი იყო. ვაკაციეთ ტრიალებდა კომბაინის თავზე და გაშლილ ძნას სწრაფად აწვდიდა მანქანას. მისი მიხვრა-მოხვრა, მხიარული შეძახილი, მისი სწრაფი ხელების მოძრაობა და ქალების მოსწრებულ ლაპარაკზე მისი ღიმილი, რომლის დროსაც თეთრი, სწორი კბილები ბროლის შუშასავით გაიელვებდა ხოლმე მის ბაგეზე, თვალს მოგტაცებდათ და საქმეს მიგატოვებინებდათ. მზეზე დამწვარი ალისფერი სახე, რომელსაც ჭილის დიდი ქუდი უჩრდილავდა, უნებურად მიგიზიდავდათ.

მეცხვარიშვილს ბევრი კარგი რამ გაეგონა ამ ქალის შესახებ. ახლა, რამდენადაც მის საქმიანობას ახლოს ეცნო-

ბოდა, იმდენად უფრო იმსჭვალებოდა მისდამი პატივისცემით. ერთი რამ კი უკვირდა: კოტე რომ არა ჰგავდა ნინოს. „სად ცოლი, სად ქმარიო“, ხშირად იტყოდა გუნებაში, როცა ცოლქმარს ერთმანეთს ადარებდა.

მცირე ხნის შემდეგ კოტე თავშავაძესაც მოჰკრა თვალი კომბაინის უკან. კაბდოში ხარები შეება, ხარებს წინ მიუძღოდა და ხან ერთ კომბაინს, ხან მეორეს, ხან მესამეს გალეწილ ნამჯას აცლიდა, მოშორებით გაჰქონდა და ერთ ადგილას აგროვებდა.

კოტეს ბზის კორიანტელში თვალები აღარ უჩანდა. მტვერში იყო გახვეული. ხშირ-ხშირად სახეზე ხელს ისვამდა და მანქანის მიერ შეყრილ ბზეს იცლიდა.

მეცხვარიშვილმა კარგად დაათვალიერა ყველა სამუშაო, მერე მანქანაში ჩაჯდა და ძეძვიანისაკენ გასწია.

X

შრომის ფერხულში გაიარა სექტემბრის დღეებმა. ოქტომბერი იდგა. შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები ხალიჩასავით გადაფარებოდა სოფლის გრძელ ორღობეებს. ქსილისის მთა დილდილობით ნაადრევი რთვილით იყო გადათეთრებული, მაგრამ შუადღის მზე დახედავდა თუ არა, რთვილი მაშინვე დადნებოდა.

ყურძენი უკვე დაკრეფილი იყო და ქვევრებში მაჭარი დუღდა. ახლა უფრო ხშირად შეხვდებოდით სოფელში მაჭრისაგან შეზარხოშებულ და სახეზე წამოწითლებულ კოლმეურნეებს.

დათა გიგეთში მიდიოდა. წლევანდელი წლის მოსავალი განაწილებული იყო და თავისი კუთვნილი ხორბალი უნდა ჩამოეტანა.

ისე გაუარა მან გვერდით თავშავაძიანთ სახლს, ერთხელაც არ მიუხედია იქითკენ. ორღობიდან დიდ გზაზე რომ გავიდა და უკან მოიხედა, ორღობის შუა ნინო დაინახა.

დათა და ნინო ყოველთვის ტაბილ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან. მართალია, მათ არც მეზობლობა აკავშირებდათ, არც ურთიერთშორის ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთს მაინც კარგად იცნობდნენ.

რამდენჯერ უთქვამს დათას: „აფსუსი არ არის, რომ ამისთანა ყოჩაღი, ასისთანა შეგნებული და ყველაფრით შემკობილი ქალი მაგ დოყლაპიას ჰყავსო?!“ მიუხედავად იმისა, რომ კოტე ჭირივით ეჯავრებოდა, ნინო მაინც შვილივით უყვარდა და დიდი ხათრიც ქონდა მისი.

მას შემდეგ, რაც საჩალელის სახლში კოტესა და მას ჩხუბი მოუვიდათ, აღარსად შეხვედრილან სალაპარაკოდ. ქმრის არაწესიერი საქციელის გამო ნინო ყოველთვის ერიდებოდა დათას. ნინო თავმომწონე ქალი იყო და ხალხის წინაშე სირცხვილით იწოდა. დათას ხომ სახეზე ვეღარ უყურებდა, ქმრის მაგივრად მას სცხვენოდა.

დათაც გრძნობდა ამას. ხშირად შეუმჩნევია, როცა გზად მიმავალნი შემთხვევით ერთმანეთს შეხვედრიან და მისალმებიან, ნინო სახეზე გაწითლებულა. ერთხელ ვერ მოიგდო დათამ სალაპარაკოდ, რომ ეთქვა: „რისა გრცხვენია, შვილო, რატომ მერიდები, შენ ხომ არაფერი დაგიშავებია ჩემთვისო“.

ახლა დათამ ნინოს რომ მოჰკრა თვალი, გაიფიქრა: „ალბათ გიგეთში მოდისო“, და ნაბიჯს მოუკლო.

— გამარჯობა, ძია დათა! — უთხრა ნინომ, როცა წამოეწია.

— გაგიმარჯოს, შვილო, გიგეთში მიდიხარ?

— დიახ, გიგეთში მივდივარ.

— ხორბალი არც თქვენ წამოგიღიათ?

— არ წამოგვიღია, მაგრამ მე სხვა საქმე მაქვს, — უპასუხა ნინომ და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ხორბლის გამოსატანად მიდიხართ?

— ხორბალი მინდა წამოვიღო, მაგრამ რითი წამოვიღო, არ ვიცი.

— კოტეს ურემი აქვს იქ, იმანაც უნდა გამოიტანოს ხორბალი, — ძლივს წარმოთქვა ნინომ. უნდოდა ეთქვა: „იმის ურმით წამოიღეო", მაგრამ ველარ გაუბედა.

დათა მიუხვდა ქალს.

— გმადლობთ, შვილო, — უთხრა მან მცირე ფიქრის შემდეგ. — ზურგით ჩამოვიტან და კოტეს ურემზე კი არ დავუდებ.

— კოტეს ურემი ხომ არაა, კოლმეურნეობის ურემია, — ახლა კი გაბედულად უთხრა ნინომ.

— სულერთია. სადაც კოტეა, იქ მისვლაც კი მეზარება, არამცთუ იმის წამოღებულ ურემზე დავუდო ხორბალი.

ნინო გაჩუმდა. სახეზე წითელმა ელფერმა გადაჰკრა. ველარაფერი მოახერხა ეთქვა.

დათა გზადაგზა უყვებოდა ნინოს ამასწინანდელი ჩხუბის ამბავს, თუ რისთვის გააწნა სილა კოტეს. უყვებოდა, თუ როგორ დააგლეჯინეს ძაღლს ეს მოხუცი კაცი საჩალელმა და მან.

ნინო ხმაამოუღებლივ უსმენდა დათას. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი ჩუმად იტანჯებოდა გულში.

სოფელს რომ დაუახლოვდნენ, მაშინ შეეკითხა დათა ნინოს, თუ რა საქმეზე მიდიოდა გიგეთში ასე დაგვიანებით.

— პარტიაში შესვლას ვაპირებ, ძია დათა, — უპასუხა ნინომ. — ახლა მეცხვარეშვილთან მივდივარ, რეკომენდაცია უნდა გამოვართვა.

— კარგია, შვილო, სირცხვილია, ახალგაზრდა კაცი იქნება თუ ქალი, პარტიულ მუშაობაში არ იყოს ჩაბმული. რეკომენდაციები ხომ გაქვს?

— ორი რეკომენდაცია მაქვს, ძია დათა, ერთი ლალიაშვილმა მომცა, ერთსაც მეცხვარეშვილს გამოვართმევ ახლა. მესამესაც ვიშოვნი.

— მესამეს მე მოგცემ, შვილო!

ნინომ დათას შეხედა.

— დიდი მადლობელი ვიქნები, ძია დათა, მე მინდოდა მეთქვა თქვენთვის, მაგრამ ვერ გაგიბედეთ.

— რატომ ვერ გამიბედე, შვილო, შენ თუ არ მოგეცი რეკომენდაცია, აბა სხვას ვიღას უნდა მივცე. განა არ ვიცი, კოტეს უხეირო საქციელით შენც როგორ იტანჯები? ბავშვი კი აღარ ვარ, ადამიანი ვინ რას წარმოადგენს, ვერ გავიგო. ვიცი, ვინ რას წარმოადგენს, ვიცი, და ეს ოხერი ცუდი იმიტომ გამოვდივარ ხოლმე, რომ კაცი თუ არ მომეწონა თავისი საქციელით, გული არ მომითმენს, თუ ბრძოლა არ გამოვუცხადე. ამისათვის ზოგიერთები მეტიჩარა, მოქიშპე და ჩხუბისმოყვარე კაცად მთვლიან. ასე ვეჩვენები ახლა კოტესაც და საჩალელსაც, მაგრამ თუ შევაგნებინეთ, მერე მიმიხვდებიან, რომ მე მათთვის ცუდი კი არა, კარგი მინდა. შენც იმას გირჩევ, შვილო, რომ კოტე საჩალელს ჩამოაშორო, თორემ კისერს მოსტეხს, როცა იქნება.

— რა ვქნა, ძია დათა, რა ვქნა... აღარ შემიძლია ამაზე მეტი. მითხარი, როგორ მოვიქცე. მე ვერაფერს გავხდი მაგ კაცთან, იქნებ თქვენ მირჩიოთ რამე.

დათას შეეცოდა ქალი. თავი გვერდზე გააქნია. ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ.

— ჩემი რჩევა ის იქნება, შვილო, რომ საჩალელს ჩამოვაშოროთ, — დაარღვია დათამ სიჩუმე. — საჩალელს თქვენ არ იცნობთ, თქვენ კი არა, არავინ არ იცნობს, ის ისეთი გაიძვერა კაცია, თავის გაიძვერობით თითქმის ყველა მიზანს აღწევს. პირველი მოწინააღმდეგე იყო გამსხვილებისა და ახლა, ხომ ხედავ, გამსხვილებული კოლმეურნეობის საწყობის გამგეა!

— რატომ აირჩიეთ საწყობის გამგედ? ხალხი რას აკეთებდა? — წარმოთქვა ნინომ.

— გამგეობის კრებაზე არც ყოფილა დასმული საკითხი საწყობში მისი დაყენების შესახებ. შერმადინს მოსწონებია. გამგეობის წევრებისათვის შეუთანხმებია ეს საკითხი და დაუნიშნავს კიდეც.

საუბარში ისე დაუახლოვდნენ კოლმეურნეობის საწყობს, ვერც კი გაიგეს.

— მაშ ასე, ძია დათა! — უთხრა ნინომ. — საღამოთი მოვალ თქვენთან. აქედან სახლში რომ წახვალთ, რეკომენდაცია მაშინვე გამიმზადეთ, ზეგ პარტიის დახურული კრება არის და ბარემ პარტიაში ჩემი მიღების საკითხსაც განიხილავენ.

— აუცილებლად! — იმედი მისცა დათამ. — მივალ თუ არა სახლში, მაშინვე დავწერ.

ეს რომ უთხრა, მარცხნივ მიბრუნდა და საწყობის ეზოში შევიდა.

საწყობის წინ კოლმეურნეები ირეოდნენ, ზოგს ხორბალი გამოჰქონდა, ზოგი ახლა მიდიოდა გამოსატანად.

დათა საწყობში შევიდა. შიგნით სამი კოლმეურნე უცდიდა ხორბლის აწონას. დათამ „გამარჯობა“ რომ წარმოთქვა, საჩალელმაც წაიდუდუნა დათას გასაგონად — „გაგიმარჯოსო“.

საჩალელმა სწრაფად გაისტუმრა სამი კოლმეურნე, მერე განაწილების სია გადაშალა და დათას გვარი და სახელი მოიკითხა.

— ას ორმოცდათორმეტი კილო და სამასი გრამი გერგება სულ, მომიწერე ხელი! — უთხრა საჩალელმა და ფანქარი მიაწოდა.

დათამ ხელი მოაწერა. საჩალელმა ფანქარი უკან რომ გამოართვა, ჰკითხა:

— აი, ამიტომ ვიყავი მაშინ გამსხვილების წინააღმდეგი. ახლაც წაიღე სახლში ორმოცდათხუთმეტი ფუთი ხორბალი, არ გინდა?

— შენ არ გკითხავ, მე რასაც ვაკეთებ სახლში, — მოკლედ უპასუხა დათამ და ტომრის პირი განზე გასწია.

— თქვენ გეგონათ, რომ გამსხვილებით ძაან ხეირში ჩაცვივდით? აი, ხომ ნახეთ ეს ხეირიც, ახია თქვენზე, — ნიშნისმოგებით წაიდუდუნა საჩალელმა და ხორბლით ავსებული ჩანახი დათას ტომარაში მოაპირქვავა.

— შენზე კარგად ვიცოდი, წელს რაც მომიწევდა შრომადღეზე. თუ რა მიზანი გვამოძრავებდა მაშინ, შენ დღესაც ვერ გაგიგია.

— იცოდი და ორმოცდათხუთმეტი ფუთის მაგივრად ასორმოცდათორმეტი კილო და სამასი გრამი წაიღე! — გამოაჯავრა საჩალელმა და დაცლილი ჩანახი ხორბლის ხვავს ამოუსვა. ხორბალი ტომარაში რომ ჩაყარა, კვლავ დაუმატა: — შენ გეგონა, მე თანამდებობის დაკარგვის მეშინოდა? ვერც გაიგეთ, თუ რატომ ვიყავი წინააღმდეგი გამსხვილებისა. რა არ დამწამეთ. ეე... ვინ გიმადლის სიკეთეს.

— შენ რაც გინდოდა, ისიც კარგად ვიცი, — მოურიდებლად მიაძახა დათამ და ტომარა შეაჯანჯღარა, რომ ხორბალი დაბლა ჩაწეულიყო.

ტომრების კარში გატანას რომ შეუდგა დათა, საჩალელიც მიეხმარა. „შეიძლება იცის, კოტეს ურემი რომ აქ აქვსო, რომ არაფერი იფიქროს, მაინც ყასიდად ვეტყვიო“, გაიფიქრა და დათას მიუბრუნდა.

— ახლა რითი უნდა წაიღო ეს ტომრები?

— გმადლობ, ნუ სწუხდები! — უპასუხა დათამ.

— ცოტა მოიცადე, აქაა კოტეს ურემი. ურწყაველები შეეხვეწნენ და იმათ წაუღო. ახლა მალე მოვა, შენც დაუდე!

— არ შეგაწუხებთ, მე მოვახერხებ რამეს! — უთხრა დათამ. თან გაიფიქრა: „ალბათ აქ ძველებურად კუდს ვეღარ აქნევს შერმადინის ხელში და უკმაყო-

ფილოდ ასე იმიტომ დუდუნებსო“. მერე ეზოს კარებისაკენ წავიდა.

მცირე ხნის შემდეგ კოწახურასაკენ მიმავალი არხის მანქანა შემოატრიალებინა საწყობის ეზოში. დადებაზე საჩალელმაც უშველა: „ჩქარა წაეთრიე აქედანაო“, დუდუნებდა გულში.

მანქანა რომ დაიძრა, დათამ კაბინიდან გადმოსძახა: დიდი მადლობელი ვარ პატივისცემისთვისო.

XII

ნინო გახარებული გამოვიდა კოლმეურნეობის კანტორიდან. ზეგ პარტიულ კრებაზე დღის წესრიგში პარტიაში მისი მიღების საკითხიც იდგა. ორი რეკომენდაცია უკვე ხელში ჰქონდა, ახლა სიხარულით მიეჩქარებოდა კოწახურასაკენ, რომ მესამე რეკომენდაცია დათა ტურაშვილისთვის გამოერთმია.

კოწახურის ორღობეში რომ შევიდა, უკვე ბნელოდა. მოკრიალებულ ცაზე მნათობი ამოსვლას აგვიანებდა. სოფლიდან ლამპების მკრთალი სინათლე გამოკრთოდა.

სამუშაოდან დაბრუნებული არხის მშენებლები ორღობეში ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. ქალებს მამაკაცები მიჰყვებოდნენ, მხრებზე წერაქვები და ნიჩბები გაედოთ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

ნინო მორიდებით მიუახლოვდა დათას სახლს, სანამ სახლის პატრონს დაუძახებდა, საჩალელის სახლის აივანი შეათვალიერა.

სახლის ორივე კარი ღია იყო. ლამპის შუქით გაჩირაღდნებულ ოთახში მოჩანდა, პურმარილით დამშვენებული მაგიდა, რომელსაც საჩალელი და კოტე შემოსხდომოდნენ. ისინი ტკბილად, თანაც გატაცებით, საუბრობდნენ. ცხელი კერძით სავსე ლამბაქებს ორთქლი ასდიოდა.

ნინომ ყველაფერი ნათლად დაინახა. მათი სახის მეტყველება და ლაპარაკის დროს ხანდახან თავების ერთმანეთისაკენ ახლოს მიტანა ნინოსათვის ნათელს ხდიდა, რომ ისინი რაღაც საიდუმლო საქმეზე საუბრობდნენ.

ნინომ ისიც დაინახა, რომ დიასახლისი მხიარული სახით ფუსფუსებდა მათ გარშემო.

„ნეტავ ისეთი რა აქვთ სალაპარაკო, რომ ასე ყურადღებით უსმენენ ერთმანეთს“, გაიფიქრა და საჩალელის სახლს თვალი ქოაშორა.

სწორედ ამ დროს აივანზე დათა გამოვიდა.

— ძია დათა! — დაბლიდან ასძახა ნინომ. — თუ დაწერილი გაქვთ რეკომენდაცია, მომეცით!

— სახლში ამობრძანდი, ნინო, რას გვერიდები!

— მეჩქარება, ძია დათა, ბავშვები მარტო დავტოვე სახლში, გიგეთიდან პირდაპირ ახლა მოვდივარ!

— ასე გვიან რატომ?

— მეცხვარეშვილი კანტორაში არ დამხვდა, მინდორში იყო წასული, სანამ ის მოვიდოდა, ასე დამაგვიანდა.

— მოგცემ, შვილო, ამ წუთში! — ეს რომ უთხრა დათამ, ოთახში შევიდა და რეკომენდაცია გამოუტანა.

ნინომ მადლობა გადაუხადა დათას, უკან მიტრიალდა. სანამ ნაბიჯს გადადგამდა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა საჩალელის სახლი. კოტეს ღვინით გავსებული ჩაის ჭიქა ხელში ეჭირა და სადღეგრძელოს ამბობდა.

— რა მოვუხერხო ამ კაცს, არ ვიცი ოხ, — ჯავრიანად წარმოთქვა მან და სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია.

ნინოს უფროს ქალიშვილს თალიკოს პატარა და-ძმისთვის ლოგინი გაეშალა და დაეძინებინა. თვითონ დედას უცდიდა და დედის მოლოდინში ცარიელა პურს გემრიელად იღეჭებოდა.

— დედა გენაცვალოს, შვილო, დღეს მშივრები მოგკალით! — გულისტკივილით წარმოთქვა ნინომ, — მოიცა, გენაცვალე, ერბო-კვერცხს მაინც შეგი-

წვავ! — მერე მიბრუნდა, ასანთი მოძებნა, გაჰკრა, სანთელს მოუკიდა და მარნიდან კვერცხები რომ ამოეტანა, აივნის კიბეებზე დაეშვა.

დაბლა რომ ჩავიდა, მარანი დაკეტილი დახვდა. გაბრაზდა კოტეზე: „ნეტა შიგ ვინ შეუვარდება, რომ კლიტე დაუდვიაო“.

კარების მაღლა, თავხეს ქვეშ, ხელის შესაყოფი ცარიელი ადგილი იყო დარჩენილი. როცა მარანს ჰკეტავდნენ, გასაღებს იმ ადგილას ინახავდნენ. ახლაც იქ მიანათა ნინომ სანთელი, რომ დაენახა, გასაღები იქ იყო თუ არა, მაგრამ ამ დროს ნიავმა წამოუბერა და სანთელი ჩაუქრო.

— როცა გეჩქარება, — უკმაყოფილოდ წაიდუდუნა მან, — ქარიც მაშინ შეგიშლის ხელს.

თავხეს ქვეშიდან გასაღები გამოიღო, მარანი გააღო და შიგნით რომ შევიდა, სანთელს ხელახლად მოუკიდა.

სანთლის მკრთალმა სინათლემ ოდნავ გაანათა იქაურობა. გვერდით, ამბრისაკენ რომ შემობრუნდა, ხორბლით სავსე შვიდი ვეებერთელა ტომარა დაინახა, კედლის მხარეს მიდგმული. გაოცებული დარჩა.

— რა უნდა აქ ამ ტომრებს? — გაკვირვებული შეეკითხა თავის თავს. — ჩვენ ხომ ასორმოცდაათი კილოგრამი ხორბლის მეტი არ გვერგებოდა?! — ტუჩზე თითი მიიდო, ჩაფიქრდა. — თუ სხვისია... მაგრამ სხვისას ჩვენს მარანში რა უნდა?! როდის ყოფილა სხვისი ხორბალი ჩვენს მარანში, რომ ახლა იყოს?!

თვალწინ წარმოუდგა საჩალელის კარგაღებული სახლი, პურმარილით დამშვენებული მაგიდა, კოტესა და მასპინძლის საქმიანი საუბარი, ხანდახან ყურების ახლოს მიტანა, ფრთხილი ლაპარაკი.

გაახსენდა დათას წეღანდელი სიტყვები: „კოტესაც კისერს მოატეხინებსო“.

— ნუთუ ასრულდა?! — დაძაბული, ნერვებდაყიმული აიბობდა ნინო. — ნუთუ კისერი მოატეხინა?! ეს ხომ მოპარული ხორბალია, საწყობიდან ჩუმად გაძოტანილი, რომლის გადამალვა საჩალელმა ალბათ მოახერხა მიღების დროს?!

ნინოს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

მოიცა! — ხაძალადევად ეუბნებოდა თავისთავს — მოიცა! რა გაღელვებს? იქნება მეზობელმა ვინმემ გაძოატანა და იმან აქ შემოიტანა, სანამ წაიღებდნენ?!

ნინო ტომრებთან მივიდა. ხელით გასინჯა პირველი ტომარა. გაუკვირდა, ხორბალს კი არა, უფრო ლობიოს ჰგავდა.

პირი მოხსნა, ტომრის ნაპირები განზე რომ გასწია, მართლა ლობიო დაინახა.

ლობიოს დანახვაზე ნინოს ელდა ეცა. ლობიოს განაწილებაზე ჯერ სიტყვაც კი არავის დასცდენოდა. „მაშ საიდან მოიტანა ეს ლობიო“, გაიფიქრა, და თავის ნაფიქრალში ახლა კი ნამდვილად დარწმუნდა.

— ამას რას ვხედავ! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან, როცა დანარჩენი ექვსი ტომარა ხელით მოსინჯა და. ოთხი ტომრის გარდა, სამი ტომარა ლობიო აღმოჩნდა. ნინო ყველაფერს მიხვდა.

მოშვებული, ძარღვებმოდუნებული და გულამომჯდარი ჩამოჯდა ვარცლზე. მუხლებზე ნიდაყვები დააყრდნო, თავი ხელებს შუა ჩარგო და მწარედ ჩაფიქრდა.

კარგა ხანს იჯდა იგი ასე ჩაფიქრებული. კარგა ხანს დაბორიალებდა ფიქრებში. გამოსავალს ეძებდა, იტანჯებოდა.

გაჩუმდეს? დაფაროს სახალხო ქონების გამნიავებლები? თვითონაც ხომ მათი ამხანაგი გამოდის? თვითონაც ხომ ხელის შემწყობი ხდება ამ სახალხო ქონების მტაცებლებისა? მაშ როგორ მოიქცეს?

ზეზე წამოვარდა.

— აბა, ნინო, — ეუბნება ნინო თავისთავს. — მართალი იქნები, რომ სახალხო ქონების გამნიავებლებს ხელი გადააფარო, შეინახო, დამალო? — არა! — გული ეუბნება ნინოს, წმინდა გული.

ნინო ზეზე წამოვარდა, კარში გავარდა.

ეზოს კარებთან რომ მივიდა, ახლა გაახსენდა თალიკო. სწრაფად სახლში აიჭრა, რომ თალიკო გაეფრთხილებინა: სახლში გვიან მოვალო. მაგრამ თალიკოს ერბო-კვერცხის მოლოდინში ტახტზე მისძინებოდა.

მეორე საწოლზე პატარა და-ძმაა საბანი გადახდოდა, ნინომ ბავშვებს საბანი დაახურა. თალიკოსაც გადააფარა ზემოდან პალტო, რომ არ შესციებოდა, კარში გავიდა და გიგეთისაკენ გაიქცა.

საშინლად ბნელოდა. არსაიდან ხალხის ხმაური არ ისმოდა, მხოლოდ ძეძვიანიდან მოჰქონდა ქარს გუგუნი ტრაქტორებისა, რომლებიც დღედაღამ გაუწყვეტლივ ხნავდნენ მიწას. ხანდახან ამ მიწყნარებულ ბუნებას ძაღლების ხანგამოშვებით ყეფა აახმიანებდა.

ხეებით გადმობურული ბნელი ორლობე რომ გაიარა და დიდ გზაზე გავიდა, ახლა უფრო გარკვევით შემოესმა ტრაქტორების გუგუნი. სადღაც შორს, მინდვრის დასასრულს, პროჟექტორივით კვეთდა სიბნელეს მათი ელექტრონათურების კაშკაში. ნინო ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა გიგეთისაკენ და ათასი უსიამოვნო, სულისშემხუთველი ფიქრები მისდევდა უკან.

გიგეთს რომ დაუახლოვდა, მთვარემ მაშინ ამოჰყო თავი ქსილისის მთის წვეროდან. სიბნელე ვერცხლისფერმა სინათლემ შესცვალა. გიგეთის თავში მაღლობზე წამომდგარი ძველი კოშკი ნაბადწამოსხმული გუშაგივით გადმოსცქეროდა გარემოს.

უცბად დოლისა და აკორდეონის ხმა შემოესმა. მას მოჰყვა ახალგაზრდა ქალ-ვაჟის მხიარული შეძახილები და ტაშის ხმაური.

ნინოს უნებურად გული აუძგერდა. თავის ქალიშვილობა გაახსენა ამ მთვარიანმა ღამემ და ახალგაზრდების მხიარულებამ.

ასეთ მთვარიან ღამეს გიგეთში, როცა კი სოფლის ახალგაზრდობას ლხინი გაუჩაღებია, ვინ მოსთვლის კოწახურადან მისი გულისათვის გადმოსულ კოტეს რამდენჯერ გაუწვევია ნინო საცეკვაოდ. პირველად რომ არ დასთანხმებია ნინო ცეკვაზე, მეორედ გაუწვევია კოტეს. მეორედაც რომ არ გასულა, მესამედ გაუწვევია. მესამედაც რომ უარი უთქვამს, მეოთხედ გაუწვევია და, ბოლოს, იმდენი უქნია, მაინც უთამაშებია.

მაშინ სულ სხვანაირი იყო კოტე.

ერთხელ სუნამო ეყიდა კოტეს ნინოსათვის. ლხინიდან მოშორებით გაიხმო და ხელში ჩაუდო. ეს ის დრო იყო, როცა ნინოს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, კოტეს სიყვარულისათვის თანაგრძნობა გაეწია თუ არა.

ნინომ სუნამო არ გამოართვა. კოტემ, ხვეწნით რომ ვერაფერს გახდა, მთელი ფლაკონი ისე გადაასხა, წვეთი არ დაუტოვებია შიგ.

საამო სურნელება კარგა ხანს არ გამოლევია კაბას. დღემდე ამ კაბის ხმარება რატომღაც არ უყვარდა ნინოს, ამ ამბის შემდეგ კი სულ მას იცვამდა.

ბოლოს გამოელია ამ კაბას ეს სურნელება. ნინოს გული დაწყდა. განა თვითონ ნინოს არა ჰქონდა სუნამო? მაგრამ კოტეს ნაყიდი მაინც სხვა იყო.

ერთხელ შემთხვევით დედამ გარეცხა ეს კაბა. როცა გარეცხილი კაბა ჩაიცვა, იგრძნო, რომ მას წინანდელი სურნელება ისევ დაბრუნებოდა.

ნინო მიხვდა, რომ რეცხვა სურნელებას აახლებდა და, როგორც კი ამ კაბას

ეს სურნელება გამოელეოდა, მაშინვე წყალში ჩააგდებდა.

დედამ შეამჩნია ეს ამბავი და უთხრა:

— შვილო, რას ჩააცივდი მაგ ერთ კაბას, რამდენჯერ უნდა გარეცხო.

დარცხვენილი ნინო სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა. დაუსრულებელი რეცხვით ბოლოს ეს კაბაც დაიხა და კოტეს ნაყიდი სუნამოს სურნელებაც სამუდამოდ გაჰქრა. იმავე წლის შემოდგომაზე, მაჭრობის დროს, ნინოსა და კოტეს ქორწილიც მოხდა. რა ბედნიერი იყო ნინო მაშინ. როგორ უყვარდა კოტე. თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ განა ახლა არ უყვარს მას ქმარი?

„სად მიდიხარ, ნინო?! — თითქოს მისძახოდა მას კოტეს ხმა. — რას მიშვრები, ქალო, ეგრე გიყვარდი?“

ამ ფიქრებში კოლმეურნეობის კანტორას მიაღწია. აივანზე რომ ავიდა, თავმჯდომარის კაბინეტში, ლამპის სინათლეზე, შერმადინსა და მეცხვარიშვილს მოკრა თვალი.

ნინომ კარის სახელური მაგრად დასწია, შიგნით შევიდა და სკამზე მოქანცული დაეშვა.

* * *

სადღაც ძაღლების ყმუილი ატყდა, გიგეთისა და კოწახურას მცხოვრებლები ფეხზე წამოიშალნენ. თავშავაძიანთ სახლს ხალხი მიაწყდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი*

☆

ფაუსტის სამუშაო ოთახი

ფაუსტი

აკაკუნებენ! შემობრძანდით. მაცდენენ მუდამ!

მეფისტოფელი

მე ვარ!

ფაუსტი

შემოდი!

მეფისტოფელი

სამჯერ თქვა უნდა!

ფაუსტი

კმარა, შემოდი!

მეფისტოფელი

დღეს ვარ შენით მე კმაყოფილი!
ახლა ჩვენ შევძლებთ, ვიმედოვნებ, დამეგობრებას!
რომ გამეფანტა კაეშანი, შენი გოდება
მოველ ჭაბუკი თავადსავით გამოწყობილი.
ჰა, ტანსაცმელი ძოწეული, მოოქროვილი,
ნაზ აბრეშუმის მოსასხამი შემოქობილი,
ქუდში გაჩრილი მოლივლივე ფრთები მამლისა
და გამწვადული, მკრელი დაშნა, მტრის გამმეხავი!
გირჩევ, ამდაგვარ ჩაცმულობის შესაბამისად
შენც გამოეწყო, აღიჭურვო თავით ფეხამდე,
რათა შეაღო თავისუფლად შვების კარები
და განიმსჭვალო ამ ცხოვრების ღრმა ნეტარებით.

* იხ. „მნათობი" № 11, 1953 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

რაგინდ ტანსაცმელს ვატარებდე, დაშნებს, დამბაჩებს,
მაინც მიწიერ ამ ცხოვრების სიმწარეს ვიგრძნობ.
მე მოხუცი ვარ, რომ გართობით გონება ვიღრძო,
თანაც ჭაბუკი, სურვილები რომ არ გამაჩნდეს!
რა შეუძლია მომანიჭოს მე ამ ქვეყანამ?
დაჭგმე ცხოვრება, დაჭგმე ხალხი ცრუ და მკვეხარა!
აი სიმღერა მოსაწყენი და ძველისძველი,
თვითეულს ყურში სიყრმიდანვე რომ ჩაგვძახიან.
ასე იძახის გამუდმებით ცხოვრება გრძელი,
ხმაჩახლეჩილი არღანივით შმაგი, ავყია!
მე ყოველ დილას მეღვიძება შიშით და ურვით,
მზადა ვარ, ცხარე ცრემლი ვღვარო, რომ ღღე ახალი
არ ამისრულებს არც ერთ ნატვრას და არც ერთ სურვილს.
ის სიხარულზე ოცნებასაც ცელავს ნამგალით,
ხელში უპყრია მას უნიჭო კრიტიკის სახრე,
გესლით ნალესი, გაჟანგული, ძველი ხანჯალი
და ასახიჩრებს გულში ტრფობით გაფურჩქვნილ სახეს
ყალბი ცხოვრების მანჭვა-გრეხით უნდო, არჯალი.
ხოლო როდესაც დაეშვება ღამე მიწაზე,
შეშფოთებული ჩემს ლოგინში ვწვები მაშინვე,
თითქოს ვაგდივარ გაშოტილი კუბოს ფიცარზე
და საზარელი რამ სიზმრები ისევ მაშინებს,
სული, სხეულში მომწყვდეული ღვთაების ცალად
მთელს ჩემს რაობას ღრმად აღელვებს დღითა და ღამეც,
და თუმცა იგი ეუფლება ჩემს ყველა ძალას, —
მაინც არ ძალუძს მომანიჭოს გარედან რამე.
ამგვარად ჩემი არსებობა ტანჯვის ჭურია.
მე მძაგს სიცოცხლე და სიკვდილი ახლა მწყურია!

მეფისტოფელი

მაგრამ სასურველ სტუმრად სიკვდილს არვინ არ თვლის,
იგი კრულია!

ფაუსტი

ნეტარ არიან, ვისაც იგი სისხლიან დაფნით
შუბლს უმკობს ომში გამარჯვების შუქით ელვარე,
ვისაც შეისწრებს გიჟურ ცეკვის, თამაშის, დაფის
შემდეგ მიჯნურის ნაზ მკლავებში ტკბილად მღელვარეს!
ო, ნეტავ სულის სიდიადის წინაშე გუშინ
დავცემულიყავ საუკუნო მისაძინებლად!

მეფისტოფელი

მაგრამ ვიღამაც საწამლავი, წყალს ჩანაფუში,
რომ დაელია გუშინ ღამით განა ინება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

ჯაშუშობაზე, კარგად ვხედავ, დაგიდევს ფიცი!

მეფისტოფელი

თუმცა არა ვარ ყოვლის მცოდნე, ბევრი რამ ვიცი!

ფაუსტი

როს სააღდგომო, სანეტარო ჰანგმა დამიხსნა
სულის აღმშფოთველ და საშინელ ავი ყოფიდან, —
მოტყუებული ვიყავ მაშინ ბავშვურ ქამისგან
ჩემში დარჩენილ მოგონების ტკბილი გრძნობითა.
ახლა კი ვწყევლი მე ყველაფერს, რაც ჩემს სულს ბოჭავს,
რაც სულს ამ ქვეყნის ჯურღმულებში ატარებს ტანჯვით,
ბუნების ეშხით შენიღბული რაც მარად მოჩანს
მოჩვენებითი, მშვენიერი ტყუილის ფარჩით!
წყეულიმც იყოს განდიდების გრძნობა მაცდური,
რომლითაც სული საკუთარ თავს თვით აპატიმრებს!
წყეულიმც იყოს შეგრძნების ზღვა, გულს ჩანაწური,
რაიც ჩვენს გრძნობას ანადგურებს, მწარედ გვატირებს!
წყეულიმც იყოს მატყუარა ოცნება, ყალბი,
დიდი სახელის მოსახვეჭად ბრძოლა გაბმული,
პატივმოყვარე, განდიდების მოსურნე ხარბი,
ცოლ-შვილი, ყმები, სახლ-კარი და მიწა, მამული.
წყეულიმც იყოს ქონება და ქონი მოგების,
რომ არ გვასვენებს და უსაქმოდ არ გვაცლის ჩალიჩს,
ან არა სწამლავს ჩვენს გონებას ამაოებით
და თავქვეშ გვიგებს სიზარმაცის, განცხრომის ბალიშს!
წყეულიმც იყოს ყურძნის წვენის ტკბილი შარბათი,
ლხინის ფიალი, მიჯნურობა ოხერ-ტიალი,
რწმენა, იმედი, შრომა, ჯაფა, კვირა, შაბათი
და უფრო მეტად — მოთმინება ადამიანის!

ქორო სულებისა
(უჩინარად)

გლოვა, წუხილით გული შავდება!
შენ დაანგრიე ხელით ძლიერით
დიდი ქვეყანა ეს მშვენიერი.
იგი ინგრევა, ის ყირავდება!
მარტო ნანგრევი ჩანს ცარიელი!
ის დაანგრია მოძულემ მტერთა,
ნახევრად ღმერთმა!
არარად ქცეულ ნამსხვრევებს ვხვეტავთ
ყველანი ერთად!
მშვენიერებას დავტირით გამქრალს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის შვილთ შორის ყველაზე მეტად
ძლიერო მართლაც!
კვლავ აღადგინე შენს გულში სვეტად
მშვენიერება, სიტურფის დედა!
უხმე სიმხნევეს.
იწყე ცხოვრება წმინდა, მაღალი
ისევ ახალი,
და ჩვენც გიმღერებთ ყველანი მხნედა
ახალ სიმღერებს!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გესმის, ეგ ჩემი სულები — ბალღნი,
მოუსვენარნი და მუდამ ლაღნი,
ჭკვიანურ რჩევას როგორ გაძლევენ?
ლხინსა და გარჯას ნულარ აძევებ!
შემოიარე ქვეყანა ფართო,
რომ შენ ტყვექმნილი არ იყო მარტო,
სად შენი გზნება და შენი გრძნობა
დაჰფარა უძრავ ცხოვრების ობმა!
დააგდე სევდა, მწუხარება და კაეშანი,
რომელიც წეწავს, როგორც ქორი, მაგ შენს ცხოვრებას!
რაგინდ ცუდ წრეში ტრიალებდე დაუგეშავი, —
კაცად დარჩები, ავის გმობა გემახსოვრება.
მაგრამ იმ წრეში ვერ ჩაგითრევს ჯარი უბირთა,
ეგ ჩემს სურვილსაც არ ეთავსება.
მე არ ვეკუთვნი სულდიდ არსებას,
მაგრამ კავშირი ჩემთან თუ გინდა,
რომ ცხოვრების გზა ერთად გავლიოთ
და შევეგებოთ ახალ ალიონს, —
მყისვე გავხდები შენი არიფი,
გულით მდიდარი, განა ღარიბი,
შენი ერთგული ჯერ არნახული,
შენი ძმაკაცი, მონა, მსახური!

ფ ა უ ს ტ ი

რა შეგისრულო ამისათვის, მითხარ, ამჯერად?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეგ მოიფიქრე, დრო მაგისთვის ეგზომ დიდია!

ფ ა უ ს ტ ი

არა, ეშმაკი საშინელი ეგოისტია
და მე სიკეთე, სარგებლობა მისი არ მჯერა.
მასთან კავშირი, ღმერთმა იცის, მე არ მიცდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვი პირობები, თორემ შენებრ მსახური და ყმა
შინ შემოიტანს ათას ხიფათს, არ ივლის წაღმა.

მეფისტოფელი

მსურს ამა ქვეყნად მონა ვიყო შენი, რომ მყისვე
და უკამათოდ შეგისრულო ყველა წადილი.
მაგრამ როდესაც აღმოვჩნდებით იმ ქვეყნად ისევ,
შენც უნდა გახდე მეგობარი ჩემი ნამდვილი.

ფაუსტი

იმქვეყნიური არ მაღონებს და არც მსურს დაცვა.
რა მენაღვლება, თუ დანგრეულ ამ ქვეყნის ნაცვლად
აღმოცენდება მომავალში სულ სხვა, ახალი!
ეგ დედამიწა სათავეა ჩემ სიხარულის
და ჩემს ტანჯვასაც ეგ მზე ათბობს შუქდაღვარული.
თუ ეს ორთავე წაიშალა ნგრევის არულით,
არ მსურს მომავალს დავედევნო ჟამის აღალით!
არ მსურს ვიცოდე ახალ ქვეყნის ანი და ბანი,
აქ არსებული სიყვარული და სიძულვილი,
ახალ სფეროთა ზემო, ქვემო, სიგრძე და განი,
მისი ზესკნელი, გარესკნელი, აზრი, სურვილი!

მეფისტოფელი

მომწონს ეგ აზრი. გამომყევი. ვიცი, ვინა ხარ.
შევკრათ კავშირი! ამ დღეებში შენ დაინახავ
ჩემს ხელოვნებას აღტაცებით. არ მიყვარს კვეხნა.
მოგცემ მას, რაიც არ უხილავს არც ერთ კაცს ქვეყნად.

ფაუსტი

რა შეგიძლია, მე რომ მომცე საბრალო ეშმაკს?
განა არსებას შენებრ ქვენას და ავის მგეშავს
ძალუძს გაიგოს კაცის სულის სწრაფვა მაღალი?
რას მომცემ? საზრდოს, რომ არ გვაძღებს და გვსურს ახალი?
ბაჯაღლო ოქროს, კაცს რომ იპყრობს უცხო რამ ძალით
და ხელში ქრება უდგრომელი, ვით ვერცხლის წყალი?
გართობას, რაიც უსარგებლო თამაში არის?
გოგოს, რომელიც მკერდს მეკვრება და თან ფარულად
სხვა კაცზე ფიქრობს და მეზობელს უშტერებს თვალებს?
დიდებას, ღმერთთა სანეტარო რამ სიყვარულსა,
მეტეორივით რაიც ქრება ჩქარა და მალე?
ეს ნაყოფია, სანამ მოჰკრეფთ, რომ ლპება მყისვე,
ხეთა ფოთლები, რომ ყოველ წელს დაცვენას სწუხან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაც ჩამოთვალე, იგი შიშით გულს როდი მივსებს.
მაგ საგანძურებს, თუ გსურს, მართლაც დაგაყრი უხვად.
მაგრამ, ძმობილო, ეგებ დადგეს ისეთი ჟამი,
რომ შენ შეიტკბო დამშვიდებით რამე სიკეთე.

ფ ა უ ს ტ ი

განცხრომის ტახტი მე ოდესმე თუ გავიკეთე,
დაე, უქნარას მომელოდეს სიკვდილი შავი!
თუ პირფერულად მოტყუება ჩემი შესძელი,
ისე რომ დავრჩე მოხიბლული ჩემივ სახელით,
ან თუ საამოდ მიმაძინო, იყავ დღეგრძელი,
ხოლო იგი დღე ჩემთვის იყოს უკანასკნელი!
დავდოთ ნაძლევი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თანახმა ვარ!

ფ ა უ ს ტ ი

დაჰკარ მაშ ხელი!
თუკი ოდესმე მოხიბლულმა შევძახო წამსა:
შესდეგ, გაჩერდი, რა კარგი ხარ და მშვენიერი, —
მზად ვარ გამთოკო, დამატყვევო, ორმოში ჩამსვა.
დაე, სამარის დამეყაროს მიწა ფხვიერი,
უმალ გაისმას ულმობელი დაკრძალვის ზარი
და შენ კი გახდე ყმა, მსახური თავისუფალი,
შესდგეს საათის გაყინული ისარი მკვდარი,
გათავდეს ჟამი, ჩემი ტანჯვა და დარდუბალი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რაც თქვი, იცოდე, დავიხსომებთ და პასუხს აგებ.

ფ ა უ ს ტ ი

შენა გაქვს ამის უფლება სრული!
რაც ვთქვი, ავწონე და არ ვამბობ განზრახ და განგებ.
ვრჩები ერთგული კვლავ მსახური გულით და სულით,
შენი თუ სხვისი, სულ ერთია, სიტყვის კაცს ვაქებ.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაშ დღესვე იმ შენს სადოქტორო ნადიმზე მლხენი
ვეცდები ჩემი შევასრულო მოვალეობა!
რადგან სიკვდილის როდის მოვა, ვერ ვცნობთ, ღრეობა,
გთხოვ ორი სიტყვით მოაწერო საბუთზე ხელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

რას მთხოვ, პედანტო, წერილობით ხელშეკრულებას?
არა გწამს კაცი, კაცის სიტყვა და ერთგულება?!
გულს ჩემი სიტყვა, აღსარება არ გეკარება,
რაც დავდე მარად დაუმსხვრევი რკინის დარაბად?
თუ ეს ქვეყანა ათასი გზით მიექანება,
მაშინ საბუთი დაწერილი განა დამაბამს!
მაგრამ ცრუ რწმენა შეჭრილია კაცთ გულში ისე,
რომ მისგან ქვეყნად არვინ არის თავისუფალი.
ბედნიერია, ერთგულებას ვინც იცავს მტკიცედ
და მისთვის მსხვერპლის გაღებაც კი გულით უხარის!
მაგრამ ეტრატი დაწერილი, ამოტვიფრული
საფრთხობელაა. სიტყვების ჯარს, კალმით დაწერილს,
ვეღარ ამოჰკვეთს ვერცა ცული პირმოპირული
და მას ბრძანებლობს სანთელის და ტყავის ფაცერი.
რაზე გსურს ვწერდე, ავო სულო, სიტყვებს, ნახაზებს?
სპილენძზე, ქვაზე, პერგამენტზე, სუფთა ქაღალდზე?
რით ვწერო: კალმით, თუ გრიფელით საჭრის-საკვეთით?
ნება გეძლევა არჩევანის თავისუფალი.

მეფისტოფელი

რა საჭიროა გაპრანჭული ეგ საუბარი,
გაზვიადება და ლაყბობა ცხარე აგეთი?
საკმარისია თუნდ ქაღალდის ნაგლეჯი ერთიც,
ხოლო გთხოვ ხელი მოაწერო ზედ სისხლის წვეთით.

ფაუსტი

თუ ამ სირეგვნით კმაყოფილი მართლა დარჩები,
წინააღმდეგი არ ვიქნები შენი არჩევნის.

მეფისტოფელი

სისხლი სრულიად სხვანაირი რამ სითხე არის.

ფაუსტი

ნუ შიშობ, თითქო დავარღვიო შეპირებული!
სწორედ ის არის მისწრაფება ჩემ ყოველ ძალის, —
მოცემულ სიტყვის შესრულებით გავხდე ქებული.
მეგონა ვიყავ უძლეველი და მსგავსი რვალის,
მაგრამ აღმოვჩნდი შენი ტოლი, დამცა ცდუნებამ.
დიადმა სულმა მომარიდა მე ზიზღით თვალი
და დამიმალა საიდუმლო თვისი ბუნებამ.
გაწყვეტილია ჩემი აზრის და ფიქრის ძაფი,
მძაგს და არა მაქვს აწ სურვილი ცოდნისკენ სწრაფვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე ავხორცობის მოგიზგიზე ალი ვნებისა
შთაინთქეს, დაცხრეს ღრმა მორევში უნდო არულით.
მინდა ვიხილო მრავალგვარი რამ სასწაული
გამოვლენილი ჯადოქრობის საბურველისგან.
დე მიმაფრენდეს ბრუდამსხმელი ქამის გრიგალი
ათას შემთხვევის დინებაში განარიგალი.
მეწვიოს ერთად სიტკბოება, შვება, წუხილი,
ტანჯვა-წამება, გამარჯვება, ბრძოლის ქუხილიც,
დაუცხრომელი მოძრაობა, სწრაფვა ფრთიანი, —
აი ეს არის გამართლება ადამიანის!

მეფისტოფელი

საშუალებას, სურვილს, მიზანს არავინ გართმევს.
რითაც გენებოს, პირი იმით ჩაიტკბარუნე,
გიჟურ ლტოლვაში ნეტარებას რაც კი გარგუნებს.
შენი მიზნის და მისწრაფების დაფრენილ მართვებს
მოურიდებლად თავს დააცხრი, როგორც ავაზი.

ფაუსტი

ნეტარებაზე არ მქონია შენთან ბაასი.
მინდა გრიგალი, გაქანება ტანჯვის მომგვრელი.
გარდა ზიზღისა და წყევისა არას მოველი,
და გული ცოდნის წყურვილისგან თავისუფალი
არც ერთ ტანჯვისთვის არ იქნება აქ დახურული.
კაცობრიობას რასაც მწარე ბედი უქადის, —
მარტო ჩემს გულში მინდა იყოს ჩამოწურული.
დიადს და მაღალს, ქვენა, მდაბალს წავავლო ხელი.
ბედნიერება მედოს გულში, თან ტანჯვა მწველი,
ჩემი მეობა მათ რაობას გავუთანაბრო,
და ბოლოს თავი, ვით ისინი, მოვსპო, დავლახვრო.

მეფისტოფელი

ო, დამიჯერე, მე, რომელიც ვლეჭავ მაგ საზრდოს
უკვე მრავალ ქამს განწირული დასამონებლად, —
აქ ჯერ არც ერთ კაცს არ დასცლია, ბრძოლაში ნაწრთობს,
მაგ ძველი დვრიტის გადახარშვა და მონელება!
ო, დამიჯერე, რომ დიადი, დიდი მთლიანი
მხოლოდ ღმერთისთვის მისახვედრი, ჩასაწვდომია!
ჩვენ ბნელში ვსუფევთ, თქვენც ნათელი არა გქონიათ.
დღე-ღამის შორის ეხეტება ადამიანი!

ფაუსტი

მაგრამ მე მინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

კარგად მესმის შენი სურვილი!
თუმცა ერთი რამ კვლავ მაშინებს, ის არის მწველი,
რომ დრო მოკლეა, ხელოვნება, საქმე კი — გრძელი.
უნდა ისწავლო და მოიკლა ცოდნის წყურვილი.
დაგეხმარება ამ საქმეში სტვირით მგოსანი.
დაატრიალოს მან ოცნების, სტვირის ბორბალი,
თავს დაგაფრქვიოს, როგორც ხორბალი,
ლომთ სიმამაცე, ეგ საქებარი,
ირმის სიმარდე, მისი სიმკვირცხლე,
იტალიელთა სისხლი მგზნებარი
და ჩრდილოელი კაცის სიმტკიცე,
დაე, იპოვო საიდუმლო და მისი გზები,
რომ დააღწიო შენი თავი მძიმე ყოფასა.
გასწავლის შმაგი მიჯნურობა ჭაბუკურ გზნებით,
თუ როგორ აძმო სულგრძელობა ვერაგობასა,.
ასეთი კაცი რომ მენახა, ვეტყოდი ქებას
და თან მიკროკოსმს შევარქმევდი უთუოდ მე მას!

ფაუსტი

მაშ რა ვარ, თუკი ვეღარ შევძელ მივწვდე მე მაღალ,
ადამიანურ სურვილების საამო წყობას,
რომლისაკენაც მიისწრაფვის ეს ჩემი გრძნობა?

მეფისტოფელი

ბოლოს შენ ის ხარ, რაცა ხარ ახლა.
რაგინდ პარიკი გაიკეთო ათას კულულით,
შესდგე უმაღლეს ოჩაფეხზე ტანაწურული,
მაინც ყოველთვის ის იქნები, რაცა ხარ ახლა.

ფაუსტი

ვგრძნობ, რომ ამაოდ არ ვცდილობდი მომემკო ხარბად
კაცის გონების საგანძური და მისი ღალა.
და ვხედავ ბოლოს უსასოო, რომ არ ჩქეფს მარად
ჩემს გულში ისევ წყაროსაებრ ახალი ძალა.
ვეღარ ავმაღლდი ციდითაც კი, დავრჩი მახინჯი,
უსაზღვრობისკენ ვერ გადავდგი ერთი ნაბიჯიც.

მეფისტოფელი

ჩემო კეთილო, თქვენ იმგვარად უყურებთ საგანს,
როგორც უცქერენ მას ყველანი. მაგრამ ჩვენ უნდა
წარვმართოთ საქმე უფრო კარგად და სწორად, რადგან
ცხოვრების სიტკბო არ გადიქცეს უხილავ ბუნდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუი ეშმაკებს! ეს ხელ-ფეხი, თავი და ზურგი,
რაღა თქმა უნდა, შენი არის და შენ გაბია.
და ეგ ყოველი, მას ჯეროვნად ვსარგებლობთ თუკი,
ოდნავად მაინც არ იქნება ჩემი, ძამიავ?
თუკი ჩემს ეტლში ექვს ცხენს შევაბამ,
ჩემი არ არის მათი ღონე და არ ვისვენებ?
ნუთუ არა ღირს იმ დალოცვილს ხოტბა შევასხა,
ვინაც ოცდაოთხ ფეხის ძალას თვისად იყენებს?
ამაო ფიქრი მოიშორე! ციდან — დაბლობში!
შემოიარე აღტაცებით ქვეყანა ფართო,
რომ ბნელ საკანში უსასოოდ არ იყო მარტო.
ვინც მხოლოდ ფიქრობს, ცხოველსა ჰგავს, მწველ უდაბნოში
ავი სულისგან რომ წანწალებს, ირგვლივ კი მოჩანს
მწვანე, წარმტაცი საძოვრებით ავსილი ხონჩა.

ფაუსტი

მაშ რას ვეწიოთ?

მეფისტოფელი

სჯობს გავიქცეთ, ნულარ ვაყოვნებთ.
რას გვარგებს ჩვენ ეგ გლოვის ბინა, შავი საყორნე?
რაღა ფასი აქვს ამ ცხოვრებას და შენს გართობას,
თუკი ცრუ სწავლით აპიმპულებ ახალგაზრდობას!
დაუთმე იგი შენ მცონარე, რეგვენ მეზობელს!
რად გინდა თავი შეიწუხო, იწყო წყლის ნაყვა?
შენ არ გადასცემ ამ ბიჭბუჭებს ცოდნას ეგზომ ბევრს.
დაფარული გაქვს მათთვის ზენა ფიქრი და ზრახვა.
ერთი მათგანი, ხედავ, შენსკენ მოილტვის ახლა.

ფაუსტი

არ მსურს, არ მინდა, მეზიზღება მისი მიღება.

მეფისტოფელი

საბრალო ბავშვი! რახანია სურს შენი ნახვა
და ნუ გაუშვებ, სულის საზრდო თუ არ იგემა.
მომეცი შენი ჯუბა და ქუდი.
შენი ნიღაბი გამოჭრილი ჩემზე იქნება.

(ტანისამოსს იცვლის)

მე შენ, სულ დიდი, გაცდევინო თხუთმეტი წუთი.
ჩემი გონებამახვილობის გჯეროდეს მარად
და მშვენიერი მგზავრობისთვის ემზადე ჩქარა!

(ფაუსტი გადის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

მეცნიერებას და გონებას აწ ნუღარ ჰმონებ,
კაცთა უმაღლეს, იმ უდიდეს ძალას და ღონეს.
ეცადე მხოლოდ, მიგაძინოს სიცრუის ღმერთმა
დაბრმავებული ყალბი მიზნით შენც სხვებთან ერთად.
ხელშეკრულებას მაშინ არ გთხოვ. ჩემი იქნები.
ბედმა მას მართლაც მიანიჭა სული მაღალი,
სავსე გიჟური, უნაპირო ლტოლვით, ფიქრებით,
სული, მიწიერ სიხარულთა მილმა მავალი.
ჩავითრევ მე მას, შმაგ ცხოვრების სწოვოს ჯიქნები,
არარაობის ღრმა ჭაობში ცხოვრობდეს მარად,
იქ ფართხალობდეს, ფაფხურობდეს განაჭივრები.
სასმელ-საჭმელი სანატრელი ექნება კვალად
მის უძღებ ბაგეს, მავედრებელს სავალალოდა
და ვერსად პოვებს მაცხოვრებელ წყაროს ნაგუბარს.
თუნდაც თვის ნებით ეშმაკს ხელში არ ჩავარდნოდა, —
ის ისეთია, მოელოდა მაინც დაღუპვა.

(შემოდის სტუდენტი)

სტუდენტი

აქ მხოლოდ მცირე ხნით ჩამოვედი.
მე გადმოვლახე მიტომ შორეთი,
გთხოვოთ გავეცნო, ფიქრი ვანდო მარტივი ჩემი
ბრძენ კაცს, ყველა რომ იხსენიებს პატივისცემით.

მეფისტოფელი

თქვენი ზრდილობა მე მომწონს მეტად
თუმც ჩემში ათას კაცის მსგავსს ხედავთ.
რას აკეთებდით, სწავლობდით წინათ?

სტუდენტი

აწ თქვენ მასწავლეთ. დავაგდე ბინა
და აქ მოვედი სპეტაკი სულით,
მჩქეფარე სისხლით და ცოტა ფულით.
დედას არ სურდა გამოშვება, ტიროდა ღამე,
მაგრამ აქ უნდა ვისწავლო რამე.

მეფისტოფელი

უკეთეს ადგილს ვინღა გარგუნებთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტუდენტი

მართალი გითხრათ, მსურს შინ დავბრუნდე!
ეს ყრუ კედლები, დარბაზი ფართო
სულაც არ მომწონს, მაშინებს, მაფრთხობს
მძაგს შეზღუდული სივრცე უჩვევი,
სად არ ჩანს მწვანე ხე და ბუჩქები,
სად ხედვა, თვალი ბნელეთში ცურავს
და ვკარგავ სმენას და ფიქრის უნარს.

მეფისტოფელი

შეჩვევა მოსპობს მაგ გამწარებას.
ასე, დედის მკერდს ჩვილი პირველად
ზოგჯერ ხალისით არ ეტანება,
მაგრამ მერმე სწოვს გასაკვირველად.
ასე, თქვენთვისაც სიბრძნის ცურები
დღე-დღე გახდება საამურები.

სტუდენტი

სიბრძნეს კისერზე მინდა უმალ ჩამოვეკიდო,
მაგრამ მას როგორ მივაღწიო? თქვით, რას ვერიდო?

მეფისტოფელი

ჯერ ეს მითხარით და გამარკვიეთ,
რა ფაკულტეტი თქვენთვის არჩიეთ?

სტუდენტი

სწავლის სურვილით მინდა ვიწოდე,
ძირბუდიანად მსურს რომ ვიცოდე,
რაც კი არსებობს მიწაზე, ცაში, —
მეცნიერება, მთელი ბუნებაც.

მეფისტოფელი

სწორ გზაზე დგახართ. დაჰგმეთ ცდუნება
და არ შესტოპოთ მღელვარე ზღვაში.

სტუდენტი

მე ვარ ბეჯითი, ვეტრფი სწავლულებს,
მაგრამ ხანდახან მიყვარს გართობაც,
ზაფხულის ნათელ დღესასწაულზე
რბენა, ლაღობა და თავდათრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

დრო გაატარეთ, იგი გარბის ფეხმარდ ცხენებად.
წესრიგი ჟამის შეგასწავლით გამოყენებას.
გირჩევთ, კეთილო მეგობარო, არ იჯდეთ ჭურში
და შეისწავლოთ ლოგიკის კურსი.
ამით გონება გაიწვრთნება, ასცდება ავსა
და შეიკვრება ესპანური ფეხსაცმლის მსგავსად.
ის ასე უფრო შეეჩვევა სწორ აზროვნებას,
სწორ, საფუძვლიან მოფიქრებას, არ დაყოვნებას
და აღარ ივლის გარდიგარდმო, განზე, განივით.
აბარბაცებულ ცეცხლის ალივით.
მერმე ისწავლით, რომ ყოველდღე, ყველაფერს მარად
უნდა უთუოდ ასრულებდეთ ბრძანების დარად.
ეს ყოველივეს შეეხება: სმასა და ჭამას.
იძახეთ: „ერთი, ორი, სამი!“ — მისდიეთ ამას.
აზრის მსვლელობა, მისი ჯარხანა
ძლიერ წააგავს საქსოვ მანქანას,
სად ერთი ბიძგი ათას ძაფს იღებს,
მაქო მიმორბის, თითქო ფრთები აქვს
და მყის ძაფები უხილავად იხლართებიან.
ყოველი დარტყმა ქმნის ათასგვარ ქსოვილის ტიხრებს.
ფილოსოფოსი განგიმარტავთ, გასწავლით მუდამ,
რომ ყოველივე ისე ხდება, ვით მოხდეს უნდა,
პირველ — მეორე თუკი უნდა იყოს ასეთი,
მაშინ მესამე და მეოთხეც არის ასეთი.
პირველ—მეორე თუ არ იყო, არვინ ელოდა,
მაშინ მესამე და მეოთხეც არ იქნებოდა.
ყოველი სკოლის მოსწავლენი აქებენ ამ გზას,
თუმცა ფეიქრად არ გამხდარან, მიკრულნი დაზგას.
როს ვისმეს უნდა ცოცხალ არსის შეცნობა, ახსნა, —
იწყებს იქედან, რომ სულს აცლის იმ ცოცხალ არსსა.
ამიტომ მკვდარი ნაწილები მას ხელში რჩება,
ხოლო მათ შორის სულიერი კავშირი ქრება.
„Encheiresin naturae“
უწოდებს ამ ცდას ქიმია კერძოდ,
და რომ დასცინის მით თავის თავს, ამას კი ვერ გრძნობს.

სტუდენტი

სრულიად ზუსტად ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი.

მეფისტოფელი

გაიგებთ ამას შემდეგ უკეთ, გითხრათ მართალი,
როცა ისწავლით მოვლენების ჯგუფად დაყოფას,
რედუცირებას და ლოგიკის ენით გალობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტი

ვგრძნობ, უფრო მეტად გამოვშტერდი, ეჭვით მბორგავი,
თავში წისქვილის მიტრიალებს თითქო ბორბალი!

მეფისტოფელი

ყველაზე უფრო არის საჭირო,
მეტაფიზიკას ხელი ჩასჭიდოთ!
მაშინ გაიგებთ ღრმა გონებით უფრო მეტს თქვენა,
რაც კაცის ტვინში არ ეტევა, ვერ ამბობს ენა.
შეუცნობ, ცნობად საგნის დარგში საჭირო, მტკიცე
ჩვენ მშვენიერი ერთი სიტყვა სამსახურს გვიწევს.
ხოლო მომავალ სამოსწავლო წლისათვის უნდა
შეიმუშაოთ განაწესი, წესრიგი მუდამ.
ხუთი საათი დღეში იკმარეთ
და ზარის ხმაზე ზუსტად იარეთ!
გირჩევთ, წინასწარ სახლში იწვალოთ,
ლექციის ყველა მუხლი ისწავლოთ,
რომ თქვენს პროფესორს ადევნოთ თვალი,
ზუსტად თუ ამბობს, რაც წიგნში არი.
ჩასწერეთ მერმე გულმოდგინედ ისე თაბახში,
თითქო მას სწერდეთ თვითონ სულიწმინდის კარნახით.

სტუდენტი

არ გეჭირვებათ მაგის თქმა ორგზის, —
მაგგვარ ვარჯიშის სარგებლობა ვცან, შეგვერგება,
თეთრზე შავ ნიშნით ჩანაწერი ხელთ თუ გვექნება,
მაშინ წინ წავალთ დამშვიდებით, დამხმარე მოძმის.

მეფისტოფელი

მაშ აირჩიეთ ფაკულტეტი თქვენი ღირსი რამ.

სტუდენტი

ვიცი სამართლისმცოდნეობას გულს ვერ დავუდებ.

მეფისტოფელი

დანაშაულში არ ჩაგითვლით, მას რომ აუგებთ.
მეცნიერება იგი მართლაც უვარგისია.
ვით ბევრი სენი, კანონები და სამართალიც
მუდამ იცვლება, მიეთრევა, ნელა გადადის
ერთ თაობიდან მეორეში, ჭირის ბადალი
და იცვლის ადგილს ეგ სიყალბის ძველი ქადაგი.
წინათ გონივრულს და ზნეობრივს მყის ჰკიცხავს და ჰგმობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამათ ცოდვების გადმოტანას შვილებზე ლამობს,
ხოლო შობითვე თანდაყოლილ წესების გამო
ის, სამწუხაროდ, კანონებში არაფერს ამბობს.

სტუდენტი

თქვენ სიტყვის შემდეგ კანონები უფრო შემზარდნენ;
ბედნიერია, ვინც თქვენს ხელში იყვნენ, ემზადნენ!
იქნების სჯობდეს, მოვეკიდო თეოლოგიას!

მეფისტოფელი

არა მსურს თქვენი გზის აბნევა, მაგრამ მგონია
ღვთისმეტყველების დარგში მცდარ გზას გვერდს ვერ აუვლით.
ეს ყველასათვის მეტად ძნელია.
მასში იმდენი შხამი არის აწ ჩაღვარული,
რომ გამოძებნა მარგი წამლის სანატრელია.
სჯობს აქ ერთ ვისმეს გულით ენდოთ, იმას იცავდეთ
და იფიცებდეთ მოძღვრის სიტყვებს კუბოს ფიცრამდე.
საერთოდ, მუდამ მისდიეთ სიტყვებს
და მაშინ შეხვალთ ამაყად, მტკიცედ
დიდ რწმენის ტაძრის ღია კარებში.

სტუდენტი

მაგრამ სიტყვა ხომ არ ივარგებს აზრის გარეშე?

მეფისტოფელი

ჰო, მაგრამ მისთვის თავის მტვრევა უსარგებლოა.
იქ, სადაც აზრი არ არსებობს, სუფთა მდელოა, —
მის ადგილს იჭერს საუცხოოდ სიტყვის თარეში,
სიტყვებით მეტად მოხდენილად აწყობენ კამათს,
სიტყვებით ქმნიან სისტემას ათასს,
სიტყვებით უმალ გვარწმუნებენ, ღამეებს ვათევთ,
მათში იოტის შეცვლაც არ გვმართებს.

სტუდენტი

გთხოვთ მაპატიოთ, შეკითხვებით რომ არ გასვენებთ,
მაგრამ მე კიდევ უნდა გაგსაჯოთ:
ხელი მოვკიდო მედიცინას, განა არა სჯობს?
მითხარით რამე ამის გამო და გზა მაჩვენეთ.
მწამს, სამი წელი მოკლე დროა, მაგრამ ო, ღმერთო,
რა ველი უნდა გადვიარო, უვრცესი ერთობ!
მაგრამ თუ სწორად მიმითითეს იმ გზაზე, მაშინ
წინსვლა უშიშრად შეიძლება გაბედოს კაცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(თავისთვის)

კმარა ლაყბობა, ნაცარ-ტუტის შეფრქვევა თვალში.
ისევ ეშმაკად უნდა ვიქცე, მსურს ვიყო, რაც ვარ.

(ხმამაღლა)

ადვილი არის მედიცინის სულის გაგება.
დიდ და პატარა ქმნილის, არსის სწავლა, შეცნობა
წარიმართება ისე, როგორც ღმერთს სურს, განგებას
და არ დაუშვებთ თქვენ აქ შეცდომას!
მეცნიერების ღეჭვა ანდეთ პროფესორს — უფალს,
ვერვინ ისწავლის იმაზე მეტს, რის სწავლა ძალუძს.
კაცი ის არის, ყველაზე უმალ
ყოველ შემთხვევას ვინც მოსტაცებს სარგებელს მალულს.
თქვენ გაქვთ საამო გარეგნობა, თუმც არა ზენა,
გაბედულებაც გაგაჩნიათ, ეგ ღირსი ქების,
და თუ გექნებათ საკუთარი თან თავის რწმენა,
დაგიჯერებენ უთუოდ სხვებიც.
განსაკუთრებით შეისწავლეთ ქალის ბუნება:
მისი მუდმივი და ცბიერი კვნესა და ოხვრა,
ათასი ფანდი, მუცელზე ხოხვა,
მისი ოინი, სენი, — ცდუნება.
თუ სანახევროდ მიაღწევთ ამას
და შეისწავლით ერთი სენის თან განკურნებას, —
ხელში დაიჭერთ ლამაზთა ლამაზს.
რაც მთავარია, ხალხის ნდობა დაიმსახურეთ,
გწამდეთ, რომ თქვენი ხელობა სჯობს სხვების ხელობას.
იწყეთ გაბედვით მკურნალობა, ჯერ არნახული,
მრავალ წლის მკურნალთ რაც მიაჩნდათ კაცის მკვლელობად,
აიღეთ ნაზად ქალის ხელი, გასინჯეთ მაჯა,
ანთებულ თვალის ჩაკვრით უმალ დაიწყეთ გარჯა
და შეამოწმეთ, საოცნებო მუდამ რომ არი,
წერწეტი წელი, ხომ არ უჭერს თასმა-ზონარი.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი

აი, ეს მესმის, ვხედავ, როგორ და რა ვაკეთო.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მკვდარია მხოლოდ თეორია და მას არ ენდოთ,
ხოლო ოქროს ხე ცხოვრებისა მწვანეა მარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტი

ვფიცავ, ყოველი მეჩვენება სიზმარის დარად...
ნებას თუ მომცემთ, შეგაწუხოთ, მოვიდე ისევ,
საფუძვლიანად თქვენი სიბრძნე რომ შევსვა მყისვე?

მეფისტოფელი

სიამოვნებით შეგისრულებთ, თუკი რამ ვიცი.

სტუდენტი

მიმძიმს აქედან წასვლა, ჩემი რად გინდათ ფიცი.
გთხოვთ ჩამიწეროთ ორიოდე სიტყვა-ნიშანი
ამ ჩემს ალბომში სამახსოვროდ. კაცად მიცანით.

მეფისტოფელი

ო, უდიდესის კმაყოფილებით!

(წერს და აძლევს)

სტუდენტი

(კითხულობს)

Eristis sicut Deus, csientes bonum et malum.

(თავაზიანად ხრის თავს და გადის)

მეფისტოფელი

მისდიე ამ ძველ დარიგებას ჩემი მამიდის — გველის
თქმულებას;
მაშინ უთუოდ გატოლებას ღმერთთან შეიტკბობ,
შვება თუ გნებავს!

(შემოდის ფაუსტი)

ფაუსტი

საით წავიდეთ?

მეფისტოფელი

სადაც გსურს შენა.
ვნახოთ პატარა, მერმე დიდი ქვეყანა მთელი.
რა სიხარული, სარგებელი სხვის ნაცვლად გელის,
როცა მოიარ გზას, რომელსაც ვერ აღწერს ენა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაუსტი

მე ხელს შემიშლის ეს გრძელი წვერი,
შევსვა ცხოვრების სიტკბო და წვენი.
არ გამოვიდეს ჩემი ცდა იქნებ:
ხალხში ტრიალით თავს განა ვიქებ!
თავს ვგრძნობ პატარად სხვების წინაშე,
უმალ ვიბნევი უცხო ბინაზე.

მეფისტოფელი

ჩემო კეთილო, გქონდეს ნდობა საკუთარ თავის, —
ცხოვრების ცოდნა თვითონ მოვა, არ ჰკითხავს არვის.

ფაუსტი

როგორ დავტოვოთ ჩვენ ეგ სახლი, შენ როდის მეტყვი?
თუ გყავს ცხენები, მსახურები, ახალი ეტლი?

მეფისტოფელი

გავშალოთ ჩემი მოსასხამი, ჩემი ნაბადი.
უმალ წაგვიღებს ის ჰაერში მჩატე, ხალვათი.
თუ ამ გაბედულ მგზავრობისთვის არ წამოიღებ
მძიმე ბარგს და ტვირთს, ბევრად მოვიგებთ.
ვენდოთ ჩემს ნამზად ცეცხლის ჰაერს, სხვას კი არაფერს,
დედამიწიდან იგი აგვაფრენს.
თუ შევმსუბუქდით, მყისვე გავსწევთ შევარდნის ტოლად.
გილოცავ ახალ ცხოვრების გზას, სწრაფვას და სრბოლას!

თარგმანი გერმანულიდან **ალექსანდრე ქუთათელისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. სპაგოპლუკი

„ბოტოსტროი“

ნაწყვეტი

★

ამბობენ: ვინც მანქანაში ჯდომას შეეჩვევა, მას ქვეითად სიარული აღარ მოსწონსო, მაგრამ მანქანით სიარული ფული ღირს და პროკოფსაც დაუმძიმდა შრომის უღელი, რომ ბენზინით გაეძღო თავისი ახალთახალი კრიალა მანქანა.

ერთი იმედი დარჩენოდა მას: როდისმე გავყიდი ამ ოხერ-ტიალს და პატარა ქოხს შევიძენ. რას იტყვი, ოლღა? ვინ იცის, ბოტოსტროიში რა ბედი სწვეოდა ჩვენს ფულს? ერთხელაც რამე შემემთხვეოდა და ჩვენს ფულს ვინღა დაგვანახვებდა? დღემუდამ ვმუშაობ, ღამეებს უძილოდ ვათენებ, უნებურად რაღაცას წაახდენ და მორჩა... შენ უნდა ზღო. ავტომობილს კი ვერავინ წამართმევს. ასე ფული შეგვენახება. არა, ოლღა? რას იტყვი?

მაგრამ ეს ოლღას ვერ ანუგეშებს... მას თავის ჭერქვეშ უნდა იყოს, ბაღჩა ჰქონდეს. მანქანა კი არაფრად მიაჩნია.

ოლღა და პროკოფი მანქანით დასეირნობენ. გაისეირნეს ერთხელ, მეორედ, მესამედ, მეათედ, მუშაობა კი პროკოფის თანდათან უძნელდება. ხშირად იბნევა, არ იცის, როგორ მოიქცეს, მას უნდა თავი გაარიდოს, გადაყაროს ფუნჯები, რომლებსაც ხელი ვეღარ ეუფლება, ტვინი დაეღალა.

თუმცა ეს არც ისე იოლი საქმეა. ხელობას თავი როგორ დაანებოს, როგორ მოჰკიდოს სხვა საქმეს ხელი, როცა მთელი სიცოცხლე ამას მოანდომა? ახლა როგორღა დაანებოს თავი ყველაფერს და სხვას გადასცეს? სხვა რა შეუძლია კიდევ გააკეთოს. ზედამხედველად იმუშაოს, დირექტორად ხომ არ დანიშნავენ?

სამი წლის განმავლობაში პროკოფი ხატავდა სარეკლამო პლაკატებს, ყდებს ამზადებდა... და უცებ იგრძნო, რომ გამოიფიტა. ახლა მეტი რა გზა აქვს, სხვა რამეში უნდა გამოიჩინოს თავი.

დაბოლოს, მას კიდევ ერთი გზით შეეძლო თავი ესახელა: ის ძალიან კარგად იცნობდა თავის საქმეს და მასთან დაკავშირებულ ათასნაირ სიძნელეს, წვრილმან დაბრკოლებას, რომლებიც მას ხშირად შეხვედრია. გადაწყვიტა: გამონახოს ღონისძიება, რომ მხატვართა მუშაობაში შეიტანოს მეტი სისწრაფე და მექანიზაცია. ამნაირად, ეს დარგიც რაც შეიძლება უფრო მეტად მიუახლოვოს შეფის იდეალს — მანქანას.

პროკოფი ამაზე დიდ იმედებს ამყარებდა. მილიონიან ჯილდოსაც კი მოელოდა. მართლაც, მას, როგორც ამ დარგში დახელოვნებულ ოსტატს, უნდა ჰქონოდა კიდევაც ეს იმედები. მართლაც შეეძლო მას თავისი პროექტი წარედგინა.

ეს გადაწყვიტა პროკოფიმ და ჩამოაყალიბა ხუთი წინადადება, რომლებსაც თან დაურთო დროის, მუშახელისა და ხარჯების დაზოგვის გაანგარიშება. წინადადებები გამგეობაში წარადგინა და პასუხს ელოდა. მაგრამ ის ამაოდ ელოდებოდა, არსაიდან არავინ არც მოსულა, არც ხელი ჩამოურთმევიათ მისთვის მადლობის გამოსაცხადებლად. სამაგიეროდ, განყოფილებიდან ოთხი მხაზავი დაითხოვეს, დანარჩენებს უბრძანეს პროკოფის მიერ წარდგენი-

ლი პროექტის მიხედვით ემუშავათ. რასაკვირველია, ავტორისთვის თავზე გვირგვინი არ დაუდგამთ და არც გამგედ დაუნიშნავთ. დაბოლოს, როცა პროკოფიმ ჯილდოს თხოვნა გაბედა პროექტების გამოყენებისათვის, მას უთხრეს: ხელშეკრულებაში არ არის ეს მოხსენებული და ხომ არ გადაირიეო!

—...ყველა თქვენგანის მოვალეობაა საქმეს ჩაუფიქრდეთ, გულმოდგინედ იმუშაოთ; ხომ ვერ დაგვარწმუნებთ, ბატონო მხატვარო, რომ ის თანხა, რომელიც თქვენ ავტომობილში მიეცით, საღებავების უბრალო შეზავებისა და ქაღალდზე ფუნჯების წასმა-წამოსმაში მიიღეთ? ამაში თქვენ, შესაძლებელია, დიდი-დიდი, საათში ორი კრონა მიგეღოთ! საერთოდ, შეცდომა იყო, ამდენი ფული რომ გააკეთეთ ჩვენთან. როგორ გგონიათ, ამოდენა თანხა კეთილსინდისიერად გამოიმუშავეთ? აბა დაფიქრდით! ეს შეცდომა იყო!

შეფი, რომელსაც ეს სიტყვა-პასუხი ესმოდა, ჩაერია ლაპარაკში:

— ეი, თქვენ გამომგონებელო! გასწით აქედან აბა, წადით, წადით!

რა ექნა საცოდავ მხატვარს?

ისღა დარჩენოდა, თავის სამუშაოს დაბრუნებოდა, გამხმარი ფუნჯები გაერეცხა და ძალ-ღონე მოეკრიბა ცხოვრებასთან ახალი ბრძოლის დასაწყებად.

პროკოფის მუშაობა ისე უძნელდებოდა, თითქოს წისქვილის დოლაბებს ატრიალებსო. ჩარჩოების მზადებას ქაღალდების ძებნა-შერჩევას და წმენდას მან ორი-სამი დღე მოანდომა და მხოლოდ მეოთხე დღეს მოჰკიდა ხელი ფუნჯებს.

დირექტორობაზე ფიქრს თავი დაანება.

— იქნება სწორედაც მოიქცნენ, — ფიქრობდა პროკოფი,—ეს დაღლილობა და უხალისობა მაინც არ მაწუხებდეს!

ზედ ისიც დაემატა, რომ მთელ გაწყოფილებას შესჯავრდა, როგორც მოღალატე.

ასეთი მარცხი მან არა მარტო ზედაფენებში, არამედ თავის წრეშიც განიცადა.

მაგრამ, აი, დავალებას იძლევიან. ნეტავ ეს აღარ მოხვეოდა თავზე. სწორედ ახლა მოისურვა შეფმა ისეთი პლაკატის გამოშვება, სადაც დახატული იქნებოდა მთელი სერია ჯანსაღი, სიცოცხლით და ხალისით სავსე სახეებისა, რომელთა გამომეტყველებაც ასახავდა სიხარულს იმის გამო, რომ ნაყიდი ფეხსაცმელი მათ თითებს არა სტკენდა, რაკი ფეხი შიგ თავისუფლად მოძრაობდა.

— დიახ, — ამბობს შეფი, — მხატვრები თუ ოდნავ შეეცდებიან, ადვილად შესძლებენ სარგებლობა მოგვიტანონ, ოღონდ სიძნელეებისა არ უნდა ეშინოდეთ, არ უნდა დაიზარონ... მათ კი ეს არა სურთ! არამზადები!.. საქმეს თავს არიდებენ. მაგათ მარტო დედიშობილა ქალები ახატვინეთ, ან ზღვა, მინდვრები, ტყე... მე კი ისეთ მხატვარს ვეძებ, რომ ადამიანის სახე დამიხატოს, ხედავდე, რომ ნეტარებას განიცდის ფეხსაცმლის შეძენით. არ ვიცი, მოიძებნება ქვეყანაზე ასეთი მხატვარი თუ არა? ვაცხადებ: ამ საქმეში ასი ათას კრონა ჯილდოს გავიღებ:

ვიდრე პროკოფი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, რამდენიმე დღემ განვლო.

მუშაობას რომ შეუდგა, თანდათან დარწმუნდა, რომ ის არც ისეთი რთული რამ ყოფილა და პლაკატის გაკეთება მასაც შეეძლო. დღედაღამ მუშაობდა, რომ დანიშნულ ვადაზე დაემთავრებინა შეკვეთა.

* * *

შეფს ნახატები წარუდგინეს.

— კარგი... მაგიდაზე დადგით. მოვალ, დავათვალიერებ.

შეფი სკამზე ჯდება. ხანგამოშვებით უსტვენს. შიგადაშიგ ნახატებს თვალს ადევნებს და ისევ უსტვენს. თითებშუა ძეწკვი უჭირავს, ატრიალებს, თითზე

იხვევს, ათამაშებს, თვალებს ლულავს. მიუბრუნდა რეკლამისა და პროპაგანდის უფროსს, სახელოზე ოდნავ მოსწია და ხმამაღლა გადაიხარხარა. ეს იყო რაღაც განუმეორებელი სიცილი. პროკოფი ნახატს ხელით აჩერებს და გრძნობს, როგორ უკანკალებს თითები. ნახატი რომ თავის დროზე ჩაებარებინა, ორი ღამე ზედიზედ არ სძინებია, გულმოდგინედ მუშაობდა. შეფი ჯერ ადგილზე ბორგავდა, მერე უცებ ფეხზე წამოიჭრა.

— თქვენ გგონიათ ამ გადამღვალს შეუძლია გამოსახოს სიცილი, სიხარული, ჯან-ღონე და ძალა? ეს ხომ უგუნურობაა. ტყუილად რას აწვალებთ? წავიდეს, მოგვაშორეთ მისი ხელოვნება. ჯანდაბამდის გზა ჰქონია! რა ოხრად გვჭირდება? მაგან სიცილი არ იცის და არც შეუძლია გაიცინოს! ვერც ისწავლის. „გაიცინეო“ რომ უთხრა, ალბათ ისე დაიღრიჯება, რომ შეგაშინებს. ისეთ მხატვარს ვეძებთ, რომელსაც ძარღვებში სისხლი უდგას და არა დო. როგორ შეიძლება ამისთანა გალეულს, ამისთანა დაუძლურებულ ადამიანს, რომელსაც მუდამ ჭვლები ადგა, ფუნჯები ახალისებდეს? დაიღუპოს აქედან!

ამისთანა მხატვარი დავრდომილთა სახლში ან საავადმყოფოში უნდა მოათავსოთ და არა აქ. მაგაზე დახარჯული გროშიც კი დასანანია.

დათხოვილია!

პროკოფის მიტკლის ფერი დაედო. ყველა ხედავს ამას ვინც მასთან ახლოს დგას, თანდათან შორდება, ტოვებენ მას, რადგან ყოველ წუთში მოსალოდნელია წაიქცეს და მისი საზრუნავი გახდეს.

ყველანი სწრაფად იშლებიან. მხატვარი მიდის, სურათი თან მიაქვს, ეზოში გავიდა. მარტოდმარტო მიაბიჯებს.

— რა ვქნა, რა ვუყო მე ამ მხატვარს?... — ფიქრობდა მასზე უფრო ადრე გასული გამგე. — თუმცა, რა ჩემი საქმეა? მაგ გადაღრძობილის მაგივრად ეგებ მართლაც ყოჩაღი ვინმე ვიშოვნო. მართლაც-და, ბოლო ხანებში ძალიან დავარდა.

პროკოფი მარტო მიდის. სარეკლამო განყოფილების შესასვლელთან შეჩერდა, ნახატი კედელზე მიაყუდა, ქუდი გამოიტანა, დაიხურა... შუადღე იყო, როცა ბოტოსტროიდან გავიდა.

სამუშაო დღე გრძელდებოდა. პროკოფისათვის კი იგი დამთავრებული იყო:

*

* *

ოლღამ პროკოფის კარები გაუღო თუ არა, მაშინვე მხრებში ხელი წაატანა.

— რა მოგივიდა? რა იყო? ცუდად ხომ არა ხარ? რად ხარ ასეთი გაფითრებული? რა დაგემართა, ხმა ამოიღე, — თითქმის უყვიროდა ოლღა, იჩქაროდა კარი ჩაეკეტა.

— რა მოხდა?

— არაფერი, არაფერი... ეშმაკსაც წაუღია!..

— თქვი რა დაგემართა?

ბოღმამორეულ პროკოფს თვალები ცრემლებით აევსო, აყვირდა: „ქოფაკი, მხეცი... ღორი. .“

მეტი ყვირილი ვეღარ შეძლო. ჯერ ფანჯარაში იცქირებოდა, მერე მობრუნდა, მოეხვია ოლღას და პირისახე მის თმებში ჩამალა. პროკოფის არ უნდოდა ოლღას მისი დაღრეჯილი სახე დაენახა.

— ოლღა!.. ოლღა!..

— ნუ ტირი, გენაცვალე... შენ... არა, არ უნდა იტირო, ჩემო ვაჟაცო. — ორივეს თვალები ცრემლებით ევსება. შვილსაც დაუძახეს, ხელში აიყვანეს. სამივენი ხელს ხვევენ ერთმანეთს. ეკვრებიან, რომ გაერთიანებულნი შეხვდნენ ბანსაცდილს.

წამოდი, ბარგი შეკვრათ. ერთ ლურსმანსაც არ დავუტოვებ. ცარიელი ადგილი დარჩეს. სარდაფში რაც ჩვენია. უბრალო თაროსაც კი მოვხსნი, კლიტესაც, ჩვენ რომ გვაკეთებინეთ. ჩვენი აგურებიც გადავყაროთ!

— ვარდებსაც ძირიანად მოვთხრი, თან წავიღოთ!

— გორგინებიც...

— მე სულელმა, ერთი თვის წინათ აქ ბალახი დავთესე და გაიხარა!

— სუროც მენანება!

— ხომ გითხარი, ჭაღს ნუ ყიდულობ-მეთქი! ახლა რა ვუყოთ?

— გაიყიდება!

ასე თათბირობდნენ, — ყველაფერი უნდა წაიღონ ლურსმანიც კი არ დატოვონ.

— როგორ ფიქრობ, ოლღა, შევძლებ თუ არა კიდევ წელში გამართვას? როგორ გგონია? ჯერ კიდევ ვნახავთ, გადაღრძობილი ვინ არის! ჩემს მაგარ ბეჭებს კიდევ გაჩვენებთ! ვნახოთ, ვინ ვის! მტარვალებო!

* * *

მესამე დღეს ორი დიდი თვითმფრინავი აზიისკენ გაემგზავრა. სხვებთან ერთად შეფიც წავიდა. გამგზავრების წინაღამეს შეფი ჩაკეტილ ოთახში იაკუბს ეთათბირებოდა:

— ეს საქმე გადაუდებელი და საჩქაროა. ორი თვითმფრინავი იმიტომ შევუკვეთე, ადგილზე დროზე ვიყოთ. ასი კაციც რომ წავსულიყავით, კარგი იქნებოდა. ბაზრები გვჭირია, საქონელს გასაღება უნდა. ეჭვი არ მეპარება, მშვიდობით დავბრუნდებით. სანგრებში როცა სხედან იმაზე აღარ ლაპარაკობენ, ტყვია ვის მოხვდება!

* * *

ახმახი იაკუბი, ბოტოსტროის დროებითი შეფი, ჯიბეში ხელებჩაწყობილი დგას. რაღაც აზრმა გაუელვა და უცებ გამოცოცხლდა, ის სახელის მოხვეჭას უქადდა. „ხელები ჯიბეში რად უნდა ეწყოთ?“ ამოიღონ ჯიბიდან ხელები! კაცს როცა ხელები ჯიბეში უწყვია, იმ მეომარს მოგაგონებს, რომელსაც მსხვილი ქარქაში აქვს. ის რაღა მეომარია? იშიშვლეთ ხმალი და გადით ბრძოლაში.

ძალა-უფლება იაკუბს ათრობს და აბრუებს. ბოტოსტროის ეზოებში შეფივით დაიარება, მაგრამ ის თავისებურადაც იქცევა. აი მან დაინახა მუშა, რომელსაც ხელი ჯიბეში უდევს.

— შენ, ეი, რომელი ხარ? მოდი აქ, ხელი სად ჩაგიყვია? ხომ არ გინდა მეორე ხელიც სადმე წაიღო?

ახალი ლოზუნგი გამოაცხადა:

„ხელები — შრომისათვის!“

ის რა მებრძოლია, ვისაც მახვილი ქარქაშში უდევს? ის რა მუშაა, ხელები რომ ჯიბეში უწყვია?

კანცელარიაში თუ ნახა კაცი, ორივე ხელით ჯიბეში, ჰკითხავს:

— რა გვარი ხარ?

— მაცა

— ჩვენი ახალი წესი იცი?

— არა.

— თქვენ დათხოვნილი ხართ!

— ვისაც ხელები ჯიბეში უწყვია, მას ტვინი ნაღრძობი აქვს.

ყველას მგელივით დაერია.

იაკუბს ძალიან უხარია, მამის მაგიერობას რომ ეწევა. მთელ სხეულში პატივმოყვარეობის სიამე უვლის, თავს ვერ იკავებს, განუწყვეტლად ეღიმება; ხშირად იცქირება ფანჯრისაკენ, რომ დამალოს თვითკმაყოფილებით გაბრწყინებული სახე.

იაკუბი ბოტოსტროის მთავარი ქუჩით მიაქანებდა მანქანას, როგორც გიჟი, როგორც მამა. მანქანის სიყვარულიც მამისგან გადაედო. ისე უცბად შეაჩერებს ხოლმე, ლამის ბალიშები გადმოსცვივდეს.

— ადამიანი — ეს ნეხვია, მანქანა კი ნივთია!

იაკუბი ეზოში დგას, მორიგ მსხვერპლს უთვალთვალებს, ჯიბიდან ხელები ამოუღია, თითები გაშლილი უჭირავს, თითქოს ათამაშებსო.

— სად მიდიხარ?

— აი, იქ!

—რატომ ავტოკარით არ ისარგებლეთ?

— მე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამომყევით!

დირექტორი იაკუბი ზორბა კაცია. მას ვეებერთელა თათები აქვს, ფართო მხარ-ბეჭი.

იაკუბი ახალ სანახაობას აწყობს. მან მაგიდაზე რომელიღაც აკანკალებული მუშაქალი შეაყენა. მის გარშემო მყოფ კონსტრუქტორებს, ინჟინრებს და მექანიკოსებს ეკითხება:

— ხედავთ ამ ქალს? აბა რას იტყვით მასზე? მე მესმის, არც კი გინდათ რამე შენიშნოთ, მაგრამ მე მაინც გაჩვენებთ, რომ იცოდეთ... შეხედეთ მის ნაჯაფ ხელებს, მის ფერმკრთალ სახეს. ხომ ხედავთ, როგორ დაჰბერვია ძარღვები. როგორ ფიქრობთ, კარგ მდგომარეობაშია თუ არა? ჰო, თუ არა? მიპასუხეთ! რას გაჩუმებულხართ? არც ერთს თქვენგანს არ სურს თქვას... მაშ მე გეტყვით.

ნათელი სურათია. ეს ქალი მონაა, ოღონდ კაპიტალის მონა კი არა, მანქანების მონა. იმ მანქანებისა, რომლებიც აღარაფრად ვარგა, ვინ არის ჩვენს შორის ისეთი უგულო ადამიანი, ასეთ უვარგის და არასრულყოფილ მანქანასთან რომ დაუყენებია ეს საცოდავი? თქვენ, ბატონო მექანიკოსებო. დიახ, თქვენ აქციეთ მონად ეს ქალი! მას ვეღარც ხელები და ვეღარც ტვინი ყოფნის იმისათვის, რომ ყოველდღე წვნიანის ჭამა ეღირსოს! თქვენ ხართ ამაში დამნაშავენი, თქვენი სიზარმაცე! თქვენ ბოროტმოქმედნი ხართ. ხომ ხედავთ ამას? თქვენს წინაშე დგას მაგიდაზე. ბრძენნო, იცით თქვენ, ეს საცოდავი ქალი კვირაში რას ღებულობს? ორმოცდაათ კრონაზე ნაკლებს! ცხენივით კი მუშაობს. წელებზე ფეხი რომ დაიდგას, მაინც შეუძლებელი იქნებოდა ამაზე მეტის გამომუშავება. აი, დგას ის აქ და მწუხარე თვალებით შემოგიქერით და გისაყვედურებთ. არა გრცხვენიათ?

რასაკვირველია, ყველას რცხვენია, ცეცხლი ეკიდებათ უფრო კი იაკუბის სიტყვების გამო, რომელიც არავის სჯერა.

ქალი გაუნძრევლად დგას მაგიდაზე, ქვის სვეტივით ამართული. აღარაფერი ესმის. ისიც კი არ იცის, მაგიდიდან როგორ ჩამოვიდეს. ასე დააბნიეს! რამდენი ხალხია მის გარშემო, რას არ ლაპარაკობენ!

მაგრამ იაკუბმა იცის, თუ სად ურტყამს. მან მიაგნო ბოტოსტროიზე გამეფებული მონური შრომის მიზეზებს. ამოცანა ამოხსნა!

— უფლებას არ მოგცემთ, რომ ყველაფერი „კაპიტალს“ გადააბრალოთ, მწარმოებელს მიაწეროთ. დამნაშავენი თქვენა ხართ. ზანტო პირუტყვებო, ეს სულ თქვენი ბრალია, რადგან დღემდე ვერაფერი უკეთესი ვერ გამოიგონეთ, გარდა აი იმ უვარგისი მანქანებისა, რომლებიც ჩვენს საამქროებში დღემდე ხმარობენ. დგო მიდის, დღე დღეს მიჰყვება, მაგრამ თქვენ აქამდის არ გამოგიგონიათ ისეთი მანქანა, რომელზეც ჩვენი მკერავი დაუქანცავად შეძლებდა კარგი ხელფასის გამომუშავებას. ჩვენ ისეთი მანქანები გვჭირდება, რომელზეც სუსტი ქალიც კი ერთ საათში დაუღალავად იმდენს გამოიმუშავებდა, რამდენსაც დღეს ჯან-ღონით სავსე მამაკაცი იძლევა ორმოცდაათ საათში! აი, რა გვინდა ჩვენ! დიახ! მაშინ ასეთი მუშაქალიც ხუთჯერ მეტ ხელფასს მიიღებდა. ორმოცდაათ კრონას კი არა, ორას ორმოცდაათს! დღეს კი აი, როგორ გამოიყურება ეს მუშაქალი! თქვენი წყალობით ბოტოსტროიზე ასეთი ქალები ათასობით არის. ჩვენ ახალი მანქანები გვჭირდება, უფრო სრულყოფილი მანქანები. ამას არსაიდან არ მოგართმევენ. ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ. ჩვენ გვჭირდება ათასჯერ უფრო უკეთესი მანქანები, რომ გავათავისუფლოთ მუშები მძიმე შრომისაგან, ფიზიკური დაძაბულობისაგან საერთოდ. დაე, მუშა ისე მუშაობდეს დაზგაზე, თითქოს პიანინოზე უკრავსო, საქონელი კი იმდენი გამოუშვას, მთელ ქვეყანას ყოფნიდეს და შენც გრჩებოდეს ბლომად.

ადამიანს — გონება, მანქანას კი შრომა!

დაე, ადამიანებმა იაზროვნონ, მანქანებმა კი იშრომონ.

რასაც მე ვამბობ, მარტო კაცობრიობისათვის კი არ არის საყურადღებო, უწინარეს ყოვლისა — თქვენთვის. თქვენ ან გაათავისუფლებთ მუშებს დამქანცველი შრომისაგან ანდა ყველას გაგყრით.

„ხელებით იმუშავეთ, ფეხებით ირბინეთ“ — ესეც იაკუბის კიდევ ერთი გამოგონებაა. იაკუბმა ყურადღება მიაქცია ხალხის სიარულს. ზოგი ისე მიჰქრის კიბეებზე, რომ გვერდს ძლივს აუქცევ, ზოგი კი მძიმედ მიიზლაზნება. ფეხს ძლივს მიათრევს, თითქოს ლოდებს ეწევაო. თმა გასწეწია, ოფლში იწურება, თვალებს ძლივს ატრიალებს, ხვნეშის. რა ვუყო ასეთებს? ისინი ბოტოსტროის არ სჭირდებიან!

ხალხი მექანიზმივით უნდა დადიოდეს. სისწრაფე, სიმხნე, ენერგიული სიარული. კაცს სიარულში შეეტყობა, რა შვილიც არის! ასოცი ნაბიჯი წუთში — აი, ნორმა შეჰქმენით სპეციალური კომისია ბოტოსტროზე მომუშავეთა სიარულის ტემპის, მათი სხეულისა და ტვინის მოქნილობის შესამოწმებლად. ტვინიდან მოდის ნერვები ფეხებამდის. როგორც ტვინი მოქმედობს. ფეხებიც ისე ირჯებიან. ტვინი ელექტროსადგურია: როგორც ის მუშაობს, ფეხებიც ისე მუშაობენ, თვალებიც ისე გიჭრიან.

„ხელებით იმუშავეთ, ფეხებით ირბინეთ“ — ეს ახალი ლოზუნგია, ახალი მცნება.

ამისთვის სპეციალურად დაუყენებიათ ხალხი ქრონომეტრით ხელში. აი, მიდის მუშა, მას საეჭვო სიარული აქვს. იაკუბი მას ფეხდაფეხ მიჰყვება. ქრონომეტრი წუთში ოთხმოცდაათ ნაბიჯს უჩვენებს.

— თქვენ, ეი, რა გვარი ხართ? სად მუშაობთ? რამდენხანს გინდა კიდევ იბაჯბაჯო? ლოკოკინავ! თქვენი თავი ცუდად მუშაობს! წადით, ანგარიში გაასწორეთ!

*
* *

ვერ გაყლაპვინებთ ღვთით ნაბოძებ სიმდიდრეს, რომელიც ჩვენ დიდი წვალებით მოგვიპოვებია, — მის მოვლას გასწავლით!

გესმით: ღვთით ნაბოძებიო!

კიდევ ერთი ზღაპარი „ღვთით ნაბოძების“ შესახებ...

— ქარხანა მინდორია, ჩვენ კი მიწის მუშები. კეთილსინდისიერად ვუვლით ჩვენს მიწას, პატივს ვაყრით, ვხნავთ, ვფარცხავთ. მოიღრუბლება, წვიმას დაუშვებს, ნათესი ამოვა. ძოსავლიანი წელი იქნება, მაგრამ ჩვენ წვიმის მოლოდინში გულხელდაკრეფილნი ხომ ვერ ვიქნებით!

რომ არ დამშრალიყო ჩვენი მდინარეები, წყალსაცავები ავაგეთ და ახლა წყალი, რამდენიც გინდათ, იმდენი გვაქვს!

ჩვენი საშემოსავლო წყაროები რომ არ დაიშრიტოს, მათაც წყალსაცავები ესაჭიროებათ. შემოსავალი ხელიდან არ უნდა წაგვივიდეს. ჩვენი ეკლესიიდან ვაჭრები და ჩარჩები უნდა განდევნილ იქნენ.

ჩვენ თვითონ გავხსნით სავაჭროებს მთელ მსოფლიოში და ვივაჭრებთ. მყიდველს ზრდილობიანად თავს დავუკრავთ, მოვემსახურებით, მაღაზიაში შევიპატიჟებთ, სამაგალითო თავაზიანობით მივიზიდავთ, ჩვენთან სიარულს მიეჩვევიან და ასეთი მოქცევა ნაყოფსაც კარგს გამოიღებს.

ისე მოუარეთ მყიდველს, როგორც მებაღე უვლის თავის ხეხილს. გაანაყოფიერეთ კარგი მოსამსახურეობით.

* * *

მისმა „წესებმა“ ნაყოფი გამოიღო. მომწოდა უფროსი ოსტატი პეტრიჩეკი. საამქროში, შუა ადგილზე, მუხლებმორთხმული რაღაცას ჩურჩულებს,

ვიღაცას ელაპარაკება, თავს უკრავს? ღმერთო ჩემო, ვის?

ცნობისმოყვარენი კარებთან დერეფანში მოგროვილან, თავები გამოუყვიათ, გაკვირვებით იცქირებიან, ხედავენ: პეტრიჩეკი მუხლმოდრეკილა და რაღაცას ბუტბუტებს, უახლოვდებიან, სახეში ჩასცქერიან. პეტრიჩეკი ეშმაკებს თუ ელაპარაკება, ალბათ თაყვანსა სცემს, და უღიმის!

ვიღაცას სიცილი წასკდა, სხვები მას აჩერებენ.

— ნამეტანი მოუვიდა...

— ალბათ.

— რაა?

— ყველას ეს მოგველის.

პეტრიჩეკი მთელ დღეებს ცეხში ატარებდა. საღამოობითაც კი, თითქოს იქ რაღაცას ეძებდა ხოლმე. ცოტაოდენი ფული ჰქონდა და ეშინოდა არავის წაერთმია. ასე, ყოველდღე, თითქოს ნაკვერჩხლებზე იჯდა. ტელეფონის დარეკისაც ეშინოდა. უხაროდა, რომ ამ თანხით „ყველაფრის“ შეძენა შეეძლო, მაგრამ მოულოდნელად ფეხსაცმლის მთელი პარტია გაფუჭდა, ყოვლად უვარგისი მასალის გამო. აპირებდნენ გამოფენისთვის სანიმუშო ფეხსაცმლის დამზადებას. დაკვეთა პეტრიჩეკმა მიიღო. ტყავი ვერ იყო კარგად გამოქნილი და დასკდა. პეტრიჩეკი „ჩავარდა“!

აკი ეუბნებოდნენ: „ტყავი არ უნდა მიგელო!“ მაგრამ ვინ ჰკითხა მას, მიაჩეჩეს, მორჩა და გათავდა! ეს ტყავი ვინმესთვის ხომ უნდა მიეცათ! პეტრიჩეკს მისცეს და თურმე მხოლოდ ახლა გამომჟღავნდა ტყავის ხარისხი! ფეხსაცმელი წუნდებული გამოვიდა. ზარალი პეტრიჩეკს და მუშებს აზღვევინეს. ფეხსაცმელი სულ ტალახიდანაც რომ ეკეთებინა, მაინც პირიელხარისხოვანი უნდა გამოეყვანა. მძიმე მდგომარეობა შეექმნა.

პეტრიჩეკს წაართვეს შემონახული თანხები, ჯანმრთელობა, მთელი სიცოცხლე, ყველაფერი.

პეტრიჩეკი ხედავს ხალხს, გოგონებს, იცინის. ამაოდ ცდილობს გაიგოს რა უნდათ მისგან?

აღარაფერი დარჩენია, ღიმილის მეტი. ყველას ერთნაირად უცინის!

შემოდიან ქარხნის მცველები და მკლავში ხელგაყრილი მიჰყავთ.

— აბა, წამოდი!

პეტრიჩეკს სახიდან ღიმილი არ სცილდება. მკლავზე ჩამოკიდებულს თითქმის მიათრევენ.

მიდის, იატაკს ოდნავ ეხება ცერებით. გაიყვანს. სასწრაფო დახმარების მსახურებს გადასცეს. მანქანა დაიძრა. პეტრიჩეკი სამუდამოდ გასცილდა ბოტოსტროის გალავანს. საგიჟეთში მოხვდა.

იაკუბმა მდიდარი მოსავალი მოიმკო.

ოსტატმა ზგარზამ სარდაფში თავი ჩამოიხრჩო: სამსახურიდან დაითხოვეს. დანაზოგი თანხა დაჰკარგოდა.

მეხუთე ობიექტზე მუშაობის მწარმოებელმა თავი დაიხრჩო.

მოხუცმა მუშამ თავი აირით გაიგუდა. მუშაობას ვერ ასწრებდა, ახალგაზრდებს მუშაობაში ძლივს უსწორდებოდა.

მუშაქალი, რომელიც დირექციაში გამოიძახეს, გაიქცა და სისხლის ძარღვები გადაიჭრა.

არიან კლდესავით მაგრებიც... რაც უნდა ურტყან, მაინც უდრეკად დგანან, არა ტყდებიან.

*
* *

საღამოზე ანდრესმა ცოლს სხვასთან წაასწრო. სახლში რომ მოირბინა და კარებს მიადგა, ვიღაცამ შეჰკივლა. კარებში მისი ცოლი იდგა.

— რა ამბავია, დედაკაცო? — შეშინებულ ანდრესს სუნთქვა ეკვროდა... ცოლს გვერდში ყმაწვილი ედგა და წელზე ხელი შემოეხვია...

გაისმა საშინელი ლანძღვა.

— ბოტოსტროიში ამას გასწავლიან, თქვე ღორებო!..

აღარ იცის ანდრესმა, კიდევ რა უთხრას! გათავდა ყველაფერი!

სახლში მორბოდა, ცოლისთვის უნდა შეეტყობინებინა, რომ ასიათასი წყვილი რეზინის კალოში, ამერიკაში რომ გაიგზავნა, დამდნარა, დამწვარა და ერთმანეთში აზელილა... მორბოდა, რომ ბარგი აეკრათ... უნდა წასულიყვნენ, მაგრამ როგორ? როცა ფული სალაროში ჰქონდა შეტანილი, სალაროს კი ბოტოსტროი სდარაჯობდა.

მებეტონეს, რომელიც სავულკანიზაციო ქვაბთან დააყენეს, ბოტები დაეწვა, რეზინა დადნა.

წინადღეს ანდრესმა იმ პარტიიდან დარჩენილი სამი წყვილი კალოში განგებ დაწვა, როცა ამერიკიდან მოსული პირველი დეპეშა ხელში ჩაუვარდა. მეორე დეპეშის დაჭერა ვეღარ შეძლო. ახლა გრძნობს, რა საშინელი შეცდომა დაუშვა. რამდენი იყაირათა. არ ჭამდა, არ სვამდა, სახლისთვის ერაფერს იძენდა, უნდოდა ფული შეეგროვებინა, და, აი, ეშმაკმა დასწყევლოს!

კარგად მაინც მეცხოვრა, მეჭამა მაინც. ჩემთვის ერთი ძეხვიც არ მიყიდია, ახლა ცოფიანი ძაღლივით მოვრბოდი სახლში, რომ... მაგრამ რას შევესწარი?!... საზიზღარი! ასე ადრე... ალბათ არ მელოდა. აუდევნებია...

— ოჰ შე.....

სწვდა და ცოლს სცემა და ლანძღვა დაუწყო. ისმის ქლოშინი. ანდრესი პირზე ხელს აჭერს, რომ არავინ გაიგონოს — ნუ ყვირი! — შეათრია ოთახში, უყვირის და სცემს.

— ონდრო!

— შუაზე გაგლეჯ შე...

ყველაფერი ერთმანეთში აერია. გაკრიალებული ბინა, თეთრი სტანდარტული ავეჯი, ელექტრონის სანათურები, ყვავილები, ვაზა, რადიო. ცოლი თხელ კაბაში მოშორებით დგას, თითქოს შიშველიაო.

გათავდა ყველაფერი.

ანდრესი იატაკზე დავარდა და თავში ხელი წაიშინა. ცოლი კარებთან იყო გაჩერებული. ოდნავ ყოყმანის შემდეგ კარში გავარდა. მირბის. კაბა ბუჩქებზე, ეკალზე ედება. ღობეს გასცდა.

ანდრესი ეზოში გავიდა, ძახილი დაუწყო, მერე სახლში შემობრუნდა, კედელს მიყრდნობილი კიდევ უსმენდა. ქვემოდან ბოტოსტროის მანქანების რახრახი მოესმა...

— ჩავიკეტები, თავს მოვიკლავ... თავს ჩამოვიხრჩობ და ის იქნება... აბა თუ ერთი სიტყვა მაინც... არა!

ერთხელ კიდევ ღრმად ამოიოხრა და დადუმდა. კარები მოიხურა, მეორე ოთახში შევიდა, გასაღებს ძებნა დაუწყო, მაგიდის უჯრას გატეხა დაუპირა. ამ დროს ფეხის ხმა მოესმა, ზემოდან კიბეებზე ვიღაც ჩამოდიოდა.

ლუიზა ეძახის...

ანდრესი გაეშურა ბავშვისკენ, რომელიც დედას კითხულობდა.

— სადღაც წავიდა... ნუ კითხულობ... ცუდი დედაა. პერანგისამარა ბავშვი ანდრესმა გულში ჩაიკრა. მისი წვრილი ძვლები შეიგრძნო, სხეულის ყოველ ნაწილს ცალ-ცალკე უსინჯავდა. მის პაწაწინა ხელებში სასიცოცხლო წყაროს პოულობდა. კისერში, ყურის ძირში... თვით ლომი ძალას პატარა თაგუნაში ეძებდა. კოცნიდა ლუიზას, ცრემლებს აფრქვევდა.

პატარა თაგუნავ, კიბეებზე მარტო მოდიოდი? ფეხი რომ დაგცდენოდა? ცხვირი დაგეკრა?

— ორივეს გვიღალატა, ლუიზა, გენაცვალე, შენც და მეც.

— რაა, მამი?

— წამო, ჩაგაცმევ და წავიდეთ, მშივრები არ დავრჩებით!

ანდრესი წელში გაიმართა.

— ყველაფერი სხვანაირად იქნება. ჩვენ უკვე ორნი ვართ... როცა გაიზრდები... მერე... ვირივით ვმუშაობდი, მაგრამ ჩვენი დროც მოვა, მუშები კაპიტალისტებს კისერში კი წაჭრავენ... ოჰ, რა საზიზღარი ყოფილა?

ბავშვს ეალერსებოდა.

*
* *

ახლა მარქსისტებზე მივიტანოთ იერიში! იაკუბი ტელეფონით ურეკავს ქალაქის თვითმართველობას, რომელმაც მიტინგის მოწყობაზე ნება დართო, და ეუბნება:

— თქვე უხეიროებო, ის ხალხი კიბიდან ვერ ჩაუშვით? განა ისეთი რა განცხადება მოგართვეს? მაგიდებთან ნაგვის კალათები რიღასთვის გიდგიათ? არ იცით? მიტინგი რა ჯანდაბად გვინდა? აქ არც ჩივილი და არც რევოლუცია არავის არა სჭირდება. კეთილსინდისიერად ვმუშაობთ და სულ თავნზეც ვართ. სახეთქს ყველა შოულობს და, ვინც ამაში არ დაგვეთანხმება, კარგებსაც მიიღებს, — გაჯავრებულმა ტელეფონის მილი დააგდო.

ახლა კი ცხვირში ძმარს ადენს მოხელეებს, ცხვირმოუწმენდელ ნაძირალებს, მათხოვრობის ხროვას, ვლახაკთა ბრბოს! „ბატონი მოხელეები!“ დიდებული ბატონებიც რომ ბრძანდებიან! ბატონები! ძონძებში კი დაიარებიან! ერთი მაგათაც უნდა ააჭიროს კაცმა ფეხი.

„ბატონმა“ მოხელეებმა მიტინგის ნება დართეს! მიტინგი უნდა ჩაეშალოთ მეტი რა დაგვრჩენია!

იაკუბი, გაზეთ „ბოტოსტროის“ მთავარი რედაქტორი, ექიმი და სოციალური წესრიგის განყოფილების გამგე ერთად თათბირობენ.

— საუკეთესო აზრი დამებადა, — ლაპარაკობს იაკუბი. — ასე მოვიქცეთ ორასამდის მანქანას მობილიზაცია გავუკეთოთ, საყვირი და მოტორი ჩავრთოთ, ერთმანეთს ვერაფერს გააგონებენ, რამდენიც უნდათ, იმდენი იყბედონ!

ეცინებათ, ეს იდეა ყველას მოეწონა.

— მერე სურათები გადავუღოთ და გაზეთებში მოვათავსოთ. გამოვამეღავნოთ ყველა, ვინც ბოლშევიკების ჭიუაზე დადის. გალავანზე გავაკრათ პლაკატები წარწერით: დღეს ვინც მიტინგს დაესწრება, ჩვენი მტერია, მას ჩვენს შორის ადგილი არა აქვს. მოკლედ: ვინც მტერს გაახარებს, იმას ჩვენ არ გავახარებთ. თქვენ, რედაქტორო, გაზეთში წერილი გაუშვით. მოიხსენიეთ, თუ რა გარყვნილები არიან ყველა ის მარქსისტები, პროვოკატორები და უმაქნისები. მარქსი რომ ებრაელი იყო, ესეც ზედ დაუმატეთ. არავინ დაინდოთ, ყველაფერი დაწერეთ! დაე, ყველასათვის ნათელი გახდეს, რომ სოციალისტები მხოლოდ თავიანთ თავზე ზრუნავენ. ბოტოსტროის მარცხზე უნდათ ხელები მოითბონ, მაგრამ მაგას ვერ მოესწრებიან. აუხსენით, რომ თავიანთ გულისთვის სხვებს აჩხუბებენ, რომ ეს საყოველთაოდ ცნობილია. ყველას გასაგონად შეეკითხეთ მათ: რა ააშენეს, რა გააკეთეს, რამდენი გზა-ტკეცილი, ხიდი, რკინიგზა გაიყვანეს და კიდევ სხვა? მოღალაქენი! ბოლოში მიაწრეთ: არა მგონია მოიძებნოს მსურველი თავისი თავი ხაფანგში გაბას მხოლოდ იმისათვის, რომ მერე მათს უბედურებაზე იმ ვიგინდარა მარქსისტებმა თავიანთი სახელი გაითქვან. მოკლედ: ყველასათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ ვინც ჩვენს წინააღმდეგ იქნება, აქედან პანღურით წავა.

*
* *

მიტინგის დაწყების დროც მოახლოვდა. ტრიბუნასთან ასამდის კაცი ტრიალებს, ჩერდება, აქეთ-იქით იცქირება. ერთი მაგდენიც შორიახლოს მოჩანს. ყველას ყოყმანი ემჩნევა. რამდენიმე ჯგუფი გამოეყო ხალხს და გაბედულად, პირდაპირ ტრიბუნისკენ გასწია. წინასწარ გაფრთხილებული რამდენიმე მანქანა მოგრიალდა. ფოტოგრაფები, კინოოპერატორებიც გამოჩნდნენ. დაძაბულობა თანდათან მატულობს. ავტომობილების მთელი რიგი ჩამწკრივდა.

ტრიბუნაზე დგას პარლამენტის დეპუტატი, მეშახტეთა წარმომადგენელი და მიტინგის ორგანიზატორი.

ტრიბუნის ახლოს მდგომი ჯგუფი გაიზარდა, სამასამდის იქნება. დანარჩენი ადგილი ავტომობილებით არის გაჭედილი.

ორატორი ამაოდ ცდილობს თუნდაც რამდენიმე სიტყვა წარმოთქვას, მოტორების რახრახი, საყვირების ღრიანცელი ლაპარაკის საშუალებას არ აძლევს მას. ყველგან დამწვარი ბენზინის ცისფერი ბოლი დგას. ზოგი მანქანა დაჭრილი დათვივით ღრიალებს, ზოგი ბაყაყივით ყიყინებს. მგელივით ღმუის. გაცოფებული მოტორები იბრძვიან.

პირდაპირ ტრიბუნაა. ორატორმა კიდევ რამდენჯერმე სცადა სიტყვის წარმოთქმა. ხელის მაღლა აწევით წესიერებისკენ მოუწოდა. თვითონ იაკუბიც, რომელმაც ეს „მოტორიზებული“ მიტინგი მოაწყო, აქ არის. მანქანა პირველ რიგში უყენია. საჭესთან ზის გადახრილი, გაღებულ ფანჯრიდან სხვებს უყვირის, ხელით ანიშნებს, უბრძანებს:

— მიდით... ეგრე... კიდევ! — შოფრებიც ცდილობენ თავიანთ ბატონ-პატრონს გულმოდგინება აჩვენონ, მანქანებს აყვირებენ, ხელებით აბრახუნებენ.

— აგრე უნდა მაგათ!

პირდაპირ მოჩანს მაღლა აწეული მუშტები. უცნაური სანახაობაა. საკვირველი ბრძოლა.

მერყევი ხალხი ეუბნება ერთმანეთს: რას იზამ? სჯობს თავს ვუშველოთ. რა ეშმაკმა შეგვაცდინა! სურათებიც გადაგვიღეს! ახლა უყურე, დაგვახრჩობენ! ვაჭრები ფიქრობენ: დუქნებს ხომ ვერ დაგვიკეტავენ?!

— არ დაგვიკეტავენ, მაგრამ ჩვენთან აღარავინ შემოვა.

სულ ერთია, მაინც გვანადგურებენ, წარმოებაც და ვაჭრობაც მაგათ ხელში არ არის? საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ეზიდებიან. მყიდველი მოვა თუ არა, მაშინვე იმას ეკითხებიან, მაგათთან რად ვაჭრობთო? „ჩვენი მაღაზიები არ მოგწონთ? რატომ არ მოგწონთ?“ ეს ვინ არ იცის?

— ლამის ჯიბეში ხელი ჩაგიყონ!

— კუჭ-ნაწლავებს გვისინჯავენ!

— ყველას ჩაგვყლაპავენ!

პირველ მაღალაწეულ მუშტთან ერთად კიდევ სხვა ოთხი მუშტიც აღიმართა.

*

* *

ანტონინი, რომელიც გზიდან იაკუბმა თავისი მანქანით აქ წამოიყვანა, ეტყობა, დაღლილია, ძმას ყურს არ უგდებს; იმასაც კი ვერ ამჩნევს, რომ იაკუბი მანქანის კარებს უბრახუნებს. მანქანას ისე ანჯღრევს, ლამის დაზნიქოს, გაზს უმატებს, მოტორი ცეცხლდება, თვითონ ჩახრინწული ხმით ყვირის.

ხალხის ერთი წყება არ ნებდება, დუმს, მაღლა აუწევიათ მუშტები. უჩვეულო გრძნობამ შეიპყრო ანტონინი. ის მანქანიდან გადმოდის. შენობათა სახურავებს გაჰყურებს. იაკუბის სახეს თვალს არიდებს, ეშინია შეჰყვიროს. არ მივარდეს და მანქანაზე დაყრდნობილი დგას. ხელები ჯიბეში ჩაუწყვია, უსმენს — რას ამბობენ, რა ხდება ირგვლივ. ტრიბუნასთან მდგარი ჯგუფი ნელ-ნელა თხელდება, ათიოდე კაცი, იქნებ ოციც, გვერდ-გვერდ მიიპარება, ღალატობს, იმალება.

დანარჩენები მედგრად დგანან.

ხმაური, ყოყმანი, აჯანყება, ღალატი, სიმხდალე, გაიძვერობა, — ყველაფერი ეს რამდენიმე წამის განმავლობაში გრძელდება.

მიტინგის ორგანიზატორები ნიშანს აძლევენ მოედანი დატოვონ და კარლ მარქსის სახელობის სახლში მოგროვდნენ. გამოსვლები იქ იქნებაო.

იაკუბი მანქანიდან გადმოხტა, ხელებს იქნევს, ყვირის: ვაშა, მივყვეთ მათ! ვაშა, გავყვეთ დარბაზში!

* * *

ანტონინი ჯერ ქალაქის მეორე მხარეს, სადმე მინდვრად წასვლას აპირებდა, ყოყმანობს, გადადგა კიდეც რამდე-

ნიმე ნაბიჯი, მაგრამ დაბრუნდა და დერეფანში შევიდა. დარბაზი უკვე სავსე იყო ხალხით. წინა ოთახში მდგომი შოფერი ანტონინს მიესალმა:

— შიგნით შევიდეთ?

— შევიდეთ!

დარბაზში შევიდნენ.

სიტყვას მეშახტეთა წარმომადგენელს აძლევენ.

უბრალოდ, დაუხვეწელი ენით, მძიმედ ლაპარაკობს. გარეგნობით მკვრივია, მაგარი, გახუნებული, ბაცი თმები აქვს. ფერმკრთალია, ძემახტე ლაპარაკობს სოციალისტური დაზღვევის დახმარების შემცირების წინააღმდეგ.

— პურის ნატეხი გვიჭირავს ხელში და იმ ნატეხსაც გვართმევენ ფაბრიკანტები, მწარმოებლები. ბოტოსტროის უნდა, რომ ნახშირი იაფად დაუჯდეს... სახალხო მეურნეობა თავის დონეზე არ დგას, საქონელი ძვირი ჯდება, რაც მის საზღვარგარეთ გატანას ხელს უშლის. „სამშობლო მსხვერპლს თხოულობსო“. ხელი გულზე დავიდოთ და ისე ვილაპარაკოთ: რომელი სამშობლო? ქვანახშირის საზოგადოების შემოსავალი მუდამ იზრდება და რაღა ჩვენი ხელფასი, ჯილდო და დაზღვევის თანხები უნდა შემცირდეს? ჩვენი ცოლ-შვილის შიმშილი და უბედურება ვის რაში ენაღვლება? მიწისქვეშ ვმუშაობთ. ვის რაში აინტერესებს, ჩვენს ოჯახს დაუბრუნდება თუ არა მამა, ქმარი, ძმა?! დაუყრუვდება თუ დაუსნეულდება შვილი? არავის! იყავ, იჩანჩალე და ჩაკვდი! თოთხმეტ თებერვალს, აფეთქება რომ მოხდა, რაღაც განგებამ გადამარჩინა, ძმა კი იქ დამეღუპა. ცოლი და ოთხი შვილი დარჩა...

— რაღა ოთხ შვილს აჩენდა, ვინ უნდა შეუნახოს, — წამოიყვირა იაკუბმა.

— სიჩუმე! — დაუყვირეს მას.

მეშახტემ სიტყვა განაგრძო. მუშაობაზე, ცვლებზე ლაპარაკობს, სამთომადნო მუშების თანდათან მზარდ უმუშევრობაზე, დაბოლოს, თავის სიტყვას, როგორც დაიწყო, ისევე უბრალოდ ამთავრებს:

— ... ხომ იცით, ჩვენ ბატონები არა ვართ. ჩვენი გართობაც ეგ არის, დედამიწისქვეშ მუშაობა. არავითარი ფუფუნება... შამპანური... და ამისთანეები არ ვიცით... შრომა, ნახშირი, ჭუჭყი. ხშირად სიკვდილიც... ეს არის სულ...

ახლა იაკუბი წამოდგა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, რას მიედმოედება? „ფუფუნება, შამპანურიო“, ეგ მაგას კი არა, მეც არა მაქვს!

— სიჩუმე! ლაპარაკს ნუ უშლით! სიტყვა არ გითხოვიათ!

— ნამდვილი ვაჟკაცი სიტყვას თვითონ იღებს, არა თხოულობს! — მოუჭრა იაკუბმა.

ხმაური, შეძახილები, თავმჯდომარე ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდებს.

— სიტყვა პარლამენტის დეპუტატს, პოტოჩნის ეძლევა.

წამოდგა წარმოსადეგი, მხარბეჭიანი, მხნე ვაჟკაცი. ცალი მხარი წინ აქვს წამოწეული, ის ამბობს: „ამხანაგებო, მართალია, ფაბრიკანტმა თავის თავს სიტყვა თვითონ მისცა, მაგრამ არა უშავს-რა, დაე, ილაპარაკოს! ჯერ მაგან თქვას თავისი სათქმელი, მერე ჩვენ უფრო კარგად ვუპასუხებთ, გთხოვთ ილაპარაკოთ, ათი წუთი გეძლევათ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

იაკუბი მოულოდნელად ამაღლებულ ადგილზე გაჩერებული დარჩა და მთელ დარბაზში უცნობი, მისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი ხალხის წინაშე წარსდგა. მომზადებული არ იყო, არც ამ სიჩუმეს მოელოდა. ასეთ შემთხვევისთვის არც სიტყვა ჰქონდა მომზადებული. ცოტა ხანს კიდევ გრძელდებოდა სიჩუმე.

— პატივცემულნო! — ორატორმა, მეშახტემ, თქვა... მაგრამ მე თქვენ გეუბნებით, რომ ეგ მართალი არ არის... მაგალითად, მანქანებმა, ვფიქრობ, მუშაობა გააადვილეს ჩვენთანაც და შახ-

ტებშიც... 1928 წელში მეშახტე ცვლაში 12 ცენტნერ ქვანახშირს ღებულობდა, დღეს 18-ს ღებულობს, ისე რომ აქ წარმოებას რაღაც სხვა უშლის ხელს და აძვირებს, ცხადია...

სრული სიჩუმე აზრს უფანტავს. ზოგიერთის სახეზე ღიმილს ამჩნევს და „ძალუმი“ იაკუბი ენას ძლივს ატრიალებს. ლოყები აელეწა, თვალწინ უფსკრული ესახება, სიცარიელე, არც ერთი სიტყვა არ აგონდება, გული მოსდის, ჰგონია, რომ განგებ მოუწყვეს და სიტყვაში გამოიწვიეს. კარებთან ვიღაცამ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ... ვინც იცის დამოკიდებულება შახტებში, ის მუშაობა, ის კი... მიხვდება და... — მძიმეა იაკუბის წინადადება, მაგრამ მაინც ცდილობს თავი დაიცვას.

— ... აქ, მე მგონი... აღინიშნა ბევრი შეცდომა, რომლებიც დაშვებული იყო მეურნეობაში... სახალხო... და... ამიტომ... — იაკუბი უკვე გაცეცხლებულია, მუშტებს კუმშავს. აჩქარებული ლაპარაკობს, გრძნობს, რომ თავბრუ ესხმის. უნდა თავს უბრძანოს, შეიკავოს ნერვები, ენა, სისხლი „რასაც მოინდომებთ შესძლებთ!“ — აგონდება მამის სიტყვები და ისევ ინთება — ...და საერთოდ, ეგრეთწოდებულ სოციალიზმს აქ უფრო მეტი არევ-დარევა შემოაქვს!... ჩვენთან როგორღაა? ათასნაირი რამე მზადდება... საჭმელი თავსაყრელი აქვთ. საამქროები მორთულია, ყვავილებს ვდგამთ, ელექტრონით ვანათებთ, ღამის დღეთ ვაქციეთ და კიდევ... ჩვენთან მოდიან და წინასწარმეტყველებენ! ეიცით, რაც არის! დიახ, ჩვენ სიმდიდრეზე უჭირავთ თვალი, უნდათ ხელში ჩაიგდონ როგორმე.

დარბაზში სიცილია, მაგრამ იაკუბი ყურადღებას არ აქცევს. ეს მას სულაც არ ენაღვლება. უკვე გათამამდა, არ ნებდება. ჯიბეში რაღაცას ეძებს. წერილი ამოიღო და ხსნის კრების წინაშე.

— რუსეთიდან წერილი მივიღე, აქა მაქვს... წაგიკითხავთ, გაგაოცებთ! ეს კაცი რუსეთში იყო, დაბრუნდა და ეს წერილი მომწერა... მისმინეთ:

„პატივცემულო ბატონო ფაბრიკანტო!

საჭიროდ მიმაჩნია გავაცნო ფართო საზოგადოებას, როგორი, ყოვლად აუტანელი, პირობებია შექმნილი ეგრეთწოდებულ სოციალისტურ სამოთხეში... ჯოჯოხეთური შიმშილი, გაჭირვება და უსახსრობა მძვინვარებს. ხალხი ნაყარნუყარით და ხის ქერქებით საზრდოობს. ხშირად საცოდავი ბავშვები და აგრეთვე ქალებიც ათობით იკარგება ხოლმე. რამდენი დაიხოცა შიმშილით, არავინ არ იცის, ყველაფერზე კიდევ ვერა გწერთ. ამ წერილში მოწერილ ამბებზე ბევრი დამემოწმება. ამაზე გაზეთებშიც წერდნენ, თუმცა არც იმათ ჰქონიათ მთლიანი ინფორმაცია. მე თვითონ ვცხოვრობდი რუსეთში და ის პირობები, როგორშიც იქ ცხოვრობენ, კარგი გამაფრთხილებელი მაგალითია იმათთვის, ვინც დღემდის კიდევ ცდილობს გადაიბიროს ხალხი, რომელსაც მათი ადვილად სჯერა. შემიძლია უფრო დაწვრილებითი ცნობებიც მოგაწოდოთ და ამით სიმართლეს მოვემსახურო. არ ვიცი, ჩემი კმაყოფილება როგორ გამოვთქვა იმ კეთილდღეობისათვის, რომელშიც მე ვიმყოფები მას აქეთ, რაც თქვენს ქარხნებში თანამშრომლად მიმიღეთ. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რა არის ცხოვრება და კეთილდღეობა.

უღრმესი პატივისცემით ო. დუკასტი“.

— აი, ხომ ხედავთ, — განაგრძობს იაკუბი, — მე მგონი არავის თქვენგანს ასეთ სამოთხეში ყოფნა არ მოენატრება.

გაისმის მოწინააღმდეგეთა შეძახილები: — აქ დაუძახეთ მაგ ჯღაბნიას! რას მიედ-მოედება!

კარებში შოფრები აყაყანდნენ.

ანტონინი, რომელიც შუა დარბაზში ზის, კარგა ხანია მის გვერდში მჯდომის ნაცრისფერ პიჯაკს მისჩერებოდა, მაგ-

რამ ძმის გამოსვლის დროს ცოტა გაოფლიანდა, შუბლი მოიწმინდა, ოდნავ შეიცადა და მერე უცებ წამოდგა. გაფითრებულია, ხელები უკანკალებს, გულის მოსვლას ვერ ფარავს. ძმისკენ მიტრიალდა და მთელი დარბაზის გასაგონად თითქმის ყვირის: — ეგ, მართალი არ არის, ეგ ტყუილია!

დარბაზში უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ანტონინმა იგრძნო, რომ ახლა კი მთელი ძალღონის მოკრეფა იყო საჭირო. ის მამის, მისი საქმის, ბოტოსტროის წინააღმდეგ გამოდის...

— შენ რაღას ლაპარაკობ! — ხმამაღლა და ყოყოჩურად აწყვეტინებს იაკუბი, თან ფეხს ინაცვლებს და ცდილობს უფრო მეტად გაიჭიმოს. უნდა სიტყვა მოუჭრას. მაგრამ მოულოდნელად დაიბნა, შეკრთა, წამოჭარხალდა... მოტორების ხმაური და საყვირების ღრიანცელი რომ ყოფილიყო, ცოტას მაინც უშველიდა... დარბაზში გამეფებული დუმილი კი წელსა წყვეტს, უბედურებას მოელის. იცნობს ძმას. საქმე ცუდად წაუვიდა... რომ შეძლებოდა, ყელში სწვდებოდა, ხმას არ ამოაღებინებდა, კრინტს...

— ეგ წერილი თავიდან ბოლომდის შეთითხნილია! შენც იქ იყავი, როცა ეგ იწერებოდა, — უყვირის ანტონინი, თვალები ეწვის, თავი გაბრუებული აქვს...

— ეგ წერილი დუკატის დაწერილი არც არის. „ბოტოსტროის რედაქტორმა, ფუქსმა, დაწერა, რომელსაც რუსეთი თვალითაც არ უნახავს. მასთან ერთად შენ თხზავდი მაგას... ბოლოში რომ სიტყვებია: „მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რა არის ცხოვრება და კეთილდღეობაო“, შენი კარნახით მიაწერეს. მეზობლად, მაგიდასთან ვიჯექი და მესმოდა. ნუ სტყუი! ისიც კი სთქვი! არ არის საჭირო, იმ ვირს, დუკასტს, დაუძახოთ, ტელეფონით შევატყობინოთ... მისი გვარის მაგივრად, მოდი, მარტინოვსკი მოვაწეროთო“.

— ეს ვისი ხელმოწერაა? — ღრიალებს გაწბილებული იაკუბი.

— დიახ... დუკასტისაა. ბოლოს იმ ბრიყვს მაინც დაუძახეთ. ხელი მოაწერა!

დარბაზში სიცილი ატყდა.

— აბა ერთი გაებედა და ხელი არ მოეწერა! თქვენ არც კი წააკითხეთ, შენ თვითონ ეუბნებოდი: „აბა, აბა მოაწერე, ეგ იმ ბოლშევიკებზეა, მოაწერე, დრო აღარ არის, გახეთში ვგზავნითო“.

ისმის შეძახილები, ხმაური თანდათან მატულობს.

— ხედავთ მაგას!

— რა ხალხია!..

ზოგი ფეხზე წამოდგა.

ანტონინი თავის ადგილზე ზის. იაკუბი ისევ ღრიალებს, ანტონინს უყვირის:

— რას ნიშნავს „ტყუილია“? გამოჩნდება, რაც არის... ყველაზე მეტი შენ მოგხვდება, მუტრუკო!

ამ აურზაურში სიტყვას პოტოჩნი იღებს.

— ასე, ამხანაგებო, ხომ გაიგონეთ, საქმე როგორ ყოფილა... ახლა ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა მეც დავუმატო. ყველაფერს ისა სჯობს, შინაურულად ვილაპარაკოთ.

დარბაზში ხმაური შეწყდა.

იაკუბი გაალმასებულია. გაგულისებული ზის, სწყინს, მას, შეფის შვილს, როგორ გაუბედეს... უსირცხოდ ასეთი ოინი როგორ მოუწყვეს?! თუ ტყუილი თქვა, ამით მამას, მის დიდებულ საქმეს და სახელს იცავდა, ანტონინი კი უსირცხვილოდ მოიქცა. იაკუბს სჯერა, რომ აქ დამსწრე ხელისუფლების წარმომადგენელი უთუოდ მის მხარეზეა... გასწორდა, საათს დახედა და პირდაპირ პოლიციის კომისარს მიმართა: — დროა, მე მგონი, მიტინგი დაიხუროს, — ხმამაღლა, დაუინებით არწმუნებს კომისარს, ცხადად აგრძნობინა, რომ მისი მოვალეობაა — დაემორჩილოს ამ რჩევას, რადგან აქ არის ის შფოთის ამტეხი ბოლშევიკების ხროვა... — ეს საჭიროა

საზოგადო წესრიგის დასაცავადაც, — დაუმატა იაკუბმა...

უკანასკნელი შენიშვნა აღშფოთებას იწვევეს ხალხში, მაგრამ ახალგაზრდა კომისარმა დაძაბული ატმოსფერო ცოტა შეანელა: თითქოს ვერას მიმხვდარიყო და ღიმილით უპასუხა: — ვაცალოთ! კიდევ დიდხანს გაგრძელდება? --- იაკუბის თავიდან მოსაშორებლად ეკითხება ორატორს.

— არა, რამდენიმე სიტყვა, დასკვნა და ორიოდე საპასუხო გამოსვლა...

— ეადლობა ღმერთს! — ღიძილით დაუძატა კომისარმა, თან პაპიროსს ძოუკიდა. იცის, რომ თავის თავს ცუდ საქმეს უმზადებს, სხვაგან სადმე გადაიყვანენ, მაგრამ არც მაგის საწინააღმდეგო აქვს რაიმე. ბოტოსტროიტზე კომისრობა უკვე მობეზრდა. იაკუბი კი არ ცხრება, მოუთმენლობს, ხელმეორედ მიმართავს:

— ბატონებო, ერთხელ კიდევ... დამატებით აგიხსნათ... თავს დამესხნენ...

— თქვენ... რა გაქვთ კიდევ სათქმელი?—ეკითხება ორატორი,—თუ მართლა ორი სიტყვა გაქვთ, ილაპარაკეთ!

— უაღრესად არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი...

— ეგ უკვე ვიცით. მერე?

— ესე იგი... სამარცხვინო... და ეს... ეწინააღმდეგება...

დარბაზში სრული სიჩუმეა.

რას ეწინააღმდეგება? — ეკითხება ორატორი.

იაკუბს სახე ულაპლაპებს, სიტყვებს ურევს, იმეორებს. დარბაზში სიცილი ისმის. იაკუბი ლამის გაცოფდეს.

— თავხედობაა... იმიტომ რომ... ტყუილა... რომელიც...

თვალწინ ვეღარაფერს ხედავს, უფსკრულია... მხოლოდ სიცილი მოესმის. დარწმუნებულია... ალბათ ეს უკვე მეორედ „გააპამპულეს“. არ მოელოდა, რომ ხელმეორედ მისცემდნენ სიტყვას. უნდოდა მხოლოდ აურზაური ატეხილიყო, ზედ თავისი მოტორების და საყვირების ღრიალს დაატეხდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დგას ისევ გაშეშებული, დაავიწყდა, რისი თქმა უნდოდა, დარბაზში კი სიცილი დაიწყეს. ვიღაც ახალგაზრდამ მაგრად დაუსტვინა. სიცილი უკვე ყელას გადაედო. ძნელია თავის შეკავება. კომისარიც კი დაურიდებლად იცინის. პოტოჩნიმ იაკუბი ხელახლა გამოიყვანა მძიმე მდგომარეობიდან.

— ჯერ მე გამოვალ, მანამდის კი თქვენ მოემზადეთ.

იაკუბი ჯერ კიდევ არ ჯდება: „რათა, რად უნდა დავუთმო?“ — ფიქრობს იგი. დავარდა სკამზე, სუნთქვა შეეგუბა, გაიბერა, ჰერს შეაშტერდა: სახე ალეწილი აქვს. ნანობს, რად დაჯდა. დათვს უწოდებს თავის თავს. იმ პოლიციელს კი უტირებს ყოფას! გააგდებს. მაგრამ მთავარი ეგ არ არის. გაცილებით მეტ საშიშროებას ანტონინი წარმოადგენს. რამდენჯერაც გაიხსენებს ანტონინს, იმდენჯერ თითქოს თავზე ქაფქაფა წყალი გადაასხესო. როგორ გამოასწოროს საქმე? მოწმედ დუკასტი გამოიძახოს? გვიანღაა. ან... ღირს კი ამ ყეყეჩების წინაშე თავის მართლება? წახდა შეფის შვილი, იაკუბი ნაცემი ძაღლივით ზის, შფოთავს. წრიალებს, ფანქარს ეძებს, რაღაც აღნიშვნას აკეთებს... ჯღაბნის, თითქოს მართლაც და გამოსასვლელად ემზადებაო.

ორატორი მეშახტეების გაჭირვებაზე ლაპარაკობს:

— ჯერ კიდევ 1928 წელში ოსტრავსკის სამთომადნო რაიონებში 29.000 მეშახტე მუშაობდა. დღეს კი სულ 18.000 მუშაღაა. თერთმეტი ათასი მეშახტე ქუჩაში დარჩა. ამასთან უმუშევრობის შემწეობას მათში მხოლოდ ერთი მეხუთედი ღებულობს და იმასაც — არარეგულარულად. დანარჩენებს საქველმოქმედო ორგანიზაციები დღეში ერთხელ ცხელ სალაფავს თუ მისცემენ... და... ამასაც მოკლებული ათასობით ხალხი ხელცარიელი რჩება.

1928 წელს მაღაროებში ათმა მილიონმა ცვლამ იმუშავა. მას აქეთ ცვლე-

ბის რაოდენობა 120 პროცენტით გაიზარდა. მემაღაროელთა ხელფასები კი ორასორმოცდაათი კრონით შემცირდა. გამომუშავება მატულობს, მაგრამ ხელფასი კლებულობს. სამაგიეროდ, სამთომადნო კომპანიების აქციებმა აიწია 1928 წელთან შედარებით: სამთომადნო აქციის კურსმა დაახლოებით 300 კრონით აიწია, ქვანახშირის საზოგადოების აქციებმა კი 230 კრონით, ლითონმრეწველობის საზოგადოების აქციებმა ხომ 520 კრონით და ასე სხვებმაც.

წრეულს ბირჟამ მილიონობით მოგება აღრიცხა. სამთომადნო კომპანიამ სადივიდენდო ფონდი ათნახევარი მილიონით გაადიდა: საერობო ბანკმა — თხუთმეტი მილიონით, ლითონმრეწველობის — ოცდათერთმეტი მილიონით და ასე სხვებმაც. აქციების ღირებულებამ მთლიანად ორნახევარი მილიარდით აიწია. სახელმწიფო ფასიანმა ქაღალდებმა — მილიონი ოცდახუთი ათასით, სულ თითქმის ოთხი მილიარდი მოგება ნახეს ბანკებმა, მებირჟეებმა და მეწარმეებმა.

ამავე წელს მაღაროელებმა, საშუალოდ, გამოიმუშავეს ოთხნახევარი ათასი კრონა. აქედან რვაასი კრონა დაქვითებია. ოჯახზე რჩება სულ სამიათას სამოცდაათი კრონა... როგორია პენსიები? მაგალითად, მეშახტე პენსიონერის გრუნდტის პენსია ასორმოცდაათი კრონაა. მას ცოლი და ორი უმუშევარი შვილი ჰყავს, ერთი მათგანი ამ დღეებში მათხოვრობისთვის რვა დღით დააპატიმრეს. თერთმეტი ათასი მემაღაროელი უმუშევარია ოსტრავსკის რაიონში. მათ შვილებს რომ შეხედოთ, ცარიელი ძვალი და ტყავი არიან. ქალიშვილები ხომ... სამოცი პროცენტით გაიზარდა პროსტიტუცია. შიმშილი აიძულებთ, გამოეთხოვონ ჯანმრთელობას, ნამუსს, კერას!

არა, ამხანაგებო, ნახშირი უნდა გაიაფდეს არა მაღაროელთა ანგარიშზე, არამედ იმათი ჯიბის, ვისი მოგებაც წლიდან-წლობამდის მილიონობით მატულობს. თქვენ იცით თუ არა, რომ წრეულს ქვანახშირის მაგნატმა ვაცეკმა, თავის აგარაკზე მოაწყო დარბაზობა, რომელიც მისივე სიტყვებით, ნახევარი მილიონი დაუჯდა? შუაღამისას მსახიობებმა სცენა ნიციდან ჩამოტანილი ვარდის კონებით შეამკეს. ჯაზი და ტიტველი მოცეკვავე ქალები პარიზიდან იყვნენ მიწვეულნი. ქალებმა სათითაოთ ოქროს გოჭი მიიღო საჩუქრად, ყვავილებს შამპანურს ასხურებდნენ...

რასაკვირველია, ყველა მაგნიტი, ფაბრიკანტი და კაპიტალისტი არ ეწევა ქეიფს, მათ შორისაც არიან შრომისმოყვარე და ფხიზელი ადამიანები. ბოტოსტროის შეფი მუშაკაცია, ღამეები არ სძინავს, სულ საქმეშია გართული, მაგრამ ჩვენი ეპოქის სენი მაინც ის არის, რომ ერთი მშიერია და მეორე კი ამავე დროს დიდძალ სიმდიდრეს აგროვებს; ერთი ხუთი წელი უმუშევრად ზის ღ. პური სანატრელი აქვს, მეორე კი თავის ქონებას არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ უშვებს და კიდევ იმ პურის ნატეხზე უჭირავს თვალი, რომელიც ღარიბს რგებია.

ამხანაგებო, ბოტოსტროის შეფი ბეჯითი ადამიანია. ფულებს უმიზნოდ არ გადაყრის. წელიწადში ორას ორმოცდაათ მილიონს აკეთებს...

— ეგ მართალი არ არის! — წამოიძახა იაკუბმა.

— მართალია!

— მაშ ამის უფლებაც ჰქონია, ის შეფია! პატრონი! ჰქმნის! — იაკუბი აღშფოთებულია, ვისი რა საქმეა... ის კეთილსინდისიერი შრომით... თქვენ კი?.. ეს მისი საკუთრებაა, აქვს მაგის უფლება!

— რასაკვირველია, შეუძლია კეთილსინდისიერად იშრომოს. ეს ყველა ჩვენთაგანს შეუძლია. თქვენ თვითონ, მეგობარო, წრეულს „კეთილსინდისიერად“ ხუთი მილიონი კრონა „გამოიმუ-

შავეთ“, ყოჩაღ!.. მაგრამ საშემოსავლო გადასახადი კი ერთ მილიონზე გადაიხადეთ.

— ტყუილია!

— მართალია!

— შემოსავალი მთლიანად ვუჩვენე! — ყვირის იაკუბი.

— თქვენ ამბობთ, რომ მთლიანად ვუჩვენეთ და სამმართველოში კი ზუსტად ერთი მილიონია ჩაწერილი.

— ხუთი! — წამოისროლა იაკუბმა. სიცილი...

— სწორია! ხუთი მილიონი შემოსავალი გქონიათ და სამმართველოს კი ერთი უჩვენეთ!

— სახელმწიფოს ქურდავთ!

— კეთილი, გაჩვენებთ სეირს, გასწავლით ჭკუას, ვნახოთ კიდევ! — იაკუბი გონს თითქოს მხოლოდ ახლა მოვიდაო. ადგილიდან წამოიჭრა,—აბა, ვინც აქ ჩვენები ხართ... წავიდეთ... აქ რა გვინდა? გესმით, მოქალაქენო? ყველაფერს მოვაწესრიგებთ!

— გასწით აქედან, დაიკარგენით, აქ რას მოდიოდით? — გაისმის დარბაზში შეძახილები.

ამ დროს სიტყვას პოტოჩნი იღებს. ფეხზემდგომი მკვეთრად ლაპარაკობს, თუმცა სიტყვა წინასწარ არ მოუმზადებია. ის სიმართლეს ლაპარაკობს. მისი სიძლიერეც ამაშია, ამბობს, რომ მდიდრები გადასახადს არასოდეს არ იხდიან და არც გადაიხდიან... არასდროს სწორად არ აღიარებენ — რამდენ მოგებას ნახულობენ. ხელისუფლება მათ ხელშია და თავისიანებს ამისთვის არასდროს არ სჯიან... ფინანსთა მინისტრი ჰოშეკი ეცადა ეს საქმე უკეთ მოეგვარებინა, მაგრამ, სამაგიეროდ, ადგილიდან გაათავისუფლეს „ავადმყოფობის“ გამო და საგიჟეთში განაწესეს... მისი სიტყვები, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი წონასწორობას არ დაკარგავდა, მდიდრები რომ კეთილსინდისიერად იხდიდნენ გადასახადებს, საზოგადოებას დაუმალეს; მისი სიტყვა დამახინჯებულად მოათავსეს პრესაში. გადასახადები მთელი თავის სიძძიმით მუშებს, ღარიბ გლეხკაცობას და ხელოსნებს აწვება, სამაგიეროდ, სულ არ აწუხებს მებირჟეებს, მწარმოებლებს, მილიონერებს და მილიარდერებს. განა ეს თვითნებობა და სულმდაბლობა არ არის?

ორატორს ხმა უფრო მტკიცე, სახე უფრო და უფრო მედგარი უხდება.

ტექნიკის გაუმჯობესებამ, მანქანების რევოლუციამ მთელი გადატრიალება მოახდინა: ზოგს სიმდიდრე და ზოგს შიმშილი მოუტანა. ახლა ჭკუაგონების რევოლუციის, კეთილგონიერების წინაშე ვდგავართ, იქ, სადაც წამყვანი ძალა მუშათა გაერთიანებაშია. ეს რევოლუცია უპასუხისმგებლო და ხარბს, უგუნურ და ანგარებიან მესაკუთრეებს სამუდამოდ ჩამოართმევს მანქანებს, რომლებსაც თავიანთ პირად სამსახურს, თავის ჯიბის გასქელებას ანდომებენ.

* * *

გასასვლელთან, დერეფანში, ყველგან იოჩქოლი და ხმაურია. ანტონინი ხალხის დინებას კარში გამოჰყავს. სულს ძლივს ითქვამს. დარბაზში ბოლომდის დარჩა. დაღლილია. არ იცის, სად წავიდეს, იცის, რაც გააკეთა. აღელვებულია. გრძნობს: გათავდა ყველაფერი. ახლა სადღა წავიდეს?

ემშვიდობება ბოტოსტროის, ქალაქს, ქარხნებს, დედას, მამას. გული ეკუმშება. ამოიოხრა. სავსებით ვერ იზიარებს სიხარულს, განსაკუთრებით ზოგიერთისას, რომლებთანაც ერთად დარბაზიდან გამოდის, ხედავს თავის გარშემო აღელვებულ სახეებს, რომლებიც თვალებში გამაღიზიანებელი ღიმილით შესცქერიან. ესმის, მის სახელს ახსენებენ. ანტონინი წითლდება. ხალხში ვიღაცას ხელი მაღლა აუწევია. შორიდან აძლევს სალამს, მისკენ მოიწევს, ხალხში გზას იკვლევს. ეს მისი ამხანაგი პროკოფია.

ახლოს მივიდა, უცებ ხელი ჩამოართვა, მოჰხვია ხელი: — წავიდეთ! — ეუბნება ის. მიდიან ერთად. ორივე ხალხის ტალღას მიჰყვება. არც ერთს სიტყვა არ დასცდენია. ანტონინს თვალებზე ცრემლები ადგას, სიამოვნებს, პროკოფი რომ მაშინვე მასთან გაჩნდა, რომ ეხლა ერთად მიდიან. კარგია ცხოვრება, თუ მართალი ხარ და სიმართლეს იცავ. თუ უსამართლობის, თვითნებობის და ტირანიის წინააღმდეგ გამოდიხარ.

უცებ გარეთ არიან გასულნი. მზე სახეში აცხუნებთ.

აღელვებულ ანტონინს თავში ათასნაირი აზრი უტრიალებს.

... მოიხმეთ ადამიანი, უბრძანეთ — ზღვის აზვირთებული ტალღები შეაჩეროს, უკან გააბრუნოს. ტალღა იქნებ შეაჩეროს, გააბრუნოს კიდეც უკან, მაგრამ, აბა, წინ აღუდგეს გაზაფხულს, ჩაახშოს ძალა, მიწიდან ზემოთ რომ ამოხეთქს! უძლურია, ყირაზეც რომ დადგეს! ეს დედამიწაა და მისი ცხოველმყოფელი ძალა თუ ერთხელ წამოიწია, უკუგდება ამაოა, ვინც არ უნდა ეცადოს.

ურჩხული დაჰპატრონებია მანქანებს. მანქანებით და მათრახით დაუმონებია ხალხი. რკინა — ფოლადით შეიარაღებულა ადამიანის საწინააღმდეგოდ, გული შეუბოჭავს. სისხლი გაუშრია მისთვის.

დაე, იმუშაონ მანქანებმა, მაგრამ სხვა უნდა პატრონობდეს მათ, სადავე სხვას უნდა ეჭიროს ხელში, სწორ გზაზე დააყენოს მანქანები. ხალხს უნდა ემსახურებოდეს. უამრავია მანქანა, მაგრამ ნურვის შეეშინდება! ხელი ჩაავლოს ურჩხულს და მოაცილოს იგი.

იქნება ცხენი ბატონს შეეჩვია?

არა, დეზებიანი ბატონი ცხენით დასეირნობს, ცხენს კი მოახლე აკმევს, უვლის, ნალებს უსინჯავს, ფაფარს უვარცხნის.

მანქანები?

იმუშავებენ! ხალხს შესვენების საშუალებას მისცემენ, მზის სახეთლეს დაგვიბრუნებენ, წიგნებს, ოჯახს! სახლში დაბრუნებისას ბავშვები გზაში შემოგვეგებებიან. ასე ვიმუშავებთ: ერთ ხელს გულზე დავიდებთ, მეორით საქეს ჩავეკიდებით.

ჩვენი კანონია: იმას დავეპატრონოთ, რაც ჩვენ გვეკუთვნის. ამაოდ ეწინააღმდეგებიან გაზაფხულს, ნათესს რად უშლიან ამოსვლას?! ჩვენ ვაპობთ დედამიწას, ზევით ზევით მოვიწევთ, მზე გვიზიდავს თავისკენ და ძლიერებაც ამაშია: დედამიწიდან ზევით მოვიმართებით, მუშტებით წინ, უფრთხილდით თავებს!..

*
* *

შეფი გაუფრთხილებლად დაბრუნდა, მარტოდ, ვადაზე ადრე. გამხდარა. ცუდ გუნებაზეა, დარწმუნდა, რომ აზიაში, არაბეთში, ინდოეთში არაფრის გასაღება აღარაა შესაძლებელი. იაპონელებმა დაასწრეს. ამასთან კიდევ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზიც ბევრი აღმოჩნდა; ბაჟი, მაღალი სატრანსპორტო ტარიფი და თანდათან მზარდი კრიზისი.

— წარმოებაში ნახევარი მუშები უნდა შემცირდნენ. მეათე და ოცდამეთხუთმეტე რეზინის ფეხსაცმლის საამქროებში მაინც დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს მუშაობა! საფეხსაცმლო საამქროების მთელი მარჯვენა მხარე, ქვემოთ ტყავის ქარხნები, დიდი და პატარა მექანიკური განყოფილებები და აგრეთვე ლითონის ჩამომსხმელი და ლითონის ქარხანა — დაიხუროს! თუმცა... რა იქნება, რომ ცოტა შევიცადოთ? მე მგონი, სამხედრო დაკვეთები მოგვისწრებს. ასე ლაპარაკობენ. თუმცა, არა, ომი ჯერ არა მგონია, არა, ჯერ არა... არ ვიცი, მაგრამ რაღაც კი უნდა იყოს, ცხადია, დაიწყება, სხვა გამოსავალი არ არის... არა, აღარ არის... კონიუნქტურაა საჭირო, თუნდაც საომარი. მართალი რომ ვთქვათ, წარსულმა ომმა ფეხზე დაგვა-

ყენა... დიახაც! ცოტა მსხვერპლიც, ვფიქრობ, აუცილებელია... სხვანაირად ეს... აქ რას გაჩერებულხართ? გამეცალეთ! — ყვირის უკვე შეფი — გადით აქედან! კაცს წუთი მოსვენება არა აქვს, სიწყნარე მსურს! არ მინდა ვუყურო თქვენს გამოყეყეჩებულ სახეებს! — თქვა და კარები მიაბრახუნა.

საყელო, საბეჭურები მოიხსნა და იქვე მიაგდო. თავზე ხელი წაივლო, — გათავდა! — ფიქრობს შეფი, — კარგად, ვერ წავუძეხით საქმეს და ამ ზომამდის მივედით!

ოთახში მიდი-მოდის. ამ ოხერ ქვეყანაში ისეა მოწყობილი ყველაფერი, თითქოს მართალი მე კი არა, ის წყეული ბოლშევიკები ყოფილიყვნენ. რა კარგად მისდით საქმე! ისე გათამამდნენ, ქვეყანას არაფერს ეკითხებიან... მეც მომცა ასეთი ქვეყანა! ჩვენ კი?.. რაც უფრო მეტს ვებრძვით და მეტს ვეწინააღმდეგებით, მით უფრო მაგრად გვიჭერს ყელში... ჩვენ კი ბატონ მწარმოებლებს, კისერში წაგვიტანებია ხელი, ფეხს ვაჭერთ ერთმანეთს და როგორ-ღა უნდა ვიარსებოთ?!

ეს წყეული თავი სულ მტკივა და მტკივა. ვის ვუღრიალო? ჩემს თავს? ჩემი თავი ვწყევლო, ვაგინო? ხომ არ ვბერდები? რა არის ეს? განა მოვხუცდი? სტალინიც მგონი, ასე ჩემი ხნისა... რაღაც მომწონს მის სახეში და არც მომწონს. ზოგ რამეში ეგებ მართალიც იყოს, მ[illegible]რამ — ბოლშევიკია. ბოლშევიზმი კი — ჭირია. ის ჩვენ დაგვღუპავს... მე... ვცდები? მაშ მთელი ჩემი სიცოცხლე ვცდებოდი?

მაშ ეს რაღაა? ჩემს თვალწინ რომ ქალაქია, ქარხნები, ცათამბჯენები, ჰოო, ხშირად უნდა ვუყურო ამ დიდებულ და ლამაზ სანახაობას, ყველაფერი ეს მოწმობს... ამტკიცებს... მამხნევებს დიახ, დიახ... ეშმაკმა დასწყევლოს! — თქვა და თავისუფლად ამოისუნთქა. გონს მოვიდა. რეკავს ტელეფონით. ისევ ახსენდება, რომ საქმე მთლად კარგად ვერ არის. დაავიწყდა, ვისი გამოძახება უნდოდა. მუშების ნახევარი ახლავე უნდა დათხოვნილი იქნეს. გეგმით კი წარმოებაში ასიათასი მუშახელი იყო გათვალისწინებული. წარმოუდგენელი რაოდენობა!

მისთვის არაჩვეულებრივად დიდხანს ჩამოჯდა სკამზე, ფანჯარაში იყურება, — სტალინი!.. — წამოიბუტბუტა შეფმა.—ანტონინი რაღას...—გაახსენდა თავისი ვაჟი. კმარა! — შეფმა თავის თავს შეუტია. გამოიჭიმა. ვიშრომოთ! ვნახოთ ვინ — ვის!

თარგმანი ჩეხურიდან **ელენე ერისთავისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

მაღალმხატვრული ოსტატობისათვის

★

დამთავრდა მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობა, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პროგრესული მწერლობისათვის, საერთოდ — მხატვრული ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის შემდგომი განმტკიცების, შემდგომი განვითარებისათვის.

პრობლემები სოციალისტური რეალიზმისა, როგორც უახლესი და უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობისა, რომელიც იტევს ყოველივე საუკეთესოს, რაც კი მთელ ისტორიულ განვითარების მანძილზე დაუგროვებია მხატვრულ ლიტერატურას, ცხადია, ყრილობაზე ყველაზე დამაფიქრებელი, ყველაზე ამაღელვებელი და მიმზიდველი იყო. ეგევე პრობლემები აღელვებდა მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობას; ამავე პრობლემებმა შეჰკრა და შეათვისტომა დაქუცმაცებული ლიტერატურული დაჯგუფებანი, გაჰფანტა მათი იდეურ-თეორიული დაბნეულობანი ყრილობის წინ; ამავე პრობლემების შემდგომი განვითარება და მხატვრული დადასტურება იყო რთული ლიტერატურული წინააღმდეგობებითა და გამარჯვებებით აღსავსე ისტორიული გზა პირველი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე, ოღონდ, თუ აქამდე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალისტური რეალიზმის იდეურ-თეორიულ მხარეს, ახლა მეორე ყრილობა განსაკუთრებული გულმოდგინებით მოეკიდა მხატვრული ფორმის, მხატვრული ოსტატობის პრობლემებს.

რა თქმა უნდა, იდეისა და ფორმის პრობლემები, იდეა და ფორმა არასოდეს ყოფილა ერთმანეთისაგან გათიშული ჩვენს ლიტერატურაში, ასეთ გათიშულობას არ იცნობს არც კლასიკური პერიოდები ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ესა თუ ის მცდარი თეორიული დებულება ან მცდარად ახსნილი დებულება გავლენას ახდენდა მხატვრულ შემოქმედებაზე მცირე დროის განმავლობაში მაინც. ხოლო რაც არ უნდა მცირე იყოს ეს დრო, მაინც ფერხდება ლიტერატურის ნორმალური განვითარება. შორეულ მაგალითებს რომ არ მივმართოთ, თვალსაჩინოებისათვის კმარა თუნდაც უკვე ყბადაღებული და წყალწაღებული თეორია უკონფლიქტობისა, რომელიც სწორედ ჭეშმარიტი დებულების, ჭეშმარიტი მოვლენის — ჩვენს საზოგადოებაში, სოციალისტურ საზოგადოებაში ანტაგონისტური კლასების არარსებობის, — მექანისტური გადატანაა ლიტერატურულ კრიტიკასა და თეორიაში. და რა შეიძლება იყოს მექანისტურობაზე უფრო დიდი მტერი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის? ძნელია უფრო დიდი და საშინელი მტერის, უფრო ელვისებურად მოქმედი მტერის გამოძებნა. ჩვენვე მოწმე ვართ „უკონფლიქტობის თეორიის“ მავნე ზეგავლენისა საბჭოთა დრამატურგიაზე, საერთოდ ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ეს იყო სწორედ ის ამოვარდნისა თუ ასხლტომის ჟამი, როცა მცდარად გაგებულმა, არასწორად ახს-

ნილმა მოვლენამ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლიტერატურულ კრიტიკაში არასწორად, მექანისტურად გადატანილმა სავსებით ნათელმა პოლიტიკურმა მოვლენამ და იდეურობისათვის ბრძოლის მოუზომავმა ნახტომმა დაჰფარა მხატვრული ფორმის მნიშვნელობა, ფორმის როლი მხატვრული ქმნილების აგების პროცესში, ფორმის მნიშვნელობა მხატვრული ნაწარმოებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ უგულებელყოფილი იქნა ხასიათის განვითარების, პირადი თვისებების, გრძნობებისა და ვნებების გამოვლენის, თავისებურებათა გადმოცემის მხატვრული პრინციპები და სცენაზე, დრამის მართლაც მექანისტურ ჩარჩოში, ჩვენ ვხედავდით მხოლოდ აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, რომლებიც ისევე მსჯელობდნენ, ვთქვათ, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის საკითხებზე, როგორც მეცნიერები სამეცნიერო დისკუსიებზე. ისინი იმ ენით, იმავე სტილით მსჯელობდნენ ხუთწლედებისა და მშვიდობის პრობლემებზე, როგორც ეს ჟურნალ-გაზეთებში იყო ჩამოყალიბებული. ცხადია, ასეთი გაშიშვლება, ანდა, საგანგებო რომანტიკული ამღელვარება, „შილერულობა" ვერ ახდენდა ზემოქმედებას უაღრესად რეალისტი, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მაყურებელზე, დრამა ჰკარგავდა თავის დანიშნულებას, ადამიანის განწმენდის, აღზრდის, ამაღლების დანიშნულებას, რაც შედეგი იყო სწორედ მხატვრული ფორმის შეუფასებლობისა. ამჟამად მხილებულია, დაგმობილია ეს შემბორკავი თეორია და ამიერიდან წინსვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს, თუ მხოლოდ ეს უშლიდა ხელს ჩვენი დრამატურგიის, საერთოდ ჩვენი ლიტერატურის, განვითარებას.

მაგრამ მხოლოდ ამით არ მთავრდება მხატვრული ფორმის შეუფასებლობა კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. დებულებათა აღრევა, იდეისა და ფორმის ურთიერთობის, საკითხის მექანისტური გაგება ერთი იმ წინააღმდეგობათაგანია, რისი დაძლევაც გარდაუვალია საბჭოთა კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი პრინციპების შემდგომი განვითარებისათვის. მარქსისტულ-ლენინური დებულება, რომ იდეა განსაზღვრავს ფორმას, კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში გაგებულია ისე, თითქოს მხატვარი უკვე გამოკვეთილ, მზამზარეულ ფორმებში უნდა აწყობდეს მზამზარეულ იდეებს და რაც უფრო ბევრ იდეას მოათავსებს ამა თუ იმ ფორმაში, მით უფრო დიდი მხატვარი, დიდი ოსტატი იქნება, მით უფრო განსაზღვრავს მის ნაწარმოებში იდეები ფორმას, მით უფრო თვალსაჩინო შედეგს მიაწვდის საბჭოთა საზოგადოებას. ასეთი იყო ჩვენი კრიტიკოსების ძირითადი პრინციპები ანუ კრიტერიუმი. ისინი ამ თვალსაზრისით იხილავდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს. თუ ეს სწორი არაა, მაშ რას მიეწერება, რომ მათ ცამდე აჰყავდათ ნაწარმოებები, რომლებიც ყრილობაზე მხილებული იქნა, როგორც სუსტი, დაუმუშავებელი, როგორც კარგი განზრახვები, კარგი იდეები ცუდ სახეებში, უხერხულ სურათებში? რისი ბრალია, რომ ისინი გულმოსულად, მუქარით გაიძახოდნენ: ნაწარმოებს ვერ იხსნის ვერაფერი, ვერ იხსნის დიდი მხატვრულობა, არ იქნება გამართლებული, რაც არ უნდა მხატვრული იყოს, თუ იდეური არ არისო? ძნელია უფრო მკაფიოდ გაყოფა, უფრო მკაფიოდ განცალკევება იდეისა და ფორმისა. ძნელია, თითქმის შეუძლებელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ შეიძლება მაღალმხატვრული იყოს ნაწარმოები, თუ იდეური არ არის, თუ არ შეიცავს პროგრესულ, ჰუმანისტურ იდეებსა და შეხედულებებს. ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურის ისტორიამ არ იცის საამისო მაგალითი. ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ არსებობს ისეთი მაღალმხატვრული ქმნილება, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყოს პროგრესული და დიდი ჰუმანისტური იდეებით აღსავსე. დღევანდლამდე არ ეყო ძალა კაცობრიობას, შეექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც მაღალმხატვრული იქნებოდა, ისე, რომ არ გაითვალისწინებდა ადამიანთა დიად მისწრაფებებს, სიყვარულის, კეთილდღეობის, ბედნიერების მაღალ მიზნებს. დიდი ხელოვნება, მაღალმხატვრულობა სხვა არაფერია, თუ არა დიად მიზანთა, დიად მისწრაფებათა, ცხოვრების მამოძრავებელ ძალთა, ცხოვრებისეული სიმართლის, აზრის ზედმიწევნითი ასახვა მშვენიერ სახეებში. არაა საჭირო პროპორციებისა და შეფარდებათა დადგენა იდეასა და ფორმას შორის, სწორედ ამ პროპორციებიდან და შეფარდებებიდან იწყება მექანისტურობა იდეისა და ფორმის ურთიერთობის საკითხის გაგებაში, ირღვევა მათი დიალექტიკური მთლიანობა, ბუნებრივი მთლიანობა, მარქსისტულ-ლენინური ახსნა. ლიტერატურა ასახვის ფორმაა, აზრი, სინამდვილე, ცხოვრება — ასახვის საგანია, სოციალისტური სინამდვილე, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროცესი—მთელი თავისი წინააღმდეგობებით—ასახვის საგანია,— ესაა მხატვრული ნაწარმოების იდეა, რომელიც თავისთავად არსებობს და ნათლად, მკაფიოდ აისახება სხვადასხვა იდეოლოგიურ ფორმაში. ოღონდ თუ ლიტერატურასაც სურს მონაწილეობა მიიღოს მის ასახვაში, აუცილებელია ჰქონდეს შესაფერისი მხატვრული სახეები, მაღალმხატვრული სახეები, ე. ი. ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული, დამოუკიდებელი ასახვის ფორმა, ისეთი ფორმა, რომელიც ესთეტიკურ სიამოვნებას, ტკბობას მიანიჭებს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენი ლიტერატურის ერთერთი თვალსაჩინო ნაკლი კი სწორედ ის იყო, რომ არა კმარობდა, არა თავსდებოდა, თავის თვისობრივ თავისებურებაში, ერეოდა იდეოლოგიური ასახვის სხვადასხვა (პოლიტიკურ, პუბლიცისტურ, ტექნოლოგიურ და სხვ.) ფორმაში. ამაში გამოტეხილად უნდა ითქვას, დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს კრიტიკოსებს და უმადურება უნდა იყოს ამ „დიდი ღვაწლის“ დავიწყება.

კრიტიკის მეტისმეტი აქტიურობის თვალსაჩინო ნიმუში უნდა იყოს, აგრეთვე, ყრილობის წინ ამტყდარი დავა დადებითი გმირის შესახებ. რაკი სოციალისტური სინამდვილე არსებობს თავისთავად, ჩვენს გარეშე, და იგი ზეგავლენას ახდენს ჩვენზე, აისახება ჩვენს შემეცნებაში, ამ შემთხვევაში, მხატვრულ სახეებში, მაშ რაღა საჭიროა მხატვარს დავუდგინოთ შეფარდებანი: რა პროპორციებით შეიყვანოს დადებითი და უარყოფითი გმირები, დადებითი და უარყოფითი მოვლენები ნაწარმოებში? თუ მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, იდეა არის სოციალისტური სინამდვილე, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროცესი მთელი თავისი წინააღმდეგობებით, რაღა საჭიროა, ან როგორღა შეიძლება მხატვრული ნაწარმოები აიგოს თეორიებზე? ეს არ შეიძლება, რადგან, როგორც ცნობილია, თეორიები ხშირად უსწრებენ განხორციელების შესაძლებლობას. სხვა მაგალითებს რომ არ მივმართოთ, საკმარისი იქნება იმის გახსენებაც, რომ დოვლათის სამართლიანად განაწილების აზრი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩაისახა, შეიქმნა კიდეც ბევრი მხატვრული ნაწარმოები სოციალური სამართლიანობის თეორიებზე ანტიკური პერიოდიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. მაგრამ ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ისეთ ქმნილებას, რომელიც უტოპიურობის ფარგლებს გასცილებოდეს და რომელიც შეიძლება თავისი მხატვრული ღირსებებით დავაყენოთ იმ ქმნილებების გვერდით, რომლებიც ასახავდნენ კაცობრიობის ისტორიული

განვითარების კანონზომიერებას თანმიმდევრულად.

შეუძლებელია უდიდესი ისტორიული გამოცდილების დავიწყება.

ასეთია მხატვრული ასახვის სასიცოცხლო თავისებურება. მას შეუძლია სრულყოფილად წარმოადგინოს ნამდვილად არსებული საგნები და მოვლენები. საგანთა და მოვლენათა რეალური ურთიერთკავშირი, ცხოვრების შინაარსი, იდეა ცხოვრებისა ამ შემთხვევაში, ამ მდგომარეობაში, ე. ი. თავის კანონზომიერებაში, ძლევამოსილია. ხოლო როგორც კი სინამდვილის, ცხოვრების მხატვრული ასახვიდან თეორიების მხატვრულ ასახვაზე გადავალთ, მარცხს ვერ ავცდებით, თავს ვერ დავაღწევთ უტოპიურ ნაწარმოებთა ბედს.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი საგულისხმო გარემოება. ვამბობთ, რომ საგანი, შინაარსი, იდეა ჩვენი ლიტერატურისა — სოციალისტური სინამდვილე — არსებობს თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად, მაგრამ შექმნილია ადამიანთა მიერ, საზოგადოების აქტიური, თავდადებული შემოქმედების, თავგანწირული ბრძოლის შედეგად, ნათელ, რევოლუციურ თეორიათა გათვალისწინების, მათი განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად. ჩვენ ვაღიარებთ ამ ჭეშმარიტებას. ხოლო როცა კრიტიკოსებს მხატვრულ ლიტერატურაში გადააქვთ ეს ჭეშმარიტება, აქ იწყება კიდევ ერთი მექანისტურობა, სწორედ ამას უკავშირდება იდეალური თუ დადებითი გმირის პრობლემის ძირითადი ნაკლოვანება, — პრობლემისა, რომლის მომხრეთა აზრით, მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ მოახდენს ზეგავლენას საზოგადოებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში განწმენდს, აღზრდის, აამაღლებს ხალხს, თუ მასში სულ ან უმთავრესად იდეალური თუ დადებითი პერსონაჟები იქნებიან, იდეალური თუ დადებითი მოვლენები იქნება აღწერილი. თავი რომ დავანებოთ მტკიცებას, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა უკიდურესი ფლიქტობის თეორია ახალ ფორმებში, საკმარისი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მხატვრულ ლიტერატურას არ შეუძლია ბუნების წინააღმდეგ გადმოსცეს დადებითი უარყოფითის გარეშე. ამ უბრალო ჭეშმარიტების გარდა, კლასიკურ-რეალისტურ ლიტერატურაში გაგვიჭირდება იდეალური გმირების მოძებნა, გაგვიჭირდება თამამად ვთქვათ, თითქოს უფრო მეტი და მნიშვნელოვანია ისეთი ნაწარმოებები, სადაც იდეალური თუ დადებითი გმირები, იდეალური თუ დადებითი მოვლენებია გამოხატული, ვიდრე პირიქით. მაგრამ გაგვიჭირდება თუ არა იმის თქმაც, რომ უარყოფითი პერსონაჟების, უარყოფითი მოვლენების შემცველმა ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს საზოგადოების აღზრდის, გათვითცნობიერების, ამაღლების, რევოლუციური მომზადების კეთილშობილურ საქმეში? რა თქმა უნდა, არ გაგვიჭირდება და თუ ვინმეს შეუძლია ახირდეს, — ეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციაა, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლაა, კრიტიკული რეალიზმი სხვაა, სოციალისტური რეალიზმი სხვაო, — მაშინ, კეთილი ინებოს, და ისიც თქვას: რომელი ან როგორი ნაწარმოები უფრო აღზრდის და აამაღლებს ჩვენს საზოგადოებას, ის, სადაც გამოხატული იქნება გმობა კაპიტალიზმის გადმონაშთებისა, ფუფუნებისა, ქედმაღლობისა, პატივმოყვარეობისა, კარიერიზმისა, სიზარმაცისა, შოვინიზმისა, გადმოცემული იქნება ნამდვილად არსებული წინააღმდეგობანი, საგრძნობლად ძლიერი წინააღმდეგობანი ამ ნაკლთა დაძლევისათვის ბრძოლაში, თუ ის, სადაც გამოხატული იქნება ლამაზი, თითქმის უნაკლო მამაკაცი ან ქალი, რომელსაც ყველა უყვარს, რომელიც ყველას უყვარს, ყველაფერი დაწყობილ-დალაგებული აქვს, — სამსახურშიც, სახლშიც, სულ იცინის, სულ გახარებულია, არცი

სცივა და არცა სცხელა, არცა შია და არცა სწყურია და მზადაა თავი შესწიროს, ოღონდ ვისა და რას — კაცმა არ იცის, რადგან მის ირგვლივ ყველაფერი დიდებულად არის მოწყობილი და მომავალშიც ბედნიერების მეტი არაფერი ესახება? დიახ, კეთილი ინებოს და თქვას! ოღონდ, კარგი იქნება, თუ დაიმახსოვრებს, რომ გმირები ცხოვრებაშიც და მხატვრულ ქმნილებაშიც ყალიბდებიან მწვავე ბრძოლებში, გმირული ხასიათი იკვეთება წინააღმდეგობებში, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროცესი არ მიმდინარეობს და არ დამთავრდება წინააღმდეგობების გარეშე, რისი მაღალმხატვრული, პირუთვნელი, შეულამაზებელი ასახვა, წინააღმდეგობების მძლეველ ადამიანთა გამოკვეთილი, გმირული სახეები იქნება სწორედ ის ძლევამოსილი იარაღი, რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებას, დასტოვებს რევოლუციური გარდაქმნებისა და თანდათანობითი გადასვლის პროცესის ღირსშესანიშნავ მხატვრულ-ისტორიულ ფურცლებს.

ეს სადავო არ უნდა იყოს, ამაზე არ უნდა იხარჯებოდეს ძალა ლიტერატურის თეორეტიკოსებისა, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ სახიერად, ნათლად გამოკვეთილი არ არის სოციალისტური რეალიზმის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები, მხატვრული ნაწარმოების მხატვრული ანალიზის პრობლემები. ამიტომაც იყო, რომ მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მხატვრულობის პრობლემებს, ლიტერატურული კრიტიკის სასიცოცხლო პრობლემებს. მხოლოდ გაცხოველებული პაექრობა მხატვრული ესთეტიკის საკითხებზე, ფერის, ფიგურის, დინამიკის ზომიერებაზე მხატვრულ ნაწარმოებში, ყველაზე უფრო წმინდა, დახვეწილი, მომხიბლავი კატეგორიების შემუშავება აამაღლებს მწერლობას, აამაღლებს მხატვრულ გემოვნებას. განსაკუთრებით ეს შეეხება ახალგაზრდა მწერლებს. ყრილობაზე კი ეს იყო ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. თუმცაღა უნდა ითქვას, მწერალთა ახალგაზრდა თაობის აღზრდის შესახებ ყოველთვის ლაპარაკობდნენ, ბევრჯერ საამისო დიდი ხმაურიც იყო ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს ხმაური ყოველთვის მთავრდებოდა იმით, რომ დაიბეჭდებოდა ორიოდე დიდაქტიკური წერილი, გამოიცემოდა ახალგაზრდების ორიოდე სიფრიფანა წიგნი და რედაქციებთან წაგრძელდებოდა ისედაც გრძელი რიგი თვალნისლიანი ჭაბუკებისა და ქალიშვილებისა. ცხადია, არაფრად ვარგოდა და, მით უმეტეს, აღარ გამოდგება აღზრდის ეს მეთოდი, თუ შეიძლება მეთოდი დაერქვას ახალგაზრდა ძალების სრულ შეუფასებლობას. წყალწყალა დიდაქტიკური წერილები და ქედმაღლური შენიშვნები სხვაგვარი განსაზღვრების უფლებას არ იძლევა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ესაა თვითკმაყოფილების, თვითდამშვიდების, თვითრწმენის საოცარი ნიმუში. ნიმუში მართლაც დიდი თვითდამშვიდებისა, რასაც აგრეთვე მექანისტური მოსაზრებებით ამართლებდნენ: აქაოდა ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს ანტაგონისტური კლასები, განსხვავებული იდეები და შეხედულებანი, მაშ არც შეიძლება არსებობდეს თაობათა დაპირისპირება, თაობათა ბრძოლაო. (თვალი გადაავლეთ ახალგაზრდა მწერალთა კონფერენციებს, სტენოგრაფიულ ანგარიშებს და ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ასეთ დებულებას). შეიძლება მართლაც ასე სჯერათ, მართლაც ასე სწამთ ამ დებულების შემმუშავებლებს, ან შეიძლება ეს არის ხერხი მიღწეულ ღირსებათა შესანარჩუნებლად, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სწორედ ამის უარყოფამ, ძალთა დაპირისპირების, შინაგანი მხატვრული პრინციპული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის უარყოფამ მოადუნა ესთეტიკური მოთხოვნილება, შეასუსტა ჩვენი ლიტერატურის მხატვრული ამაღლება.

ის გარემოება, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არის ანტაგონისტური კლასები, ურთიერთსაწინააღმდეგო იდეები და შეხედულებანი, რა თქმა უნდა, არ უნდა ნიშნავდეს, და არა ნიშნავს, თითქოს არ ვითარდებოდეს, განვითარების ახალ-ახალ ფორმებში არ შედიოდეს ჩვენი საზოგადოება და ამის შესატყვისად არ იზრდებოდეს, არ ვითარდებოდეს საზოგადოების ესთეტიკური მოთხოვნილებანი. სწორედ აქ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებში უპირისპირდება ერთიმეორეს ლიტერატურის ახალი და ძველი ხერხები, ძველი და ახალი ფორმები, ახალი თაობა და მწერალთა ის ნაწილი, რომელიც ტკეპნის ერთსა და იმავე ადგილს, წინ აღარ მიდის ან ვეღარ მიდის. წინსვლა ყოველთვის სურვილებზე როდია დამოკიდებული, საზოგადოების წინსვლა განუსაზღვრელია, მაგრამ ცალკეულ ადამიანთა წინსვლას თავისი საზღვარი აქვს, და სწორედ საზოგადოების ამ დიდ წინსვლაში ზოგიერთი უკან-უკან რჩება, ზოგიერთი წინ მიიწევს, ახალ-ახალ მოთხოვნილებებსა და შეხედულებებს ამჟღავნებს. განა ჩვენს ლიტერატურაში არ არის საამისო ნიმუშები? დააკვირდით თუნდაც ოცდაათიანი, ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების ქართულ ლირიკას. განა აქ დიდი სხვაობა არ არის? განა ჯერ კიდევ გაუბედავად, მაგრამ მაინც სწორედ ახლა, ორმოცდაათიან წლებში, არ აღდგა პოეზიის მარადიული და დაუშრეტელი თემა — სიყვარულის თემა, როგორც გამოხატულება პიროვნების სულიერი მღელვარებისა, დამოუკიდებელი ინტიმურ-სულიერი მღელვარებისა და არა როგორც განუსაზღვრელი, ზოგად-პათეტიკური დეკლარაციები, როგორც ოცდაათიანი წლების ლირიკოსებს წარმოედგინათ? და თუ ასეთი სხვაობა გვაქვს თემის გააზრებაში, მით უმეტეს სხვაობას ვერ ავცდებით მხატვრულ სახეებში, მხატვრულ პრინციპებში, ესთეტიკურ მოთხოვნებში, გემოვნებაში. ამიტომაცაა ამაო ქედმაღლური, ხშირად გაწიწმატებული ფელეტონები ზოგიერთი ლიტერატორისა თუ მოლიტერატურო ადამიანებისა; ამაოა დიდაქტიკური წერილებიც თვითდარწმუნებული, თვითდამშვიდებული კრიტიკოსებისა, ლიტერატურა მაინც თავისი გზით მიდის და უფრო ძლევამოსილი იქნება.

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობამ, საბჭოთა ლიტერატურის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის შემდგომი აღმავლობის დიდი იმედები გამოთქვა. ეს იმედები, ცხადია, ემყარება საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლას და აგრეთვე იმ მხატვრულ ქმნილებებს, რომელთა მნიშვნელობა უკვე უდავოა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. თუმცა დღითიდღე იზრდება ლიტერატურული მოთხოვნილებანი, ხშირად გაისმის, თითქოს დიდი ლიტერატურა არა გვაქვს, არ იქმნება შესაფერისი ნაწარმოებები, სრულყოფილი მხატვრული სახეები, ამაღლებული განზოგადებული ტიპებიო. მაგრამ, ამ ყოველდღიური საყვედურების მიუხედავად, მაინც დაგროვდა საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგი, შეიქმნა საიმედო საფუძველი ქართული საბჭოთა ლიტერატურისა, ისეთი საფუძველი, რომლის მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება თითქმის სადავო არ უნდა იყოს. ამ საიმედო მარაგსა და საფუძველში შეიძლება ვიგულისხმოთ: „არსენა მარაბდელი“ და „ჯაყოს ხიზნები“ მიხეილ ჯავახიშვილისა, „გვადი ბიგვა“ ლეო ქიაჩელისა, „პირისპირ“ ალექსანდრე ქუთათელისა, „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცება» კონსტანტინე გამსახურდიასი, „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ აკაკი ბელიაშვილისა, „ნაპერწკლიდან“ შალვა დადიანისა,

„ყვარყვარე თუთაბერი“ პოლიკარპე კაკაბაძისა, „სტალინი — ბავშვობა და ყრმობა“ გიორგი ლეონიძისა, „ენგური“ ალიო მირცხულავასი, „წულუკიძის სიკვდილი“ ირ. აბაშიძისა, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ სიმონ ჩიქოვანისა, „ზარზმის ზმანება“ გრიგოლ აბაშიძისა. რამდენიმე ლირიკული შედევრი გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის და სხვათა. მეტი რა უნდა შექმნილიყო ამ ოცდაათ წელიწადში, მძაფრი პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლებით აღსავსე წლებში? ბოლოსდაბოლოს სხვა რომელი, ასე დაძაბული, ოცდაათი წელიწადი დაიქადებს უფრო მეტ ნაყოფიერებას? ან რატომ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ეს თხზულებანი არ გამოხატავდნენ ჩვენი საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, თითქოს ლიტერატურა მეტისმეტად ჩამორჩებოდეს საზოგადოების წინსვლას, ნუთუ უსათუოდ სათითაოდ ყველა ფაბრიკა-ქარხანაზე და კოლმეურნეობაზე უნდა დაიწეროს რომანი ან პოემა, როგორც ეს ზოგიერთ კრიტიკოსს ჰგონია? ასე ხომ არ მოქცეულან კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლები? განა ბალზაკმა ან დიკენსმა აღწერა ყველა ფაბრიკა-ქარხნის მშენებლობა და წარმოებანი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთსა და ინგლისში? განა უამისოდ ვერ ასახეს კაპიტალიზმის განვითარების პროცესები? შეიძლება ეს დიდი, ძალიან დიდი მაგალითებია, მაგრამ სამაგალითოდ სწორედ დიდია საჭირო. მხატვრობის პრინციპები, ასახვის პრინციპები, ცხადია, ყველაზე უფრო მეტად დიდ მწერალთა შემოქმედებაშია თვალსაჩინო.

ამრიგად, შემდგომი წინსვლა და დიდი მოთხოვნები ემყარება გარკვეულ წინამძღვრებს, თვალსაჩინო წინამძღვრებს, როგორც კლასიკური, ასე საბჭოთა ლიტერატორის მნიშვნელოვან გამოცდილებას. ამასთან ერთად ყრილობამ აღნიშნა დიდი მიღწევანი თანამედროვე დასავლეთის პროგრესული მწერლებისა, რომელთაგანაც შეიძლება მდიდარი გამოცდილების მიღება, სწავლა, ისევე როგორც ისინი სწავლობდნენ და სწავლობენ საბჭოთა მწერლების ახალ, ნოვატორულ ხერხებს, სოციალისტური რეალიზმის, ამ უახლესი და უმაღლესი ლიტერატურული მიმართულების წარმატებებს. და მართლაც, უდავოდ თვალსაჩინოდ გაიზარდა დასავლეთის პროგრესული მწერლობა, ესაა მწერლობა, რომლის მხატვრული ღონე უკვე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალური ბურჟუაზიული ლიტერატურული სკოლებისა; ესაა მწერლობა, რომელიც მაღალმხატვრულ სახეებში გადმოსცემს ხალხის მებრძოლ სულისკვეთებას, რევოლუციური შეგნების ზრდას, წინააღმდეგობის დიდ შესაძლებლობას, დაუძლეველ რწმენას; ესაა მწერლობა, რომელიც რევოლუციური გამბედაობით აშიშვლებს იმპერიალისტური კაპიტალის შინაგან წინააღმდეგობას, იმპერიალისტ-კაპიტალისტების ნამდვილ ზრახვებს, ახალი, საშინელი ომის მზადების ხერხებს, ხალხთა ჩაგვრის ახალ-ახალ მეთოდებს,—დიახ, აშიშვლებს და ჰგმობს, ოღონდ არა როგორც კრიტიკული რეალიზმი, —საკმაოდ მძაფრი მამხილებელი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც მხილებისა და დაგმობის იქით გზა აღარა ჰქონდა, პერსპექტივა არ მოეპოვებოდა, — არამედ როგორც სოციალისტური რეალიზმის სკოლა, რომელიც უსაშინელესი რეაქციის პირობებში ხედავს ხალხთა უდიდესი წინააღმდეგობის ძალას, გადმოსცემს გაფიცვების, აჯანყებების, რევოლუციური დარაზმულობის დამაჯერებელ სურათებს, გამოხატავს საერთაშორისო კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ამაღელვე-

ბელ სცენებს; ესენი არიან სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი რაინდები თანამედროვე დასავლეთში. და მართლაც, ბრძოლა გამოვლილი რაინდებივით იდგნენ ყრილობის ტრიბუნაზე ლუი არაგონი, ჟორჟი ამადუ, პაბლო ნერუდა, ნიკოლას გილიენი, ანა ზეგერსი, ელზა ტრიოლე და კიდევ სხვები, რომლებიც ისევე მღელვარედ ლაპარაკობდნენ სოციალისტურ რეალიზმზე, როგორც საბჭოთა მწერლები, ისევე თავისად, საკუთრად თვლიდნენ სოციალისტურ რეალიზმს, როგორც საბჭოთა მწერლები. ან სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? სოციალისტურმა რეალიზმმა მისცა მათ ძალა, რომ ამაღლებულიყვნენ, იდეურად და მხატვრული ოსტატობით გაესწროთ ბურჟუაზიული ლიტერატურული სკოლებისათვის; სოციალისტური რეალიზმის მეოხებით შეძლეს მათ გამოეხატათ თავისი ერის თვისობრივი თავისებურებანი, შესაძლებლობანი, კულტურულ-ისტორიული წარსული, გამოემეღვანებინათ ის, რაც განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო, რითაც გამოირჩეოდნენ მათი ერები ანუ რითაც შეეძლოთ გაემდიდრებინათ საკაცობრიო კულტურა. ამით აღუდგნენ წინ კოსმოპოლიტიზმის საშინელ წარღვნას, ერთა ნიველირების, დიდი ერების მიერ პატარა ერთა ჩაყლაპვის იმპერიალისტურ ზრახვებს. სოციალისტური რეალიზმი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა, გადაიქცა ასეთ ძლევამოსილ საშუალებად, წინააღმდეგობის ძლევამოსილ იარაღად. ამიტომ იყო, რომ ლუი არაგონი და ჟორჟი ამადუ ასე მღელვარედ ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელ, თავისებურ, ნაციონალურ ფორმაზე, რომლის შინაარსიც, რა თქმა უნდა, რევოლუციურია, სოციალისტურია.

მაშასადამე, მაღალმხატვრული ეროვნული ფორმა არის მოწინავე ლიტერატურის საბრძოლო მოწოდება, სხვანაირად არც შეიძლება — მოწინავე ერქვას ლიტერატურას, სხვანაირად არც შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს რომელიმე ერის ლიტერატურას. უამისოდ, რა თქმა უნდა, ვერც ქართული ლიტერატურა შეინარჩუნებს თვითმყოფობას. ცხადია, ვერაფრად იკმარებს იმით თავგამოდება, რომ დიდი და მდიდარი კლასიკური წარსულის პატრონები ვართ. მდიდარი ისტორიულ-ლიტერატურული წარსული თავისთავად ვერ განავითარებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. ყოველ დიდ წარსულს დიდი წინსვლა, დიდი აწმყო სჭირდება. უამისოდ ბევრი დაწინაურებული ქვეყანა ჩამორჩენია კაცობრიობის კულტურულ განვითარებას, ჩამორჩენია, რადგან ყოველი ახალ დაწინაურებული ერისათვის აუცილებელი არა ყოფილა მთელი ის კულტურული პროცესები, რაც სხვა ერებს გაუვლიათ, შესაძლებელი ყოფილა უკანასკნელ, უახლეს მიღწევათა სწრაფი ათვისება, სწრაფი დაუფლება და შემდგომი განვითარება, თვისობრივი განვითარება. ასე იყო წინათ, ასეა ამჟამად. საამისო მაგალითები ბევრი იცის კაცობრიობის ისტორიამ ანტიკური ხანიდან დღემდე. მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაინც არის მრავალი ერის აღორძინება საბჭოთა ქვეყანაში. ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ბევრი ერი, რომელთაც დამწერლობაც არა ჰქონდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, უკვე ემეტოქება, ამაყად ეჯიბრება დიდი ისტორიული წარსულის მქონე ერებს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგში. მათ ერთბაშად აითვისეს მოწინავე კულტურა და თამამად ამოუდგნენ გვერდში დიდი საბჭოთა ლიტერატურის, საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა კულტურის მშენებლებს, ჰოდა, გასაკვირი არაა, რომ უკან მოიტოვონ დიდი ისტორიული წარსულით მოტრაბახე ერები. ამიტომაა საშიში არა მხოლოდ ნიჰილიზმი ისტორიული წარსულისა, ძვე-

ლი კულტურისა, არამედ, და ამ შემთხვევაში უფრო მეტად, საშიში იქნება თვითკმაყოფილება, გაზვიადებული სიამაყე ეროვნული ლიტერატურის ისტორიული მიღწევებით, ამიტომაა აუცილებელი მხატვრული სიახლეთა დაუცხრომელი ძიება, თავდადებული, ნამდვილად თავდადებული ბრძოლა ყოველ კულტურულ-ლიტერატურულ მიღწევათა დროულად ათვისებისათვის, დაუნდობელი გმობა პრიმიტივიზმისა და ჩამორჩენილობისა, ამპარტავნობისა, და თავგასულობისა, უამისოდ ქართული ლიტერატურა დაჰკარგავს თავის სახეს, ვერ შეასრულებს საპატიო მოვალეობას საბჭოთა ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის შემდგომ განვითარებაში.

დამთავრდა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა, დაიწყო ახალი ხანა სოციალისტური რეალიზმის განვითარებაში, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის განვითარებაში, ხანა ახალი შემოქმედებითი ძიებებისა, გამოსახვის მაღალმხატვრული ხერხების ძიებებისა და ათვისებისა, ხანა, რომელიც ემთხვევა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული ძლიერების შემდგომ ზრდას, მოწინავე კაცობრიობის ძლევამოსილ ბრძოლას საერთაშორისო მშვიდობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

ვასილ ბარნოვი

✶

ვასილ ბარნოვს XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან გამოვიდა და მთელი მისი შემოქმედებითი მუშაობა პროლეტარიატის რევოლუციონური მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების მანძილზე გაიშალა. და მაინც ვასილ ბარნოვი ჩვენს ლიტერატურაში უფრო მეტად წარსულის თემებით გახდა ცნობილი, ვიდრე ახალი დროის მოტივებით, უფრო მეტიც: ვასილ ბარნოვს ამ მხრივ XIX საუკუნის ქართული მწერლობისაგანაც განსხვავებული პოზიცია ეჭირა. შეიძლება ითქვას, რომ ვასილ ბარნოვს სტილისა და ლიტერატურული ინტერესების მხრივ არსებითად XI—XII საუკ. ქართული მწერლობის ტრადიციები ჰკვებავს. მის შემოქმედებაში მთელი სიძლიერით გადაიშალა ჩვენი ხალხის შორეული წარსული. უდიდესი სიყვარულით, მძაფრი რომანტიკული ფერებით გააცოცხლა მან საქართველოს ისტორიული წარსულის სურათები. მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნებოდა მართებული, რომ ვ. ბარნოვი მთლიანად წარსულში გადასახლებულად წარმოგვედგინა. ვ. ბარნოვი დიდი მხატვარი იყო. ჰეშმარიტმა მხატვარმა კი არ შეიძლება პასუხი არ გასცეს თავისი ეპოქის, თავისი დროის საჭირბოროტო საკითხებს. ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ვპოულობთ ეპოქის აქტუალური საკითხებითაც დაინტერესებას. უმთავრესად ეს შეეხება მოთხრობებს. ყოველივე ამის გამო ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ორი თემატიკური ხაზი გვაქვს: ერთი — მთავარი და ძირითადი — ისტორიული წარსულია. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს თანამედროვეობის, XX საუკუნის ეპოქის, კონკრეტული სურათების გამოხატულებაც. ვ. ბარნოვი სამართლიანად შენიშნავს თავისი მოთხრობების პირველი კრებულის წინასიტყვაობაში, რომ „ბევრი ფერადი სურათები მაჩვენა აწმყომ, მაგრამ უფრო მეტი წარსულმაო“. გამოთქმა „უფრო მეტი“ ნათლად არკვევს ვ. ბარნოვის შემოქმედებითი თემების ბუნებას.

ვ. ბარნოვის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი რომანტიკოსი მწერლის მანერას უფრო ამჟღავნებს, ვიდრე რეალისტისას. მაგრამ აქაც ვ. ბარნოვი თანმიმდევარი არ არის. მის შემოქმედებაში უაღრესად რომანტიკული ხასიათის რომანებისა და მოთხრობების გვერდით გვხვდება ჩვენი ხალხის ცხოვრების ნათელი რეალისტური ფერებით დახატული სურათები. სტილის მიხედვითაც ვ. ბარნოვი არ ყოფილა თანმიმდევარი მხატვარი: რომანტიკული და რეალისტური ელემენტების ძლიერი ნაკადი თავისებურად ერთიანდებოდა ჩვენი მწერლის თხზულებებში. თუ, ერთი მხრივ, ვ. ბარნოვის „მიმჭრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“ ანდა მოთხრობები—„ტკბილი დუდუკი“, „სადედოფლო სარტყელი“ ტიპიური რომანტიკული ხასიათისაა, მეორე მხრივ, „არმაზის მსხვრევა“, „თამარ მრწემი“, „ამჭრის მშვენება“, „ხურდა“ უაღრესად რეალისტური ნაწარმოებებია.

ვ. ბარნოვი ბრწყინვალე ოსტატია ისტორიული რომანისა და არანაკლები ოსტატია მოთხრობისა. მისი ისტორიული რომანები სატრფიალო, სამიჯნურო ხასიათისაა. ისტორიული რომანის ამგ-

ვარი ფორმის არჩევას თვისი დასაბუთებაც აქვს ბარნოვის შემოქმედებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ვ. ბარნოვის მხატვრულ პრინციპს ყველგან სიყვარულის მოტივი განსაზღვრავს. ვ. ბარნოვთან სიყვარული განსაკუთრებული ფუნქციის მქონეა, ეს ღრმა ფილოსოფიურ-რელიგიურ, წარმართული კონცეფციით დასაბუთებული გრძნობაა. მისი მსოფლმხედველური თავისებურებაც ამ გრძნობის ახსნას უკავშირდება. თვითონ ვ. ბარნოვმა სცადა ერთგვარად დაელაგებინა თავისი წარმოდგენები და შეხედულებები მხატვრული ნაწარმოების შესახებ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი ლექციების კურსი ქართული სიტყვიერების ისტორიაში. აქ ვ. ბარნოვი სვამს საკითხს: როგორ ნაწარმოებს უნდა ეწოდოს მხატვრულად ძლიერი? იქვე უპასუხებს: მხატვრულად ძლიერია ის ნაწარმოები, რომელსაც შეუძლია აღძრას მკითხველში განწყობილება და მისწრაფება: „გარდუვალი ჭეშმარიტებისა, შეურყეველი კეთილისა და დაუჩრდილავი სიმშვენიერისა". ბოლოს-დაბოლოს, ირკვევა, რომ ჭეშმარიტება, კეთილი და სიმშვენიერე სინონიმებია, მხატვრულ ნაწარმოებებში დამოუკიდებელი ელემენტების მნიშვნელობით მოცემული. ადამიანის გონება დაუცხრომლად მიილტვის ჭეშმარიტებისაკენ. გონების ძიებას — ნათელის, კეთილის, სამართლიანობის დამყარებისათვის, ადამიანის მისწრაფებას ხელს უნდა უწყობდეს მხატვრული ნაწარმოებები. „ადამიანის გული ეტრფის მშვენიერებას, დაუჩრდილავ მშვენიერებას, მხატვრული ნაწარმოების უპირველესი მოთხოვნილება არის აღძრას ადამიანში სიმშვენიერის გრძნობა". მშვენიერის, კეთილისა და ჭეშმარიტის ცნებები, ვ. ბარნოვის აზრით, შეიძლება გამოიხატოს ერთ სიტყვაში: კეთილი. კაცობრიობის განვითარების ისტორია არის ბრძოლა კეთილისა და ბოროტებას შორის. კაცობრიობის დასაბამი იყო გამარჯვება კეთილისა. აწმყო — ბრძოლა ამ კეთილსა და ბოროტს შორის. კაცობრიობის ისტორიის ბოლო კეთილის გამარჯვება იქნება. მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა დააჩქაროს ადამიანის ლტოლვა ამ კეთილის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ვ. ბარნოვის აზრით, კეთილის ქვეცნობიერი გამოხატვა არის სიყვარულის გრძნობა, რომელიც ისტორიულად უცვლელი კატეგორია. სიყვარული კეთილის სიმბოლოა. სიყვარული სინონიმია ჭეშმარიტების, ნათელის, მშვენიერების. სიყვარული ერთადერთი ჭეშმარიტი განხორციელებაა კეთილი არსისა. დასაბამი და ძალაა სიცოცხლისა. კაცობრიობის განვითარების ისტორიასაც ეს ძალა წარმართავს, და აქ ვ. ბარნოვი მისტიკურ-იდეალისტურ პოზიციას იცავს: მისი აზრით, ისტორია ავტომატურად მოქმედებს. გამორიცხავს რა საზოგადოების განვითარების ისტორიაში კლასთა ბრძოლის წარმმართველ ძალას, ბარნოვი ამის ადგილს, მის მაგივრობას სიყვარულის გრძნობას აკუთვნებს. მის ცნობილ რომანებში უმთავრესი ყურადღება ექცევა ადამიანთა სატრფიალო-სამეჯნურო თავგადასავალს. ამის მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების ახსნაც ერთგვარად ბიოლოგიურ სფეროში წყდება: სოციალური, საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა და ახსნა — ბიოლოგიური ინსტიქტების საშუალებით — შეცდომა იყო. მიუხედავად ამ შეცდომებისა, ვ. ბარნოვი, როგორც დიდი და ჭეშმარიტი მხატვარი, ბევრ შემთხვევაში ახერხებს გამოხატოს წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების მართალი სურათები.

ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები და მოთხრობები პატრიოტულ გრძნობას აღძრავდნენ და მეფისდროინდელ რუსეთში წარმოადგენდნენ მებრძოლ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც მიმართულია დამონების, ძალადობისა და

ჩაგვრის წინააღმდეგ. ვ. ბარნოვის ნაწარმოების გმირები, მეტწილად ცნობილი ისტორიული პირები არიან (მეფეები, თავადები, სამეფო კარის წარმომადგენლები), რომელთაც ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ. მართალია, ვ. ბარნოვი ყოველთვის არ არის აქ თანმიმდევარი: ეს რომანტიზებული და იდეალიზებული სახეები ხელს უშლიან მთელი სისწორით იქნეს წარმოდგენილი ისტორიული ვითარებანი. მიუხედავად ამისა, ვ. ბარნოვის რომანებს გარკვეული პატრიოტული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება.

* * *

ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო სრულქმნილი, მხატვრულად და იდეურად საგანგებოდ გამორჩეული „მიმქრალი შარავანდედია". აქ ავტორის ძირითადი პოზიცია, იდეური მხატვრული შეხედულებანი და პოეტური წერის მანერა მთელი სისრულითაა გამოვლინებული.

„მიმქრალი შარავანდედი" საქართველოს ისტორიის მეტად მწვავე პერიოდს ეხება. ესაა მე-16 საუკუნის სამთავროებად დაყოფილი საქართველო. ქართველი ხალხის არაერთგზისი აოხრებისა და აკლების შედეგად დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს ბედი რომანში გზადაგზა გამოხატულია. მაგრამ მწერალმა უპირატესად არა ამ ისტორიული რეალიების გამოხატვა დაისახა მიზნად, არამედ თავისი ძირითადი მხატვრული პრინციპის დასაბუთება გაიხადა ნაწარმოების ამოსავალ პრინციპად. ამ რომანში ვ. ბარნოვის ძირითადი მხატვრული პრინციპი კი, როგორც ზევით ვთქვით, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანების ცხოვრებას, მათ ბედსა და, ასევე, ისტორიას სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა წარმართავს. მწერლის აზრით, არ არსებობს უფრო ძლიერი ძალა, რომელიც სიყვარულის გრძნობას შეედრებოდეს. ადამიანს არ გააჩნია უფრო ძვირფასი განძი, უფრო დიდი სამკაული, ვიდრე ტრფიალებაა. სიყვარული ძალა დგას ადამიანის ყველა გრძნობაზე. თანამდებობა, დიდება, განცხრომა, ფუფუნება, თუ სხვა რამ სიმდიდრე ადამიანისა წარმავალია, სიყვარული კი წარუშლელი გრძნობაა. ბარნოვი პირდაპირ წერს: „აკი გითხარით, ტრფიალება სხვა ნიჭია მეთქი, თავისებური, იშვიათი, განუმეორებელი. ნუ კი გარევთ ერთმანეთში სიყვარულისა და სხვა გრძნობებს, თუნდა ნათელ გრძნობებს!" და ვინც წინ აღუდგება ადამიანის გულის წადილს, ვინც ხელყოფს სიყვარულის წმინდა გრძნობაზე, ან გაცვლის მას სხვა რამ საგანზე და განძზე, ვასილ ბარნოვის აზრით, ის განწირულია დასაღუპავად. ეს არის ამ რომანის ძირითადი აზრი. ეს აზრი გამოხატა ვ. ბარნოვმა რომანის მთავარი გმირების — თინათინის, ნოშრევანისა, ლევანისა და ლეილ-ყიზის სატრფიალო-სამიჯნურო თავგადასავალის ფონზე.

მამია გურიელის, გურიის ამ მრისხანე მმართველის ასულს გატაცებით უყვარდა გურიელის კარისთავადი, ცნობილი ვაჟკაცი ნოშრევანი. ასეთივე გულწრფელი, თავდამავიწყებელი გრძნობით უყვარდა ნოშრევანს თინათინი. მათი სიყვარული იყო უმწიკვლო და უანგარო. ასეთივე ბუნებრივი გატაცებით უყვართ ერთმანეთი ლევანს, კახეთის მთავარს, და ლეილ-ყიზის, კახბატონიშვილის ერთ-ერთი სახანოს ქალიშვილს. ვ. ბარნოვის აზრით, კეთილმა აზრმა მიჯნურობის ნათელი გრძნობით შთააგონა ეს შეყვარებულები. დარღვევა ამგვარად შთაგონებული აზრისა, ადამიანის ბუნების წინააღმდეგ გალაშქრება იქნებოდა და, ვინც ამ გზას დააღგება, ის განწირულია დასაღუპავად. სწორედ ასევე ემართება რომანის იმ გმირებსაც.

რომლებიც წინ აღუდგნენ სიყვარულის კეთილ გრძნობას. მაგრამ სიყვარულის გულწრფელ გრძნობაში ჩაერია პოლიტიკური ანგარიში, პატივმოყვარეობის ძალა. მამია გურიელს თავისი ქალიშვილი სურს მიათხოვოს კახთა მეფეს, რათა თავისი სიძე საქართველოს მეფე იყოს და თვითონაც მეფის სიკეთის მონაწილე. გურიელმა იცის, რომ ლევანი კახეთის უბრალო მებატონეა, თვითონაც მხოლოდ უფროსი თავადია გურიაში. მას გადაუწყვეტია, თავისი ქალიშვილი დედოფალი გახდეს კახეთისა და შემდეგ, იქნებ, მთელი საქართველოსი. არც ლევანია ამის წინააღმდეგი. „მეფის იდუმალი ნატვრა იყო შემოეერთებინა კახეთისათვის სხვა კუთხეები საქართველოსი, როგორც უკვე შემოიერთა ფშავ-ხევსურეთი და გამხდარიყო მეფედ მთელი საქართველოსი". „წამდა ლევანს, როგორც ყველა დაფიქრებულ ქართველსაც, — უმატებს ავტორი, რომ საქართველოს მეფე უნდა იყოს ერთი, მხოლოდ საქართველო გაუყოფელ-დაუნაწილებელი". ამ აზრით შთაგონებული ლევანი, მიუხედავად იმისა, რომ თავდავიწყებით შეყვარებულია ლეილ-ყიზზე, თანახმაა შეირთოს ცოლად მამია გურიელის ასული და ამით დააჩქაროს საქართველოს გაერთიანების საქმე. ასეთია ის პოლიტიკური მოსაზრებანი, რომლებიც ამოძრავებენ მამა გურიელსა და ლევანს.

თინათინი წინააღმდეგობის ფოკუსშია მოქცეული. მას, ერთი მხრივ, სიყვარულის ნაზი გრძნობა უკარნახებს — ბოლომდე ერთგული იყოს თავისი მიჯნურისა, მეორე მხრივ, თავმოყვარეობის, პატივმოყვარეობის გონიერება უკარნახებს — დედოფლობის გულისთქმას გაჰყვეს და ლევანის ცოლი გახდეს. ვ. ბარნოვს იშვიათი ოსტატობით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აქვს მოცემული ამ ორი გრძნობის ბრძოლა.

თინათინის გარეგნობას ასე აღწერს მწერალი: „ფერმკრთალი ქალი იყო, თეთრი, ჭრელთვალა. თავსაფარი უკან გადასწეოდა და ქოჩორი გადმოშლოდა. ხშირი თმა კი არ უხუჭუჭდებოდა, მწყობრად ელაგა. ნელი მოძრაობა ჰქონდა ქალს მინაზებული". ასეთია ამ ქალის გარეგნული რომანტიკული სახე. მეორე მხრივ, თინათინის დიდი შინაგანი სულიერი წინააღმდეგობა ახასიათებს. როცა მას მიმართავენ: „დედოფლობა მოგელის კახეთისა, მთელი საქართველოსი", იგი უპასუხებს: „ვიცი ბატონო, რომ დედოფლობა მომელის, მაგრამ არ მიმიწევს გული იქითკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დამიყოლებია; მიკვნესის გული, თითქოს რაიმე უბედურება მომელისო იქ". შემდეგ თანდათანობით იბზარება ქალის გული, თითქოს ორად არის გაპობილ• მთელი მისი არსება.

მოხიბლული გული მას ჩასჩურჩულებდა, რომ მხოლოდ ნოშრევანი იყო მისი ბედი. ამას უკარნახებდა გული. მეორე მხრივ, თინათინს გონება უკარნახებს, გაჰყვეს დიდების გზას, და მწერალიც ასე მოხერხებულად გვიხატავს ამ წინააღმდეგობის სურათს.

თინათინი თვითონ გრძნობს, რომ მისი არსება ორად არის გაყოფილი. ძალიან ხშირად კიდეც მიმართავს „ყოვლად ძლიერ უფალს", რომ მას მისცეს ძალა, უარყოს ყოველივე შარავანდედი დიდებისა და თავი შესწიროს სიყვარულს, წმინდა სიყვარულს, გაუფანტოს გულიდან აჩრდილი ბოროტისა. მაგრამ როდი ახერხებს იგი ამას: მიჰყვება დიდებისა და პატივმოყვარეობის გზას. მწერალი ერთგვარ ახსნას აძლევს თინათინის ამ ავადმყოფურ პატივმოყვარეობას: „ძლიერი პატივმოყვარეობა ბოლოს დასძლევდა მას, და ანგრევდა მისგან ხილულ ტაძარს განსასვენებელს, დაამსხვრევდა მაშინ გაბრწყინვალებული მის სალოცავ კერპს და მასთან მის გულსაც, თინათინის საბრალო გულს. მამიას ქალი იყო და დიდებისადმი ძლიერი მისწრაფება საშოდან

დედისა დაჰყოლოდა მის სულსო“, — უმატებს რემარკის სახით მწერალი. მეფური აღზრდით განმტკიცებული პატივმოყვარეობა სძლევს სათნო სიყვარულს და თინათინი ანგარიშით გაჰყვება ცოლად ლევანს.

თინათინზე უფრო მაღლა დგას ამ მხრივ ლეილ-ყიზი. მისი სიყვარული თავისუფალია ყოველგვარი ნივთიერი პატივმოყვარეობისაგან. დიდი უშუალობით აქვს დახატული მწერალს ლეილ-ყიზის რომანტიკული ბუნება: „ბუნების შვილი იყო გულუბრყვილო, მის კალთაზე ლაღად აღზრდილი და ვერ შეიგნებდა ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებას, როცა იგი ბუნება სიხარულისაკენ იწვევდა კაცს; ვერ გაიგებდა, რომ შესაძლო იყო ნებით უარყოფა ტრფობისა, თავის ხელით ჩაშლა ამ საოცნებო გრძნობისა, თავისითვე ჩაშავება ნათელი ყოფისა“.

უფრო ბუნებრივი და ძლიერია სიყვარულის გრძნობა უბრალო ხალხში, არავითარი ანგარება, განდიდებისა და პატივმოყვარეობის გრძნობა არ უდევს სიყვარულს საფუძვლად ამ „დაბალ წრეში“. ამის სანიმუშო მაგალითია თინათინისა და მამია გურიელის შინაყმების — კოწიას და მარიკას — სამიჯნურო თავგადასავალი. თუ სიყვარულის ნამდვილმა გრძნობამ ფესვი ვერ გაიდგა ნოშრევანსა და თინათინს შორის, სამაგიეროდ, ამ გრძნობამ სრული გაღრმავება ჰპოვა მდაბიოთა წრეში. ლევანისა და თინათინის ცოლ-ქმრობა ცივი და უგულო აღმოჩნდა, მდაბიოთა — კოწიას და მარიკას ცოლ-ქმრობა კი თბილი, ნეტარებით აღსავსე.

ბარნოვი მაღლა აყენებს გულწრფელ ტრფობას, პატივმოყვარეობისაგან, ნივთიერი სიმდიდრის მისწრაფებისაგან განთავისუფლებულ სიყვარულს. მწერალი ადამიანის უდიდეს შეცდომად თვლის სიყვარულის მოწოდების ღალატს. სწორედ ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავს ე. ბარნოვი თინათინის დამარცხების მიზეზს, რომ იგი გამოწვეულია გულის კარნახის წინააღმდეგ მოქმედებით. მწერალი შენიშნავს: „თუ გულს არ ჰკითხე, მარტო თვალით დაკვრით ვერ გაარჩევ... გულმა კი უტყუვრად იცის მათი გარჩევა, იგი მაშინვე გრძნობს ციურ ძალთაგან ნაგებ სიყვარულს. ცოდვათაგან გაწმენდილს“. თინათინმა სწორედ ციურ ძალთაგან ნაგებ სიყვარულს არ მიუგდო ყური და გაჰყვა ცივი გონების კარნახს, ამიტომ მისი არსება ჯერ გაიბზარა, შემდეგ კი ცხოვრება ტრაგედიად ექცა: იძულებულია დატოვოს ქმარი და მონაზნად შედგეს. მწერალმა სიკვდილის წინ შეახვედრა შეყვარებულები — თინათინი და ნოშრევანი, თინათინი მონაზონის, ნოშრევანი ბერის ტანისამოსში. ფინალის ტრაგიკულ ამბავში მთელი სიძლიერით აჩვენა ვ. ბარნოვმა, თუ რა შეუძლია გულწრფელი სიყვარულის ღალატს. თინათინმა დათრგუნა ეს გრძნობა და ახლა იგი, სასიკვდილო სარეცელზე მიკრული, ინანიებს თავის შეცოდებას, მაგრამ გვიანღაა. ავტორმა ამ რომანში თავისი ძირითადი დებულება, რომ სიყვარული უძლიერესი გრძნობაა და მისი უარყოფა არ შეუძლია არავითარ სხვა ძალას, მთელი სიძლიერით დაასაბუთა. ბარნოვი შემდეგ არაერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და სიყვარულს ყველგან ყოვლისშემძლე ძალად აღიარებს. კატეგორიულად წერს ვ. ბარნოვი: „სიყვარული ყველაზე მაღლა დგას, მისი უარყოფა არ შეიძლება არაფრით, თვით ღვთაებასაც არ შეუძლია მისი შეცვლა“.

„მიმქრალი შარავანდედი“ საინტერესოა იმ მხრივადაც, რომ აქ მთელი სისრულით გამოვლინდა ვ. ბარნოვის პატრიოტიზმი. მიუხედავად წარსულისადმი ეროვნული რომანტიკული დამოკიდებულებისა და წარსულის იდეალიზაციისა, ვ. ბარნოვი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, მაინც ახერ-

ხებს მოგვცეს საქართველოს — დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნის — პატრიოტთა უკვდავი სახეები. ასეთ პატრიოტთა შორის რომანში პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნოშრევანი. ნოშრევანი ვაჟკაცურად, საკუთარი თავის განწირვის ფასით, ახერხებს იხსნას ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი თბილისი დამპყრობთაგან. (ამ ეპიზოდებში საინტერესო პარალელს ვპოულობთ „ვეფხის ტყაოსანთან"). ჩვენ წინ წარმოდგება პატრიოტი ქართველის მომხიბლავი სახე. ვ. ბარნოვი არაერთხელ უსვამს ხაზს ერთიანი საქართველოს აუცილებლობას. იგი ამ მხრივ კახეთის მეფის ლევანის მისწრაფებასაც პატრიოტულ დასაბუთებას უძებნის. გავიხსენოთ ავტორისეული სიტყვები: „წამდა ლევანს, როგორც ყველა დაფიქრებულ ქართველსაც, რომ საქართველოს მეფე უნდა იყოს ერთი, ხოლო საქართველო გაუყოფელ-დაუნაწილებელი".

ბარნოვს საინტერესოდ აქვს დახატული „მიმქრალ შარავანდედში" ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. იგი საქართველოს დაუძინებელი მტრების — სპარსეთისა და თურქეთის დამპყრობითს პოლიტიკას უპირისპირებს ქართველთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამ ბრძოლაში რუსეთთან კავშირის გზას. ვ. ბარნოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპარსეთის მეფე შაჰი, თამაზი, მუქარით, ცბიერებით ცდილობდა მოეგო ქართველთა გული, მან იცოდა, რომ საქართველოს „ჩრდილოეთისაკენ იზიდავდა ანდამატი ძლიერი", რომ საქართველოს „თვალნი მიეპყრათ მათ მყინვართა მეფის საბრძანებლისაკენ და იქიდან ელოდნენ ხსნას ქვეყნისას. ეს არ მოსწონდა თამაზს, ხედავდა, რომ თუ იგი ბუმბერაზი ჩრდილოელი გადმოაბიჯებდა კავკასიონს შეარყევდა სპარსეთსაც მთელ მაჰმადიანობასაც. ამისთვის ისწრაფოდა ყეენი მკვდრად ჩამდგარიყო საქართველოში და თავისი ხელით დაეკეტნა დარიალი". მწერალი აჩვენებს ქართველთა მისწრაფებას, კავშირი დაემყარებინათ დიდ რუს ხალხთან. ქართველი ხალხი ხმალამოღებული იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის. „ხალხი ხედავდა, რომ თბილისი მტერს ეჭირა, რომ ქართველი სირცხვილეული იყო ამით და სურდა გაედევნა მტერი. ხალხმა მიაღწია თავის წადილს და გულწრფელად უხაროდა. ლაშქარი ისე დაბრუნდა შინ, როგორც ქორწილიდან". ასე ხატავს მწერალი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

კახეთის მეფემ, ლევანმა, იცის, რომ თურქეთისა და სპარსეთის მონობისაგან თავის დაღწევა ძლიერი მოკავშირის დახმარებით შეიძლება. ამიტომ გულწრფელად ეუბნება ის ცოლს: „ჩვენი ერთგული რუსეთი გამომადგება ამ დიდი განზრახვისათვის, განვიზრახე მას მივაყრდნო ზურგი და ისე გადავდგა ნაბიჯი საბოლოო".

ვ. ბარნოვს კარგად აქვს შენიშნული, თუ როგორ მიისწრაფოდა ყოველი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ქართველი მეფე ერთმორწმუნე დიდ რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, შეჰყურებდა რუსეთს, როგორც იმედს, როგორც მეგობარს.

*

* *

ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს შორის გამოირჩევა აგრეთვე „ისნის ცისკარი". იგი კონკრეტულ ისტორიულ თემაზეა აგებული. აქ იგივე ისტორიული ამბავია გამოყენებული, რაც ნ. ბარათაშვილის პოემაში — „ბედი ქართლისა". მწერალს მოხერხებულად აქვს აღწერილი 1795 წელს კრწანისის ველზე უთანასწორო ომში ერეკლე მეფის დამარცხება. ესაა რომანის თემა. ვ. ბარნოვი აქაც ისტორიულ ამ-

ებს იყენებს, როგორც ფონს, წარმართავი ძალა კი კვლავ სამეჯნურო ისტორიაა.

რომანის მთავარი მოქმედი გმირია საამ გოსტაბაშვილი. იგი ძლიერი ფეოდალია და ერეკლე მეფის ერთგული. მეფის დავალებით ის შეუდგება ჯარის შეკრებას, საომარ სამზადისს. ამ მიზნით საამი თბილისს ესტუმრა, რომ მის ყოფილ ყმას, ხელოსანს იოთამ ბურჯნელს, ხმლები დაამზადებინოს. აქ ის იოთამის ქალიშვილს, ულამაზეს თინაგოზს გაეცნობა. ამ ქალს საიათნოვამ ისნის ცისკარი უწოდა. მოხიბლულმა საამმა ხელოსნის ქალიშვილი საცოლედ დანიშნა. ერეკლე ისე დამარცხდა, რომ საამის საომრად გამზადებულ ჯარს არც მიუღია ომში მონაწილეობა. თბილისი მტრების ხელშია იოთამის ულამაზესი ქალი, ვაჟარ მიღუას დაბეზღებით, სპარსეთის ჯარის სარდალს სეიმ ხანს დაუპატიმრებია. სეიმ ხანს ეგი მოსწონებია და გადაუწყვეტია, თან წაიყვანოს სპარსეთში. ყოველივე ამას გაიგებს თბილისში მალულად შემოპარული საამი. იგი თავისი მცირე რაზმით თავმომწონე სეიმ ხანის ჯარს დახვდება და იხსნის თავის მიჯნურს. ყეინს სინანულით აღმოხდება: „ეს მარცხი წაგებულ ომს უდრისო“. საამის საგმირო შემართებას სწორედ სიყვარულის კეთილი გრძნობა ანიჭებს ძალას.

ვ. ბარნოვი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და ბრძოლას წარმართობის წინააღმდეგ აგვიწერს რომანში „არმაზის მსხვრევა“. თემატიკურად ეს რომანი ახლოს დგას რომანთან „ტრფობა წამებული“, იმ განსხვავებით, რომ „არმაზის მსხვრევაში“ ნაჩვენებია ბრძოლა სხვადასხვა სარწმუნოებას შორის, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, „ტრფობა წამებულში“ კი ნაჩვენებია წინააღმდეგობა და ქიშპობა სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრების მესვეურთა შორის.

„არმაზის მსხვრევაში“ აღწერილია მირიან მეფის დროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ამ ისტორიულ ნაწილში ვ. ბარნოვი გვიჩვენებს საქართველოს მეფის ტრაგიკულ მდგომარეობას, მეფისა, რომელიც აღმოსავლეთის (სპარსეთის) და დასავლეთის (ბიზანტიის) პოლიტიკის ქსელში იყო გახვეული. საქართველო ბრძოლის ობიექტი გამხდარა დასავლეთის კეისარისა და აღმოსავლეთის შაჰს შორის. ამ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ბრძოლაში ვ. ბარნოვი ურთავს სარწმუნოების მომენტს, როგორც მოხერხებულ იარაღს ქვეყნის დასამონებლად. აღმოსავლეთის მბრძანებელს, სპარსეთის შაჰს, სურს საქართველოში გაავრცელოს მაზდეანური სარწმუნოება, ბიზანტიელებს კი პოლიტიკის იარაღად ქრისტიანული სარწმუნოება გამოუყენებიათ. ორივე შემთხვევაში სარწმუნოებას კოლონიური პოლიტიკა უდევს საფუძვლად. ასეთია, ვ. ბარნოვის რწმენით, საქართველოში ამ სარწმუნოებათა გავრცელების ისტორია. ორივე შემთხვევაში სარწმუნოება ჩაგვრის, მონობის იარაღია. მესამე მხრივ, ქართველებს აქვთ უძველესი სარწმუნოება — წარმართობა. წარმართობა ვ. ბარნოვს უფრო ბუნებრივ, უფრო მართებულ, უფრო მისაღებ სარწმუნოებად აქვს წარმოდგენილი.

ბიზანტიის კეისარს ომი გამოუცხადებია სპარსეთისათვის. სპარსეთი ემზადება მტრის დასახვედრად; ეძებს მოკავშირეს. შაჰი შაბური უსტარს უგზავნის მეფე მირიანს და თან აურაცხელ საჩუქრებს. მირიანი პატივისცემით მიიღებს შაჰის წარმომადგენლებს და დახმარებას ჰპირდება შაჰს. თავის მხრივ რომის კეისარი საქართველოს მიმხრობას ცდილობს და ქრისტიანობის გავრცელების მიზნით წმინდა ნინოს გზავნის საქართველოში. საქართველოში ნინო გამოცხადდება როგორც სასწაულმოქმედი, ავადმყოფთა მკურნალი და ქრისტესთვის წამებული. ის თავის ერთ-

ერთ პირველ მოწაფედ მირიანის ქალიშვილს — ხვარამზეს გაიხდის. ასეთია ვითარება, რომელიც წინ უსწრებს სპარსეთისა და ბიზანტიის ომს. ამ ომში სპარსეთი მარცხდება. საქართველო იძულებულია, მხარი დაუჭიროს გამარჯვებულს. წმინდა ნინო შეეცდება ეს მომენტი გამოიყენოს ქრისტიანული სარწმუნოებისათვისაც. ის თავისი მოწაფეების მეოხებით სახალხო დღესასწაულის დღეს ამსხვრევს არმაზს. ამ ბრძოლას ბევრი ადამიანი ეწირება, მათ შორის რომანის მთავარი გმირი ამზაილი, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც უებრო მეომარმა, და ამით მან ხვარამზეს სიყვარულიც დაიმსახურა. სასიკვდილოდ დაჭრილ იზმაილს ზედ დააკლავს თავს მისი მიჯნური ხვარამზე. ასეთია რომანის ტრაგიკული ფინალი.

სარწმუნოებრივი ბრძოლის აღწერის დროსაც ვ. ბარნოვი მოხერხებულად ურთავს რომანტიკულ-სამიჯნურო თავგადასავალს. ამ მხრივ ფრიად საინტერესოდ არის რომანში წარმოდგენილი მირიან მეფის ასულის — ხვარამზესა და ახალგაზრდა რაინდის ამზაილის სამიჯნურო თავგადასავალი. ამზაილი ამ რომანში გამოყვანილია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მეფის ღირსებისათვის თავდადებულის როლში.

ვ. ბარნოვის პოზიცია ქრისტიანობის და ასევე მაზდეანობის მიმართაც უარყოფითია. მწერალი შენიშნავს: „ეს ადგილი შეეხებოდა სახელმწიფო დიდ საკითხებს და იმ ახალსჯულს, რომელიც უყენებელ მეწყერივით მიდიოდა დასავლეთიდან, დაემონებინა იგი მოძღვრება რომაელთ კეისარს, გაეხადნა თანამებრძოლად, გაემძღვარებინა აღმოსავლეთისაკენ მის დასაპყრობად. ძველისძველი იყო დასავლეთისათვის ეს ჰაზრი.“

ვ. ბარნოვის აზრით, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ამ ახალ სჯულს, ფეხდაფეხ მოსდევდა ფხიანი ხმალი, რომელსაც წინ რომაული დროშა მიუძღოდა. რომაულ დროშაზე კი ეწერა: „ჯვარით დაიპყარ ქვეყნიერება“. ასე მოიძღოლა ახალი ღმერთი ახალმა რომმა. ასეთივე პოლიტიკური სარჩული ჰქონდა საქართველოში სპარსეთიდან შემოსულ სარწმუნოებას — არმაზს. ვ. ბარნოვს ქართული წარმართული სარწმუნოება უფრო მისაღებად მიაჩნდა.

ამ რომანში ვ. ბარნოვი მირიან მეფეს ხატავს როგორც ძლიერ მეფეს, რომელსაც ანგარიშს უწევენ მეზობელი სახელმწიფოები — როგორც სპარსეთი, ისე ბიზანტია. მაგრამ სარწმუნოებრივ ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც ძლიერია. ასეთი ძლიერი ამ პერიოდში ბიზანტია ჩანს. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მისი გამარჯვებაც ბიზანტიის პოლიტიკური გამარჯვებაც იყო. ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლის ვ. ბარნოვს, რომ შემდეგ („ტრფობა წამებული“) საქართველოსათვის ქრისტიანული სარწმუნოება მუსლიმანურ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ იარაღად გამოაცხადოს.

როგორც აღინიშნა, ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანებში, თითქმის ყველგან, მთავარ მოქმედ გმირებად გამოყვანილი არიან ისტორიულად ცნობილი პიროვნებანი. ამ ისტორიულად ცნობილ პირთა მოქმედებას, მათ ღვაწლს მწერალი დიდების შარავანდედით მოსავს. უმეტეს შემთხვევაში ისინი სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტიზმის როლში არიან წარმოდგენილი. ისიც აღინიშნა, რომ ამ შარავანდედით მოსილ გმირთა მოქმედებას, მათ ნებისყოფას, მათ საქმეს ყველგან განსაზღვრავს სიყვარულის ძალა. ეს გმირები დიდი გონების მქონენი, შეუდარებელი ვაჟკაცნი, ახოვანნი და ლამაზნი სწორედ იმით არიან, რომ მათი მოქმედების დაუშრეტელი წყარო სიყვარულია, და ეს ძალა წაერთვა მათ, მაშინ ისინი კარგავენ გონებრივ სიმხნევესაც, ვაჟკაცო-

ბასაც და ყოველივე ამას ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის, სამშობლოსათვის. ამგვარად წარმოადგინა ვ. ბარნოვმა სიყვარულის საყოველთაო მნიშვნელობა ცნობილ რომანში — „ტრფობა წამებული“. აქ ოსტატურად უპირისპირდება ერთმანეთს VIII — IX საუკუნის საქართველოს ორი ბუმბერაზი: სამოქალაქო ცხოვრების მესვეური „რაინდი ხორციელი“ მეფე აშოტ კურაპალატი და საეკლესიო ცხოვრების მეთაური „რაინდი სულიერი“ გრიგოლ ხანძთელი. ამ დაპირისპირებას მეტწილად საფუძვლად სამეჯნურო თავგადასავალი უდევს.

აშოტ კურაპალატი ამ რომანში წარმოდგენილია, როგორც შეუდარებელი ვაჟკაცი, სახელოვანი მეომარი, პატრიოტი, გონიერი და წინდახედული სარდალი. ავტორმა იგი ჩვეულებრივი, ბუნებრივი ადამიანური თვისებებით დაგვიხატა. ადამიანურ თვისებათა ეს ნაკლი თუ ღირსება, ვ. ბარნოვის აზრით, ყველაზე კარგად გრძნობათა სფეროში მჟღავნდება. აშოტ კურაპალატის ცოლი გურანდუხტი სახელმწიფო საქმეებით იყო დაინტერესებული. მეუღლის ოთახიდან რომ გამოდიოდა, თითქოს საბჭოს დარბაზიდან გამოვიდაო და არა მეუღლის სადგომი ბინიდან. ამ მდგომარეობაში გრძნობით სავსე აშოტი თავისი ერთგული ჯარისკაცის, ბრძოლის ველზე დაჭრილი და სასახლის კარზე გარდაცვლილის ქვრივს შუქიას გაუმეჯნურდება. მთელი ეს სამეჯნურო თავგადასავალი ფარულად მიმდინარეობს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მეჯნურთა ამბავი გახმაურდება. შეურაცხყოფილი დედოფლის მხარდაჭერით თებრონიამ და გრიგოლ ხანძთელმა აღმართა ამ მეჯნურობის წინააღმდეგ ასკეტის ხელი და, ქრისტეს სარწმუნოების წესისამებრ, მოითხოვა მეფისაგან, უარი ეთქვა შუქიას სიყვარულზე და ქრისტიანობის წესი ცოლქმრობისა მტკიცედ დაეცვა. გრიგოლ ხანძთელი ასეთ საბუთს უყენებს მეფეს: მეფე თავად უნდა იყოს მაგალითის მიმცემი, უნდა დაიცვას „მცნება რჯულისა“. აშოტის სატრფო, ეკლესიამ მოტყუილებით გაიტაცა. ეს ნაბიჯი საბედისწერო გახდება: აშოტმა დაკარგა გონიერება, უმტყუნა სიმხნევემ და ვაჟკაცობამ. ეს ის დროა, როდესაც სამშობლო საშიშროების წინაშე დგას, მას აღმოსავლეთის ურდოები შემოესიენ სწორედ ახლაა საჭირო მეფის გონიერება და ვაჟკაცობა, მაგრამ იგი გაოგნებულია. ხალხმა იცის, რომ შუქიაა ამის მიზეზი. შესთხოვენ გრიგოლ ხანძთელს, დაუბრუნდეს მეფეს თავისი მეჯნური, მაგრამ ქრისტიანობის ალამდარი, გრიგოლ ხანძთელი თავგამოდებით იცავს თავის უფლებას. ეკლესიისაგან წამებული შუქია კვდება, აშოტი შურს იძიებს, ამას მოსდევს აშოტის ამხედრება ბრძოლის ველზე მისი ღალატით სიკვდილი...

საზოგადოდ, ვ. ბარნოვის აზრით, ადამიანები გაორებულნი არიან: საქმიანობით, მოვალეობით და შინაგანი ინტიმური სულიერი სამყაროთი: „ადამიანის არსება ორად არის გაყოფილი, ორ სხვადასხვა პიროვნებად. ერთად ცხოვრობენ განუყოფელად ის ორნი, მაგრამ თავთავიანთი სარბიელი აქვთ ცხოვრებისა“ („ტრფობა წამებული“). პიროვნული კონფლიქტიც ამის მიხედვით ისახება და ვითარდება. ასეა ეს „ტრფობა წამებულში“, ასევეა „მიმქრალ შარავანდედში“ და სხვაგან.

„ტრფობა წამებულიდან“ ჩანს, რა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფუნქცია აქვს დაკისრებული სიყვარულს. „შენ არ იცი, რომ შენს ხელშია ჩემი გულიც და ჩემი ბედიც: მთელი საქართველოს მომავალი სიკეთეც“..., ასე მიმართავს შუქიას აშოტი. ვასილ ბარნოვს ოსტატურად აქვს გამოყენებული სიყვარული ასკეტიზმის, ხორციელი სიყვარულის უარმყოფელთა წინააღმდეგ. და ასე რომანში—„ტრფო-

ბა წამებულში“ ერთმანეთს უპირისპირდება ხორციელი, ადამიანური, ბუნებრივი გრძნობა და ასკეტური სულიერი სიყვარულის საეკლესიო მოძღვრება. ვ. ბარნოვი არ თანაუგრძნობს ასკეტ გრიგოლს, რომელიც ხელოვნურად კლავს სიყვარულის გულწრფელ გრძნობას, ხელს კრავს თებრონის ანთებულ მხურვალე სიყვარულს ვაჟკაცისადმი, ახოვანი გრიგოლისადმი. მაინც ვ. ბარნოვი არ ღალატობს ისტორიოგრაფიულ ფაქტებს: გრიგოლ ხანძთელი, რომელსაც დაუგმია ხორციელი სიყვარულის ნამდვილი და ბუნებრივი გრძნობა, არ არის თავისთავად დიდბუნებოვნებას მოკლებული პიროვნება. მაგრამ მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მას აკლია ის სრულყოფილობა, რაც აშოტ კურაპალატს და შუქიას აქვთ. ადამიანური გრძნობის დაგმობამ, ხორციელი გრძნობის დათრგუნვამ გრიგოლისადმი ეროტიკული გრძნობით აღტაცებული ქალი თებრონია აქცია კაცთმოძულე, მრისხანე, შურისმაძიებელ ბოროტ ადამიანად.

„ტრფობა წამებული“ შთაგონებულია ქართული ლიტერატურის ერთერთი შესანიშნავი ძეგლის — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“. მათ შორის პირდაპირი ლიტერატურული პარალელები არსებობს. უფრო მეტიც: ბარნოვის რომანი ბევრ შემთხვევაში პასაჟების მიხედვით მისდევს ამ ძეგლს, მიუხედავად ამისა, „ტრფობა წამებული“ სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაწარმოებია, ვ. ბარნოვს აქვს თავისი პრინციპი, თავისი მიზანსწრაფვა, თავისი ლიტერატურული კონცეფცია. ეს იდეალისტური კონცეპცია მწერლისა ეყრდნობა არა სარწმუნოებრივ ასკეტიზმს, არამედ ბუნებრივ გრძნობის „სასწაულებრივ სახიერებას“. სიყვარული, ბარნოვს კეთილის, თვით ღვთაების სახიერებად მიაჩნდა. სიყვარული აქ გამითიურებულია.

ვასილ ბარნოვი მრავალი ისტორიული რომანის ავტორია. გარდა ჩვენ მიერ ზემოთ გარჩეული რომანებისა, უნდა მოვიხსენიოთ „განგების რკალში“ (სადაც მწერალს გიორგი სააკაძის ტრაგიკული თავგადასავალი აქვს აღწერილი), „ცოდვა სიჭაბუკისა“ (სადაც მოცემულია დავით აღმაშენებლის გმირული ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ); აქვე უნდა მოვიხსენიოთ „პირიმზე“, სადაც აღწერილია თამარის მამის გიორგის მეფობის უკანასკნელი წლები და თამარის გამეფების პირველი წლები; „თამარ მრწემში“ დასურათებულია XIII — XIV საუკუნის საქართველოს მდგომარეობა:

მწერალი ამ ნაწარმოებში ისტორიული რეალიების დიდი ცოდნით და დამაჯერებლად ხატავს იმდროინდელ საქართველოს სურათს: სამთავროებად დაყოფილ საქართველოს, მათ შორის წინააღმდეგობასა და კინკლაობას, ძმათა სისხლისმღვრელ ომებს. ამ მხრივ ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. რომანის დაწერა საბჭოთა პერიოდს განეკუთვნება. აქ და სხვა ნაწარმოებებშიც, რომლებიც ჩვენს დროს არის გამოქვეყნებული, ვ. ბარნოვი ავლენს საბჭოთა მწერლის პოზიციას ისტორიული მასალისადმი დამოკიდებულებაში.

ჩვენს ლიტერატურაში ვ. ბარნოვი წარმოდგენილია უმთავრესად როგორც ისტორიული რომანების ავტორი და თითქმის ნაკლები ყურადღება ექცევა მისი მოთხრობების შესწავლას. ნამდვილად კი ვ. ბარნოვის შემოქმედების გათვალისწინება მთლიანობაში შეუძლებელი იქნებოდა, თუ ყურადღების გარეშე დავტოვებდით მის მოთხრობებს. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს ვ. ბარნოვს მხოლოდ გარდასული დრო იზიდავდეს და მის თავგამოდებულ იდეალიზაციას ეწეოდეს; თითქოს ბარნოვისათვის საქართველოს ისტორია არის არქეოლოგია და ავტორი ამ წარსულის ყოველ

ნივთს იდეალიზებულად ხატავს. ასეთი განსაზღვრა ვ. ბარნოვის შემოქმედებისა, კერძოდ მისი მოთხრობებისა, საქმის ნამდვილ შინაარსს არ გამოხატავს. ეს შეხედულება ერთგვარ გაუგებრობაზეა აგებული. ამ გაუგებრობის სათავეა უმთავრესად ბარნოვის საინტერესო მოთხრობა — „არქეოლოგიური ნაშთი“.

ამ მოთხრობაში ვ. ბარნოვი მართლაცდა თანაგრძნობით ხატავს იმ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული აქვს წარსულისადმი. მართალია, იგი ამ გმირს დიდი სიმპათიით ეპყრობა, მაგრამ მაინც როდი თანაუგრძნობს მას მთლიანად. ნაწარმოების მთავარი გმირია არქეოლოგიური ნაშთების მოტრფიალე პეტრე.

ვ. ბარნოვი დიდი თანაგრძნობით ეკიდება ამ ძველის მოტრფიალე პეტრეს, და არც შეიძლება სხვანაირად, რამდენადაც თვითონ ვ. ბარნოვი იყო წარსულის დიდი მოტრფიალე. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოთხრობაში ვ. ბარნოვი არ იზიარებს პეტრეს პოზიციას. მწერალი პეტრეს ინტერესებს ცალმხრივ გატაცებად მიიჩნევს. ავტორი ამბობს: „არ მომწონდა პატივცემულთ საუბარი, მეტად ცალმხრივი: მათთვის რომ დაგეჯერებინათ, ამ ქვეყანაში ყოველი კარგი მხოლოდ ძველისძველი მოინახებოდა, უკვე გარდასული. რათაო? ბევრი იყო იმედიანი ახალნერგი, ნორჩი, ხასხასი; ღირსი მეტი ყურადღებისა“. აქ ნათელია ვ. ბარნოვის პოზიცია. ავტორისეულ რემარკაში გარდასულისადმი ცალმხრივი გატაცება უარყოფილია. შემდეგ თვით ნაწარმოების („არქეოლოგიური ნაშთი“) კომპოზიციური განვითარებაც ავტორისეულ რემარკას მიჰყვება: არქეოლოგიური ნაშთებით გატაცებული პეტრე ცხოვრებაში ხელმოცარული კაცია. მას ოდესღაც თურმე სატრფო ჰყავდა. ახლა იგი მონაზონის როლში შეხვდება უკანასკნელად თავის ძველ მიჯნურს, პეტრეს. იგი სინანულით იგონებს და თავს დანაშაულად თვლის ამ სამიჯნურო ურთიერთობის ჩაშლისა გამო. მწერალი — მოთხრობის ფინალში ნაწარმოების გმირს კიდევაც ათქმევინებს ერთგვარ აუგს თავისი პროფესიისადმი. თუმცა აქვე შენიშნავს ბარნოვი: „ისევ მოიბრუნებს მეგობარი გულს ძველმანებისაკენო“... ამგვარად, ვ. ბარნოვი წარსულის ნაჭუჭში არ ჩაკეტილა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ მის მოთხრობებში თემატიკურად ორი მოტივის არსებობა: ერთია წარსულის ამსახველი სურათები. მეორე — მისი თანამედროვეობის მწვავე, სოციალური საკითხები.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ბარნოვის მოთხრობები.

გარდასულ დროთა იდეალიზებული სურათია მოცემული ვ. ბარნოვის მოთხრობაში — „გასკვნილი სიმი“. მისი მთავარი გმირია ვიღაც მათხოვარი მუსიკოსი, რომელიც თარზე უკრავს ძველისძველ სევდიან სიმღერებს. ეს სევდიანი ხმა იზიდავს ახალგაზრდა დათიკოს (ამ მოთხრობის მეორე გმირს). ის, ამ სევდიანი ხმით მოჯადოებული, შენიშნავს, რომ თარს სიმი გაწყვეტილი აქვს, გასკვნილი სიმი კი უფრო სევდიანად და საცოდავად ჟღერს. გადაწყვეტს, უყიდოს სიმი ამ მუსიკოსს და კიდეც შეასრულებს თავის განზრახვას, მაგრამ, როცა დააცქერდება მემუსიკოსეს, მისი ძველი მეგობარი აღმოჩნდება. შემდეგ ისინი ხშირად იკრიბებიან ერთად, იგონებენ წარსულ დროს და გულს სევდიანი სიმღერებით იოხებენ. ასეთია ამ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი.

ძველი თქმები, ძველი ზმნები, საარშიყო ლექსები, ძველებური ამბები აგონებენ ამ მოთხრობის გმირებს გარდასულ დროს. გარდასული სურათები ცოცხლდებიან მათ გონებაში. „ახ დრონი, დრონი წარსულის დრონი“, მემუსიკე სვიმონი რომ სევდიანად ამღერებს თარზე, ულვიძებენ მათ ძველ სახეებს. „იძვრიან, ცოცხლდებიან, თვალწინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორდებიან უწინდელი ამბები. უფრო კი სევდიანს მოგვითხრობენ, გვიმღერიან, გვეუბნებიან". ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, დათიკო, წარსულის სურათებით ცოცხლობს. იგი თბილისის ძველი უბნებისა და ვიწრო ქუჩების ხშირი სტუმარია.

გარდასული ცხოვრების იდეალიზაციაა მოცემული მოთხრობაში „სადედოფლო სარტყელი". აქ წარსული ამეტყველებული და გაცოცხლებულია ძველისძველი ნივთის — დედოფლის სარტყელის თავგადასავალის თხრობის ფონზე. დედოფლის სარტყელი, რომელიც ახლა განაყიდად ძევს რომელიღაც დუქანში, ამ მოთხრობის გმირს, სოფლელ ბიჭს გოგიას, თურმე მისი ყოფილი ბატონის ქალიშვილისთვის, შემოურტყამს გათხოვების ცერემონიალის დროს. განაკვირი ის არის, რომ გლეხკაცი გოგია აღტაცებული იგონებს ამ „ლამაზ და ბედნიერ დღეს", როდესაც მთელი თავისი ჯანი და შრომა „ტვირთმძიმე უღლის ქვეშ გაუტარებია".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვასილ ბარნოვის ეს ყველაზე უფრო სევდიანი მოთხრობები, სადაც წარსულის აშკარა იდეალიზაციაა მოცემული, დაწერილია მენშევიკების ბატონობის დღეებში. ამ ძველი ნივთების აღწერას ავტორის ასეთი რემარკა მოსდევს: „იცი შენ, რა ღვარმაც გამოიტანა ეს მძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან და დუქანში გამორიყა? ასეთი ძალა მოიპოვა მჭადმა. ველარაფერი გაუმაგრდა მას. ცხრაკლიტული რკინის კარებები ჩალეწა მისმა ძლიერებამ. წამოაცარიელა ურყეველი საუნჯეები".

ვ. ბარნოვისათვის მომავლის ძალები, მეოცე საუკუნის ცხოვრების ურყევი ბურჯი — მუშათა კლასის და მისი მეთაური — ბოლშევიკური პარტია, გზა რევოლუციისა სავსებით ნათელი და გასაგები არ იყო. მაგრამ მწერლისთვის სულ უცხო როდი იყო რევოლუციის ამბები. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „ფარჩის ახალუხი".

„ფარჩის ახალუხის" თემა 1905 წლის რევოლუციის ხანას შეეხება. ამ მოთხრობის მთავარი გმირი — გიორგი მწერალმა რევოლუციონერის როლში გამოიყვანა. მართალია, ვ. ბარნოვმა მდგომარეობის სწორი შეფასება აქ სავსებით ნათლად ვერ მოგვცა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რევოლუციამ გაუღრმავა მას სოციალური, კლასობრივი გრძნობები და ამ მოთხრობაში ყველაზე ნათლად, გარკვევით გამოვლინდა კლასობრივი ცხოვრების მძაფრი სურათები.

მოთხრობის შესავალში მწერალი აღწერს იმ სოციალურ უთანასწორობას, რომელსაც ადგილი აქვს ცხოვრებაში. ერთი მხრივ, აქ წარმოდგენილია მდიდარი გულცივაძე, გულქვა, ზვიადი, ცივი, ულმობელი და მიუკარებელი ადამიანი. გულცივაძეების აღვირახსნილობის, გამდიდრების მსხვერპლი გახდა დაბეჩავებული მეზობელი ქვრივის საღომეს ოჯახი, რომელსაც იხსნის გიორგი. ამ სოციალურ მძაფრ კონტრასტს მოსდევს 1905 წლის რევოლუციის სურათის აღწერა. დაიწყო მოძრაობა, ხალხის მღელვარებამ გაიყოლია მუშა გიორგიც. „გიორგიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ერთობაში, რომლის დროშაზე ძმობა ეწერა. იმედიანად იყო გიორგი, წამდა რომ უკეთესი დრო დადგებოდა და მის მშრომელ მარჯვენას ღირსეულად დააფასებდნენ". მაგრამ მოძრაობა არ გამართლდა და რეაქციამ „მისი ოჯახიც დააქცია". გიორგი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ ნიჭიერი კალატოზი გადაურჩება ციმბირის სუსხს და თავის სამშობლოში ბრუნდება.

სოციალური ხასიათისაა ვასილ ბარნოვის მეორე მოთხრობაც „ხურდა". მოთხრობა გვიხატავს ბატონყმობის გადავარდნის პირველი წლების სურათს. ბატონყმობა უკვე მოსპობილი იყო, მაგრამ ძველი მებატონეების კეთილშობილებას ფერი ჯერ კიდევ არ გახუნებო-

და, „პეწი არ შეშლოდა“. მათ ჯერ კიდევ „მაღლა ეჭირათ თავი და ზევიდან დასცქეროდნენ ნაყმევ გლეხებს“. ასევე იქცეოდა ამ მოთხრობის მთავარი გმირი — ვახტანგ ბატონი.

სამაგიეროდ, მდაბიო ხალხს თავისუფლება მინიჭებოდა. ხელ-ფეხი გახსნოდა, წელში გამართულიყო და უკვე იბრძოდა მონობისაგან თავის დაღწევისათვის. ვ. ბარნოვი კარგად არჩევს იმ ახალ ურთიერთობას, რომელიც დამყარდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ: ზოგი ყოფილი ყმა დაწინაურდა; მოთხრობაში ამ დაწინაურებული გლეხისა და დაკნინებული ყოფილი ბატონის ურთიერთობა კარგადაა გამოხატული. უფრო მწვავედ ეს ურთიერთობა შემდეგ გადაიშალა. ვახტანგის შვილი ლევანი მესამე კლასიდან გამორიცხეს, მაგრამ მან ეს არაფრად ჩააგდო, ჩაიცვა წითელი ჩოხა-ახალუხი, აისხა იარაღი, დაიხურა ფაფახი, მოაჯდა მერანს და გაუტია, დაქროლავდა ხან აღმა, ხან დაღმა. სულ სხვა გზას გაჰყვა ბატონიშვილის ყოფილი ყმა ნოდარ ნაირაძის შვილი ილიკო. მან სწავლაში მუყაითობა გამოიჩინა და აი, მწერალმა ილიკოსა და ლევანს შორის არსებულ გამძაფრებულ კონფლიქტში აჩვენა ბატონყმობის შემდეგდროინდელი სოფლის ცხოვრება. ლევანს თავი იმით მოაქვს, რომ ბატონის შვილია. „ტეტია ლევანს არაფრად აგდებს. ილიკო მას მიმართავს: „დღეს აღარავის აქვს უფლება გლეხკაცს მონა დაუძახოს და ტეტია“, ეს მაშინ, როცა ლევანმა დააყვედრა: „შე ტეტიავ? დაგავიწყდა, რომ გუშინ მონა იყავ ჩვენი?“ მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა. ბატონიშვილებს უმძიმდათ საძირკველშერყეული ოჯახის რჩენა: „საქმის უკადრისობა, უთავობა, თავისუფალ დროს ჩახშობა ბანქოში და ყოველგვარ ქეიფში...“ აი ესაა ბოლო ბატონიშვილებისა და, მათ რიცხვში, ლევანისა. სამაგიეროდ, შრომამ, გარჯამ გამარჯვება არგუნა ილიკოს. მოთხრობის ფინალში მწერალი გვიხატავს განწირული ლევანისა და გამარჯვებული ილიკოს შეხვედრის მეტად საინტერესო სურათს.

ბარნოვის მოთხრობათა ერთი ჯგუფი შეეხება ძველი თბილისის ყოფითს რეალიებს. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა პატარა მოთხრობა „ამქრის მშვენება“, სადაც ავტორი გვისურათებს ამქრის ოჯახის მორალურ სიწმინდეს, რაინდულ ადათებს და ყოველივე ამას უპირისპირებს ჩარჩულ ევროპულ მორალს.

*
* *

ვასილ ბარნოვს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში როგორც რიტმული პროზის ოსტატს. ბარნოვის პროზა ხშირად გარითმულ ლექსს უახლოვდება.

აღსანიშნავია ვასილ ბარნოვის ენისა და სტილის თავისებურება. მის ენაში გვხვდება არქაული სიტყვიერი ინვენტარი, რაც უთუოდ ამძიმებს მწერლის მხატვრულ ქმნილებებს. არქაულია და რამდენადმე ხელოვნური მწერლის სინტაქსი, თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის შეუფერებელი კონსტრუქციები, რომლებიც, ლექსიკასთან ერთად, ბარნოვის მხატვრულ მეტყველებას თავისებურ ადგილს განუკუთვნებს ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიაში.

სიუჟეტის არქიტექტონიკა ასეთია: ხშირად ბარნოვის მოთხრობებს მკვრივი სიუჟეტური ჯაჭვი არა აქვს, რითმულ არქაულ სტილთან ერთად სიუჟეტის დინებას ანელებენ ხშირი განმეორებანი და გაჭიანურებული პასაჟები.

ყოველივე ამისდამიუხედავად, ვ. ბარნოვი მაინც რჩება პოეტური პროზის ბრწყინვალე ოსტატად ქართულ ლიტერატურაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოც. გ. მეგრელიშვილი

ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა

★

ეგნატე ნინოშვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე XIX საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა. როგორი იყო ამ პერიოდისათვის ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, კლასობრივი და იდეური ბრძოლის ხასიათი, რა ამოცანებს აყენებდა ისტორიული ვითარება ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე?

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველო სწრაფად წავიდა კაპიტალისტური განვითარების გზით. მაგრამ საგლეხო რეფორმა, რომელსაც მებატონეები ატარებდნენ და რომელიც, ვ. ლენინის თქმით, გზას უხსნიდა კაპიტალისტურ განვითარებას, მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმობის სხვა ნაშთების შენარჩუნების წყალობით აფერხებდა კაპიტალიზმის განვითარებას. იმის გამო, რომ, როგორც აღნიშნავდა ვ. ლენინი, გლეხებს „ათავისუფლებდნენ“ თვით მემამულეები, თვითმპყრობელი მეფის მთავრობა და მისი მოხელეები, შენარჩუნებულიყო კაბალა და ბატონყმობა, რაც მოასწავებდა საწარმოო ძალთა ნაკლები სიჩქარით განვითარებას და კაპიტალიზმის განვითარების შენელებას, აგრეთვე გლეხობის ფართო მასების და, მაშასადამე, მასთან ერთად პროლეტარიატის მეტ ტანჯვას, ექსპლოატაციასა და ჩაგვრას.[1] რა დაბრკოლებაც არ უნდა შეექმნათ კაპიტალიზმისათვის ბატონყმობის ნაშთებს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც, მაინც შეუფერხებლად იზრდებოდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, იზრდებოდა ქალაქები. კაპიტალისტურ მრეწველობასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა და ფართოვდებოდა კაპიტალისტური ვაჭრობაც, ვითარდებოდა ქალაქად კრედიტის კაპიტალური ფორმები.

როგორადაც არ უნდა გადაეღობა გზა ბატონყმურ ნაშთებს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური გარდაქმნისათვის, მათ არც აქ შეეძლოთ შეეჩერებინათ კაპიტალის მოზღვავება. სოფლის მეურნეობაშიც კაპიტალიზმი ინერგებოდა გარედან, სოფლის მეურნეობაში უცხოეთის კაპიტალის — რუსეთის, სომხეთისა და სხვ. კაპიტალის შემოჭრის გზით.

კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში ვითარდებოდა ზემოდან, ვინაიდან მსხვილმა მემამულურმა მეურნეობამ გამოამჟღავნა კაპიტალისტური განვითარების ტენდენცია რეფორმის შემდგომ პერიოდში. შესამჩნევი შეიქნა, რომ კაპიტალისტური ტენდენციის გაძლიერების საფუძველს მეურნეობის მემამულურ სექტორში გლეხობის დიფერენციაციის პროცესი წარმოადგენდა. პროცესი წვრილი მწარმოებლის დაშლისა, მოხდა პოლუსებად — უმიწაწყლო მოჯამაგირეებად და კულაკებად. გლეხობის დიფერენციაციის ეს პროცესი საფუძველს აცლიდა მეურნეობის წარმოების ბატონყმურ მეთოდებს, ე. ი. შრომის ანაზღაურების სისტემას, და აიძულებდა მემამულეს გადასულიყო დაქირავებითს ურთიერთობაზე, ლენდლორდად აქცევდა მემამულეს და, ამრიგად მემამულურ საკუთრებას თიშავდა რა მიწის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისაგან, ადიდებდა საიჯარო ურთიერთობათა ფართობს სოფლის მეურნეობაში.

[1] ვ. ლენინი, თხზ. ტ. 13, გვ. 297.

გარდა ამისა. გლეხობას დიფერენციაციის პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც თუმცა შენელებული და შეპიროვნებული იყო ქვეყნის სამრეწველო განვითარების არასაკმაო ტემპით, მიწით სარგებლობის მემამულური მონოპოლიის არსებობით, კოლონიური ჩაგვრით და სხვ., წარმოადგენდა ქვემოდან კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღმოცენებისა და განვითარების საფუძველს. გლეხური მეურნეობიდან კულაკური მეურნეობების წარმოშობის გამო, რასაც განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის 70-ან წლებში. სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი კოლონისტთა მეურნეობაში. საგრძნობი რიცხვი კოლონისტთა სასაქონლო მეურნეობისა, რომელიც თავისუფალი იყო ბატონყმური ჩაგვრისაგან, უხვად იყო უზრუნველყოფილი მიწით და ჰქონდა გაფართოებული რეპროდუქციის ტენდენცია, შედარებით დაუბრკოლებლად გადაიზრდებოდა კაპიტალისტურ მეურნეობად.

ამრიგად, საზოგადოებრივ ასპარეზზე ნინოშვილის გამოსვლის დროისათვის სოფლის მეურნეობა ექვემდებარებოდა კაპიტალისტური განვითარების კანონებს და ამ განვითარების შედეგად 90-ანი წლების საქართველოს სოფლის მეურნეობაში, ძველ კლასებთან ერთად, ჩნდებოდა ახალი კლასები — ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფი მუშები და მოჯამაგირეები, მეორე მხრივ, კულაკები და სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზია, რასაც არ შეიძლებოდა არ წარმოეშვა ახალი სახეობის კლასობრივი ანტაგონიზმი.

90-ან წლებში ე. ნინოშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობის დროს, ქართულ სოფელში ადგილი ჰქონდა ორგვარ კლასობრივ ბრძოლას: გლეხობის ბრძოლას მემამულე-მიწათმფლობელთა და ბატონყმობის გადანაშთების წინააღმდეგ და სოფლის მეურნეობის, მოჯამაგირეებისა და სხვათა ბრძოლას სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამრიგად, XIX საუკუნის 90-ან წლებში ქართულ სოფელში საქმე არ თავდებოდა მარტო მთელი გლეხობის ბრძოლით მემამულეთა წინააღმდეგ, არამედ ჩაღდებოდა ორი სახეობის კლასობრივი ანტაგონიზმი, რის საფუძველს, ერთი მხრივ, შეადგენდა ფეოდალურ — ბატონყმურ გადმონაშთთა არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება. ამასთანავე ერთად, კაპიტალიზმის განვითარება ძლიერი ბატონყმური გადმონაშთების არსებობის, მემამულეთა პოლიტიკური ბატონობისა და ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის პირობებში, კლასთა ბრძოლას მწვავე და დაძაბულ ხასიათს ანიჭებდა, ბრძოლა მწვავდებოდა როგორც გლეხებსა და მემამულეებს შორის, ისე პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის გლეხთა მასების ექსპლოატაციის ბარბაროსული ფორმები, რაც განაპირობებული იყო ბატონყმობის გადმონაშთების არსებობის პირობებში კაპიტალიზმის განვითარებით, მემამულეთა და პოლიციის მხრივ ულმობელი ჩაგვრა, გლეხობის ბრძოლას ბატონყმობის გადმონაშთებისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში რევოლუციურ ხასიათს აძლევდა. ვ. ი. ლენინის გამჭრიახი თვალი ჯერ კიდევ 1894 წელს ამჩნევდა, რომ რუსეთში სხვანაირი იქნებოდა კლასების განლაგება და მათი როლი მომავალ დემოკრატიულ რევოლუციაში, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით მრეწველობა მეთაურობდა კაპიტალისტურ განვითარებას საქართველოში. კაპიტალისტურ ურთიერთობათა საგრძნობი განვითარება მრეწველობის დარგში დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მას შემდეგ, რაც რკინიგზის მაგისტრალური ქსელით საქართველო დაუკავშირდა მეტროპო-

ლიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრებს, და მისი ბუნებრივი რესურსები რკინიგზების გაყვანის მეოხებით რუსეთისა და მსოფლიოს ბაზარზე გავიდა.

არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების შემოერთებას. სამხრეთ საქართველოს (ბათუმის ოლქის) მიწებისა და დიდი საზღვაო ხომალდებისათვის ხელსაყრელი ნავსადგურის — ბათუმის დაბრუნება შესაძლებლობას აძლევდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიას, არამედ განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრ დარგს შეუფერხებლად ჩაბმულიყო საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია 90-ანი წლებისათვის სამრეწველო ცხოვრების შესამჩნევი გარდაქმნა, მრეწველობის ძველი ფორმების დაშლა, ახალი ფორმების აღმოცენება და დამკვიდრება. დაიწყო საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლა. რკინიგზების მშენებლობის გაძლიერებამ კავკასიასა და საქართველოში გამოიწვია, პირველყოვლისა, აღმოცენება და განვითარება ისეთი საწარმოებისა, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ რკინიგზის მშენებლობას, აგრეთვე მის მოძრავ შემადგენლობას; იქმნებოდა მექანიკური ქარხნები, ორთქლმავლის შემკეთებელი სახელოსნოები, ვითარდებოდა საქონელბრუნვა, საშინაო და საგარეო კაპიტალისტური ვაჭრობა. ბატონყმობის გადავარდნამ, იმპერიის რკინიგზის მაგისტრალში ამიერკავკასიის მოქცევამ, ამ მაგისტრალის მიყვანამ შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო პორტამდე — ბათუმამდე ხელსაყრელი პირობები შექმნეს ბაქოს ნავთობის მრეწველობის მძლავრი განვითარებისათვის, ხოლო ბათუმით ნავთობის ექსპორტის მძაფრმა ზრდამ ეს ნავსადგური საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო და სამრეწველო ცენტრად გადააქცია, გამოიწვია ბათუმში ნავთობის მრეწველობასთან დაკავშირებული ფაბრიკა-ქარხნების აღმოცენება-განვითარება.

ევროპასა და სხვა ქვეყნებში მეტალურგიის გიგანტურმა განვითარებამ ბიძგი მისცა ჭიათურის მარგანეცის დამუშავებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ იგი უკვე 1891 წელს მსოფლიო მოთხოვნილების 53,86%-ს აკმაყოფილებდა. ამ ხანებში შესამჩნევად განვითარდა ტყიბულის ნახშირის მრეწველობა, რაც უმთავრესად დაკავშირებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელის გაფართოებასთან, ქალაქის მოსახლეობის ზრდასა და შავი ზღვის სამხედრო და სამოქალაქო ფლოტის განვითარებასთან. XIX საუკუნის მეორე ნახევარში წამყვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაიქცა ქ. თბილისი. აქ თავს იყრიდა მსხვილი სავაჭრო და საკრედიტო საწარმოები და ორგანიზაციები. თბილისში საგრძნობლად ვითარდებოდა თამბაქოსა და აბრეშუმის მრეწველობა, მეღვინეობა, ტყავეულობისა და ფეხსაცმელის მრეწველობა, ხე-ტყის სახერხი და ხორბლის საფქვავი საწარმოები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საქართველო, ისე ამიერკავკასია 90-ან წლებში წარმოადგენდნენ აგრარულ ქვეყნებს ბატონყმური გადმონაშთებითა და პატრიარქალური ურთიერთობებით, ციმბირსა და შუა აზიის სხვა განაპირა მხარეებისაგან განსხვავებით, აქ ადგილობრივი ნაციონალური კაპიტალის მონაწილეობით შეიქმნა უფრო მძლავრი კაპიტალისტური მრეწველობა, ვიდრე სხვა ნაციონალურ განაპირა მხარეებში წარმოების მოცულობითაც და მასში ჩაბმული ნაციონალური პროლეტარიატის რიცხვის მხრივაც.

საზოგადოებრივ სარბიელზე ნინო-

შვილის გამოსვლის დროს ლიბერალურ ელფერს იღებს მემამულეთა იდეოლოგია, ვითარდება ბურჟუაზიული იდეოლოგია ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ფორმით და მისთვის დამახასიათებელი კაპიტალიზმის აპოლოგეტიზმით, რევოლუციური ნაროდნიკობა უკანა რიგში დგება და უარს ამბობს მასობრივ ბრძოლაზე ცარიზმის წინააღმდეგ, ემხრობა ტერორის ტაქტიკას და უსასტიკეს კრიზისს განიცდის; ლიბერალური ნაროდნიკობა, იღებს რა წვრილბურჟუაზიული ლიბერალიზმ-რეფორმიზმის ფორმას, გამოდის ხალხის მეგობრების როლში, ხრწნის მშრომელთა შეგნებას.

განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით ნაროდნიკობა ძირითად ეკონომიურ დაბრკოლებად იქცევა. 90-ან წლებში, ისტორიულ სარბიელზე მუშათა კლასის გამოჩენის შემდეგ, განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით მთავარ საკითხებად ხდება კაპიტალიზმის ისტორიული მისიისა და ადგილის საკითხის, პროლეტარიატის ისტორიული მისიის საკითხი, მომავალი რევოლუციისა და დემოკრატიული რევოლუციისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების საკითხი, საკითხი ბურჟუაზიისა და გლეხობის როლის შესახებ მომავალ დემოკრატიულ რევოლუციაში, და სხვ.

ამრიგად, ისტორია განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე აყენებს ახალ იდეოლოგიურ ამოცანებს: მარქსიზმის პროპაგანდასა და ანტიპროლეტარული იდეოლოგიების განადგურებას, მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთებას, ახალ პირობებში კლასთა ბრძოლის მეცნიერულ, მარქსისტულ ანალიზს, მუშათა კლასის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავებას მემამულეებისა და ცარიზმის წინააღმდეგ, შემდგომ კი სოციალისტური რევოლუციისათვის მისი ბრძოლის ორგანიზაციას. ამ ამოცანების გადაჭრის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნა, პარტიისა, რომელიც შეიარაღებული იქნებოდა მეცნიერული სოციალიზმის თეორიით, უნარი ექნებოდა აღეზარდა მუშათა კლასი რევოლუციური სულისკვეთებით, ფეხზე დააყენებდა მას ცარიზმის დამხობისა და ბატონყმური გადმონაშთების, ხოლო შემდგომ კაპიტალიზმის განადგურებისათვის. საბრძოლველად, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლველად. მხოლოდ ნაროდნიკების შეხედულებათა იდეურად გაცამტვერებით შეიძლებოდა ნიადაგის გაწმენდა მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნისათვის [1].

90-ან წლებში ქართველ მარქსისტთა პირველი თაობა ბრძოლას აწარმოებდა ნაროდნიკების წინააღმდეგ, გაანადგურა ანტიმარქსისტული მიმდინარეობანი, პირველყოვლისა, მცდარი და რევოლუციის საქმისათვის მავნე შეხედულებანი; ამ თაობამ ნიადაგი გაწმინდა რევოლუციური სოციალდემოკრატიზმის გზაზე გამათავისუფლებელი მოძრაობის გადაყვანისა და მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნისათვის.

90-ანი წლების ანტიმარქსისტულ მიმართულებათა წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ჩერნიშევსკის რევოლუციონერთა სკოლიდან გამოსული ეგნატე ნინოშვილი. შემთხვევითი როდია, რომ ხალხი და ლიტერატურული კრიტიკა მას ხალხის ფიქრთა მესაიდუმლეს, ხალხის ცხოვრების დიდ მცოდნეს უწოდებს. მართლაც, მისი მხატვრული ნაწარმოებები იშვიათი სიმართლით ასახავენ ხალხის, განსაკუთრებით რეფორმისშემდგომი პერიოდის მშრომელი გლეხობის ცხოვრებას. გამსჭვალულია ხალხის მტრებისადმი გულისწყრომით, ისტორიის ბნელი ძალებისა და ყოველი ჯურის ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელებისადმი სიძულვილით. ეგნატე

---

1 საკავშირო კ.პ.(ბ) ისტორია მოკლე კურსი, გვ. 31,

ნინოშვილის მაღალმხატვრული ბელეტრისტული ნაწარმოებები უდიდეს როლს ასრულებდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ამხედრების საქმეში. ეს ნაწარმოებები, ამხილებდნენ რა ექსპლოატატორთა და ხალხის დამმონებელთა ბნელ საქმეებს, იწვევდნენ აღშფოთებასა და სიძულვილს მტრებისადმი და უნერგავდნენ ხალხს იმის შეგნებას, რომ დუხჭირი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი თვით ხალხის რევოლუციური ბრძოლაა. ეგნატე ნინოშვილის ბელეტრისტიკა, მისი პუბლიცისტური სტატიები, კერძო წერილები და მემუარული ლიტერატურა მეტყველებენ იმას, რომ მწერალი იყო მგზნებარე რევოლუციონერი, რომელიც ეძებდა მემამულეების, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ხალხის რევოლუციური ბრძოლის სწორ გზებს.

პოულობდა რა პასუხს რევოლუციური მოძრაობის მწვავე საკითხებზე, ეცნობოდა რა მარქსიზმს, ე. ნინოშვილი რწმუნდებოდა იმაში, რომ ერთადერთი მართებული რევოლუციური თეორია, რომელიც ხალხს უჩვენებს სწორ გზას თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ეს არის მარქსიზმი, დიადი პროლეტარული იდეოლოგია, გამომუშავებული პროლეტარიატის ბელადების — მარქსისა და ენგელსის მიერ. და ეგნატე ნინოშვილმა მართებულად გაიგო ის ძირითადი ამოცანა, რომელიც იდგა ქართველი რევოლუციური ინტელიგენციის წინაშე. ეს იყო მარქსიზმის პროპაგანდა მუშათა კლასში, მისი ბრძოლის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. გაიგო რა ეს, მან დაასკვნა, რომ მწერლის საქმიანობა კი არ უნდა იყოს წამყვანი მის მოღვაწეობაში, არამედ რევოლუციური მოღვაწეობა, ე. ი. მარქსიზმის პროპაგანდა მუშათა კლასში და მისი ბრძოლის ორგანიზაცია. იგი შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას მისთვის დამახასიათებელი მონდომებითა და ენერგიით. მაგრამ, სამწუხაროდ, [illegible] სიკვდილმა შესაძლებლობა [illegible] მას მთელი ძალით ფრთები გაეშალა ამ სარბიელზე.

მარქსიზმის ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ნინოშვილის გადაწყვეტილებას — მხატვრის კალამი შეცვალა მარქსისტ — პუბლიცისტის კალმით — ხსნის იდეალისტურად, თითქოს ნინოშვილი არ იყო „მხატვარი", მას ჰქონდა „პუბლიცისტის" ნიჭი. ეს ისტორიკოსები ნებსით თუ უნებლიეთ ეშვებიან ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის პოზიციებზე.

ლიტერატურული კრიტიკოსი ვ. გოლცევი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ქართული ლიტერატურის ისტორია ე. ნინოშვილს ლეგალური მარქსიზმის წარმომადგენლად თვლის.

განიხილავს რა ნინოშვილის მოთხრობას „კაცია და გუნება" (1891.), ვ. გოლცევი წერს: „აქ ჩვენ ვპოულობთ რევოლუციური ბრძოლის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ზოგიერთ ნიშანს. მაგრამ მოთხრობის ძირითადი თემა მაინც გლეხობის ბრძოლა კი არ არის, არამედ პასივობა, მათი გამბედაობისა და კლასობრივი სოლიდარობის უქონლობა. ეს დამახასიათებელია ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებისათვის... ეს გარემოება შემთხვევითი როდია... მესამე დასელთა უმეტესობას არასოდეს არ დაჰყავდა კლასთა ბრძოლის იდეა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის რევოლუციურ მარქსისტულ გაგებამდე. ნინოშვილი მესამედასელი იყო..."[1]

ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ვ. გოლცევის ამ მტკიცებას. ვ. გოლცევი ნინოშვილს ახასიათებს როგორც ლეგალურ მარქსისტს. მაგრამ ფაქტები უარყოფენ ნინოშვილის საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობის ასეთ გაგებას. თვით მწერლის ბიოგრაფია ლაპარაკობს იმას, რომ იგი იყო რევოლუცი-

[1] В. Гольцев. Грузинские писатели девятнадцатого века, გვ. 161.

ონერი და არა რეფორმისტი — ლეგალური მარქსისტი. მართალია, ნინოშვილი ერთბაშად არ გამხდარა მარქსისტი, ის მიდიოდა რევოლუციური დემოკრატიზმიდან რევოლუციურ მარქსიზმამდე, მაგრამ ის რომ რევოლუციონერი მარქსიზმის გზაზე დადგა, ამას პირდაპირ ლაპარაკობს როგორც მისი პრაქტიკული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ისე მისი ლიტერატურული და მეცნიერული მემკვიდრეობა. არც ერთ მის თანამედროვეს, რომელსაც მისი სიკვდილის შემდეგ მასზე რაიმე დაუწერია და მასთან ერთად მონაწილეობა მიუღია რევოლუციურ მოძრაობაში, ნართაულადაც კი არ უთქვამს, თითქოს ნინოშვილს ჰქონდა რაიმე შემთანხმებლურ-შემრიგებლური ტენდენციები, და თვით მისი ცხოვრებაც წარმოადგენდა არა პასიურობას, არამედ ხასიათდებოდა შეურიგებელი ბრძოლით უსამართლობის წინააღმდეგ. ეგნატე ნინოშვილი ახალგაზრდობის წლებიდანვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ექსპლოატატორული ურთიერთობები და მეფის დესპოტიზმი შეიძლებოდა მოსპობილიყო სახალხო რევოლუციის გზით, მაგრამ თავდაპირველად მას რევოლუცია წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გლეხური რევოლუცია მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, და წინააღმდეგი იყო ცალკეული ბუნტარული გამოსვლებისა, იცოდა რა, რომ ცარიზმის დამხობა სერიოზული საქმე იყო, რომ საჭიროა მილიონების ჩაბმა რევოლუციურ ბრძოლაში მეფის დესპოტიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ. ეს შეხედულება ნათლად არის გატარებული მის ცნობილ ისტორიულ რომანში — „ჯანყი გურიაში". მაგრამ, თვალყურს ადევნებდა რა 90-ანი წლების საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას, ასევე უკრაინის ამბებს, ნინოშვილს არ შეეძლო არ შეემჩნია მუშათა კლასის წარმოშობა, არ ეფიქრა ამ ახალი „უღარიბესი" კლასის, პროლეტარიატის, წარმოების კაპიტალისტური წესის თანამგზავრის როლზე ისტორიაში, კლასისა, რომლის ცხოვრება პირადად განიცადა და კარგად იცოდა ნინოშვილმა. ის ხომ მუშაობდა შავ მუშად და იგემა პროლეტარიატის დუხჭირი ცხოვრების ყველა სიმწარე ბათუმის ქარხნებში. თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მწერალი ატარებდა იმ აზრს, რომ კლასობრივი ბრძოლა ფაქტია და წარმოადგენს ისტორიის მამოძრავებელ ძალას. საქართველოში მუშათა კლასის გამოჩენამ, საფრანგეთის მუშათა კლასის მოძრაობის გაცნობამ და მარქსიზმის შესწავლამ ე. ნინოშვილი გადააქცია რევოლუციონერად, რომელსაც ესმოდა მუშათა კლასის რევოლუციონურობა. მისი ისტორიული მისია, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა, განსაკუთრებით, ჩერნიშევსკის შეხედულებათა ზეგავლენით. ეს ჩანს გიორგი წერეთლისადმი 1893 წელს მიწერილ წერილშიც, რომელიც არ დაბეჭდილა და რომელიც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს [1]. ნინოშვილი 1893 წელს აღნიშნავდა, რომ მისი მსოფლმხედველობა მარქსიზმია, ნინოშვილი აცხადებდა, რომ „კაცობრიობის ცხოვრება ისე არ გაუმჯობესდება, თუ არსებულ პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ყოფაში ძირითადი ცვლილება არ მოხდა". [2]

თუ წინათ ნინოშვილი ფიქრობდა, რომ ამის განხორციელება შეიძლებოდა გლეხური რევოლუციის გზით — რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის მეთაურობით, უფრო გვიან მან ამის პასუხი ჰპოვა მარქსიზმში. ის აღიარებდა, რომ ძველ თაობას, ნაროდნიკების თაობას, უნარი არ შესწევთ დადგეს ახალ ერთადერთ სწორ თვალსაზრისზე, მუ-

[1] ეგ. ნინოშვილი, თხზ. 1935 წ. ტ. 3 გვ. 111 — 112.

[2] იქვე, გვ. 59

მათა რევოლუციური მოძრაობის სწორი ორგანიზაციის მიზნით უნდა განადგურდეს ნაროდნიკული იდეოლოგია, მხილებული და გამოაშკარავებული იქნენ ლიბერალები, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც არა ხალხის, არამედ ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენო. საჭირო იყო მარქსიზმის პროპაგანდა, მისი გამოყენება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გასაშუქებლად. „ის თაობა, — წერს ნინოშვილი, — რომელსაც მოხუცებამდე ჭეშმარიტად მიაჩნდა მალტუსის, სეის, შარტიას და სხვა მისთანათა პოლიტიკო-ეკონომების მოძღვრება, რა თქმა უნდა, მოხუცების დროს ვეღარ შეითვისებდა კარლ მარქსის საპოლიტიკო-ეკონომიურ მოძღვრებას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებაში“ [1] მაშასადამე, საჭირო იყო მათი განადგურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ნინოშვილის, როგორც მარქსისტის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ მარქს-ენგელსის ნაწარმოებთა რუსული თარგმანები და პლეხანოვის ნაშრომები, რომლებიც მიმართული იყო ნაროდნიკების წინააღმდეგ („სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და „ჩვენი უთანხმოებანი“). ამ ნაწარმოებებს ის 1889 წელს სწავლობდა.

მარქსიზმის ღრმა შესწავლამდე და აღიარებამდეც ნინოშვილი კლასობრივ ბრძოლას ისტორიის მამოძრავებელ ძალად თვლიდა. თავის მხატვრულ ნაწარმოებებში კლასობრივი ბრძოლის იდეას ის თანმიმდევრულად და თვალნათლივ ატარებდა, და არ არის მისი თანამედროვე სხვა მწერალი, რომელსაც ასე დასაბუთებლად ეჩვენებინა, რომ საქართველოს ისტორია წარსულშიც და ახლაც წარმოადგენდა მწვავე, ულმობელ და სამკვდრო-სასიცოცხლო კლასობრივ ბრძოლას ჩაგრულთა და ჩაგვრელთა შორის.

ხალხის ცხოვრების ღრმა მცოდნე ნინოშვილი მხატვრული ფორმით ამხილებდა ლიბერალურ-მემამულურ მითს, იმ განსაკუთრებული კლასობრივი მშვიდობის შესახებ, რომელიც თითქოს ახასიათებდა ფეოდალურ საქართველოს, და საერთოდ ძველი საქართველოს მთელ წარსულ სოციალურ ურთიერთობებს. თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ე. ნინოშვილმა გვიჩვენა, რომ არავითარი მშვიდობა არ ყოფილა კლასებს შორის წარსულში და სულელური ილუზია, იმედს კლასების მშვიდობიან თანაარსებობაზე ვამყარებდეთო. ე. ნინოშვილმა გვიჩვენა არა მარტო ანტაგონიზმი მემამულეებსა და გლეხებს შორის, არამედ რთული ხლართიც ექსპლოატატორული ურთიერთობებისა, რომლებიც საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით აღმოცენდა. მან გვიჩვენა გლეხობის დიფერენციაცია, გვიჩვენა, რომ გლეხების ექსპლოატატორები და მჩაგვრელები იყვნენ არა მარტო მემამულეები და მეფის მოხელეები, რომლებიც იცავდნენ პრივილეგირებულ კლასთა ინტერესებს, არამედ გლეხური და სასაქონლო მეურნეობის დაშლის ნიადაგზე აღმოცენებული სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიაც, სოფლის მემამულეებიც, მევახშეები და ვაჭრებიც. მან დამაჯერებლად დაამტკიცა და თავისი მხატვრული ნაწარმოებების ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა — უამრავი ფაქტებითა და მოვლენებით ეჩვენებინა, რომ უფსკრული მემამულეთა და გლეხთა შორის, სოფლის ღარიბთა და ბურჟუაზიას შორის, ასევე ქალაქის მუშასა და ქალაქის ბურჟუას შორის, სულ უფროდაუფრო ღრმავდებოდა, რომ ეს უფსკრული სავსებით გაუვალი იყო. მისი ბელეტრისტული ნაწარმოებებიდან მოჰქრის კლასობრივი ბრძოლის ნიავ-

[1] ეგ. ნინოშვილი, თხზ., ტ. 3. გვ. 50.

ქარი, ის მტკიცე რწმენით დგას კლასობრივი ბრძოლის პოზიციაზე და მისი ნაწარმოებები არწმუნებენ მკითხველს, რომ ერთი გზით სიარული არ შეუძლიათ მდიდარსა და ღარიბს, მჩაგვრელსა და ჩაგრულს, ბათუმელ პროლეტარს და როტშილდის კაპიტალისტს, მშრომელ გლეხს სიმონ ძალაძეს და მდიდარ ბობოლას დავით დროიძეს, ღარიბ გლეხს ბესიას, გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელს და აზნაურ ივანეს. ამრიგად, მემამულური და ბურჟუაზიული ლიბერალების მსგავსად, მესამედასელი ლეგალური მარქსისტების მსგავსად, კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩებისაკენ კი არა, არამედ მისი გამოაშკარავებისა და გამწვავებისაკენ იყო მიმართული ნინოშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-ორგანიზაციული მოღვაწეობა.

ე. ნინოშვილისთვის უცხო იყო ნაციონალიზმი, მას მშვენივრად ესმოდა, რომ ნაციონალიზმი აფერხებდა ხალხის რევოლუციურ მოძრაობას, აქუცმაცებდა და აუძლურებდა მას, ართმევდა გამანადგურებელი დარტყმის ძალას. ნინოშვილს ახალგაზრდობის წლებიდანვე კარგად ესმოდა, რომ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდებოდა წარმატებით, თუ ეს ბრძოლა დაკავშირებული იქნებოდა დიდი რუსი ხალხის ბრძოლასთან ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა განადგურება მას პირველი რიგის რევოლუციურ ამოცანად მიაჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნინოშვილი არასოდეს არ ყოფილა სახალხო აჯანყების საკითხებში ანარქისტულ და ბაკუნისტურ შეხედულებათა გავლენის ქვეშ. ეს კარგად ჩანს იმავე ნაწარმოებიდან—„ჯანყი გურიაში“, სადაც ნაწილობრივ ერთ-ერთი მთავარი გმირის — გიორგის პირით გადმოცემულია ეგნატე ნინოშვილის 1888-1889 წლების პოლიტიკური შეხედულებები. ძვირფასია ამ შეხედულებებში ის, რომ ნინოშვილი გაფრთხილებას იძლეოდა — აჯანყებასთან თამაში არ შეიძლება, ხალხის აჯანყება, პირველყოვლისა დაქსაქსული არ უნდა იყოს, ყოველთვის არ უნდა მივმართავდეთ აჯანყებას, აჯანყების წარმატებისათვის საჭიროა ობიექტური წინამძღვრები, იგი შეიძლება მოვაწყოთ მაშინ, როცა ისტორიული ვითარება უზრუნველყოფს აჯანყების წარმატებას; აჯანყება არ უნდა ატარებდეს სტიქიურ ხასიათს, მას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, აჯანყება უნდა მომზადდეს ისე, რომ ზუსტად გათვალისწინებული იქნეს მისი მიზნები და ამოცანები, უზრუნველყოფილი იქნეს იგი იარაღით, თოფის წამლით, ფულით და ჯარის თანაგრძნობით.

ე. ნინოშვილი მიხა ცხაკაიასთან ერთად ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორია მარქსისტული წრეებისა 1891 წლიდან. ამ პერიოდიდან მწერალი ცდილობდა მარქსიზმისაკენ შემოებრუნებინა ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, იგი ერთ-ერთი პირველი დამაარსებელია მარქსისტული ორგანიზაციისა—„მესამე დასისა“. ნინოშვილი ძიების ადამიანია, არაჩვეულებრივად ნიჭიერი და ერთგული თავისი რევოლუციური საქმისა. თავისი სიცოცხლის დამლევს იგი ძირითად ამოცანად ისახავდა — ებრძოლნა ნაროდნიკობის განადგურებისათვის, ემხილებინა ბურჟუაზიული ლიბერალები, ეწარმოებინა მარქსიზმის პროპაგანდა ინტელიგენციაში და მუშათა შორის. ნაროდნიკებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლების წინააღმდეგ არის მიმართული მისი პუბლისტური სტატიები.

თავის პუბლიცისტურ სტატიებსა და კერძო მიწერ-მოწერაში [1]. ნინოშვილი ილაშქრებს ნაროდნიკების რეფორმის-

[2] ეგ. ნინოშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 98, 99, 116.

ტული ტაქტიკის წინააღმდეგ, ლიბერალური ნაროდნიკობის თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ. კავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებას ნინოშვილი თვალსაჩინო ფაქტად თვლის, ხოლო 1891 წელს სტატიაში „წერილი დაღესტნიდან“, ანალიზს უკეთებს რა დაღესტანში კაპიტალისტური განვითარების წარმოშობილ ზოგიერთ წინააღმდეგობას [1] და გამოდის კაპიტალიზმის განვითარების შეუძლებლობის ნაროდნიკული თეორიის წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ საქართველო დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და არავითარ ძალას არ შეუძლია ისტორია უკან შემოაბრუნოსო, რომ ნაროდნიკების მისწრაფება — შეაფერხონ კაპიტალიზმის განვითარება—აუხდენელი ოცნება არისო. ის წერდა: „კაპიტალიზმი... ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდევ ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება“ [2].

პუბლიცისტური სტატიებიდან ჩანს, რომ ე. ნინოშვილი შორს იდგა ქართველი ლიბერალური ნაროდნიკების სუბიექტური სოციოლოგიისაგან, მისთვის ქვეყნის ეკონომიური განვითარება ობიექტური, კანონზომიერი ისტორიული პროცესია, რომელიც სრულიადაც არ იფარგლება ინტელიგენციის, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების სურვილით. ნინოშვილს სწამს, რომ კაპიტალიზმი რეგრესი არ არის, იგი ჰქმნის საჭირო ისტორიულ წანამძღვრებს, მატერიალურ პირობებს და რეალურ საზოგადოებრივ ძალას სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ახასიათებს რა ლიბერალურ ნაროდნიკებს, როგორც წვრილმანი საქმის ადამიანებს, წვრილმან რეფორმისტებს და უტოპისტებს, ე. ნინოშვილი აღნიშნავს, რომ მათ ხელი აიღეს 60-ანი წლების რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის დიად რევოლუციურ პრინციპებზე, დემოკრატიისა, რომელსაც ჩერნიშევსკი მეთაურობდა, და ეს წვრილმანი საქმის ადამიანები ბრალს სდებდნენ 60-ან წლების დიდ ადამიანებს იმაში, რომ ისინი იდეალისტები იყვნენ და ძლიერ მაღლა დაფრინავდნენ [1].

აკრიტიკებს რა დ. მაჩხანელისა და სხვათა ნაროდნიკულ პროგრამებს, ე. ნინოშვილი აღნიშნავს, რომ ამ პროგრამების განხორციელებას არ შეუძლია რაიმე შესცვალოს მშრომელი კლასების მდგომარეობაში, პროლეტარიატის მდგომარეობაში, პროგრესული ქართველი ინტელიგენცია უნდა განთავისუფლდეს ნაროდნიკული თეორიებისაგან და ყური უნდა მიუგდოს მოწინავე „ევროპულ თეორიას“ (იგულისხმება მარქსიზმი), მან უნდა იცოდეს, თუ რა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებებია საჭირო ექსპლოატირებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ე. ნინოშვილმა დაამსხვრია ბურჟუაზიული ლიბერალების თეორია, რომელიც გულისხმობდა, რომ სწორედ კაპიტალიზმის განვითარება არის უებარი საშუალება მშრომელი ხალხის გამდიდრებისათვის. ე. ნინოშვილმა გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიული ლიბერალების პრაქტიკული პროგრამა მიმართული იყო ბურჟუაზიის განმტკიცებისა და ზრდისაკენ, რომ სწორედ კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იქნებოდა სიმდიდრის დაგროვება ბურჟუაზიის ხელში, ხალხის სიღატაკე და უბედურება. ე. ნინოშვილმა გვიჩვენა ბურჟუაზიული ლიბერალების მტკიცების სიყალბე, თითქოს კაპიტალიზმი იყოს უებარი საშუალება ხალხის გამდიდრებისათვის.

თავის პუბლიცისტურ სტატიებში ნინოშვილმა ამხილა არა მარტო ქართველი ბურჟუაზიული მოაზროვნეები, არა-

[1] იქვე, გვ. 35 — 40.

2. ეგ. ნინოშვილი, „ძველი დავა ახალ ქერქში“ ტ. 3, გვ. 57.

[1] ეგ. ნინოშვილი, თხზ. ტ. 3. გვ. 52.

მედ მან მართებულად გამოიცნო იმ ზოგიერთი ევროპელი სოციოლოგიისა და ეკონომისტის მოძღვრების ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური ხასიათი, რომელთაც ქართველი თანამოძმეები — ბურჟუაზიული ლიბერალები ქება-დიდებას ასხამდნენ. აკრიტიკებდა რა ჰერბერტ სპენსერის სოციოლოგიას, ნინოშვილმა ახსნა სპენსერის სოციოლოგიური თეორიის, ეგრეთწოდებული საზოგადოების ორგანული თეორიის, ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური ხასიათი. ნინოშვილი აღნიშნავდა, რომ სპენსერის თეორიით, კაპიტალიზმი საუკეთესო სამყაროა, და საჭირო არ არის მასში რაიმე ცვლილების შეტანაო.

არა მალტუსის, სეისა და ბასტიის პოლიტიკური ეკონომია, არამედ მარქსის პოლიტიკურ-ეკონომიური მოძღვრება, რომელმაც გადატრიალება მოახდინა პოლიტიკურ ეკონომიაში, უნდა გახდეს ქართველი პროგრესული ინტელიგენციის დროშაო, აღნიშნავდა ე. ნინოშვილი. უნდა ითქვას, რომ ე. ნინოშვილის მარქსისტული შეხედულებები ყალიბდებოდა პლეხანოვის[1] პირველი მარქსისტული ნაშრომების გავლენით, ნაშრომებისა, რომლებიც მიმართული იყო ნაროდნიკების წინააღმდეგ, და აშკარად ატარებდა ამ ნაშრომების სუსტი მხარეების კვალს.

თავის პუბლიცისტურ სტატიებში ე. ნინოშვილმა გააზვიადა ინტელიგენციის შეგნებული ელემენტის როლი რევოლუციურ მოძრაობაში. ნინოშვილი წერს: „განათლებული ნაწილი ჩვენი ერისა იმაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, თუ როგორ ამოთხაროს ჩვენი ქვეყნის ნიადაგიდან ოქრო-ვერცხლი რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად, არამედ იმაზედ, რომ შექმნას ისეთი საპოლიტიკო-სოციალურ-ეკონომიური წესწყობილება, რომ ერის ყოველ ნაწილს გამოუცალებლივ და თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად გაუმჯობესება“[2].

მაგრამ, მეორე მხრივ, ე. ნინოშვილი მიუთითებდა ქართველ ინტელიგენციას, რომ დარჩეს ხალხის მეგობრად, გამოხატავდეს და იცავდეს ხალხის ინტერესებს, კაპიტალის მსახურის როლში კი არ უნდა გამოდიოდეს, კაპიტალისტური წარმოების „ორგანიზატორი“ და შეკვეცილი ნაროდნიკული რეფორმებისათვის მებრძოლი კი არ უნდა იყოს, არამედ ის უნდა გახდეს რევოლუციური და სოციალისტური ინტელიგენცია.

ე. ნინოშვილი მტერი იყო ნაციონალიზმისა რევოლუციურ მოძრაობაში, მტერი იყო მისი შეზღუდვისა „ნაციონალური საკითხით; იგი იბრძოდა გ. წერეთლისა და ნ. ჟორდანიას „ნაციონალურ სოციალიზმის“ წინააღმდეგ. საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ამოცანად იგი პირველ რიგში აყენებდა სოციალური საკითხის გადაწყვეტას, სოციალიზმის გამარჯვებას, რაც ნაციონალური ჩაგვრის მოსპობას მოასწავებდა. როგორც ჩანს, გიორგი წერეთელთან, „კვალის“ მაშინდელ რედაქტორთან, მიწერ-მოწერიდან, მისი სტატიის („ძველია თუ ახალი“) გამოქვეყნების გამო, ნინოშვილი საქართველოს სოციალურ-რევოლუციურ მოძრაობას განიხილავდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად. მას სოციალიზმის გამარჯვება ვერ წარმოედგინა მთელი კაცობრიობის მშრომელთა ინტერნაციონალური ბრძოლის გარეშე. არა ნაციონალურ ზღუდეებს, არამედ მშრომელთა ინტერნაციონალურ, ძმურ გაერთიანებას მჩაგვრელთა წინააღმდეგ თვლიდა იგი სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორულ ურთიერთობათა ლიკვიდაციის საწინდრად. იმ ინტერნაციონალისტური პო-

[1] ცნობილია აგრეთვე, რომ ნინოშვილი ახლო იყო გორკისთან თბილისში. მან დაინახა გორკიში მწერლის ბრწყინვალე ტალანტი და დიდი მომავალიც აღუთქვა მას.

[2] ეგ. ნინოშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 57 — 58 (1935 წლის გამოცემა).

ზიციების გამო, რომლებსაც იცავდა იგი ამ სტატიაში, ასევე იმ მოთხოვნილების გამო, რომ მომხდარიყო რუს ხალხთან გაერთიანება რევოლუციურ ბრძოლაში და წინ წამოწეულიყო „სოციალური“ საკითხები, როგორც მოძრაობის მთავარი საკითხი, ეს სტატია არ იქნება დაბეჭდილი „კვალში“ მისი რედაქტორის მიერ. ეს თვალნათლივ მტკიცდება გ. წერეთლის კერძო წერილით ე. ნინოშვილისადმი [1].

ე. ნინოშვილმა თავისი პირველი სტატიით გაილაშქრა უმთავრესად ნაროდნიკების წინააღმდეგ, ხოლო მეორე სტატია მიმართა ბურჟუაზიული ლიბერალების წინააღმდეგ („უებარი საშუალება საქაროველოს გამდიდრებისათვის“). მესამე სტატიის სათაურია: „ძველი თუ ახალი“. პირველი სტატიის ძირითადი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ არც ნაროდნიკული და არც ბურჟუაზიული თეორიები არ შეიძლებოდა ყოფილიყო რევოლუციური მოძრაობის დროშა. მარქსიზმი უნდა ყოფილიყო დროშა რევოლუციური ძალებისა სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ნინოშვილის აზრით, მხოლოდ მარქსიზმს შეეძლო ეჩვენებინა სწორი გზა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის; მის შესწავლას და საქართველოს სინამდვილის შესაბამისად გამოყენებას, მის ფართო პროპაგანდას აყენებდა იგი ქართველი რევოლუციური ინტელიგენციის უპირველეს ამოცანად. მეორე სტატიის ძირითადი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტური წყობილება ხალხის საწინააღმდეგო, ექსპლოატატორული წყობილებაა, რომელიც მშრომელ ადამიანს აქცევს კაპიტალისტების დაქირავებულ მონად პირველთა გამდიდრების გულისთვის. კაპიტალისტური წარმოების „ორგანიზაცია“ კი არ უნდა ყოფილიყო რევოლუციონერის ამოცანა, არამედ დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაციას თვლიდა ე. ნინოშვილი უპირველეს ამოცანად.

საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ზოგიერთი მკვლევარი ბრალს სდებდა ნინოშვილს, თითქოს იგი არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული მარქსისტი. ამაში ხედავენ ისინი მის სისუსტეს ნინოშვილმა სამწუხაროდ, ვერ მოასწრო გამხდარიყო დასრულებული მარქსისტი იმიტომ, რომ მეტად ადრე შეწყდა მისი გმირული, ვაჟკაცური სიცოცხლე. მაგრამ ყველა მონაცემი მეტყველებს იმას, რომ ნინოშვილი რევოლუციური მარქსიზმის გზით მიდიოდა.

ე. ნინოშვილის ისტორიული დამსახურებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის აბრუნებდა საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებას მარქსიზმისაკენ, რომ იგი არ სცნობდა ნაროდნიკულ მოძრაობას და ნაროდნიკულ იდეოლოგიას. აღიარებდა რა ფაქტად საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას, ე. ნინოშვილი სოციალიზმის ბედს უკავშირებდა მუშათა კლასს და რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ბრძოლის ერთიანობაში ხედავდა ცარიზმზე და ბურჟუაზიაზე გამარჯვების წინადარს. საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციას, მის განვითარებას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან, ნაროდნიკული და ბურჟუაზიულ-ლიბერალური თეორიების განადგურებას, მეცნიერული სოციალიზმით, ნამდვილი რევოლუციური თეორიით რევოლუციური მოძრაობის შეიარაღებას თვლიდა ე. ნინოშვილი უპირველეს ამოცანებად, და ამ ამოცანების განხორციელებისათვის მან პირველი ნაბიჯები გადადგა საქართველოში.

[1] ეგ. ნინოშვილი, თხზ. ტ. 3, გვ. 156, 157, და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. ქუმსიშვილი, თ. კუკავა

სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“

★

სოლომონ დოდაშვილი იონა ხელაშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იტყობინება, რომ მან დაწერა „რიტორიკა“. ეს წერილი დათარიღებულია 1828 წლის 21 სექტემბრით და მასში მოცემულია მისი ახალი ნაშრომის საკმაოდ დაწვრილებითი შინაარსი:

„...ქართული რიტორიკა სრულვჰყავ ქართულსა ენასა ზედა და ვჰსთარგმნი რუსულად.[1]

სისტემა მისი არს შემდგომი: შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება სიტყვერებისა, განყოფა მისი, განსაზღვრება რიტორიკისა, დამტკიცება, რომელ არს სწავლა და არა ჴელოვნება, განსხვაება ძველისა და ახლისა რიტორიკისა ანუ დასასრული საჴირონი თვსებანი ორატორისანი, შესაწევნელნი სწავლანი მისნი, გასხვაება რიტორიკისა და პიიტიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა ამასთან წინადადებათათვს, განვრცელებისათვს მათისა, პერიოდთა და ხრიათათვს.

2. პირველი ნაწილი რიტორიკისა — პოვნისათვს, მეორე ნაწილი განკარგვსათვს და მესამე გამოღებისა ანუ ფრაზისათვს, ესე იგი თვსებისათვს ფრაზისა, ტროპთა და ფიღურათათვს, რომელთათვს, რომელთა შინაცა იპყრობიან საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი.

3. საკუთარნი კანონნი სხვა და სხვათა თხზულებათანი: ავთრათთათვს, საუბრობათათვს, შესხმათათვს და სხვათა“.[2]

რომ სოლომონ დოდაშვილის მიერ ნამდვილად იყო დაწერილი რიტორიკა, ამას მოწმობს იონა ხელაშვილისადმი მიწერილი მეორე წერილიც, დათარიღებული 1829 წლის 28 დეკემბრით, სადაც სოლომონ დოდაშვილი თავის სხვა ნაშრომებთან ერთად ასახელებს „რიტორიკასაც“ და ამბობს: „სრულვყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა“[3].

[1] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ზ. ჭიჭინაძე ამტკიცებდა, თითქოს სოლომონ დოდაშვილმა რიტორიკა რუსულიდან თარგმნაო. ჩვენ მიერ მოტანილი ამონაწერი სოლომონ დოდაშვილის წერილიდან კი აბათილებს ამ აზრს. „რიტორიკა“ რუსულიდან რომ ყოფილიყო თარგმნილი, მას ხელმეორედ რუსულად თარგმნა აღარ დასჭირდებოდა.

[2] იხ. საქ. სახ. მუზეუმის H 2226 ხელნაწერის გვ. 277.

[3] იქვე, გვ. 234.

რომ სოლომონ დოდაშვილს დაწერილი უნდა ჰქონდეს „რიტორიკა“ და, ამავე დროს, ორიგინალური და არა ნათარგმნი, ამას აღასტურებს იონა ხელაშვილის წერილიც, მიწერილი სოლომონისადმი 1828 წლის 11 აპრილს. ამ წერილში იონა სოლომონს აძლევს რჩევა-დარიგებებს, თუ როგორი უნდა იყოს რიტორიკა:

„ეგრეთვე რიტორებისასა მომითხრობთ. უკეთუ ვთხზვიდე, მოვიხვამდი პეტრიწისა კლემექსსა. დაწყობილ სიტყუაობასა ანტონი კ-თ და ამირან დარეჯანიანსა ცნობად ძუ‍ძ‍ლისა თხზვსა და კავშირსა დიადოხოსისასა პლატონურისასა და დიდისა მეფე თეიმურაზისა თხზულსა პირისპირ ვეფხვის ტყაოსნისასა და სხუათა და სხუათა მონასტრებისა უკეთილესთა წიგნებთა და მტლისა მათისა აზმნობისა გამოვწნეხდი და ესრეთ სამნაწილედად შევადგენდი რიტორებასა მსგავსად ეისტეტიკისა და განვაწვალებდი სამ ხარისხ აღსავლობად. მაღლად გაგონება ფილასოფიისა, საშუალ გაგონება საღთო წერილისა და ღ-თის მეტყუ‍ძ‍ლებისა. დაბლად გაგონებად საერო წიგნებისა და დაბიო ენებისა და სტიხებისა და ლექსთა:

გარნა არათუ მხოლოდ სიტყუ‍ტ‍ბთა და ფიგურებ-მუკლებთა დავტკრთავდი, არამედ თითოეულთა ლექსთა ძიროვანთა ესრეთ აღვავსებდი, ვითორცა ბროწეული მრავლად ბევრეულისა მარცვლებითა. ხოლო მშრალთა ლექსთა და განბერილთა. სიტყუათა გარეგან ენამჭევრობითა და ფერადეულთა მოვსპობდი და ვიხმევდი სიბრძნისა არნადსა, ნიჩაფთა, ცხრილთა, ტაბაკთა, საცერთა და უფროსღა სამტკიცეთა. ხოლო ბერძნულთა და ლათინურთა ხრიათა, ფიგურათა და ეგეევითართა დაბალთა ცნობათა გარე მუნვე აშიასა ზედა მიუწერდი...“[1]

თუმცა ამ წერილების მიხედვით ცნობილი იყო, რომ სოლომონ დოდაშვილს დაწერილი ჰქონდა „რიტორიკა“, მაგრამ იგი აქამდე ნაპოვნი არ იყო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში წავაწყდით S—5205 ხელნაწერს, რომელიც დასათაურებულია, როგორც „რიტორიკა“ და აქვს 1829 წლის ჰვირ-

[1] იხ. საქ. სახ. მუზეუმის H 2226 ხელნაწერის გვ. 246

ნიშანი, მაგრამ არა აქვს არც ავტორისა და არც გადამწერის ხელმოწერა. აღნიშნული ხელნაწერის შედარებამ იმ გეგმასთან, რომელიც მოტანილი აქვს სოლომონ დოდაშვილს 1828 წლის სექტემბერში იონასადმი მიწერილ წერილში, დაგვარწმუნა, რომ ეს გეგმა მთლიანად ემთხვევა ხელნაწერის შინაარსს.

ხელნაწერის შესავალ ნაწილში განხილულია იგივე საკითხები, რომლებიც არის წერილში მოცემული გეგმის „შეყვანილობაში“. განსხვავება მხოლოდ საკითხების თანმიმდევრობაშია. გეგმაში ნათქვამია: „შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება რიტორიკისა.“ ასევეა ხელნაწერშიც, სადაც შესავალში მართლაც მოცემულია რიტორიკის განსაზღვრება. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ადგილი აქვს გეგმაში მოცემული ერთი ფრაზის დამთხვევას ხელნაწერთან. გეგმაში ნათქვამია, „რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ჴელოვნება“. რაც ნიშნავს იმას, რომ რიტორიკა არის მეცნიერება და არა ხელოვნება. რიტორიკის ზუსტად იგივე განსაზღვრებაა ჩვენ მიერ ნაპოვნ ხელნაწერშიაც. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არც ერთ ხელნაწერში არ ვხვდებით რიტორიკის ასეთს გაგებას, გარდა s — 5205 ხელნაწერისა.

ორგანვე არის შემდეგი თავები:

„განსხტავება ძტ‍ᲚᲚისა და ახლისა რიტორიკისა“, „საგანი რიტორიკისა“, „შესაწევნელი სწავლანი რიტორიკისა“, „განსხტავება რიტორიკისა და პიიტიკისა“, „მოკლე ისტორია რიტორიკისა“, „განყოფა“, ე. ი. რიტორიკის შემადგენელი ნაწილების განხილვა; აგრეთვე ორგანვე არის საკითხი იმ სარგებლობის შესახებ, რაც რიტორიკას მოაქვს და სხვა.

ფრაზეოლოგიური და აზრობრივი დამთხვევა გეგმასთან გვაქვს აგრეთვე ხელნაწერ.ის ბოლო ნაწილში. როგორც გეგმაში, ისევე ხელნაწერშიც, ნათქვამია რომ რიტორკის პირველ ნაწილში განხილული იქნება ისეთი ზოგადი კანონები, რომელნიც ვრცელდებიან ყოველგვარ პროზაულ ნაწარმოებებზე. კერძოდ, გეგმის პირველი ნაწილის ბოლოში ნათქვამია, რომ ამ ნაწილში განხილულ იქნებიან „საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი“. ხელნაწერში აგრეთვე ვკითხულობთ, რომ აქ, ე. ი. პირველ ნაწილში, „გარდამოიცემიან კანონნი, რომელნიც განეფინებიან ყოველთა გტართა ზედა პროზაიკებრთა თხზულებათათა გამოურიცხტ‍ᲚᲚად“. ამავე დროს, ხელნაწერის ეს ნაწილი დასათაურებულია, როგორც „საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი“.

ზუსტად ემთხვევა „გეგმაში“ მოცემული პირველი ნაწილის საკითხები და მათი თანმიმდევრობა ხელნაწერის პირველ ანუ „ა ნაწილს“. ხელნაწერის ამ ნაწილში განხილულია საკითხები „პოვნისათჳს ჰაზრთა“. („ა განყოფილებაში“), „განკარგჳსათჳს“ („ბ განყოფილებაში“), და „გამოღებისათჳს ფრაზისა“ („გ განყოფილებაში“). გეგმაში ასეთივე თავებია დასახელებული: „პოვნისათჳს“, „განკარგჳსათჳს“, გამოღებისათჳს“.

ხელნაწერის პირველი ნაწილის ერთ-ერთ თავს ეწოდება „ტროპთათჳს“. დაახლოებით ასევეა გეგმაშიც: „ტროპთა და ფიღურათათჳს“. მაშასადამე, ხელნაწერში გამოტოვებულია „ფიგურათათჳს“, მაგრამ თვით ტექსტში განხილულია ტროპები და ფიგურები. მაგალითად, ტექსტში ვკითხულობთ: „ამისათჳს პროზა იგი იხმარებს საშუალობათა პოეზიისა... საშუალობანი ესენი არიან ტ‍ᲠᲝᲞᲘ და ᲤᲘᲒᲣᲠᲐᲜᲘ“.

რაც შეეხება „გეგმისა“ და ხელნაწერის მეორე ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი დაუმთავრებელია, სრულ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. „გეგმაში“ დასახელებულია „ავთრათნი“, „საუბარნი“ და „შესხმანი“., შემდეგ კი ნახმარია გამოთქმა „და სხტანი“; ე. ი. იგულისხმება, რომ ჩამოთვლა სრული არაა. მართლაც, ხელნაწერში დასახელებულია ეს სამი თავი „და სხტანის“ ნაცვლად კიდევ ოთხი სხვა თავი: „გ. მარტივნი აღწერანი, „დ. ისტორიულნი აღწერანი“ ე. „საქმითი ლექსთხზულებანი“ და ვ. „ჰსწავლითი თხზულებანი“.

გეგმის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ „აქ განიხილება საკუთარნი კანონნი სხტა და სხტათა თხზულებაფანი“. ხელნაწერშიც „რიტორიკის“ მეორე ნაწილი დასათაურებულია, როგორც „სხტა და სხტანი გტარნი პროზაიკებრთა თხზულებათანი“. ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს როგორც ფრაზეოლოგიურ, ისე აზრობლივ დამთხვევასთან.

ამრიგად, წერილში შემონახული გეგმისა და ხელნაწერის შინაარსის დამთხვევა თითქმის უდავოდ ხდის იმ მოსაზრებას, რომ s — 5205 ხელნაწერი დოდაშვილის „რიტორიკას“ წარმოადგენს.

ჩვენ მიერ აღმოჩენილი „რიტორიკის“ ხელნაწერის შედარება სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის მეორე ნაწილთან“ იძლევა საეჭველს დასკვნისათვის, რომ ეს ორი ნაწარმოები ერთი და იმავე პირის დაწერილია.

მაგალითად, „რიტორიკის“ შესავალ ნაწილში დოდაშვილი აცხადებს, რომ რიტორიკა არის „სწავლა“, ე. ი. მეცნიერება და არა ხელოვნება. რიტორიკა იმიტომ არის მეცნიერება, გვიხსნის სოლომონ დოდაშვილი, რომ იგი „იპყრობს თჳს შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა“. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ასეთი გაგება საერთოა „რიტორიკისა“ რა „ლოგიკის მეორე ნაწილისათჳს“, სადაც

ნათქვამია: Наука в обширном смысле есть систематическое изложение правил, систематическое познание“ [1].

დოდაშვილი „რიტორიკის“ შესავალში ამტკიცებს, რომ, საერთოდ, ხელოვნებას და, კერძოდ, ორატორულ ხელოვნებას აქვს თეორეტული და პრაქტიკული მიზანდასახულება. მისი თეორეტული მიზანდასახულება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს ასწავლოს ჭეშმარიტება, პრაქტიკული კი — ასწავლოს სიკეთის სიყვარული და მისკენ სწრაფვა. ამისათვის კი ხელოვანი იყენებს მშვენიერებას, რითაც იგი მოქმედებს ადამიანის „ესტეტიკებრთა ძალთა ზედა“. როგორც ჭეშმარიტების, ისე სიკეთის წვდომისათვის ადამიანს გააჩნია შესატყვისი სულიერი ძალები: „გულისხმისყოფითა, — ამბობს დოდაშვილი, — ეკუტეთების იგი ჭეშმარიტსა, ნებითა-კეთილსა გრძნობითა აღმკობილსა ანუ შუტენიერსა“.

აქ შეიძლება ერთი წერილის დამოწმება, რომელიც ემთხვევა „რიტორიკის“ ზემომოყვანილ ადგილს:

„ფილოსოფოსობა ჩოტეენი ყოვლისა საგნისათვს მდგომარეობს თეორიასა შინა პრაკტიკასა და ესტეტიკასა: პირველი არს ცნობა. მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება. კუალად იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს ჰსწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა“ [2].

აქაც, ისევე როგორც ზემომოყვანილ ადგილებში, ლაპარაკია ადამიანის ფსიქიკის სამ მხარეზე: გონებაზე, გულზე და ესთეტიკურ გრძნობაზე. ეს სამი მხარე ვლინდება ადამიანის თეორიულ შემეცნებაში, პრაქტიკულს მოქმედებაში და ესთეტიკური შეგრძნების უნარში.

ამ ადგილების თანხვდენაც „რიტორიკასთან“ ადასტურებს რომ ამ უკანასკნელის ავტორი უნდა იყოს სოლომონ დოდაშვილი.

ეს ადგილი ძალიან ჰგავს როგორც ფრაზეოლოგიურად, ისე აზრობლივად სოლომონის მიერ ეონასადმი მიწერილი კიდევ ერთ-ერთი წერილის შინაარსს, რომელიც დათარიღებული არ არის:

„ორატორი უმეტესად მიჰმართავს აღმკობილსა ანუ შტეენიერსა, ვინაადგან იგი უმეტესად მოქმედებს გრძნობასა ზედა და ყურადღებაცა მიჰმართავს განჰსჯითად. საზოგადოდ, ორატორი გულის ჴმისყოფითა (თეორეტიკებრ) ეკვეთების ჭეშმარიტსა, ნებითა (პრაკტიკებრ) კეთილსა, ხოლო გრძნობით (ესტეტიკებრ) ეკუტეთების აღმკობილსა ანუ შუტეენიერსა ხელოვნებასა“ [1].

[1] საქ. სახ. ც. ი. ა. ფონდი 1457, რვ. X, გვ. 1839.

[2] საქ. სახ. მუზეუმის H — 2226 ხელნაწ., ვ3. 153.

აღნიშნულ ადგილს წერილში მოსდევს შემდეგი:

„მხოლოობა ესე კანონთა განსაზღვრებითა და განყოფითა გარდაეფინების ყოველთა გრძნობითთა და გონებითთა თხზულებათა განმარტებითურთ და აღმოჩენით ანუ დამტკიცებით. გარდა ამათსა იქმნებიან საკუთარნი კანონნი თვთეულისა თხზულებისათვს. კერძოობითად. მაგ. ავთრათთათვს, ქებათათვს“.

ეს ადგილი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა „რიტორიკის“ ერთ-ერთ ადგილს, რომელსაც ეწოდება „განყოფა რიტორიკისა“:

„პირველსა ნაწილსა. შ-ა მისსა, ვითარცა თეორეტიკებრსა, გარდამოიცემიან კანონნი, რომელნიცა განეფინებიან ყოველთა გუართა პროზაიკებრთა თხზულებათათა გამოურიცხტეტლად. მეორესა ნაზრდსა შ-ა, ვთარცა პრაკტიკებრსა, განიხილტეტბიან თითოდ სხტა და სხტანი გუარნი პროზაიკებრთა თხზულებათანი“. ცნობილია, რომ ამ თხზულებათა სახეობებს შორის დასახელებულია „ავთრათნი, შესხმანი“ და სხვა.

მოტანილი ადგილების თანხვდენილობაც უდავოა.

როგორ წარმოგვიდგება სოლომონ დოდაშვილი აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით?

უპირველეს ყოვლისა, „რიტორიკის“ ავტორი გვევლინება უაღრესად განათლებულ ადამიანად. იგი რუსული ენის კარგი მცოდნეა, რაც ივ დროს იშვიათობას წარმოადგენდა. იგი იმდენად კარგი მცოდნეა ამ ენისა, რომ ხშირად ეძებს რუსული სიტყვის ეკვივალენტს ქართულად. მაგ., სიტყვას „изящное“ თარგმნის როგორც „აღმკობილს“, მაგრამ რადგანაც ეპვობს ქართული სიტყვის რუსულისადმი სრულ შესატყვისობაში, ამიტომ იქვე მიაწერს რუსულ სიტყვასაც. ასევე იქცევა იგი სიტყვა „красноречие“-ს თარგმნისას, რომელიც მას გადმოქართულებული აქვს, როგორც „მეევრმეთქტეობა“. ერთი სიტყვით, „რიტორიკის“ ავტორს რუსული კარგად ემარჯვება.

„რიტორიკის“ ავტორი ბერძნული ენის კარგი მცოდნეცაა. შესავალში, სხოლიოში იგი იძლევა სიტყვა რიტორიკის ეტიმოლოგიას: „რიტორიკა ჰსწარმოებს ბერძნულისა ლექსისაგან რ ე ო, რომელიც ჰნიშნავს ქართულად ვ მ ე ტ ყ უ ტ ლ ე ბ“ [1].

მხოლოდ ამ განსაზღვრებიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი კარგად ფლობს ბერძნულს. იგი ქართულ სიტყვას მოუნახავს ბერძნულ ძირს და შემდეგ მას ზუსტად თარგმნის ქართულად. „რეო“ პირველი პირის მხოლობითი

[1] საქ. სახ. ც. ისტ. არქივი, ფ. 1457, რვ. 10, გვ. 1839.

რიცხვის ფორმაა. ამავე პირსა და რიცხვში თარგმნა მან ეს ზმნა ქართულად.

ავტორი ფილოსოფიურადაც ღრმად განსწავლული პიროვნებაა. ეს აშკარად ეტყობა მთელი ხელნაწერის მანძილზე, რადგან მკითხველი გრძნობს, რომ ასე წერა და ასეთი განსაზღვრებების მოცემა მხოლოდ ფილოსოფიურად განათლებულ ადამიანს შეეძლო.

ამ განსაზღვრებიდან ცხადი ხდება, რომ მისი დამწერი ლოგიკის კარგი მცოდნეა, აქვს უნარი— მოგვცეს ამომწურავი, ზოგადი ფორმულირება, რაც ავტორის აზროვნების სიღრმეზე მიუთითებს.

სინეკდოხა ს. დოდაშვილს იმდენად სრულად აქვს განსაზღვრული, რომ მსგავსი განსაზღვრება თანამედროვე ლიტერატურით მცოდნეობაშიც კი არა გვაქვს.

ასევე ტროპისა და ტროპის სხვა სახეობათა განსაზღვრებაშიც დოდაშვილი ამეღავნებს საკითხის ღრმა ცოდნის უნარს, შეაქვს სიახლე.

ტროპს დოდაშვილი ასე განსაზღვრავს:

„ტროპი არს შეცვალება ერთისა ლექსისა მეორესა შ-ა ესეოდენვე გასაგონსა, გარნა უმეტეს გამოსათქმელსა“ ახალი ქართული ენით. „ტროპი არის ერთი სიტყვის მეორე ასეთივე მნიშვნელობის მქონე, მაგრამ აზრის უკეთესად გადმომცემი სიტყვით შეცვლა“.

აღნიშნული ხელნაწერი უდავოდ ღირსია ღრმად შესწავლისა, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არის იმედი, რომ შეიძლება აღმოჩნდეს „რიტორიკის“ სრული ხელნაწერიც. ჩვენ ძიერ მიგნებული ხელნაწერი აადვილებს ამ ძიებას. ყოველ შემთხვევაში, ეს ხელნაწერიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობასა და აზროვნებაზე და ნაწილობრივ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც არსებობს ამ მრავალმხრივ საინტერესო პიროვნების შესწავლის საქმეში.

რიტორიკა

რიტორიკა არს ჰსწავლა, რომელიცა იპყრობს თჳს შორის კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა მიცთომისათჳს შვენიერ სიტყუაობისა საზოგადოდ.

შვენიერ-სიტყუაობა არს გამოღება ჰაზრთა ან გრძნობათა ზეპირად ანუ ქარტასა ზედა მოკლედ ცხადად და შესაბამად სათქმელისა ანუ აღსაწერისა საგნისა.

(სხოლიო): რიტორიკა ჰსწარმოებს ბერძნულისა ლექსისაგან რ ე ო, რომელიც ჰნიშნავს ქართულად ვ მ ე ტ ყ უ ტ Ც ლ ე ბ.

წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაადან იგი იმპყრობს თჳს შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა. ხოლო ხელოვნებასა ᲥᲣᲪᲨᲘ იგულხმების მოყუანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთასა აღსრულებასა ანუ მოქმედებასა შინა. ესრეთითა ხატითა რიტორიკა განსხუავდების ორატორისაგან.

პირველი ესე იგი რიტორი გარდამოსცემს კანონთა, თუ ვითარ სათანადო არს გამოღებად ჰაზრთა თჳსთა შეძლებითისა ხატისა მიცდომისადმი ორატორებისა დასასრულისა; ხოლო მეორე მიემთხვევის დასასრულსა ამას ანუ გამოიღებს მჴევრ-მეთქᲪობითა (красноречиво).

საგანი ანუ დასასრული პროზისა საზოგადოდ არს მიცემაᲐ ანუ შეერთებაᲐ ჰაზრისა თჳსისა და გრძნობისა. აღმკობილისა (изящная) პროზისა არს განჰსწავლა ᲭᲔᲨᲛარიტისა, აღძვრა კეთილისადმი. მაშასადამე დასასრული არს ანუ თეორეტიკებრი ანუ პრაკტიკებრი. მიმთხᲪᲕისათჳს ერთისა და მეორისა ანუ ორთადმი ერთად აღმკობილი პროზაიკი მიჰმართავს შვენიერსა. ანუ საგანი ორატორისა, რომელიცა მოქმედებს ეს-

[1] ხაზგასმა ყველგან ავტორისაა.

[2] „ყოვლადი“ ნიშნავს ზოგადს.

[3] „ნათესავი“ გვარს, მგვარეობითს ცნებას.

[4] „სახელი“ ნიშნავს სახეს.

ტეტიკებრთა ზედა ძალთა არს ესე ოდენი, რაოდენსაცა ვალი მისი ითხოვს განჰსწავლად ანუ მიდრეკად.

საფუძველი ესე მოგომარეობს შემდგომსა სამსა დანიშნულებასა ზედა კაცისასა. გულისხმისყოფითა ეკუთვნებოდ. იგი ჭეშმარიტსა, ნებითა კეთილსა ესთეტიკებრითა გრძნობითა აღმკობილსა ანუ შუენიერსა.

შესაწევნელი სწავლანი რიტორიკისა

რაოდენიც კაცს აქუს უმეტეს განათლებული გონება და განკუთარებული გული, ესე ოდენ უკეთილესად მესწვდების თვსსა საგანსა. ვნაადგან რიტორიკა მომზადებულსა ნივთსა ორატორისასა შეიმოსს შვენიერსა სამოსსა შ-ა მსგავსად ვითარცა არხიტეკტური მომზადებულთა უკუნ ნივთიერებათაგან აღიყუნს შვენიერსა აღშენებულებასა თვსთა კანონთაებრ. ამის გამო ზნეობითი ფილოსოფიურნი ჰსწავლანი განავითარებენ გონებასა და გულსა ორატორისასა, მატემატიკურნი განჰსწავლენ გონებასა წესიერებისადმი და სახილველად მოჰსლუდუნ გარდამეტებულსა უკეთობასა გამოხატვსასა, ხოლო პოლიტიკურნი სწავლანი განამშუენებელ გულისხმისყოფისანი არიან საჭირონი კარგის ორატორისათვს. გარდა მოპოებულთა ამათ ღირსებათა იგი თანამდებ არს ქონად ბუნებითთაცა ნიჭთა, თვნიერ რომელთაცა არა ოდეს იქმნების მდგომარეობასა შ-ა მიწევნად თვსისა საგნისა. იგი თანამდებ არს რათა აქუნდეს სიყვარული ჭეშმარიტებისა და სათნოებისა და უძლეველი გარე მიქცევა ბიწისაგან. რამეთუ ერთნი მხოლოდ ჭეშმარიტებანი კარგად გამოიღებიან, გამოჩნდებიან და ძალუძსთ მიდრეკად. მათ შ-ა მონაწილეობს გულითადი გრძნობა. გრძნობა შვენიერისადმი არს ეგრეთვე საჭირო ორატორისათვის.

განსხუაება რიტორიკისა და პიიტიკისა

ორნი ესე ჰსწავლანი თანამსგავსებენ მას შ-ა, რომელ არიან სიტყვიერებისა ნაწილნი; ხოლო განსხუავდებიან იგინი მით, რომელ რიტორიკა არს ჰსწავლა პროზისა, ხოლო პიიტიკა ჰსწავლა სტიხთქმისა და აქუსთ, ვითარცა განსხუაებული მარცუალი ეგრეთუე განსხუაებულიცა საგანი. ორატორსა ჰსურს ჰსწავლებად, ხოლო სტიხთმოქმედსა ამოვნებად. ჭეშმარიტება შეადგენს თვსებასა პროზისასა, თვნიერ რომლისაცა მას არა ექმნების ფასი; შვენიერი იქმნების მას შ-ა მხოლოდ საშუალობა მიმთხვევსათვს ორატორებრისა საგნისა. სტიხმთქმელი წინააღმდგომ მისსა გამოუხრობელად წარმოადგენს შვენიერსა. მჭერსიტყუაობასა აქუს სარგებელშემკული მხოლოდ შვენიერითა; ხოლო სტიხთ-ქმნა შეიცავს თვს შორის შვენიერსა თავით თვსით არა სასარგებლოსა, არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვს.

მოკლე ისტორია რიტორიკისა

რიტორიკა განიყოფების ორთა უმთავრესთა ეპოხათა ზედა. პირველსა ეპოხასა შ-ა იგი იყო ხელოვნება, რომლისაცა საგანი იყო პოლიტიკებრი მჭერსიტყუაობა. მეორეს ეპოხასა შ-ა რიტორიკა შეიქმნა ჰსწავლად და საგანი მისი არს განვითარება პროზაიკებრისა მწერლისა. ძუელთაგან უკეთილესნი რიტორნი ბერძენთაგან არიან არისტოტელი, ლონგინი; რომაელთაგანნი: ციცე-

რონი, კენტილიონი. ახალთა მწერალთაგანნი კანონთა მჭერსიტყუაობისათა საკუთრად შესანიშვნელ არიან ფრანცუსთაგანნი: როლლენ, ბიტტე, ლაღარპ. ანგლისთაგანნი: ბილერი. ნემეცთაგანნი: ეშენბურღი, მოასი, ღენსიუსი; რუსთაგანნი: ლომონოსოვი, [illegible], ნიკოლსკი, ტოლმაჩევი, [illegible]. ქართველთაგანნი: ანტ[illegible]ნი, იონა, რუსთაველი და სხუანი.

სარგებლობა მჭერსიტყუაობისა

სარგებლობა მჭერსიტყუაობისა თვალით სახილველ არს თვითეულისათვის ჭინცა მიაქცევს ყურადღებასა არსებასა და საგანსა ზედა მისსა. არცა ერთსა ჰსწავლასა არა აქუს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერთა ზედა ჩუენთა ძალთა, ვითარცა აღმკობილსა ხელოვნებასა. მჭერსიტყუაობა მოინადირებს გულთა ჩუენთა და აღანთებს გამოხატუასა; გარდა ამისა ოდეს განვხილავთ საკუთართა თვსთა საზღუართა შ-ა, მაშინ იგი შეეწევს განვრცელებასა ცნობათასა, განხსნასა ახალთ ჭეშმარიტებათასა და ყოველთა საზოგადოდ ჰსწავლათა მოჰსცემს ახალთა ღირსებათა და მიმზიდუელობათა.

საშუალოდ მისსა არა მხოლოდ ზრახუანი და ცნობანი, არამედ თვთ გრძნობანი, მიდრეკილებანი და ვნებანი კაცთანი, რომელნიცა უცნაურ არიან და განშორებულ ჩვენგან საუკუნეთა მიერ, დასდგებიან ჩუენად განკუთვნილად, თანდებითად. ჩუენ გუასწაებს იგი აღრჩევად საგანთა, განრჩევად და აღწერად შესაბამ, წესიერ დამოკიდებულ. იგი მიჰსცემს თვთ ჭეშმარიტებასა უფროსსა ძალსა დარწმუნოებისასა, და თვთ ვნებათაცა უფროს გამოღებასა და მოძრაობასა; იგი გამოხატავს ჩუენთა ზნეობათა.

განყოფა რიტორიკისა

რიტორიკა მსგავსად მრავალთა სხუათა ჰსწავლათა, განიყოფების ორთა ზედა ნაწილთა ხედვთსა და საქმითსა ზედა, ანუ თეორეტიკებრსა და პრაკტიკებრსა ზედა. ვინაჲდგან საგანი რიტორიკისა არს განხილუად პროზაიკებრისა ქმნილებისა, მაშა პირველსა ნაწილსა შ-ა მისსა, ვითარცა თეორეტიკებრსა, გარდამოიცემიან კანონნი, რომელნიცა განეფინებიან ყოველთა გუართა ზედა პროზაჲკებრთა თხზულებათათა გამოურიცხუელად; მეორესა ნაზრდსა შ-ა, ვთარცა პრაკტიკებრსა, განიხილუებიან თითოდ სხუა და სხუანი გუარნი პროზაიკებრთა რხზულებათანი, რომელნიცა დაწერილ იქმნებიან ფრაზითა პროზაიკებრითა.

თვით საზოგადო ყოველთა თხზულებათათვს არს იგი, რათამცა პირველად შევკრიბოდ ყოველნი ჰაზრნი, რომელნიცა ეკუთვნიან აღსაწერსა საგანსა. მეორედ, ვყოთ პოებულთა და გზათა მათ ჰაზრთადმი ფიცხელი და საჭირო განკარგვა სიცხადისათვს. მესამედ, ვხმაროთ მოქცევა და გამოღებანი, რომელნიც ეშესაბამებიან საგანსა წინაგანზრახულისა თხზულებისა. ამის გამო პირველი ნაწილი რიტორიკისა, ესე იგი **თეორეტიკებრი** განიყოფების სამთა ზედა განყოფილებათა:

ა. პოვნისათვს ჰაზრთა,

ბ. განკარგვსათვს და

გ. შესაბამისა გამოღებისათვს ჰაზრთასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორესა ნაწილსა შ-ა, ესე იგი პრაკტიკებრი სხტა და სხტანი გუარნი თხზულებათანი არიან:

ა. წერილნი ანუ ავთრათნი
ბ. საუბარნი.
გ. მარტივნი აღწერანი.
დ. ისტორიულნი
ე. საქმითი ლექსთხზულებანი.
ვ. ჰსწავლითნი თხზულებანი და
ზ. შესხმანი.

ნაწილი ა.

საზოგადოთა კანონთათჳს რიტორიკისათა

განყოფილება ა.

პოვნისათჳს ჰაზრთა

პოვნასა ქუეშე იგულისხმების არა თუ ოდენ აღრჩევა უმთავრესისა საგნისა, არამედ ყოველთა მისდამი შასაბამთა ჰაზრთა, რომელნიცა მსახურებენ ცხადსა გარდამოცემასა მისსა. და ესრეთ პოვნა არს საკუთრად მოძიება ჰაზრთა, რომელნიცა ეკუთვნიან უმთავრესსა საგანსა (თემასა) გარნა ესე არა ნიშნავს, რომელ რიტორიკამან ასწავლოს მოგონება; ვინაადგან იგი მზათა უკუქუე ჰაზრთა ორატორისათა მიჰსცემს შვენიერსა ფორმასა (სახესა) და არს ჰსწავლა ფორმითი, რომელიც აჩუენებს ღონესა მოძიებად შემეცნებასა. ეგერეთუე არა სათანადო არს გულისიტყუად, რომელ პოვნა აღნიშნავდეს მოძიებასა მარად ახალთა ჰაზრთასა. ვინაადგან ძუელთაცა ეგრეთუე ძალუძსთ შვენიერ ყოფად.

თავი პირველი

თემისათჳს (thema)

თემა არს წინადადება მიღებული ნაცვლად საფუძველისა სიტყჳსა, ანუ საზოგადოდ თხზულებისა. თემა შეთანახმდების საგნისა თანა, რომელიცა იქმნების გარეგანი მქონებელი შეპყრობათა რომელისამე წარმოებისათა და რ-თა შ-ა ანუ აღმწერილ სრულთა საგანთა, შინაგანი ანუ არსებითი, გინა მსწავლებელი თეორეტიკებრისა ჭეშმარიტებასა შ-ა. ამის გამო თემანი განიყოფებიან პირველად მოთხრობითთა, მეორე პყრობილთა ჭეშმარიტებათა ზედა, თეორეტიკებრთა და პრაკტიკებრთა, ანუ ჰსწავლათა.

ისტორიკებრი თემა არს წინადადება, რომელიცა გამოიღებს ჳთარისამე მყოფობასა ანუ გარემოებასა. წარმოებანი განიხილებიან სხტათა და სხტათა კერძოთაგან: ა. გარეგანისაგან, სადაც შენიშვნებისა დრო, ადგილნი და მოქმედნი პირნი. ეგრეთუე იჩუენებიან საშუალობანი და დაბრკოლებანი მიმთხუევსათჳს წინადადებისა საგნისანი.

ბ. შინაგანისაგან, სადაცა იჩუენებიან გამოღვიძებულნი მიზეზნი მოქმედებათადმი თანასწორ. ჳთარ შედრეგებანიცა მათნი, ესე იგი მიდრეკა მოქმედებათა ანუ გარემოებათა პირთა.

აღწერითი თემა

დასასრული აღწერისა არს იგი, რათა ანუ მივცეთ ცხადი ცნობა საგნისათჳს, ანუ უჩუენოთ საგანი ყოველთა რაჲსა მიმართობა მისთა, ანუ გამოუხატოთ ესრეთ რათამცა ადჳლად წარმოუდგეს მკითხველსა. პირველსა შემთხუევასა შ-ა იქმნების განსაზღვრება არსებითთა ნიშანთაგან საგნისათა. მეორესა შ-ა განსაზღვრება განვრცელდების მომატებითა შემთხუევითთა ნიშანთაგან და შეიქმნების აღწერად; მესამეს შ-ა შემთხუველი დაიმარხავს-რა ყოველსა წინამავალსა, გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოსცემს თვთ ნიშანთა ბუნებისა და მიმზიდველსა წესსა შ-ა. მაშინ ჰსწარმოებს განხილული აღწერა ანუ გამოხატვა.

ჰსწავლითი აღწერა

დროსა ანუ გვართა თხზულებათასა განცხადების თეორეტიკებრი ჰეშმარიტება, ანუ ყურადღების პრაკტიკითა.

თეორეტიკებრთა ჰეშმარიტებათათვის

1) სრული გარდამოცემა განაცხადებს საგანსა და ცნობა მისთვს შეიქმნების უსრულესად. ეს გვარსა თხზულებისასა შეხამს, რათა

1. მივცეთ განსაზღვრება
2. უჩვენოთ რაჲ იმყოფების შემთხეკთი და რაჲ არსებითი.
3. მოუპოოთ მზგავსნი განსამარტებელნი საგანნი.
4. გამოვაჩინოთ ტყუილნი შემეცნებანი.
5. შემოკტანოთ მოწმობანი და მაგალითნი.

2) დამტკიცება თეორეტიკებრისა ჰეშმარიტებისა არს განმარტება მისი გამოვლენათა მიერ. ამასთან მიიღების განსჯასა შ-ა:

1. მოწმობანი საკუთარისა გრძნობისანი.
2. საზოგადო გრძნობა ჰეშმარიტებისა
3. დამოკიდებანი გამო... ეკლულნი სხტათა ჰეშმარიტებათაგან
4. გამოცდილებანი.
5. მოწმობანი
6. სარგებლობა ჰეშმარიტებისა

3) უკუთქმა ანუ დარღვევა შემეცნებისა ჰნიშნავს განმარტებასა მიზეზთა უსაფუძლოებისა მათისა. ამას მსახურებს:

1. წინააღმდგომ თქმობა საკუთრისა ჩვენისა და საზოგადოჲსა გრძნობისა. წინააღმდეგობა გამოცდილებათა მაგალითთა.
2. სისუსტე დამტკიცებათა
3. შეუთანხმოება საგნისა
4. უშვერნი და სავნებელნი შედგომილებანი
5. მიზეზნი წარმოებისანი

პრაკტიკებრთა ჰეშმარიტებათათვს

1) განვაცნოთ კეთილსა საქმისა თანა. მაშინ უნდა მივღოთ განსჯასა შ-ა:

1. სულიერი მინდობა მასთან
2. გარეგანი გამოჩენანი მისნი
3. საგანი
4. თვსებანი ჰეშმარიტისა და მწბიერისა სათნოებისა
5. საშუალობანი
6. დაბრკოლებანი და მოძნელებანი

2) განვმარტოთ ვნება წარმოებული ბიწისაგან. მაშინ მივაქცევთ ყურადღებასა:

ა. სულიერსა მისთა განკარგულებასა ზედა
ბ. გარეგანთა განცხადებათა მისთა
გ. წყაროთა განსაზრდოთა ზედა ბიწისათა
დ. შენდობათა
ე. საშუალობათა აღმოპყვრისათა.

2). განკარგვსათვს

განკარგვა არს მოყვანა შეკრებულთა ნივთიერებათა საცნაურსა წესსა შ-ა ანუ მოყვანა პლანსა შ-ა.

საზოგადო კანონი ამისათვს არს შემდგომი:

რათამცა არა რაჲ იყოს. მეტი, ხოლო ყოველივე უნდა იყოს განკარგულ ესრეთ, რათამცა უმსწრაფლეს და

უსარწმუნოეს მივწვდეთ დასასრულსა.

შეჩვეულება და საკუთარი განზრახვა არიან უკეთილესნი ხელთმძღვანელობანი.

ყოველსა თხზულებასა აქუს საზოგადოდ სამი ნაწილი: დაწყება (ხელყოფა), თხრობა (წინადადება) და დასრულება (კიდურმდგმოება).

დაწყება არს ნაწილი, რომელსაცა შ-ა მთხზველი განაღვძებს ჩვენსა სიხალისესა უთქმელად საგნისა ანუ

წინადადებასა შ-ა გარდამოიცემის უმთავრესი საგანი თხზულებისა და არს ფუძე თხზულებისა.

დასრულება, აქა მთხზველი განიმეორებს მოკლედ ყოველსა მას, რაჲცა ითქუა წინად მსახურებს მისთვს, რათა უკეთესად გარდაუბეჭდოს მსმენელსა, წინასწართქმული საგანი ხსომასა შ-ა.

სხოლიო. წინადადება კვალად განიყოფების დამტკიცებასა, განმარტებასა, აღსწერასა, მაგალითსა და მოწმობასა ზედა. ესენი გამოიცვლებიან წესსა შ-ა, ხოლო უმთავრესნი არა სადა.

გამოღებისათვს ფრაზისა

ხატი გამოღებისა ქაღალდ ზედა იწოდების ფრაზად. დასასრული თვითოეულისა თხზულებისა მდგომარეობს მას შ-ა რათამცა იგი იყოს გასაგონად ამის გამო ფრაზასა ესე უნდა აქვნდეს:

1. კანონიერება (ლტოლვა ანუ განშორება ბარბარიზთა).
2. სიწმინდე (განშორებათა ლექსთა უხმოთა და უცხოურთა ქართულ ენისათა).
3. სიცხადე და განსაზღვრებულება.
4. წერა ჰაზრისა
5. სიმხოლოე.

გარდა პირველთა ამათ ღრამატიკურთა და ლოღიკურთა ღირსებათა შემდგომნი საშუალობანი, რომელნიცა მისცემენ ფრაზასა შვენიერებობასა.

1. კეთილხმოვანება, რომელიცა ჰყოფს სიტყვასა ცხადად და გაუჭირებლად. დროსა კითხვისასა უკეთილესი საშუალობა არს კითხვა კარგთა წიგნთა, რომელთა გამოცა განვითარდების სმენა და განშუენდების უსიამოვნოს შეერთებისაგან ასოთა, მარცვალთა და ლექსთა.

2. კეთილგუნოვნება მარცვლისა, ოდესცა არა არიან ლექსნი წინააღმდგომი კეთილშესაბამობისა.

3. სიმოკლე. როდესაც იხმარების ესეოდენი ლექსი რაოდენიცა საჭირო არს გამოღებისათვს ჰაზრთა.

4. სიცხოველე ფრაზისა ოდესცა ჩვენ ვმოქმედებთ გამოხატვასა და გრძნობიერებასა ზედა. ესე იგი მოვიყვანთ მოქმედებასა შ-ა ყოველთა სულიერთა ძალთა, ამისთვს პროზა იგი იხმარებს საშუალობათა პოეზიის მპყრობელებსაგან?

საშუალობანი ესენი არიან ტროპნი და ფიგურანი.

ტროპათათვის

ტროპი არს შეცვალება ერთისა ლექსისა მეორესა შ-ა ესეოდენვე გასაგონსა, გარნა უმეტეს გამოსათქმელსა. იგინი არიან: მეტაფორა, ირონია, იპერბოლა, სინეკდოხა და მეტონიმია.

მეტაფორა არს ტროპი დაფუძლებული მსგავსებასა ზედა საგანთასა. მაგალითებრ: გაზაფხული ცხოვრებისა, მხეცებრივ სული. რაოდენიმე მეტაფორანი შერდგენილნი ურთიერთსა შორის შეადგენენ ალეგორიასა მაგალ. მოიგონეთ დასაბამი და დასასრული ომისა მის, რომელიცა იყო პირველად მხოლოდ ნაპერწკლად. აწ ყოველსა ევროპასა მოიცავს თვსითა ალითა.

ირონია არს ტროპი, რომელსაცა შ-ა დაიდების წინააღმდგომი სათქმელისა საგნისა. მაგალ. იხარე ბოროტო თვსითა საქმითა!

(სხოლიო) ამას ეკუთვნიან: სარკაზმ-ხუმრობა საწყინარი და ხარიენტიზმ — ხუმრობა უწყინარი.

ი პ ე რ ბ ო ლ ა არს ტროპი, რომლისაცა შ-ა იხმარებიან ლექსნი წარმომადგენელნი საგნისა უდიდესად ან უმცირესად (ავქსეზის არს უდიდესი. ტაპინოზის არს უმცირესი). მაგალ. წყარო ცრემლთანი. ის ულონო არს ვითარცა ბუზი.

ს ი ნ ე კ დ ო ხ ა არს ტროპი, რომელსაცა შ-ა დაიდების ყოვლადი ნაცვლად კერძოისა თვისასა, ნათესავი ნაცვლად სახელისა უკუქცევით. მაგალ. მოკვდავი ნაცვლად კაცისა.

მ ე ტ ო ნ ი მ ი ა არს ტროპი რომელსაცა შ-ა დაიდების მიზეზი ნაცვლად მიზეზებულისა და უკუქცევით. მაგალ. მე მიყვარს კითხვა პეტრეანისა.

პერიოდნი იქმნებიან:

1. მიზეზობითნი
2. შემზგავსებითი.
3. წინააღმდგომობითნი
4. ნებართვთი
5. პირობითი
6. განმარტებითი
7. აღყვანებითი
8. შეერთებითი
9. გაყოფითი
10. შემდგომობითი
11. ხარისყოფითი.

მარქსის სახ. ხა... საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

სომეხი მწერლების კრებული

☆

საქართველოში მცხოვრებ სომეხი მწერლების ნაწარმოებების ქართულად გამოცემა უთუოდ ჩვენი მკითხველის ინტერესს გამოიწვევს. ასეთი კრებული უდავოდ შეუწყობს ხელს მოძმე ქართველი და სომეხი ხალხების იმ კულტურული ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას, რომელსაც დიდი და სახელოვანი ტრადიცია აქვს.

კრებული იხსნება სურენ ავჩიანის ხუთი ლექსით, რომლებიც თ. ჯანგულაშვილის მიერ ხომხურიდან არის გადმოქართულებული.

ს. ავჩიანის ლექსები აზრის სიცხადით ხასიათდება. ეს შეინიშნება „სიმღერის დაბადებაში". აგრეთვე შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსშიც.

პოეტი რუბენ აღაბაბი კრებულში წარმოდგენილია ალ. ბეგაშვილის მიერ თარგმნილი სამი ლექსით. აქ სომეხი მწერალი წარმოგვისახავს მესხეთის პოეტურ სურათს, ქებას უძღვნის ზარზმის ისტორიულ ნაგებობებს, ადგილს, რომელიც, პოეტის სიტყვით „არის ზღაპრული რუსთაველის მშობელი კუთხე!". სამწუხაროდ ამ ლექსებში იგრძნობა პოეტური აღქმის ზედაპირულობა, ავტორი არ ცდილობს სიღრმით დაგვანახოს საგნები. ეს კი ემოციურ ძალას უკარგავს მის ნაწარმოებებს.

გეორგ გრიგორის ლექსები ეხება უკრაინის განთავისუფლებისათვის დაღუპული სომეხი ვაჟკაცის ხსოვნას („საფლავის ძეგლი"), ომგადახდილი კოლმეურნის მშვიდობიან შრომასა და სიყვარულს („ერთად წავიდეთ ყანაში"), ქართველი კლასიკური ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენელს ვაჟა-ფშაველას („ვაჟა-ფშაველას"). ლექსი „ჩვენი ფოლადი", რომელიც ინდუსტრიალიზაციის თემაზეა დაწერილი, მეტად გადატვირთულია ფოლადის გამოდნობის ტექნოლოგიური პროცესების, მანქანების საწარმოო მოქმედების აღწერილობით, ადამიანი კი ჩრდილშია დაყენებული.

კრებულში მოთავსებული საინტერესო პოეტური თხზულებებით მკითხველის ყურადღებას იმსახურებს პოეტი ჰოვანეს კარანიანი, მისი რამდენიმე ლექსი ბავშვებს შეეხება, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მარტო პატარებისათვის იყოს დაწერილი. პოეტის ჩანაფიქრი იმდენად ღრმააზროვანია რომ ეს ლექსები მოზრდილების ინტერესსაც გამოიწვევენ. ლექსის „პატარა მხატვარი" ლირიკული გმირი სკოლამდელი ბავშვია, რომელმაც კრემლი თავისი სახლის გვერდით დახატა და თქვა.

> აი ეს ჩვენი სახლი, —
> ტიტინებს სახემშვიდი. —
> ეს კი კრემლია, სადაც
> ცხოვრობს სტალინი დიდი".

შორეული კრემლი მართლაც რომ ახლოა იმ სახლებთან, სადაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ცხოვრობენ.

პოეტური ემოციურობა ახასიათებს ლექსს „სინათლის ზღვები", რომელიც კარგადაა თარგმნილი მურმან ლებანიძის მიერ, ლექსი „ორი მსოფლიო — ორი კანონი" პოლიტიკური ხასიათისაა და საერთაშორისო თემაზეა აგებული აქ პოეტი მოხერხებულად უპირისპირებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა სამშვიდობო პოლიტიკის ძლიერებას ომის გამჩაღებელ იმპერიალისტთა სიავეს.

ჰაიკ კარაპეტიანის ლექსი „მახლობელ მეგობარს" წარმოადგენს ოპტიმისტურ ბალადას სამამულო ომში მტრის ტყვეით განგმირულ სომეხ ქალიშვილზე, რომლის სახე მარად თან სდევს და ამხნევებს ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცს, მასთან ერთად ზეიმობს ბერლინის თავზე გამარჯვების დროშის აღმართვას, მონაწილეობს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში.

კრებულში მოთავსებულია ცნობილი საბავშვო მწერლის ლევან მეჰრაბიანის რამდენიმე ლექსი, რომელნიც გამოხატავენ პოეტის პატრიოტულ გრძნობებს მშობლიური ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოებისადმი („თბილისი ჩემი აივნიდან", „მტკვარი"). ლექსში „დაბრუნება" გამოხატულია სიამაყე მშობელი მამისა, რომელსაც სამამულო ომიდან სახელმოხვეჭილი შვილი დაუბრუნდა.

დედაქალაქ მოსკოვისადმი საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარულია გამოხატული ახალგაზრდა პოეტის ჰარაჩია მურადიანის ლექსში: „მოსკოვი".

კარგი ლექსია „გოგოვ, მინდვრის ყაყაჩოვ" პოეტისა და დრამატურგის პაჰარესი (ჰაიკ პეტროსიანი).

ანდრონიკ საღათელიანის ნაწარმოები „მგელი და მელა" პოლიტიკური ხასიათის იგავ-არაკია. აქ მხილებულია ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი სიმსუნაგე კოლონიური ქვეყნების ძარცვის საქმეში.

კრებულის ნაწარმოებთა წამყვანი მოტივი ეს

„ძმობის ხიდი", თბილისში მცხოვრებ სომეხი მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული. საბჭოთა მწერალი, 1954.

პატრიოტული მოტივია, ამ მოტივზე დაწერილ თხზულებებში სომეხი მწერლები უღრმეს სიყვარულს გამოხატავენ არა მარტო თავისი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების, თავისი ხალხის, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყნის. მოკავშირე რესპუბლიკების მოძმე ერების მიმართ. სწორედ ასე ესმის სამშობლოს სიყვარული პოეტ ევფრატ სევქარეცს (ცირაკოზოვი). მის პატრიოტულ ლექსში ლირიკული გმირი იგონებს სომხურ სოფელს, სადაც მთის ყვავილების ფერთა ლივლივი თვალს იტაცებს. ანკარა წყაროების ჩხრიალი გულს ახარებს და ულრანი ტყეების გუგუნი ისმის. მაგრამ მარტო ამით როდი განსაზღვრავს პოეტი საბჭოთა სამშობლოს ცნებას. როცა სამშობლოს ახსენებენ, მაშინ მას აგონდება თბილისი, აგონდება მთელი საბჭოთა ქვეყნის გული — მოსკოვიც.

ევფრატ სავქარეცი სამამულო ომის ფრონტზე მიღებულ შთაბეჭდილებებს გამოხატავს ისეთ პოეტურ ნაწარმოებებში, როგორიცაა „ჩვენ აქ ვიბრძოდით“ და „ბერლინში დაწერილი ლექსი“. აქ მკითხველი ხედავს საბჭოთა ჯარისკაცს, რომელსაც თავის გმირ თანამოლაშქრეებთან ერთად ფაშისტური წყვდიადის ჯებირები დაუნგრევია და ცხელი ხიშტებით გამარჯვების დიადი სიმღერა დაუწერია. ეს ჯარისკაცი დგას ახლა ბერლინის სასაზღვრო ხაზთან, ხედავს იმპერიალისტური ამერიკის ზონიდან მალულად გადმოსულ და ლუკმაპურისათვის ხელგამოწვდილ მშიერ ბავშვს. პოეტი გმობს ახალი ომის გამჩაღებელ მილიარდერებს, რომელთაც ამ ბავშვს სიხარული წაართვეს.

მარტინ ქარამიანის ლექსები ქართულად თარგმნილია ა. მირცხულავას, გრ. აბაშიძის, მ. ლებანიძის, რ. მარგიანის, გრ. იმედაძისა და ხ. ბერულავას მიერ. ამ ლექსებს შორის თავისი თემატიკური აქტუალობით გამოირჩევა 1952 წელს დაწერილი „ბელადის მარჯვენა“ და აგრეთვე „სიტყვა პარტიას“, სადაც ცხოველმყოფელი პოეტური სახეებით დასურათებულია ლენინის მიერ შექმნილი და ბრძოლებში გამობრძმედილი კომუნისტური პარტიის მიერ გაწეული შემოქმედებითი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ასაშენებლად. პოეტი წარმოგვიდგენს წალკოტად ქცეულ უდაბნოებს და ამბობს, რომ ყველაფერი, რაც დიადია, პარტიის აზრისა და საქმის განსახიერებაა.

ლექსებში „თბილისი“, „თბილისის ზღვის, დაბადების დღეს“ „მშობლიურ სოფელში“ ქარამიანი პატრიოტული აღგზნებით უმღერის მშობლიურ საქართველოს დედაქალაქს და კახეთს.

პროზა კრებულში წარმოდგენილია 13 მოთხრობით. ეს ნაწარმოებები თემატიკურად მრავალფეროვანია და მხატვრული შესრულების მხრივაც ბევრი მათგანი სათანადო ყურადღებას იმსახურებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება თურქი კოლონიზატორების მიერ სომეხთა დარბევა-შევიწროების იმ ისტორიულ ფაქტებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია მოთხრობები: „ქარიშხალი“ და „ქიარამ“, რომელთა ავტორი, მკრტიჩ ასლანიანი, დაბადებულია თურქეთში და მოწმეა თურქ კოლონიზატორთა ყაჩაღური თავდასხმებისა. ასლანიანი მხატვრული თხრობის კარგ ოსტატობას ამეღავნებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი მოთხრობები ნაკლოვანებებისაგან დაზღვეული არ არის. ამ მხრივ ყურადღება უნდა შევაჩეროთ მოთხრობაზე „ქიარამ“. ავტორს აქ სურვილი აქვს — დაგვიხატოს თურქი მემამულეებისაგან და თურქეთის მთავრობის მოხელეებისაგან გატანჯული სომეხ გლეხთა ავბედობის სურათი. მაგრამ ამ სურათს აკლია რეალისტური დამაჯერებლობა.

სომხებზე თურქ რეაქციონერთა და ბანდიტთა ბრბოების მასობრივი თავდასხმის შემზარავი სურათები დახატულია ასლანიანის მეორე მოთხრობაში „ქარიშხალი“. ამ ნაწარმოების იდეური ღირსება ის არის, რომ სომეხი ხალხი აქ ისე მორჩილებით როდი ურიგდება თავის ბედს, როგორც „ქიარამში“. სომეხთა მამაცი შვილები „ქარიშხალში“ ბრძოლით იცავენ თავის უფლებებს, დაუნდობლად ჟლეტენ თავდამსხმელებს და თავიანთ ბედს თურქების წინააღმდეგ მეომარ რუს ჯარისკაცებს აბარებენ.

ამ ნაწარმოებში მიმზიდველი ფერებითაა დახატული სომეხთა პატრიარქალური ოჯახის მეთაური ქალი დიდედა ნუბარი, რომელიც მტერს შიშის ზარს სცემს თავისი შეუდრეკელი ნებისყოფითა და ხასიათის სიმტკიცით.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელქვეშ მყოფი მშრომელების რევოლუციური ბრძოლებისადმი მიძღვნილი ვართან ატრიანის მოთხრობა, „ტრაპიზონის ჩირაღდნები“, რომელიც ა. დავითიანის მიერაა თარგმნილი. მოხუცი მეთევზე ქერიმის ცხოვრების გადმოცემით მოთხრობის ავტორი მარჯვედ გვისურათებს მთელი თურქეთის მდგომარეობას, ოკეანის გადაღმელი იმპერიალისტების პარპაშს თურქეთში, მშრომელი ხალხის გაჭირვებას. მოხუცი მეთევზის ბედი მოთხრობაში ორგანულად არის დაკავშირებული თურქეთის მთელი მშრომელი მოსახლეობის ბედთან. ამერიკელი ბატონების კარნახით განხორციელებულ ყოველ ღონისძიებას თავისი დაღი დაუჩნევია ქერიმის ცხოვრებაზე. ამერიკელების მიერ გაჩაღებულ კორეის ომში თურქი ჯარისკაცების გაგზავნასთან დაკავშირებით ქერიმმა შვილი დაკარგა, ამერიკული „დახმარების“ წყალობით კი მას სამუშაო მიატოვებინეს. უმუშევრობა და შიმშილი აუტანელი აღმოჩნდა მოხუცისათვის

და იგი ლოგინად ჩავარდნილა. მიუხედავად ამისა, ქერიმი მტკიცედ მოუწოდებს თავის შვილისშვილს—სელიმს მონაწილეობა მიიღოს სამგლოვიარო ზეიმში, რომელიც ჩირაღდნების ანთებით ეწყობა შავ ზღვაზე — ამერიკელი რეაქციონერების მიერ 15 თურქი კომუნისტის ვერაგული მკვლელობის 30 წლისთავის აღსანიშნავად.

ვ. ატრიანის მეორე მოთხრობა „ძმობის ხიდი" ქართველი და სომეხი მშრომელების მეგობრობას ასახავს. ამ ნაწარმოების მიხედვით ეს მეგობრობა თაობიდან თაობებზე გადადის და სულ უფრო და უფრო ცხოველმყოფელი, მტკიცე ხდება.

საბჭოთა სინამდვილის საინტერესო მასალის მხატვრული დამუშავების ცდა მოცემულია ვ. ატრიანის მოთხრობაში, „მწყემსი თედორე". აქ ნაჩვენებია ქართველი ზოოტექნიკოსების სემიტიზაციის მიერ გაწეული მუშაობა თუშური ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. ამ მუშაობას დაბრკოლებას უქმნის მოხუცი მწყემსი თედორე, რომელსაც ჰგონია, რომ მერინოსის ჯიშის ყოჩებთან ადგილობრივი ცხვრის შეჯვარება გამოიწვევს უკანასკნელთა განაყოფიერებაგამრავლების უნარის მოშლას, გაბერწებას. ამ ნიადაგზე ისახება კონფლიქტი მწყემს თედორესა და ზოოტექნიკოს თენგიზს შორის. თავისთავად ყველაფერი ეს საინტერესოა, მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი: მიჩურინული მეცნიერების დიდი ღირსება ისაა, რომ მისი სასარგებლო მნიშვნელობა იმთავითვე გასაგები გახდა ხალხთა მასებისათვის, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოში გლეხები თვითონ იყვნენ მიჩვეული ჩვეულებრივი დედაპირუტყვის შეჯვარებას ჯიშიან მამალთან, რასაც მათი მეურნეობის დიდი აღმავლობა მოსდევდა. ამდენად უნდა ითქვას, რომ მწყემსი თედორე ავტორის ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე ცხოვრებისეული სახე.

მოთხრობას „მწყემსი თედორე" თემატიკურად ენათესავება არშაკ ვარდანიანის „მოხუცები" სადაც მოხუცი სომეხი გლეხი ავეტი უნდობლად შეხედავს მისი ვაჟის — ვაჰანის მიერ დაწყებულ ახალ საქმეს — სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბებას. სინამდვილეშიც სწორედ ასე ხდებოდა. საშუალო შეძლების გლეხები უყოყმანოდ როდი ბედავდნენ საკოლმეურნეო ცხოვრების დაწყებას. მოვლენათა განვითარება ვარდანიანის მოთხრობაში მართალი და ბუნებრივია. დაინახავს რა ერთად შეკავშირებულ მთელ სოფელს, ავეტი გადაწყვეტს, მხარდამხარ გაჰყვეს მათ ახალი ცხოვრების გზაზე. „მოხუცები" უდავოდ მოსაწონი ნაწარმოებია.

კრებულში მოთავსებულია მოთხრობები, რომლებიც მიძღვნილია სამამულო ომის თემისადმი. ასეთებია ა. ვარდანიანის „მარჯვენა ხელი", ვ. სიმონიანის „ნოკტიურნი" და ს. მანველიანის „გამარჯვების თაღი", ს. მანველიანის მოთხრობაში გამოყვანილია არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი ლიუბიმოვი, რომელსაც სამამულო ომის დღეებში მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე პატარა შვილიშვილთან ერთად უხდება ყოფნა. ფაშისტები აიძულებენ ლიუბიმოვს ააგოს „გამარჯვების თაღი" ჰიტლერის მონუმენტით. ლიუბიმოვი განზრახ აჭიანურებს სამუშაოს დამთავრებას და ბოლოს, როდესაც ქალაქს საბჭოთა არმიის ნაწილები ათავისუფლებენ, მას მზად აქვს ნაგებობა, სადაც საბჭოთა ჯარების გამარჯვების ძეგლია აღმართული, ლიუბიმოვს იმთავითვე განუზრახავს, რომ აეგო არა ფაშისტების, არამედ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების თაღი, მაგრამ, თუ ეს ასე იყო, მაშინ გაუგებარია, რატომ იტანჯებოდა ლიუბიმოვი ამ თაღზე მუშაობის დროს, რატომ ხალისით არ მუშაობდა იგი, როგორც საბჭოთა პატრიოტი, რაკი განზრახული ჰქონდა საბჭოთა ხალხისადმი საჩუქრის მომზადება და არა მტრისადმი სამსახური. ახასიათებს რა ლიუბიმოვის მუშაობის პირობებს, მოთხრობის ავტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „დღითიდღე აუტანელი ხდებოდა მოხუცის მდგომარეობა: მისგან მოითხოვდნენ შემოქმედებას, ის კი არ იცოდნენ, რომ ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში მყოფ ადამიანს შემოქმედების თავი აღარ აქვს" (გვ. 307). მაგრამ ასეთი, ჯოჯოხეთური პირობების მიუხედავად, ლიუბიმოვმა შემოქმედებითი მუშაობა შეძლო და ხელოვნების დიდებული ძეგლი ააგო. გამოდის, რომ ავტორის ზემოთმოყვანილი მოტივირება მართალი არ იყო. ავტორს რომ ამ მოთხრობის ტექსტზე უფრო მეტი ემუშავა, ასეთ შეუსაბამობას ადგილი არ ექნებოდა და ნაწარმოები მოიგებდა.

კრებულში მოთავსებულ მოთხრობებს შორის ყველაზე მეტი ინტერესის აღმძვრელია ბენიკ სეირანიანის „რუსული გული". ახალი ამ ნაწარმოებში თითქოს არა არის-რა. მოთხრობაში გამოყენებულია ამბავი იმის შესახებ, თუ სამამულო ომის დროს როგორ იშვილეს უშვილოდ დარჩენილმა მშობლებმა შემთხვევით ნაპოვნი ბავშვი, ამ ბავშვს ომის შემდეგ ნამდვილი მშობელი მონახავს და წაყვანას დაუპირებს და სხვ. ეს ამბები ცნობილია სხვა ავტორების მხატვრული თხზულებებიდან. მიუხედავად ამისა, ამ ამბავთან დაკავშირებული სიტუაცია ისე ორიგინალურადაა გაკეთებული, რომ იგი უთუოდ მეტყველებს ავტორის ბელეტრისტულ ოსტატობაზე.

შ. ვაშაყმაძე

საბავშვო განყ.

ᲬᲐᲚᲘ 8 Ა.
613/44 5·13/35

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ